დავით ჯაბუნია

ისტორიული ძის პერიოდში

ნოველა

წიგნი ნიგბეელი

მეგანამაკედონელი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

ეზოგანაკვეთრებელი

,,ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, ბინდვალად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიურს, სიყრმიდგან ვეტრფოდი''.

ნ. ბარათაშვილი

,,მაბაკცია საუკუნოდ–სიყვარულო ჩემო!''

ჯ. ბაირონი

,,იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
თრთებით დაიფარე, ამას გვეფრები''.

ტ. ტაბიძე

© დავით გაბუნია, 2021

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-758-1

წინასიტყვაობა

პოეზია და სამყარო

სამყარო, რომ რთული სისტემაა, ამაზე ხომ ორი აზრი არ არსებობს. პოეზია სწორედ ამის გააზრებას, მის სიღრმეში წვდომას, შეგრძნება-შემეცნებასა და მხატვრულად გამოხატვას ემსახურება.

ის კვალდაკვალ მისდევს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეცნიერებას, ფილოსოფიას; არც ისე იშვიათად, პოეტები იდუმალი ხილვებით, მოვლენების აღქმით ძალიან შორს ხედავენ, სწვდებიან ყველაფერ იმას, რასაც სამყაროს შეცნობის სხვა მიმართულებისა და დანიშნულების სფეროში მოღვაწე ადამიანები ვერ აღმოაჩენენ.

პოეზია მშვიდობაა, სიკეთეა. პოეტური სიტყვა ბარბაროსთა მიერ გაჩაღებულ ომში სასიკვდილოდ ცხრილავს მტერს; გამარჯვების რწმენასა და ძალას გვმატებს.

პოეტური სამყარო მუდამ ლირიზმითა და დრამატიზმით დატვირთული, ემოციურად გადმოგვცემს ყოველივე ადამიანურს და ეხმაურება ყოველგვარ მიღწევას; მუდამ ახლის ძიებაშია.

ცნობილია, რომ პოეზია ღვთის მადლია, ამიტომაც რიგ შემთხვევაში, მაღალი პოეტური აზროვნების ქმნილებები თავისი შორსმჭვრეტელური წარმოსახვებით, ფანტასტიკური, ბრძნული, მხატვრული გააზრებებით, უსწრებენ კიდეც სამყა-

როს შეცნობის სხვადასხვა დარგის სწავლულთ. დიახ, მრავალმხრივი და უსაზღვროა პოეზიის დანიშნულების მოზაიკა.

...და, მაინც, სამწუხაროდ, კაცობრიობამ მხოლოდ მოსაზრებების დონეზე იცის სამყაროს დასაწყისი და დასასრული.

ამ ფონზე, საჭიროდ ჩავთვალე მცირე ექსკურსი ამეღო, რაც, იმედი მაქვს, თავისი შინაარსით, მკითხველებსაც დააინტერესებთ.

* * *

ანტიკურ ხანაში, დაგროვილი მეცნიერული ცოდნის საფუძველზე დიდ აღტაცებას იწვევს გამოჩენილი ფილოსოფოსების ლოგიკური აზროვნების სივრცე.

მაგალითად:

თალესი: სამყარო არ არის ქვადქცეული მატერია.

ანაქსიმანდრე: ყველაფრის საწყისი უსაზღვროებაა.

სოკრატე: დიალექტიკა პლუს ირონია, უკვე, ჭეშმარიტებაა.

ჰერაკლიტე: არსი პლუს არარსი, მხოლოდ, ურთიერთწინააღმდეგობაა.

არისტოტელე: სანამ არაფერი არ იყო, იყო შესაძლებლობა.

ანაქსაგორე: ბუნების საიდუმლოება მუდამ დარჩება საიდუმლოებად, მარტო ლოგიკით ჭეშმარიტებას ვერ მიაგნებთ.

ჩემი აზრით, სამყაროს შეცნობა სრულოფილად შეუძლებელია. როგორც არ უნდა გაშალოს ფრთები ადამიანის აზროვნებამ, იგი ვერ გასწვდება ამ უკიდეგანო საოცრებას. ამიტომ მას არ შესწევს ძალა, მთლიანობაში შეიმეცნოს და დაეუფლოს მის ყველა საიდუმლოს. ასე რომ აზროვნებასაც თავისი საზღვარი აქვს.

ამჟამად ვრცელდება ინფორმაციები, რომ ინგლისელმა მეცნიერმა სტივენ ჰოკინგმა, შესძლო ჩასწვდომოდა ამ საიდუმლოებას. ვეცნობით, რა მის შეხედულებას, გაკვირვებას ვერ ვმალავთ! აღნიშნული მეცნიერი შეიარაღებული მათემატიკური ცოდნით, ცდილობს ახსნას სამყაროს შექმნის საოცრება „დიდი აფეთქების“ საფუძველზე.

მე ხელთ არა მაქვს, ამ მეცნიერის მიერ წარმოდგენილი მასალები. მისი აზრით, დასაწყისში სამყაროს ჰქონდა სრულიად უმნიშვნელო ზომა, ხოლო „დიდი აფეთქების“ შედეგად ის საოცრად გაფართოებულა და მიუღია თანამედროვე სახე!

წუთით წარმოვიდგინოთ სამყარო, რომელიც მილიარდობით გალაქტიკისაგან შედგება. ხოლო, თითოეული გალაქტიკა ასეულ მილიარდობით მზის სისტემას შეიცავს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის იყოს აფეთქების შედეგი, როგორი სიდიდის არ უნდა იყოს ეს აფეთქება.

რაც შეეხება შავი ხვრელების არსებობას, ცხადია გაკვირვებას იწვევს ველების სიმძლავრე, მაგრამ ამის დადგენა შესაძლებელია.

ადრე, სკოლის მერხიდან, სამყაროს შესახებ ამგვარი წარმოდგენის ვიყავით, – ის მუდამ არსებობდა და ყოველთვის იარსებებს. ხოლო გალაქტიკებში განუწყვეტლივ ხდება მზის სისტემების ცვლილება.

საინტერესოა, გალაქტიკების მიღმა თუ არსებობენ თავისუფალი სივრცეები? ალბერტ აინშტაინი თავის გენიალურ შრომებში არ გამორიცხავს ჩვენი სამყაროს პარალელურად სხვა სამყაროების არსებობას.

ამჟამად, მიუხედავად, მძლავრი ასტრონომიული იარაღებისა, ვერ ხერხდება შორეულ ობიექტებზე წვდომა. ფარდობითობის თეორიის აღმოჩენამდე მეცნიერებმა არ იცოდნენ, თუ

საიდან წარმოიშობოდა ის ენერგია, რომელსაც გალაქტიკები განუწყვეტლივ ასხივებენ. მხოლოდ, XX საუკუნის გენიალურმა მოაზროვნემ ალბერტ აინშტაინმა, შესძლო ამ საიდუმლოს აღმოჩენა და მისი სრულოფილად დადგენა.

ამ თეორიამ ფარდა ახადა მთელ რიგ მოვლენებს, რომლებიც ბუნებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობენ. მან ერთბაშად შეცვალა კლასიკური წარმოდგენები დროსა და სივრცეზე. ისაკ ნიუტონის მიერ აღმოჩენილი ბუნების კანონები იქცა ამ თეორიის კერძო სახედ. შეიქმნა ფარდობითობის ზოგადი და სპეციალური თეორიები. მოინახა მჭიდრო ურთიერთკავშირი მოძრავი ნაწილაკების მასასა და მის უძრაობის მასას შორის, სინათლის სიჩქარის მახლობლობაში.

ამ სწორუპოვარმა მეცნიერმა მიაგნო ბუნების ისეთ საიდუმლოებას, რაზედაც მანამდის წარმოდგენა არ ჰქონდათ. შეეცადა მოენახა ერთიანი ველის თეორია, მაგრამ მან ეს ვერ მოასწრო, და ის მომავალ ფიზიკოსებს უანდერძა გადასაწყვეტად! როგორც ცნობილია, ბუნება ძალზე ძუნწია საიდუმლოების გამჟღავნებაში, მაგრამ ამ მენციერის მიმართ ძალზე გულუხვი აღმოჩნდა!

ამგვარად ფარდობითობის კანონების აღმოჩენით და მისი ფორმულირებით, ალბერტ აინშტაინმა, შესძლო მანამდის აუხსნელი მოვლენების სრულყოფილად ახსნა, რასაც შედგომში მოჰყვა ბირთვული ენერგიის საიდუმლოების გახსნა. ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა, ისარგებლა რა, მეცნიერთა ერთი ჯგუფის წინდაუხედაობით, და იაპონიის ქალაქებს ხიროსიმასა და ნაგასაკს კოშმარული უბედურება დაატეხა თავზე. ძალზე შემაშფოთებელია, რომ ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა გენიალურმა იტალიელმა ფიზიკოსმა – ენრიკო ფერმიმ.

* * *

ჩვენი მზის სისტემა, როგორც ცნობილია, სპირალურ გალაქტიკას ეკუთვნის. ის შედგება ცხრა პლანეტისაგან (ახლახან, როგორც გაირკვა აღმოაჩინეს მეათე პლანეტაც).

მზის სისტემის პლანეტებია: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, პლუტონი და ნეფტუნი. ამ პლანეტებიდან, გარდა დედამიწისა, სიცოცხლის ნიშანკვალი ვერ აღმოაჩინეს. ეს გამოწვეულია, როგორც ჩანს, მათი მდებარეობით მზისადმი, ცხადია, ეს მდებარეობა განსაზღვრავს ჩვენი პლანეტის – დედამიწის მრავალფეროვნებას. VI საუკუნის (ჩვ. წ. აღრიცხვამდე) დიდი მოაზროვნე თალეს მილეთელი, ხაზგასმით აღნიშნავდა, მზისა და წყლის, ბუნების ამ ორი ელემენტის მნიშვნელობას სიცოცხლის გაჩენისათვის!

მზიდან მესამე პლანეტას ქართველმა ხალხმა უწოდა – დედამიწა. მართლაც, ის ღირსია ამ სახელწოდების, მთელი თავის მონაცემებით. დიდი ქართველი პოეტი, ბუნების ღრმა მესაიდუმლე, რომელიც ბუნებასა და ღმერთს აიგივებს ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს გვითესავს, ზოგჯერ მქნელია ავისა, ერთგვარად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, საღაც პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ყვავისა!“

ამგვარი მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების შერწყმას იშვიათად შეხვდებით პოეტურ სამყაროში. მზის სისტემის წარმოშობაზე კენისბერგელი ბრძენის იმანუილ კანტის შეხედულებას, რაღაც საერთო აქვს თანამედროვე ინგლისელი მეცნიერის შეხედულებასთან.

როგორც ცნობილია, არცთუ მრავალრიცხოვანია სიცოცხლე მზის სისტემაში, მაგრამ, რადგანაც გალაქტიკები შეიცა-

ვენ მილიარდობით მზის სისტემას, ამიტომაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიცოცხლე უთვალავია სამყაროში. ჩვენს სპირალურ გალაქტიკასთან შედარებით ახლოს არიან: „ანდრომედას ნისლოვანები“ და „მაგელანის ღრუბლები“. დასახელებული გალაქტიკების მისამართით, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. სამყაროში ყველაფერს გააჩნია თავისი დასაწყისი და დასასრული. მეცნიერთა გამოთვლით დედამიწა მიახლოებით 5 მილიარდი წელია არსებობს. ხოლო, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 10 მილიარდი წლით.

გრავიტაციული ძალების შესუსტების შედეგად, დიალექტიკის კანონის საფუძველზე, მზის სისტემის დაშლა გარდაუვალია. მზე, ალბათ, სპირალურ გალაქტიკაში დარჩება „შავი ხვრელის“ სახით. ხოლო, მის გარშემო მოძრავი პლანეტები ცის უფსკრულებში ჩაიშლებიან სამუდამოდ... ამგვარად, ბუნებრივ სიკვდილს ვერცერთი გალაქტიკა ვერ აიცდენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი „ობოლი პლანეტა“ გამუდმებით ბომბარდირებას განიცდის მეტეორებით, თანაც, ხშირ შემთხვევაში, მეტად სახიფათოს. განსაკუთრებით, დიდ საშიშროებას წარმოადგენს დედამიწისთვის ბომბარდირება მცირე პლანეტებით-ასტეროიდებით. ისინი თავიანთ ორბიტებზე მოძრაობენ, მაგრამ გარეშე ძალის მოქმედების შედეგად მოსწყდებიან თავიანთ ორბიტებს და დიდი სიჩქარით მიქრიან სხვადასხვა მიმართულებით სივრცეში. მათი კინეტიკური ენერგია არის უზარმაზარი. დედამიწაზე დაჯახების შედეგად შეუძლიათ გამოიწვიონ დიდი ნგრევა და მოსპონ სიცოცხლე სხვადასხვა განედებზე. ამ მიმართულებით საჭიროა მეცნიერებმა ბევრი იმუშაონ, რათა დედამიწას ააცილონ შემზარავი შედეგები. ეს, რომ არ მოხდეს უნდა გამოიყენონ მძლავრი მაგნიტური ველები, რათა შეცვალონ მათი მოძრაობის ტრა-

ექტორიები, ან მოახდინონ დანგრევა დედამიწიდან დაშორებით, რათა ნანგრევები არ შემოიჭრას დედამიწის გარსში. როგორც ჩანს, სამყაროში მუდმივი არაფერია, ყველაფერი წარმავალია. მარადიულია – მხოლოდ ცვალებადობა.

* * *

როგორც ვიცით, 5 მილიარდი წელი გავიდა, რაც ჩვენი საოცარი პლანეტა-დედამიწა ცხოვრობს. ცხადია, მას დიდი დრო დასჭირდა, რომ ევოლუციის გზით ჩამოყალიბებულიყო არსებულ დონეზე. 3500-4000 წელია, რაც ცივილიზაცია გაჩნდა დედამიწაზე, რამაც ხელი შეუწყო ტომების სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას.

დაიწყო ომები ქვეყნებს შორის. რამაც ერთიანად მოშალა საყოფაცხოვრებო პირობები. ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას ბოლო არ უჩანდა. ჯერ იყო და არაბებმა დალაშქრეს ქვეყნები, ხოლო მოგვიანებით მონღოლებმა გადაითარეშეს აზიისა და ევროპის დიდი ნაწილი. შემდეგ, თემურ-ლენგმა მოაოხრა ქვეყნები. ისტორიაში კარგად არის ცნობილი რომაელების მიერ ნახევარი მსოფლიოს დაპყრობა. ვინ მოთვლის, რამდენი სისხლი დაიღვარა რომსა და კართაგენს შორის დაუნდობელ ორთაბრძოლაში საუკუნეთა მანძილზე.

ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის თვალსაზრისით კოშმარული აღმოჩნდა საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციები, სადაც უმოწყალოდ დაწყვიტეს მილიონობით ადამიანი. ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ფიქრობ და გიკვირს ძალიან, თუ როგორ შესძლო დედამიწამ იმ სისხლის მდინარეების შეშრობა, რომელმაც რამდენიმე ათასჯერ გადარეცხა ჩვენი პლანეტა!!!

კაცობრიობას არ ახსოვს მსგავსი რამ, რაც ფაშისტურმა

გერმანიამ ჩაიდინა XX საუკუნეში. ათვალიერბთ მათ მიერ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებს, კრემატორიუმებს და გაოგნებული რჩები! მართლაც, რომ კაცობრიობის ბედის დაცინვაა: ბაბი იარი, ხატინი, მაიდანეკი, დახაუ, ოსვენციმი და ბუხენვალდი, ხიროსიმა და ნაგასაკი!!!

პოლიტიკოსების უგუნურობამ ფეხქვეშ გათელა ყველაფერი ის, რაც ხელს უშლიდა მათ უზნეო მოქმედებას. ხიროსიმასა და ნაგასაკზე ატომური ბომბების აფეთქებამ შეიწირა 200 ათასამდე მოქალაქე. დანაშაული, რომელიც ტრუმენმა ჩაიდინა, ერთბაშად მოხსნა თითქმის მანამდის არსებული ყველა რეკორდი. მაგრამ ეს დანაშაული არავის განუკითხავს! როცა ამერიკის პრეზიდენტს აცნობეს რაციით იაპონიის ქალაქების განადგურება, ის, სამწუხაროდ, სიხარულით ცას ეწია. ეგონა, რომ ამ იარაღის მფლობელი კაცობრიობის მესაჭე გახდებოდა. მაგრამ, ამერიკის შემდეგ სხვა ქვეყნებიც გახდნენ მისი მფლობელი. ამჟამად თერმობირთვულ იარაღს ფლობს 7 ქვეყანა. ესენი არიან: ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ისრაელი და კორეა. ასე, რომ შინაგანი წინააღმდეგობა ბუნების მიერ შექმნილი გონება აღმოჩნდა. ამ იარაღების გამოყენებას ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ იარაღებთან ერთად შეუძლია პირწმინდად მოსპოს სიცოცხლე ჩვენს „ობოლ პლანეტაზე“.

* * *

მზის სისტემაში არსებული პლანეტებიდან მხოლოდ დედამიწა აღმოჩნდა გამონაკლისი, სადაც სიცოცხლე საოცარი ძალით ყვავილობს. მე დარწმუნებული ვარ, სხვა გალაქტიკებში, სადაც მილიარდობით მზის სისტემაა, შეუძლებელია სიცოცხლე არ იყოს.

ფარდობითობის კანონების აღმოჩენამ საბედისწერო განაჩენის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ამერიკელი მეცნიერები (ატომისტები), ისე, რომ მოქცეულიყვნენ, როგორც დიდი გერმანელი მეცნიერი ვერნერ ჰაიზენბერგი თავისი ვიწრო ამხანაგების ჯგუფთან ერთად, მაშინ არ დატრიალდებოდა ის კოშმარი, რაც მოხდა იაპონიაში – ხიროსიმასა და ნაგასაკზე.

ჰომეროსი ამბობს: „ჭეშმარიტად, მთელ სამყაროში არაფერია უფრო უბედური ადამიანზე“. ცხადია, მწერლობამ უდიდესი როლი ითამაშა და თამაშობს კაცობრიობის ოპტიმიზმის საქმეში. რომ არა მომავლის რწმენა, სიცოცხლე სამუდამოდ გადაშენდებოდა დედამიწაზე. განსაკუთრებით, დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში პოეზიამ.

ჰომეროსი, ფირდოუსი, რუსთაველი, ნიზამ გინჯელი, დანტე, შექსპირი, ბაირონი, გოეთე, პუშკინი და სხვები, აღმოჩნდნენ იმ რანგის შემოქმედნი, რომლებმაც შესძლეს კაცობრიობის სულის დამუხტვა მომავლის რწმენით!.. იტალიური სიბრძნე ამბობს: „მხოლოდ ღმერთები და პოეტები იმსახურებენ იწოდებოდნენ შემოქმედად“.

დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ამბობს: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ, ამასთანავე, ტვირთიც არის, – რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“.

ამ მოვლენების ფონზე, რა გენიალურად ჟღერს ნ. ბარათაშვილის სიბრძნით განუმეორებელი სტრიქონები: „თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება, შფოთვენ და ტრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს? და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...“

გენიალურ შოთა რუსთაველს ღრმად ესმის ის სირთულეები, რაც ცხოვრებას ახლავს თან: „ვა, სოფელო რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, სად წაიყვან სადაურსა, სად გაუთხრი სადით ძირსა“. სიცოცხლე სიხარულთან ერთად ტკივილებს მოაზღვავებს, ამიტომ ადამიანს სჭირდება შემართება: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“.

ლორდ ბაირონი საოცარი შემართებით იბრძოდა ადამიანების თავისუფლებისათვის. მან განაცხადა: „მე ყველაფერი შევწირე საბერძნეთის თავისუფლებას. რა დამრჩა? – სიცოცხლე! და მასაც უსათუოდ შევწირავო! გერმანელმა გენიალურმა პოეტმა გოეთემ შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა ლორდ ბაირონს: „ის ღმერთების სწორია და ქუხილის ნაქადი, მას შერჩება გლორია, ჩვენ კი ცრემლის ნაკადი“.

* * *

დედამიწის ბუნებრივი კვდომისას, მეცნიერებმა შეიძლება გამონახონ საშუალება, მასზე არსებული საგანძურის მცირედის გადასარჩენად. ამჟამად, ასიათასობით ბირთვული ბომბების მიმტანი რაკეტები შემზარავი თვალებით უმზერენ ერთმანეთს, მათი ერთობლივი მოქმედებით დედამიწა იქცევა ტაიფუნების საჯირითო ასპარეზად!!!

ალბერტ აინშტაინმა განაცხადა, თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, მაშინ შემდგომი ომი ქვებითა და მშვილდ-ისრებით იქნებაო. უთუოდ შეცდა სწორუპოვარი მეცნიერი. მე ვფიქრობ, მესამე მსოფლიო ომი დედამიწის არსებობას დაამთავრებს! ის იქცევა გამოუსადეგარ უდაბნოდ, – რა დარჩება? – იყო და არა იყო რა...

ხიროსიმასა და ნაგასაკზე ატომური აფეთქებები იყო დედამიწის დასაღუპად გადადგმული პირველი შემზარავი ნაბი-

ჯები. 1945 წლის ატომური აფეთქებები თავიანთი სიმძლავრით იყო მცირე მასშტაბის, მაგრამ, მაინც უშველებელი ნგრევა გამოიწვია. აქვე, მინდა მოვიტანო იმ ლექსის სტროფები, რომელიც იმ დროს, ამ უბედურებას მივუძღვენი:

„გახსოვდეთ ხიროსიმა, გახსოვდეთ ნაგასაკი, ადამიანებო თქვენ!!! დააწყდა პლანეტას ტკივილით ძარღვები, ეს იყო ღვთისმშობლის თვეს! ჩამოკრეს ავბედად სიკვდილის ზარებმა, ცა თითქოს დაემხო ძირს, ეს იყო სიცოცხლის უსაზღვრო წამება! ვიხსენებ და ტანზე მცრის. აორთქლდა რამდენი უმანკო ხატება, დახედეთ გრანიტზე ჩრდილს! შეხედეთ, პლანეტა ო, როგორ ცახცახებს, შეხედეთ, პლანეტა ო, როგორ კრთის!.. იმ სიმებს დაწყვეტილს დრო ვეღარ ამართელებს, ეს იყო ღვთისმშობლის თვეს! მშვიდობას აუნთეთ თეთრი ტყე სანთლების ადამიანებო, თქვენ!“

დიდმა ამერიკელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ე. ჰემინგუეიმ, რომელმაც შექმნა რომანები: „ვის უხმობს ზარი“, „მშვიდობით იარაღო“, მოთხრობა – „მოხუცი და ზღვა“ და სხვა, როცა მისი მოწოდება უყურადღებოდ დატოვეს, მოგვიანებით სანადირო თოფით მოიკლა თავი. სახელგანთქმულმა ავსტრიელმა მწერალმა სტეფან ცვაიგმა, რომანების: „ამოკის“, „მოუთმენლობა გულისა“ გენიალური ნოველებისა და გამოჩენილი ადამიანების ლიტერატურულ-ფსიქოპორტრეტების ავტორმა, ვერ გაუძლო იმ ხოცვა-ჟლეტასა და წამებას, რასაც გერმანელები ჩადიოდნენ. გაიქცა სამშობლოდან ინგლისში, სადაც ერთ-ერთ სასტუმროში მეგობარ ქალთან ერთად თავი მოიწამლა.

მე რუსთაველის ქვეყნის შვილი ვარ, იმ რუსთაველის, რომელმაც XII საუკუნეში კაცობრიობას აჩუქა „ვეფხისტყაოსანი“ – სიცოცხლის და სიყვარულის სწორუპოვარი ქმნილება.

პრეზიდენტებს, რომლებიც ფლობთ ზემძლავრ, თერმობირთვულ, ნეიტრონულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღებს, მოგიწოდებთ, გადადგათ სახელმწიფო ხელმძღვანელებისათვის საჭირო ბრძნული ნაბიჯები, რათა იხსნათ კაცობრიობა, ჩვენი „ობოლი პლანეტა“ საბედისწერო ხვედრისაგან. დასხედით, მრგვალ მაგიდასთან, რათა ადამიანური ურთიერთთანხმობით გადასწყვიტოთ ყველა საჭირბოროტო საკითხი, რომ შესრულდეს დიდი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ერნესტ ჰემინგუეის მოწოდება: „მშვიდობით იარაღო!“

სახელგანთქმული ამერიკელი პოეტი – უოლტ უიტმენი ლექსში „თანხმობა“ ამბობს: „ეს სიტყვა მეტად ძვირფასია, როგორც ცა ლურჯი, უნდა გვესმოდეს ყველას მისი აზრი მაღალი. მას ხომ ომების შეწყვეტა ძალუძს და დამყარება პლანეტაზე მხოლოდ მშვიდობის. ერთი შეხებით, შეუძლია აჩუქოს მიწას, ო, ღვთაებრივი და ნეტარი სიცოცხლის ძალა! მტერთან უეცრად შეგარიგებს მისი სიკეთე და განეწყობი უჩვეულო რწმენის იმედით!“

და თუ დედამიწას ადამიანთა უგუნურებით უდროოდ დაღუპვა უწერია, მაშინ, ასე მგონია, ჩემი პოეტური სულის შემზარავი კივილი მთელ სამყაროს მოედება. ამ მძაფრმა ტკივილიანმა განწყობამ განაპირობა დამეწერა შემდეგი სონეტები:

I

დადგება ჟამი ატომური მკაცრი დუელის,
გამარჯვებული აქ არავინ იქნება მაშინ!
ამ ულმობელ დროს გადარჩენას ნურავინ ელის,
გადაუვლიან დემონები პლანეტას მარშით!..

შმაგი ნაბიჯით ყველაფერი იქითკენ მიდის,
რომ არსებული იქცეს მხოლოდ ნანგრევთა გროვად!..
ამაზე ამბობს უთვალავი ეს რაკეტმზიდი,
დაფარავს სივრცეს წამებულთა კვნესა და გლოვა!..

საშინელ ნგრევას ვერ უშველის ლოცვა–ვედრება,
ვერ აიცილებს დედამიწა ვამპირთა სისინს!
ყოფნა–არყოფნის შიში მიწას უკვე ედება,
ღმერთის თვალებში ირეკლება ჩვენდამი ზიზღი!..

არც ზღვა დარჩება, არც ეს მთა და არც ეს ზეგანი
და გავიბნევით სივრცეებში უკიდეგანოდ!...

* * *

II

ო, დედამიწის დაღუპვის წინ, ჩემი აჩრდილი,
ნანგრევის ლოდზე ჩამოჯდება სევდანასვამი!..
დარჩება გზები გადახანძრულ–გადაჩრდილული,
დაფარავს ზეცას ყორნის ფრთები მრუმე სავსავით...

გაბზარავს კოსმოსს ხმა ზარების უკიდეგანოდ,
მზე ძოწისფერი კვლავ აიკლებს სივრცეს ბღავილით!..
შორს, ჩამიქრება მოქათქათე მთვარის ზეგანი
და ატირდება ჩემი სატრფო – მინდვრის ყვავილი!..

ცის უფსკრულებში შთაინთქმება ხმები დიადი,
დაიწეწება ჩემი სულის რბილი ქსოვილი!..
ჩვენს ნაკვალევზე რა დარჩება? – მხოლოდ წყვდიადი,
ჩაქრება სივრცე მზის ჩანჩქერით მოოქროვილი!..

შენ მზის სისტემის სათაყვანო იყავ ასული,
ცის სიღრმეებში ჩაიშლები მზეგადასული!..

* * *

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ორივე სონეტის თითოეულ სტრიქონში ჩაქსოვილია დრამატული სულის განგაში, მე მჯერა კაცობრიობის მომავლის, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების და მასში პოეზიას თავისი როლი აქვს. ამაში ბრძენი ილიას უკვდავი სიტყვები კიდევ უფრო გვარწმუნებს: „ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“.

„პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ – ბრძანა დიდმა გალაკტიონმა, და ამით ყველაფერია ნათქვამი.

გაფრინდნენ ბავშვობის დღეები

ალვები მდუმარედ დგანან, ჩიტებიც დაღლილან ფრენით,
წავიდა ლამაზი ხანა, გაფრინდნენ
ბავშვობის დღენი!..
ჩემს ფიქრებს შორს მიაქანებს დაისის ფერმკრთალი სხივი,
მზე ჩადის... ამოდის მთვარე...
და ხეზე ჩიტუნა წივის!..
მეფერა, ვერ შემიმშრალა ნიავმა თვალები სველი
და სოფლის სევდიან შარას
მივყვები ჯალისკენ სტვენით!..

14.09.66
ბანძა

ვის უგალობდა?!

საღამოს ცაზე ორი ლურჯი ვარსკვლავი კრთოდა,
გალობდა ჩიტი, სადღაც
ალვის ხეების იქით...
უსმენდა სივრცე და მინდორზე სიოც არ ქროდა,
ვის უგალობდა გატაცებით
ნეტავი იგი?
ეფინა მდელოს მეწამული ხავერდი მთვარის
და ფოთლების ჩრდილს ირეკლავდა
კედელი სახლის...
და წყაროც თითქოს გრძნეულივით ახელდა თვალებს,
უსმენდა სიმებს გატრუნული
ეზო და ბაღი...
მღეროდა იგი, თრთოდა სივრცე სიმების ხმაზე
და მთვარის ჩრდილის აბრეშუმი
ღელავდა ირგვლივ...
მღეროდა ჩიტი, კრთოდა ორი ვარსკვლავი ცაზე,
მღეროდა ჩიტი, სადღაც
ალვის ხეების იქით!..

22.04.59
ბანძა

იმღერე, პატარა ცირა!

იჩქარე ნიავო დილის, ჩამოდი მთებიდან თრთოლვით,
ირხევა ნისლივით ცირა,
იღვრება ხავერდი თოვლის!..

შეისხი მსუბუქი ფრთები, იფრინე სიმღერით მაღლა,
ყვავილი მზის სხივით თვრება
და მზეზე შრიალებს ტალღა...

აკრიფე ზურმუხტი ცისკრის და ყელზე შეიბი მძივად,
დაფრინავს პეპელა მთვრალი
და აფრქვევს ლაჟვარდი ღიმილს!..

ცა გათოვს ზამბახებს მშვიდად, გიხმობენ, – შენ
ალარ ჩქარობ!

იმღერე, პატარა ცირა,
იმღერე პატარა ქალო!

25.04.59
სოხუმი

მოგვაყივლა ცისკარმა!

მზე მწვერვალზე ავიდა და ძირს იწყებს დაშვებას
და ზაფხულის ნიავი
რტოებს ეთამაშება...
გაზაფხული გაფრინდა და ზაფხულიც მიიწევს,
ჩემი სოფლის შუკებო,
ნულარ გადამივიწყებთ...
დიდხანს ვემახსოვრები ჩემს მეზობელ ძმაბიჭებს,
აქ ვიწყებდით სიარულს და
ვაწყობდით ნაბიჯებს.
დრო მიდის თუ მიფრინავს, სულს სევდას არ ვაკარებ,
აქ მოვისხით მუხლები
ჭაბუკებმა საქარე!
ერთურთს ვეჯიბრებოდით მშვილდ-ისრების სროლაში,
ჟამმა ბევრჯერ გვატკინა მძლავრი
ფრთები მოლაშქრის!
უკვე სხვა დრო მოვიდა და თან ფერი გვიცვალა
და ჭაღარით მოსილებს
მოგვაყივლა ცისკარმა!..

28.06.2009
ბანძა

* * *

მოშრიალდი, გაზაფხულის წვიმავ,
        დამისველე მოსასხამი თეთრი!
განთიადზე მზე შეარხევს სიმებს,
მე რა მინდა
ქვეყანაზე მეტი?
ოღონდ ვიგრძნო ფერიების მოსვლა
        და ფოთლები, აჩურჩულდეს დილით...
ჩემი მხარე შუქით შემიმოსე
და ყვავილთა
მოღაღანე ჩრდილით...
აცურდება ცისარტყელას ტოტი
        ლაჟვარდებში, მწვერვალების ზემოთ,
მიხარია, გაზაფხული მოდის,
ამოენთე, ამოენთე, მზეო!..

ჩემი ვერხვი

ის ზამთრის სიურჩემ დალეწა, შეწყვიტა – შრიალი, ფეთქვა!
გრიგალს ვერ გაუძლო გარეწარს,
რომელიც უტევდა მედგრად!..
რამდენი ბექთარი გაცვითა, ვერ შესძლო ატანა მეტის!
ო, სისხლი ბებერი გაცივდა
შეტევით ყინვის და სეტყვის!..
უყვარდა თამაში ნიავთან, მოაწვა ბინდები ზანტი...
ვერ იქნა ვერ გადაიავდრა,
დალეწა ქარბუქმა ზამთრის!..
და ხსოვნას შემორჩა მითივით, ბექობზე ამაყად მდგარი!
მოვიდა ნიავი ქვითინით,
ატირდა სხივები მთვარის!

14.05.90
ბანძა

ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲐ

აქ სიჩუმეა დიდი და მე ძველ ნაშთებს ვხედავ,
ო, როგორ დაუნგრევია
იგი დრო–ჟამის მხედარს!..
აქ სიჩუმეა დიდი და ნანგრევები ძველი,
აქ სიჩუმეა დიდი, როგორც
წარსულის ძღვენი!..
აქ სიჩუმეა, ტოტზე მხოლოდ ჩიტუნა წივის,
აქ სიჩუმეა დიდი და
ფრაგმენტები ცივი!..
აქ სიჩუმეა დიდი და ზღვა ქანაობს მლაშე,
აქ სიჩუმეა, ნაპირთან
ზღვა ტალღებს ათამაშებს!..

17.08.91.
სოხუმი

სულის იალქნები

რატომ მოგაწვა ცრემლი თვალებზე,
რამ შეგიშფოთა სულის სიმები?
რად იხედები ხშირად მთვარისკენ,
ცა, როცა შუქით
მოისირმება?
რად ეფინება ბილიკებს ბინდი,
რატომ გაშფოთებს სევდა ზარების?
საწუთრო ვიცით, რომ ერთმხრივ მიდის
და ზმანებები
სცვლიან ზმანებებს!..
სული იალქნებს ო, როცა გაშლის,
არავინ უწყის, თუ საით მიქრის,
ვისთან ჰპოულობს უხილავ კავშირს?
ვერაფერს ვამბობ,
დაღლილი ფიქრით!

17.08.81
სოხუმი

მას ყველაფერი ახსოვს

მეწვევა შენი ლანდი, ხშირად, შუაღამის მერე
და ცხრას აანთებს სანთელს, ცხრა
ანგელოზი მღერის!..
სულს ამ სანთლებში აქსოვს, უცქერს მშობლიურ
მხარეს...

მას ყველაფერი ახსოვს –
ის მზე, ის ქარი, მთვარე...
დასცქერს მდინარეს ქალი ამორძალივით მშვიდი,
დაჭიმულია მშვილდი, –
ცხრა ანგელოზი გალობს!..

23.08.58
ბანძა

ქარმა გაძარცვა

მე იმ ჩინართან მოველ, სადაც პირველად შეგხვდი,
ის წყარო ისევ მოირწევა
ჩქერებით ვერცხლის...
ვერავინ მშველის ცხოვრებასთან უზომოდ შეხლილს
და ჩემი სული კვლავ შორეულ
ლაჟვარდებს ერწყმის...
ქარმა გაძარცვა ვარდფურცლობის გზები ფერადი
და სოფლის მგზავრი არ
დამინდო უამინდობამ!
ო, ჩემში შენი სილამაზე დიდხანს ელავდა
და მერე, სადღაც
სამუდამოდ დამეშვიდობა!..

12.06.79
ბანძა

მდინარის პირას

მდინარის პირას კიპარისთა ჩრდილები კრთიან,
მდინარის ფსკერზე ირწევიან
მწვანე რტოები...
მდინარის პირას სავსე მთვარე ამოდის გვიან
მუქი ტყეებით და
მდუმარე სამრეკლოებით!..
მთვარის ჩრდილები ჩემს გარშემო როკავენ წყებად
და თეთრი ფრთებით ეხებიან
იდუმალ სიმებს!..
მდინარის პირას საოცარი სინაზე წვება
და სული ჩემი უერთდება
ვარსკვლავთა ღიმილს!..

16.06.66
სოხუმი

ისევ მოდის!..

ისევ მოდის ტირიფებთან შენი თეთრი ლანდი
და მდინარე იხსნის მშვიდად ნისლის
ფერმკრთალ მანდილს!
მოდიხარ და წყლის სარკეში იმზირები ჩუმად,
ვარსკვლავები ჯერ არ ჩანან
და მინდვრები დუმან...
მზე ტკივილით იდუმალით ეთხოვება მხარეს,
ჰა, საცაა, ლურჯი ქნარით
გამოჩნდება მთვარე...
ის გადმოჭრის ბილიკს ნაცნობს, სული იგრძნობს შვებას,
იწყებს ცაზე საგალობელს
ვარსკვლავების წყება!..

17.06.71
სოხუმი

რუსული ჩანგი

კრემლის თავზე არწივი ზის აბრიალებს თვალებს,
კრემლის თავზე არწივი ზის და
მსხვერპლს უთვალთვალებს...
კრემლის თავზე არწივი ზის და ფრთებს არხევს მძიმედ,
კრემლის თავზე არწივი ზის, –
დამენანა ძლიერ!
კრემლის თავზე არწივი ზის, აქვს ბებერი ჭანგი,
და უგალობს აღტაცებით
მას რუსული ჩანგი!...

20.11.97
მოსკოვი

მარის

ცოცხალთა შორის, რომ არა ხარ გავიგე შარშან
და მე მომიცვა მძიმე
სევდამ დაუსაბამომ!..
ნუთუ, შენც ვეღარ გაექეცი რღვევას და დაშლას
და მომაგონდა საოცარი
მე ის საღამო!..
ბაგეთა თრთოლვას ნუთუ მიწა დაეპატრონა
და შენი რხევა გაიტაცა
სიცოცხლის იქით!..
სიკვდილი, ეს ვინ გაგიხადა უკვე ბატონად
მე დავიღალე საწუთროზე
ამაო ფიქრით!
მოვდივარ თბილისს, მაგრამ არ მსურს საფლავის ნახვა,
ვინ მოთვლის, ქვეყნად სატკივარი
რამდენი დამაქვს!
და ჩემი რწმენის უკვე ჩაქრა ბოლო ნათურა,
ეს არის ჩემი ტრაგედია
და არა დრამა!

12.08.12
მოსკოვი

ნუთუ, გაფრენა არ შეგიძლია?!

ცის სიღრმეებში მფრინავ ქალიშვილს,
        სიკვდილმა ასე რარიგად გძლია?!
რა ულმობელი დაეშვა ფარდა,
ნუთუ, გაფრენა
არ შეგიძლია?!
დუმს ყვავილების ბორცვი მაღალი,
        ცა აყურადებს ფოთლების შრიალს...
წევხარ მრისხანე ომში დაღლილი,
ნუთუ, გაფრენა
არ შეგიძლია?!
ცრემლები სწყდება ცის ლურჯ წამწამებს,
        მიაქვს ფერმკრთალი ფოთლები ნიავს...
ირხევა ცაზე ელვის ბაწარი,
რომელსაც უკვე
შენი გზა ჰქვია...
ჩიტი უგალობს ბაღებს სამოთხის,
        მზე ეფერება ჭრილობას ღიას!...
ვარდი საფლავზე ბევრჯერ ჩამოთოვს,
ო, ის სიმღერაც
გაჰყვება ნიავს...
მოჩანს აპრილის ზეცის ღაწვები,
        და ზღვის კალთაზე შრიალებს ქვიშა...
მოდის თაობა ზღვა აღტაცებით
და თავს გიხრიან
მადლობის ნიშნად!..

04.04.88
სოხუმი

ჩემი გზა

ვის უნდა დავუმეგობრდე, როცა არავინ მეგულვის?
შორს დარჩა შენი ხატება და
ო, ის „ნანა“ მეგრული!..
ვის უნდა დავუმეგობრდე, გაქრა იმ დღეთა ზმანება!..
ვის უნდა დავუმეგობრდე,
როცა ჩამოჰკრეს ზარებმა!..
გაუდაბურდა ჩემი გზა, მივათრევ დარდებს რამხელას,
დავდივარ, დავხეტიალობ,
მენუგეშება ნაღველა!..
ვის უნდა დავუმეგობრდე, არ მსურს ყველაფრის გამხელა,
ამ ტანჯვას უკიდეგანოს,
რა უნდა ერქვას სახელად?!

08.04.95
თბილისი

დავდივარ სულით ობოლი

მზემ შუქი უხვად მათოვა, ნიავიც ბევრი მეფერა
და მინდორ-მინდორ დავსდევდი სიყვარულს,
                  როგორც პეპელას!..
ვერ დავიჭირე გამექცა, გულზე ისარიც მახალა,
გავცქერი სივრცეს ნამერცხალს
და ხეივნების ჭაღარას...
დრომ, სულაც აღარ დამინდო, ის გაზაფხულიც წავიდა
და მეგობრების გარეშე, – მე ერთი
                  დავრჩი სამიდან!..
ცხოვრება მექცა იავარ, ყოფნის სიმშვიდე დამერღვა,
დავდივარ სულით ობოლი
და ვგავარ ჟამით ნამეხარს!..

17.10.97
თბილისი

ვაზის ცრემლები

მზემ გაუმართა ნადიმი: მინდორს, მთასა და ჭალას,
ნიმფებს გზა მოახატვინა,
ზამთრის წყლულები შალა!
და მოაზღვავა ფერები ცისარტყელების რხევით
კივის ზვავების სამეფო,
მძიმედ გუგუნებს ხევი!
ცა მიწას დაუმეგობრა, ისმის გალობა წვიმის...
მზის ჩანჩქერები ირხევა,
უკრავს ათასი სიმი!..
და ფრთოსნის ხმაზე ჟღურტულებს ცა აღტაცებით სავსე,
ვაზს სიყვარულის ცრემლები
მოადგა ცისფერ თვალზე!..

30.03.62
ბანძა

გამოჩნდა ისევ

შემოდის ბინდი სილრმეში ბაღის,
უკანასკნელი ფეხის ხმა მიწყდა!
როგორც ნაძვის ხე საახალწლო, აინთო თაღი
და მღვრიე შუქით
განათდა მიწა!..
ღამურებივით ხეტიალი იწყეს ლანდებმა,
მდინარის ფსკერი ივსება სანთლით...
და მოყვითალო ბალახებში გამოჩნდა ისევ –
შენი მაღალი,
ფერმკრთალი ლანდი!..

14.09.58
ბანძა

***

ერთი ვარსკვლავი მიცქერს შორიდან,
მოცქრიალე და ღაწვებმწყაზარი!
მდინარის პირას გალობს ორი და
და ცა ელვარებს
უზარმაზარი...
ნახე, აპრილი ისევ მოვიდა,
ხარობს მინდორი ფერთა-სურვილით!
თქვენთან შეხვედრა ისევ მომინდა
და ის დღეები
ოქროცურვილი!

12.04.52
ბანძა

მე მიყვარს ღამე

აქ ზეცას მხრებით შესდგომია მდუმარე მთები,
მაღალ ბილიკებს იისფერი,
ანათებს მთვარე,
მე მიყვარს ღამე იდუმალი, მომწვანო ღამე,
ცაზე ვარსკვლავთა შორეული,
ღიმილი მკრთალი...
და მთვარის შუქზე გარინდული ალვის ხეების
ლეგა ჩრდილებით დასერილი
მდინარის ტანი!

16.05.58
სოხუმი

თამაშობს ჩრდილი

მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი,
თამაშობს ჩრდილი... მაისის თვეა!
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი და
მე შენს ღიმილს
დავეძებ, თეა!
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი
და სიცრცეს გასცქერს სარკმელი ღია...
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი
და ვსვამ თვალებით
ფერების შრიალს!..
და ვეწაფები უსაზღვროებას,
თუ შენი ლურჯი თვალების სითბოს,
მე ვეწაფები უსაზღვროებას,
რომელიც მარად –
მეძახის, მიხმობს...
მწვანე მინდორზე თამაშობს ჩრდილი,
თამაშობს ჩრდილი... მაისის თვეა!
მწვანე მიდორზე თამაშობს ჩრდილი
და მე შენს ღიმილს
დავეძებ, თეა!..

22.05, 58
სოხუმი

ფოთოლცვენის ლანდები

მზეს შეხედე, ყორანი რომ უყეფს,
ცას შეხედე, შეაძრწუნებს მნახველს!..
მე მივათრევ წუთისოფლის უღელს
და ცხოვრება
მიტყლაშუნებს სახრეს!..
სად მიღელავს ეს მდინარე თავქვე,
ხევხუვებში ხეტიალი უჯობს?
მზე ვერ არღვევს ამ ნისლების ნამქერს
და ამაოდ
ეცვითება ფუნჯი!..
ხედავ, სუნთქვა ბალახებსაც უჭირთ,
სიბერე რომ შეჰპარვიათ ადრე!..
მზეს ამაოდ ეცვითება ფუნჯი,
ქარი არხევს
ფოთოლცვენის ლანდებს...

21.08.76
ბანძა

ქართული ენა

საუკუნეთა სიღრმიდან მოღელავ, მოედინები,
ტანს მზისხავერდი გიფარავს
და სილაჟვარდე იების!..
რამდენი ენა მოისრა და ჩაიშლამა სიბერით,
შენ კი საოცრად ელვარებ, –
ენავ რუსთველის, იბერის!
იქნებ ცით გადმოიღვარე და მზის ფესვები გაიდგი,
ხან ქალწულივით ნაზი ხარ,
ხან სიმედგრე გაქვს რაინდის!
ხან „ნანად“ მოედინები... ცაში ვარსკვლავებს ეწვევი,
ხან ვეფხვის ტყავი გაცვია
და ჩანჩქერების მეწყერი!..
საუკუნეთა სიღრმიდან მოარღვევ სივრცეს მხარულით,
ხან „განთიადის“ თრთოლვა ხარ,
ხან ტატოს „მერნის“ თქარუნი !..
ხან ფრანგულივით მჭრელი ხარ, ქარქაშში ვეღარ ეტევი,
ხან კი აკაკის ჩანგი ხარ
მარადის გაუცვეთელი!..
იქნებ ზღვით ამოიზიდე და იალქნები გაშალე
და დრო და სივრცე მილეწე
შენი სიტყვების ლაშქარით!..
მოღელავ, მოედინები გამორჩეული ღირსებით.
ჯაჭვის პერანგი გაცვია
გაუცვეთელი ისრებით!..
ენა ხარ დიდი დავითის, თამარის საგალობელი!

უმღერ სიცოცხლეს, სიყვარულს
ლაჟვარდებიდან მობერილს!..
უდაბურ გზებით მოქრიხარ... ლურჯა ხარ ფაფარაშლილი,
ილიას სულის მეკვლე ხარ,
და ლოცვა ბარათაშვილის!..
მოარღვევ დროთა სამანებს... გამოაღწიე მითოსებს!..
შენ ავთანდილის ჰიმნი ხარ,
მულღანზანზარის მინდორზე!..
შენი ხმით მოახავერდე ნიკორწმინდა და სიონი,
შენ ვაჟას სულის ბორგვა ხარ
და ქროლვა გალაკტიონის!..
საუკუნეთა სიღრმიდან მოღელავ, მოედინები,
ტანს მზის ხავერდი გიფარავს
და სილაჟვარდე იების!..

07.05.94
ბათუმი

მთაწმინდა

„გულდახურულთა მეგობარო,
მთავ ღრუბლიანო!“
ნ. ბარათაშვილი

ისევ რეკავენ მთაწმინდაზე ზარები მწუხრის!..
მთიდან ეშვება გაზაფხულის
ლურჯი ნიავი...
გული ვერ უძლებს მოზღვავებულ ღელვას და წუხილს,
ქვეყნად მნახველი ბევრი შფოთვის
ბევრი სიავის!..
ღამეულ ცაზე არხევს სივრცე მთვარის ოლარებს
და ბილიკებზე ახლა უკვე,
არვის მოველი!
რამდენი რამ მაქვს ქვეყანაზე მოსაგონარი,
მივდივარ მარტო და სულს მიმღვრევს
სევდის მორევი!..
შემოვდექ სერზე ბინდის რხევით გარემოცული,
ეს ვინ აღმანთო უჩვეულო
ხილვის უნარით?
ირწევა შუქი იდუმალი – ცითგადმოსული
და მესმის ხმები
იადონთა გაუხუნარი!..
საფლავებს შორის მიმოდიან ლანდები ჩუმად,
გულს მრავატანჯულს ო, რამდენი
ზვირთი მოება!..
და ჩემს გარშემო სანახები საოცრად დუმან,

მაშინებს, რომ არ დავარღვიო
ეს მყუდროება!..
ივსება შუქის ჩანჩქერებით ცა უსამანო,
მთა დგას ამაყად, დაუღლელი
დროის შეტევით!..
ო, რამდენ რამეს მეუბნება მე ეს საღამო
და საფლავები მთვარის
ლურჯი ორნამენტებით!..
იღვრება მთავრე მთაწმინდაზე ცისფერ ნოტებად
და ირხევიან ვარსკვლავების
ლურჯი სიზმრები...
სული ტკივილით უცნაურად დაიტოტება,
დავდივარ უხმოდ და ტვირთს
ჟამის მივეზიდები!..
აქ საუფლოა მხოლოდ მუზის გოლიათების,
ცა მოჩანს ღამის ფიროსმანის
ფუნჯით ნახატი!..
მე არ მშორდება იდუმალი შენი ხატება,
რომელსაც ფარდა ვერ იქნა და
ვეღარ ავხადე!
მოჩანს პირქუში ნაპრალები ფაფარაშლილი,
შორს, მთვარიანში თეთრი გედი –
ფეთქავს სიონი!..
რამსიშორიდან მესმის ოხვრა ბარათაშვილის,
რამსიმაღლიდან მოქრის
სული გალაკტიონის!..
მივაყურადებ სივრცის დუმილს მრავალსახოვანს

და საიდუმლო ჩემი ქნარის
მიაქვს ნიავქარს...
ჩემი ტკივილით აჩრდილებო, თქვენთან ახლოს ვარ
და მთა დიადი თავზე იდგამს
მთვარის იალქანს!..
მიცურავს ღამე უცნაური ფერიცვალებით,
საუკუნეებს თქვენ გაჰყვებით
ქნარით ეოლეს...
და ვარსკვლავების ცვარით მუდამ დაიცვარება
თქვენი პარნასი – მარად წმინდა
ეს პანთეონი!
ისევ რეკავენ მთაწმინდაზე მწუხრის ზარები
და მე ვაწყდები სივრცის ჯებირს
ფიქრის ზღვაურით!..
ფეთქავს მეტეხი მთვარის შუქზე, როგორც ზმანება
და ისევ მიდის სიშორეში
მტკვარი ხმაურით!..

29.04.05
თბილისი

გემშვიდობები მეოცევ!..

გემშვიდობები მეოცევ, ფიქრით, გრძნობების სიმწვავით!
გემშვიდობები მეოცევ,
მარადის დაუვიწყარო!..
გემშვიდობები მეოცევ, ღელვით, წვითა და ოცნებით,
ათასი ღია ჭრილობით, –
არცერთით შენახორცებით!..
გემშვიდობები მეოცევ და სათქმელს ვეღარ გიმალავ,
გემშვიდობები უბრალოდ,
შორეულ გზაზე მიმავალს!..
გემშვიდობები მეოცევ, ბავშვობის წლების ზღაპარით!..
მძაფრი ტკივილით, წამებით
და სულით მოუსაფარი!..
გემშვიდობები მეოცევ, ო, გზებით სისხლით ნაპოხით!..
და ჩემი ქვეყნის სატკივრით
ნულარ დამძრახავ დაბოღმილს!..
გემშვიდობები მეოცევ, იქნებ ვერ ვამბობ საკადრისს,
შენ მამამთავარს ომების,
ნგრევის და სისხლის ნაკადის!..
გემშვიდობები მეოცევ, კივილით სივრცეს ვედები!..
ბუხენვალდის და დახაუს
და ოსვენციმის კედლებით!..
გემშვიდობები მეოცევ, და სულში ტირის შროშანი,
ო, ნაგასაკის ნანგრევით
და ხიროსიმას კოშმარით!!!
გემშვიდობები მეოცევ, მაგ დიდი აღმოჩენებით,

შენ სწორუპოვარს ოცნებით,
წამებით, რღვევით შენებით!..
გემშვიდობები მეოცევ, მაგ ვეებერთელა ნახტომით,
გემშვიდობები უბრალოდ
შენ მშობელ დედას ატომის!
გემშვიდობები მეოცევ, ო, მაინც რწმენით მომავლის,
ხომალდით ზღვაზე მცურავით,
ქარში ანძებით მტყდომარით!..
გემშვიდობები მეოცევ, გულისთქმას ვეღარ გიმალავ!
გემშვიდობები უბრალოდ,
შორეულ გზაზე მიმავალს!..

22.10.2000
მოსკოვი

მე და შენ

მე და შენ, ძვირფასო, სულ ერთად დავრბოდით ნაპირზე ზღვის,
მთვრალები ვარდების სურნელით და ეშხით
მაისის მზის!..
ვზომავდით ბავშვური თვალებით სილრმეს და სიგანეს ცის...
და მუდამ ერთურთით მთვრალები
მიწას ვერ ვამჩნევდით ძირს!..
ტალღები მოლურჯო ლივლივით, სინაზით გვივსებდნენ სულს,
ოცნებით ცას გადავივლიდით, ერთმანეთს
ვკოცნიდით სულ!..
გვხიბლავდა ცა იდუმალების, რომ შუქის გვაღვრიდა ბროლს,
და ზღვაზე სრიალით ნავები
გვეძახდნენ უსაზღვროდ შორს!..
წავიდა ის ჟამი გუგუნით და სული იალქნებს ხრის,
ტყიდან არ გვეძახის გუგული და ცვივა
ფოთოლი ხის!..
დავდივართ ჯოხების კაკუნით, დეკემბრის ქარები ქრის!..
გაფრინდა ის ჟამი ზღაპრული
და ვცოცხლობთ იმედით, – რის?!
რა ახლოს კივიან ზარები და ტოტზე ყორანი ზის,
მოვიდა დრო ფერიცვალების, ჰა, ბოლოც
გამოჩნდა გზის!..
და იქცა ყოველი წარსულად, ორთავეს ცრემლები გვდის!..
შეხედე, ჩვენი მზეც ჩასულა
და იქით გვეძახის ის!..

04.12.96
მოსკოვი

არ გაქვს უფლება!

გენერალ როდიონოვს

არ გაქვს უფლება, რომ გენერლად იწოდებოდე
ცისქვეშ დემონთა აღზევება,
როცა გახარებს!..
თავისუფლების მზე, როდესაც ფეხზე დგებოდა,
შენ ჩემი ქვეყნის ანგელოზთა
სისხლი დაღვარე.
არ გაქვს უფლება შემართული იდგე საჭესთან,
შენი სახელი ტყუპისცალი
გახდა ვამპირის...
ო, გწყევლის ჩემი საქართველო მძიმედ დაჭრილი
და ცა მშვიდობის მოყვარული
და უნაპირო...
არ გაქვს უფლება მზეს უცქერდე, – სიცოცხლის დედას,
გადაუარე ჩემს სალოცავს
მღვრიე სამუმით!..
მაგ შენს მუნდირზე ო, სისხლშემხმარ ნაკვალევს ვხედავ
და გიცქერს ზიზღით ყველა თვალი
ჩემი მამულის!..
არ გაქვს უფლება, გენერალო, აქეთ მოხედვის,
თავისუფლება, როცა ლეწე
ხიშტით, ბარებით!..
მიკვირს ძალიან კვლავ საჭესთან, როგორ მოხვედი,
მთელი მსოფლიო, როცა გიცნობს,
როგორც ბარაბას?!

არ გაქვს უფლება, რომ გენერლად იწოდებოდე,
ცის ქვეშ დემონთა აღზევება,
                    როცა გახარებს!..
თავისუფლების მზე, როდესაც ფეხზე დგებოდა,
შენ ჩემი ქვეყნის ანგელოზთა
სისხლი დაღვარე!..

14.09.97
მოსკოვი

რატომ ხარ, ასე ვერაგი?!

სიტყვამ კაცურმა ვერ გაჭრა, ვერც თხოვნამ და ვერც მუდარამ,
გარს შემორტყმიხარ, რუსეთო,
ჩემს მამულს, როგორც მგუდავი!..
ვერ გადაყლაპე და ახლა სისხლისგან გინდა დაცალო,
ნუთუ ვამპირად იქეცი,
ბებერო დედინაცვალო?!
როგორც იყავი მანამდე, დარჩი ისეთი ვერაგი!
შენ კაენი ხარ, გაცვია
სისხლით დასვრილი პერანგი!..
ჩემს ქვეყანაზე ოცნებობ, როდესაც შენსას ვერ უვლი,
რატომ ხარ გაუმაძღარი,
რატომ ხარ ასე ველური?!
ჩემს სამაჩაბლოს, აფხაზეთს გინდა რომ დაეპატრონო?!
შენი ადგილი ჰააგის
საპყრობილეა, ბატონო!..

30.04.03
მოსკოვი

ოლეანდრებთან

ოლეანდრებთან იმ საღამოს ო, როგორ ვთრთოდით,
გადავცქერროდით სიყვარულით ზღვის
სივრცეს გაშლილს...
და ჩვენ გვხიბლავდა უჩვეულოდ, ზვირთების შფოთი
და ვირხეოდით ფანტელების
ქათქათა ზღვაში!...
ო, რა ხავერდი გაგვიშალა ფეხქვეშ ბუნებამ,
და ჩვენს სიხარულს, მეგობარო,
არ ჰქონდა ზღვარი!..
მე ის საღამო, თითქოს, ახლაც მესაუბრება,
ვუახლოვდები, როცა ფინიშს
გრძნეული მგზავრი...
და ანთებულნი აღტაცებით ვწვდებოდით ფრთებით
ცის საიდუმლოს, მოგონება
ო, როგორ მიჭირს!
და ენთო თეთრად თოვლის ქურქში სოხუმის მთები,
ჩვენ დავდიოდით, როგორც თოვლის
გოგო და ბიჭი!
და ჩვენ დაჭრილებს, უჩვეულოდ, ამურის ისრით,
თანაგვიგრძნობდა: ზღვა, ნაპირი,
ყოველი ბორცვი!..
და ირხეოდა თოვლი, როგორც ქათქათა ნისლი
და ჩვენ იარას ვიშუშებდით,
ძვირფასო, კოცნით!..

17.08.09
მოსკოვი

მოიწევს ღამე

მე გაზაფხულის გავსცილდი მინდვრებს,
აბაშის პირის ატეხილ ჭალას...
თუმც, ხსოვნა ისევ ულმობლად მიტევს
და უჩვეულო
ტკივილით მსჭვალავს!..
დღემ გაიხადა ცისფერი კაბა,
მზე ძველებურად სულაც არ ღუის.
მე გაზაფხულის ვიხსენებ ზღაპარს
და ათასობით
სტვენს მოლაღური!..

11.09.75
ბანძა

ვეფხვია

ისევ შრიალებს ალვების რიგი
            და სივრცეს ტოტებს ახლის!..
ო, დარდს ულმობელს გადაჰყვა იგი,
უჭირისუფლო სახლის!..
მას შემოდგომის ნისლი ეხვია,
            უჩნდა უპენი ღიად...
ჭიშკართან უხმოდ იწვა ვეფხვია
და ბეწვს უხრიდა ნიავს...
მას ყეფით ყველა დაუსკდა ძარღვი,
            და ბოლოს ბორცვზე მიწვა,
და სიმამაცე ერთგული ძაღლის,
სოფლის თქმულებად იქცა!..

15.08.74
ბანძა

ტყეს

მიყვარდა შენი საოცარი შრიალი ლურჯი,
მაისის თვეში ფრინველების
გალობით საესე...
ჭექა-ქუხილით ბევრჯერ ზეცა დაგემსხვრა თავზე.
ბევრჯერ მოვარდა შენს სივრცეში
ქარები ურჩი!..
ჟამთან ჭიდილში გაგიხუნდა ხასხასა ფარჩა,
როგორ მიყვარდა შენი ტანი
მთვარით ნაფერი...
ო, ჩემში მხოლოდ მოგონება, – სხვა რაღა დარჩა,
და შენს სივრცეში
ხეტიალი, სხვა არაფერი!..

17.05.81
ბანძა

შემორჩა ხსოვნას!

ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი იქცა მრისხანე წლებად,
გამოიარე ორივე, მამავ,
შენ ნაბიჯებით მკაცრით!..
გაჰყვა სიშორეს დაუბრუნებლად, ო, იმ დღეების წყება,
ხოლო სიკვდილის დაუნდობლობა
დამთავრდა მხოლოდ მარცხით!
ხსოვნას შემორჩა ის სისასტიკე, ველური ხოცვა-ჟლეტით,
შენ ყოველივეს მტკიცედ, ამაყად, მწარე
ტკივილით შეხვდი!
არამზადებმა სიცოცხლეს ყველგან რჯული უგინეს დედის,
შენ კი იდექი, როგორც მამაცი
და შემართებით მხედრის!

19.08.2013
თბილისი

დგება საღამო მშვიდი

ნელა ილევა დღე და მზე ჰორიზონტზე წვება,
მივალ, მივდივარ, გული
            რამდენ რამეზე მწყდება?!
დგება საღამო მშვიდი, მზე უშფოთველად ჩადის
და ეფინება სივრცეს
შენი დაღლილი ლანდი

04.10.56.
სოხუმი

ფერიცვალების სევდა

ფერიცვალების სევდის ფასი შენ ერთმა იცი,
შემოდგომაზე მოაზღვავებ
ფერების მეწყერს...
მაგ სილამაზეს უჩვეულოს ღმერთი ჰყავს შემწედ
და ვეფერები შენი სივრცის
სევდიან ციმციმს...
მე განშორება შენთან, ტყეო, ორ, როგორ მიმძიმს,
შენს სიახლოვეს მე ყოველთვის
ვპოულობ შვებას!
ფერიცვალების სევდის ფასი შენ ერთმა იცი
და გაზაფხულის სიმღერასაც
მოისხამ ფრთებად!..

19.10.83
ბანძა

ჩემი წყარო

ო, რა უეცრად დაშრა ჩემი პატარა წყარო,
როცა მის ზემოთ ლურჯი ჩრდილი
მოშალეს ხეთა,
შორს კი სატანა ხარხარებდა რა უმოწყალოდ,
იცრემლებოდა გულსაკლავად
ადგილის დედა!..
ტყის სანაპირო უშენობით გახდა ღარიბი,
ო, მზე ივლისის დაგაცხრა და გაგანიავა!
ჟამი მაცდური იმზირება ახლა ირიბად
და იქცა შენი კალაპოტი
მიწის იარად!..

12.07.91
ბანძა

მაინც იდინებს დუნაი!

სხეული გადაგიტყავეს! რა დარჩა? – მიწა შიშველი!..
ყოველ წამს რაკეტს გირტყამენ!..
ყოველ წუთს ბომბებს გიშენენ!..
რა უნდათ ო, ამ გარეწრებს, რომ შერჩათ ნგრევის უნარი!
თუნდ, ყველა ხიდი დალეწონ,
მაინც იდინებს დუნაი!..

02.04.99
მოსკოვი

თამარ მეფეს

იყავ შუქურა გონიერთა, და უგუნურთა
რისხვა და მტერი
უნაპირო, დაუნდობელი!
შენ სიყვარულით გული მუდამ მიგქონდა გულთან
და შენი სიბრძნით ამაყობდა
ერი მშობელი!..
ბოროტს ქვეყნიდან განაგდებდი და კეთილს ხმობდი,
თესდი სიკეთეს, დედოფალო,
ზეცით მობერილს!..
და შენი ბრძნული სიდიადით დრო ამაყობდა,
იყავ სიმაღლე საუკუნის
მიუწვდომელი!

08.12.12
თბილისი

დის საფლავთან

ეს მერამდენედ მოვედი შენთან,
        რომ გავარღვიო დუმილი მკაცრი!
ეს მერამდენედ მოვედი შენთან,
მაგრამ ჩემი ცდა
მთავრდება მარცხით!
ეს მერამდენედ მოვედი შენთან,
        ჩაგძახი, დუმილს ვერაფრით ვძლიე!
ეს მერამდენედ მოვედი შენთან
და გული, დაო,
მეტკინა ძლიერ!
ეს მერამდენედ მოვედი შენთან,
        თუმცა, სიკვდილთან ამაოდ ვდაობ!
ეს მერამდენედ მოვედი შენთან,
მაგრამ სრულიად
ამაოდ, დაო!

09.09.92
სოხუმი

მოჩანს ცისფერი კარავი

ისევ აყვავდა ღიღილო და სევდა რაღას მიქვია?
ისევ მამალმა იყივლა
                  და დღენი კვლავაც მიქრიან!..
ვხედავ იდუმალ მირაჟებს, ეს დღეც იქითკენ გაფრინდა,
ისევ ვკრთი მე შენს წინაშე
და სივრცე რატომ გაფითრდა?!
მოჩანს ცისფერი კარავი, აქვს საიდუმლო ეგების?
ეს ჩრდილი რატომ ქანაობს,
მზე საით მიერეკება?!

14.04.62
ბანძა

მივდივარ საით?!

ცხოვრების ღელვამ გამღუნა კაცი
        და ცდილობს მსხვერპლი გამხადოს შიშის!
ისევ ქარები ხმაურობს მკაცრი
და შემრჩა მხოლოდ
უდაბნო ქვიშის...
ეს ჩემი ქროლვა დამთავრდა მარცხით,
        მივდივარ საით, ვერაფერს ვარჩევ!
დრო თოთოლივით იმედებს მაცლის,
ამგვარ ბედისთვის
რა ვუთხრა გამჩენს?!

30.11.12
თბილისი

მიბრუნებს იმედს

ამ მეწამული ფოთლების ფონზე,
ისევ იდუმალ ტკივილებს ვენდე!..
ხეები ვეღარ მოსულან გონზე,
ო, იმ მრისხანე
ქარების შემდეგ!..
კვლავ შადრევნები ცეკვავენ ბროლის
და ჩემი სულის სინაზეს არხევს...
მე გავიარე საწუთრო ბრძოლით
და ჟამი ნისლებს
მოლურჯოს მახვევს...
შენი ხმის ექო მიბრუნებს იმედს,
დავდივარ ოხვრით, ძვირფასო ჩემო!
ცაზე ღრუბლები მიდიან მძიმედ,
და სული, ისევ
მიილტვის ზემოთ!..

26.11.12
თბილისი

სევდიანი მუსიკა

ცვივა ფოთლები ფერად-ფერადი
            და ის იქცევა სიკვდილის ლუკმად...
როცა ქარები დაუბერავენ,
რა სევდიანი
მუსიკა უკრავს!..
ჩემი წამება იწყება მაშინ,
როცა გაძარცულ ხეებს გავცქერი...
შორს, მიფრინავენ ფოთლები ქარში
და მიირხევა
მზე ალმაცერი...

24.11.12
თბილისი,
ვერის ბაღი

დედას

შენი მსუბუქი ფეხის ხმა მიწყდა,
        როგორც ბალახში ფოთლების ცვენა
და ჩემი სველი ფანჯრების იქით,
ის შეერია
ღამეულ ლანდებს...
ის შეერია ქათქათა ნისლებს,
        ლურჯ კლდეებზე რომ მიცურავს მაღლა,
დაიფშვნა ჩუმად თებერვლის თოვლი
და ნაფეხური
დატოვა თბილი!..
და თრთოლვა შენი მაღალი სულის,
        მე, რომ უსაზღვროდ მიყვარდა, დედა!
შორეულ ღრუბლებს მიჰყვება სადღაც
და დაბრუნდება? –
დიდი ხნის მერე, –
აირეკლება ლაჟვარდებს იქით,
        ჩამავალ მზეზე შეიცვლის ფერებს,
როგორც ფოთლების შრიალი ჩუმი,
ან როგორც თოვლის
ფიფქების ცვენა!..

09.05.62
ბანძა

ჩემი სიმღერა

მომასმენიე მეგობარო, ცისკრის გალობა,
ამავსე შენი იდუმალი
ცისფერი სხივით!..
ბედმა ო, ეს ცა ცოტა ხანი თუ მიწყალობა
და მოკამკამე ბანული ცივი!..
ჩემი სიმღერა, ვით მაისის დილა მზიანი,
გაცურავს სივრცეს
და შორეულ მერიდიანებს...

29.04.62
ბანძა

ო, ეს წელიც იწურება უკვე!

მე კალენდრის ბოლო ფურცლებს ვფურცლავ
და ეს წელი უკვე იწურება...
მთა და ბარი როგორ მომიხუცდა,
სად მზე იწვა,
იქ ნისლები წვება.
მზე ეშვება ჰორიზონტზე მძიმედ,
ტყემ ხალათი გადაიცვა ჭრელი...
სული მაინც აღარ კარგავს იმედს,
სხივებს პირი
დაუჩლუნგდა მჭრელი.
დრო მიდის თუ მიირხევა დუნედ
და ყვავილებს ცრემელბი სდის ცხარე!..
ჩემი ღელე, სადღაც მიდუდუნებს,
შემატოვა სევდიანი მხარე!..

17.11.12
ბანძა

სანამ უნდა ზიდო?!

შენი სული არ შორდება სოფელს,
        და, ის ზეცა გეძახის და გნატრობს!..
როცა ქარი მიწას ფოთლებს მოჰფენს,
მთვარიანში
ხეტიალობ მარტო...
აქ ადგილის დედა დადის ძაძით
        და ნისლები ეფინება მინდორს...
გაექეცი, ბიჭო, დროს და მანძილს, –
ეს ტკივილი
სანამ უნდა ზიდო?!
სული ისევ შემოქცევას ითხოვს,
        გისველდება გული ცრემლით ხშირით!..
ო, სად გაქრა ვარდობისთვის ხვითო
და ის სივრცე
ლურჯად გადაშლილი?!

27.09.72
ბანძა

წუთისოფელი

სოფელში დარჩა ორად ორი იმ ბიჭებიდან,
რომლებიც იყვნენ ჩემი დროის
სოფლის ბურჯები!
როცა ფიქრებით სიშორეში გადავიჭრები,
წამებას უკვე ვიცი,
ველარ გადავურჩები!
წარსული უკვე უჩვეულო ტკივილად მექცა,
ვერ ვუმკლავდები წუთისოფლის
ქარებს მობერილს!
სად გაქრა ნეტავ, ჯაბუკური მოვარდნა ცეცხლის,
დაყრუვდა ჩემთვის
სამუდამოდ წუთისოფელი!..

25.09.12
ბანძა

მე საუკუნეს გავძახი...

მე უშენოდ ვერსად ვივლი, მე უშენოდ ვერსად წავალ
შენთან ცხრა მთას გადავივლი, ცხრა მდინარეს და
ცხრა ტრამალს...
გაზაფხლის მზე გუგუნებს, ჩემი მთები დგანან მყარად,
მე გავძახი საუკუნეს, მზე აპრილის
მაწვდის ყალამს,
ალვის ხეებს ქარი არხევს, ეზო ტკივილს ვეღარ მალავს,
ხსოვნა ნაწნავს შემოძახვევს
ლექსის წერით დაუღალავს!..

26.03.12.
ბანძა

საით გაფრინდა?

ცისფერთვალება ასულო, რად მაგონდები ისევ,
მე შენით მხიბლავს წარსული და თან
ტკივილებს მისევს!..
საით წახვედი არ ვიცი, რომელ გზით გაიპარე,
ორივეს ღამე გვიყვარდა,
და გაზაფხულის მთვარე!..
ზღვის სანაპირო თუ გახსოვს და ის შეჭრილი ხიდი,
აღარ ვამჩნევდით გამვლელებს და ფრთებს
ოცნების ვშლიდით!..
ის ჟამი საით გაფრინდა ნათრობი მთვარის ხემით
და ღამის ლურჯი ნიავი
პალმებით მონარხევი!..

26.09.12.
თბილისი

სათოვლია

შენ ამოდიხარ რხევით, ციმციმით
            და შემოდგომის ცა გიყვარს მკრთალი,
არ გეშინია სეტყვის და წვიმის,
გართობს შრიალი
ფოთლებში ქარის...
არც თოვლის თეთრი ფიფქები გაკრთობს
            და იცვამ ტანზე ნისლების კაბას...
შენი ღიმილი ცას და მიწას სინაზით ათრობს,
იწოვ სიცოცხლის სურნელებას,
პატარავ, ხარბად!..

16.09.12
თბილისი

სურვილი

ისევ ანთია ლურჯი სანთელი და ფანჯარასთან
ტოტი ალუბლის ქანაობს ნელა...
ანათებს სივრცეს ნათურების ფერადი ტალღა...
ღამეა, რაღაც უჩინარი ხმაურით სავსე...
მე მივაბიჯებ ანთებული უსაზღვრო თრთოლვით
და ვდგები მარტო შენს სარკმელთან,
რომ ხასხასა ფარდების მიღმა ავლანდო
შენი სილუეტი მკრთალი და ჩუმი, როგორც
ზამბახი მთვარიან ღამით!..
ისევ ანთია ლურჯი სანთელი და ფანჯარასთან
ტოტი ალუბლის ქანაობს ნელა...

12.05.62
სოხუმი

***

ცაზე ნახტომი ირმის იტაცებს ნაცნობ მოტივს
და არხევს მთვარის სიმებს:
ქარი...
ღრუბელი...
ტოტი...
სულს შუქი ენაზება და რა ატარებს ლოტოსს?
ფეთქავს ფარული გზნებით:
ქარი...
ღრუბელი...
ტოტი...
და შორეული გზებით ლურჯი შრიალი მოდის,
შორს, მთვარის მიმოზები, –
ქარი...
ღრუბელი...
ტოტი...

14.05.62
ბანძა

ენძელა და სათოვლია

ნახე, ირგვლივ რა ქარი ქრის, ნახე, ირგვლივ რა თოვლია,
როგორ მიყვარს ეს ორი და
ენძელა და სათოვლია!
მთებზე ნისლი მიქანაობს, დაუპყრიათ ზღვა თოლიებს
და ირხევა ორი ცირა –
ენძელა და სათოვლია!..
არ უფრთხიან თოვლს და ქარებს, არც ფიფქების
თეთრად რიალს,
ცა იღვრება შუქზე მთვარის
და ნისლები მიაქვს ნიავს...
ერთი გაზაფხულზე მოდის და მეორე ძალზე გვიან
და ერთმანეთს არ იცნობენ –
ენძელა და სათოვლია!

19.09.12
თბილისი

გაწყდა ლენტივით

არ გიცხოვრია შენ ერთი დღეც ღელვის გარეშე,
ვერ პოულობდა შენი სული
სევდის სადინარს!
მაგ გულზე დარდმა არაერთხელ გადითარეშა,
მაგ გულზე ჟამმა
არაერთხელ გადინადირა!..
დრომ ულმობელმა ეს რამდენი ცრემლი გადინა
და გულმა ვეღარ გაარღვია
სევდის ჯებირი!
ო, ამ ცხოვრებამ ეს რამდენჯერ მწარედ გატირა
და უსულგულოდ გაგიმეტა –
ჟამის დინებამ!
ისე დაგშორდი, რომ ერთი დღეც არ გახსოვს მშვიდი,
შენი სიცოცხლე აბრეშუმის
გაწყდა ლენტივით!
დღეს შენს საფლავთან ირხევიან ხეები შინდის
და დუმს ნაძვები
უჩვეულოდ ხმაგაკმედილი!..

17.09.12
ბანძა

ვიხსენებ ახლაც

იმ ტყის სილურჯეს აღტაცებით ვიხსენებ ახლაც
და იმ ბილიკებს მის სიღრმეში
ფარულად შეჭრილს...
ო, იმ დღეების რა ძალუმად მომინდა ნახვა,
მაგრამ დრო-ჟამი დემონურად
მიცქერის იჭვით!..
ნაკადულების შორეული ჩუხჩუხი მესმის,
მივაყურადებ... თუმცა, იგი
არაფერს არ ცვლის!
მე იმ ტყეების სილაჟვარდე თვალებით შევსვი,
ახლა ცარიელ მინდორს გავცქერ
ძალ-ღონე დაცლილს!..
არც ფრინველების ჟივილ-ხივილს აღარ ვივიწყებ,
რომელიც ჟამის ურჩ დინებამ
შორს გაიტაცა...
ის არ ჩანს, მაგრამ სული მაინც იქით მიიწევს
და ყოველივე დრომ აქცია
ფერფლად და ნაცრად!..

21.11.12
ბანძა

ო, როგორ მიჭირს!

დღეების ქროლვას ვერაფერს ვშველი
            და უიმედოდ გავცქერი სივრცეს...
მე მახსენდება ღიმილი შენი
და გული ისევ ძალუმად მიცემს!..
ხეივანს ზამთრის ნაბიჯით დინჯით,
            მივყვები უხმოდ და ფიქრი მზარავს!
ხსოვნა იმ დღეთა ო, როგორ მიჭირს,
რომ მთელი გრძნობით
კვლავ მომეძალა!..

29.11.12
თბილისი

რატომ?

რატომ ატირდი, ენძელავ, ან შენ ლურჯთვალა იავ?
ცას ღრუბლები რომ მოაწვა,
ცას გაზაფხულის მზიანს!
ნახეთ, ბუნების ფერწერა, რომ ეფერება ნიავს,
ამ საოცრებას უცქირეთ,
ჩემო ლალი და მზია!
ჟამს უყვარს ფერიცვალება, ვისმენ ტალღების შრიალს,
ო, ნუთუ, ცაზე ღრუბლები,
ისევ იალქნებს შლიან?
ამ ფერებს ვერ გავექცევი, ვერც ვარდფურცლობის
მეწყერს,
უკვე ოცნებით ცას ვწვდები,
პირველს კი არა, – მეცხრეს!..

09.04.12
თბილისი

ორი და

მინდორზე ვერხვის ძირას ცეკვავდა ორი ცირა,
ერთ მათგანს ერქვა დარიკო და
მეორეს კი – მინა!
მათი ცეკვა და სიმღერა იყო ზღაპრული, მართლაც,
მაგრამ ის ჟამი დასრულდა
და შეეფარა ზამთარს...
შეწყდა ის ჟღერა სიმების და დაირების ხმები
და ჟამმა ულმობელმა
გაშალა მძლავრად მხრები!..

17.09.54
ბანძა

დაგვემშვიდობე...

ალექსანდრე (საშა) გაბუნიას ხსოვნას

„არ დაიდარდო, დედაო!“
გ. ლეონიძე

დაგვემშვიდობე: სიყვარულით, კოცნით, ტკივილით,
სულის სიღრმეში გადამალე
ცრემლის ფიორი!..
ეს განშორება, თუმც არ იყო, ბიჭო, იოლი
და შეგვატოვე საუკუნოდ,
ვით სიმძიმილი!..
შენ მამით ობოლს, გზრდიდა დედის „ნანა“ მეგრელი,
სიყრცე ყივილით გადიქროლე,
როგორც არწივმა!..
ზედ ჟამის ჯებირს შეეხეთქე ზვირთი ენგურის
და გაიფანტე ტრამალებში
ნაწილ-ნაწილად!..
მე ხსოვნად შემრჩა უჩვეულო შენი ღიმილი,
ასეთი გახდა განაჩენი,
ძმობილო, ბედის!..
ეზოს შემორჩა სევდიანი მამლის ყივილი
და სამუდამოდ შეუშრობი ცრემლები დედის!..

19.08.11.
თბილისი

წვებიან ცისფერი ლანდები...

შრიალებს ღრუბელთა ფერადი ფარდები,
მზე ჩადის... და არხევს
ნიავი ლელიანს...
ნაპირთან წვებიან ცისფერი ლანდები
და რაღაც სევდიან
მოტივზე მღერიან...
მედება თვალებზე ფარული ცრემლები!
ეს გრძნობა, ძვირფასო,
ტკივილზე მეტია!..
მზე ჩადის... მზე, ალბათ, ათასჯერ დაცხრება,
მე შენთან არასდროს
მოვიშლი ხეტიალს...

14.08.62
სოხუმი

შორს დარჩა

ჩემი ბავშვობის დღეები, მხოლოდ ამ ალვებს ახსოვთ,
დავდივარ განმარტოებით
და ჟამი სევდას მაქსოვს!..
ეს ტყის პირი და საისლე ბევრჯერ ცრემლებით მოვრწყე,
ჩემო კამკამა ბინულო,
შენა ხარ ამის მოწმე!..
ო, ის დღეები შორს დარჩა, როგორც ზღაპარი მწვანე,
მახსენდება და რამდენჯერ
ჩუმად მატირებს მწარედ!
ახლა, უკვე ვარ ჭაღარა, ხსოვნის ვეება სკივრი,
დავდივარ სოფლის შუკებში
და სული მწარედ კივის!

24.09.12.
ბანძა

თამამად მივალ

მე ყველა შენი სატკივარი ო, როგორ მტკივა!
არ მეშინია ამ დღეების,
თამამად მივალ!..
და ეს ბილიკიც არ მაშინებს კლდე-კლდე რომ ცოცავს,
როგორც ზღვის ღელვა
არ აშინებს გამოცდილ ლოცმანს!..
მე წინ მივდივარ და ავდარი მეკვეთოს თუნდაც,
გადავყრი ამ ძვლებს ხევხუვებში,
ვითარცა ხურდას!..
ოღონდ, მაგ შენი სილამაზით ვიყო მდიდარი,
ოღონდ ჩემს სულში
სიყვარულის თრთოდეს მდინარე!..

22.08.78
სოხუმი

ვეთხოვები გაგაფხულის მინდვრებს

ვეთხოვები გაზაფხულის მინდვრებს
            და უსაზღვრო სევდა ახელს თვალებს!..
შეღამების მოირღვევა ბინდი
და სივრცეებს
ახმაურებს ქარი!..
მე არ ვიცი, თუ რა ვუყო ხსოვნის,
            ამ სევდიან და ულმობელ სიმებს?!
ჩემს ბილიკზე ჩამოწვება თოვლი
და ქალწული
თოვლის გამილიმებს!..
მე არ ვიცი, ო, არ ვიცი, რა ვქნა?
            და ფერდობზე ქარი ფოთლებს აფენს,
მათრობელა მზის სხივები გაქრა
და ფერს უცვლის
ჩემი სულის აფრებს!..
ჟამმა ბევრი ჩამიშალა ხიდი
            და ფოთლები ჩამოღვარა ბალმა...
ვეთხოვები გაზაფხულის მინდვრებს
და მიიწევს ეს
ხომალდი გალმა!..

16.09.78
ბანძა

თავი აიშვეს ქარებმა

ო, ეს ზაფხულიც წავიდა და შემოდგომა მოიწევს,
როგორ იცვლება ამინდი,
ნისლებში ყოფნა მომიწევს...
მზის შუქი გახდა მეჩხერი და მზე ზოზინით ამოდის,
უკვე ცვივდება ნაყოფი
და რტო ირხევა სამოთხის!..
არ ჟივჟივებენ ჩიტები, მინდვრის ფერები ქრებიან,
მე სათოვლიას დავეძებ,
ამ, სიყვარულის ფრთებიანს!
და ეს ზაფხულიც წავიდა, დრო, სადღაც მიექანება,
კლდეებს აწყდება ზვირთები,
თავი აიშვეს ქარებმა!..

02.08.2013
თბილისი

შეუერთდება სინათლის მეწყერს

მოულოდნელად დადუმდება და შეწყვეტს იგი,
ამ მიწიერი სიგნალების
მიღებ-გაცემას!
რკინა-ბეტონის საუკუნოდ დაიდგამს გვირგვინს
და თან განაგრძობს
ჩვეულებრივ რღვევას, დაცემას!..
ანგელოზები სულს მკრთომარეს მოუვლენ შემწედ
და ის ფრთებს გაშლის,
გაექცევა სიმძიმეს ჟამის!..
შეუერთდება უსასრულო სინათლის მეწყერს,
რომ მოიშოროს სამუდამოდ -
სიჩუმე ღამის...

07.08.2013
თბილისი

დათა თუთაშხია

ოთარ მეღვინეთუხუცესს

შენ როლს უბრალოდ როდი ასრულებ,
სული ხომ სულთან ითხოვს მსგავსებას!..
და მაყურებელს დაუდასტურე,
რომ არ მორჩილებ
გადაფასებას!

არვის უნახავს როლი უნაკლო, –
თავის სვლებით და თავის განცდებით!..
მაგ სიდიადეს ვერვინ უარყოფს –
ხლართიდან ხლართში
გადანაცვლებით!..

და გამოკვეთე სახე იმგვარად, –
როგორც გაზათხულს, ჰქმნდა როდენი,
კვლავ აწყდებოდა სივრცეს გრიგალი –
მეტად ურჩი
და დაუნდობელი!..

შენისთანები ქმნიან ეპოქას,
სულისკვეთებით, ფიქრით, აზრებით!..
საუკუნეებს, ალბათ, ეყოფა
დალაშქვრა შენგან
დროის საზღვრების!..

მზერა მაკვდრებელი

შენ ხარ სალი კლდის ურჩი ნატეხი
            და სიშორიდან ვეფხვი მზირალი!..
ხელოვნებაში ბურჯად ჩადექი:
ხან ბობოქარი!
ხან უწყინარი.

შენთან უდღეურ სიკვდილს რა უნდა,
            როცა მიარღვევ სივრცეს მხარულით!..
ნაღდად, მოიგე ყველა რაუნდი
და დარჩა იგი,
ხელმოცარული!...

15.04.2015
თბილისი

სული და ფერიცვალება

ხელის თითებზე წლებს დარჩენილს არასდროს ვითვლი,
თუმცა, ტკივილების ახლა უფრო
მიმძიმს ტარება!
ვიცი, ამ სხეულს მოედება ხავსი და ფითრი,
მაგრამ ეს სული
არ მორჩილებს ფერიცვალებას!

ბევრჯერ მიტევდა წუთისოფლის მრისხანე ზვირთი,
არ დამკლებია, მეგობარო,
ტანჯვა-წამება!..
მაგრამ ეს გული მაინც შენი ტრფიალით მითრთის
და განშორება
ო, რა მწარედ დამენანება!

11.04.09
მოსკოვი

მეგობრების ხსოვნას

დროის დინებამ თქვენთვის, უკვე, დაკარგა აზრი,
აღარ გაშფოთებთ ზღვის ღელვა და
ქარის ხმაური!..
დღეს თქვენს საფლავებსს ბედისწერის დემონი აზის
და მდუმარებას ვეღარ გირღვევთ
ქროლვა ზღვაურის!
რად მიატოვეთ ნეტარება მზისა და მთვარის?
გაიყოლიეთ სურნელება
მხოლოდ მირონის!..
ეს განშორება, არც გულს სჯერა და აღარც თვალებს
და თქვენს საფლავზე
იცრემლება ცა საფირონის!..
რა ხდება იქით, – იმ შორეულ ვარსკვლავთა მიღმა?
ცოცხალთა შორის ამ მიწაზე
არავინ უწყის!..
დუმს შორეული სივრცეები, ვერ ახდი ნიღაბს
და, აქ დღეები ერთურთს ცვლიან
კენტი და ლუწი!

02.10.09
მოსკოვი

სად გაქრა?

სად გაქრა ო, ის ტყეები ხშირი,
            რომ იყო ჩემი სოფლის მშვენება!
არ დარჩა მისგან უბრალო ჩრდილიც,
ნუთუ, მინებდა
გადაშენებას?!
მათ ნაკვალევზე არ მოჩანს ბორცვიც,
            და ის ბოროტთა მოისრა ხელით!
მაშინ, ვიყავი ჭაბუკი ოცის
და შემრჩა ხსოვნით
თვალები სველი...

11.07.83
ბანძა

აღსდგება ისევ

მიწის სიღრმეში რა გამაჩერებს,
        როცა ელვარებს ცა საფირონის!..
მე მდუმარებას არ ვარ ნაჩვევი,
როცა იღვრება
ციდან მირონი!..
როცა მცხეთაში ზარებს რეკავენ,
        მიყურადება არ ჩანს იოლი!..
მოჩანს მთაწმინდა შეუდრეკელი
და მთვარიანში
ცურავს სიონი...
მე ვეფერები შენს სიდიადეს,
        უკვე ტყვე გავხდი კაცი ზმანების!..
ჩემი ფიქრები მხოლოდ შენ განდე
და უშენობა
დამენანება!
აგუგუნდება სიმღერით ჭერი,
        თუმც ქარაშოტი გვიტევს ტრამალის!..
ისევ აღდგება დავითის ბჭენი
და აინთება
ზეცა თამარის!..
კვლავ უნდა რეკონ რწმენის ზარებმა,
        ჟამი ულმობელ ტკივილებს მისევს!..
და ნაკვალევზე დინოზავრების
კვლავ საქართველო
აღსდგება ისევ!..

17.08.2018
თბილისი

საიდან მოდის?

ო, რაღაც ძალა უთუოდ განაგებს კაცის გზა-კვალს,
არ მიაკარებს დემონებს
და არც უჩინარ მზაკვარს!
საიდან მოდის ეს ძალა, რომ ყველა ხიფათს სძლიოს,
რომ ბოროტება დაამხოს
და კეთილს შეეწიოს!..
ის შველის ბედით განწირულს, სადაც არ უნდა იყოს,
მფარველობს, რომ ცხოვრებიდან
ჟამმა არ გამორიყოს!
ბუნების ამ სიდიადეს შემთხვევითობას ვარქმევთ,
ის ფრთებს შლის მუდამ ელვარეს
და ხურავს მზაკვრულ სარქველს!

05.02.13
თბილისი

***

მე შენს საფლავთან მოვედი გუშინ,
ფიქრით დაღლილი ვიდექი დიდხანს!..
და თითქოს ძარღვი ჩამიწყდა გულში,
დრომ, რომ გაქცია
მდუმარე თიხად!..
ო, ის ზღაპრული დღეები გაქრა
და მხოლოდ ხსოვნას შემორჩა იგი!..
ჟამმა რა მწარე ბრჭყალები გამკრა
და დუმს საფლავის
ლოდები ირგვლივ...
თეთრ ლოდზე ერთი ჩიტუნა წივის
და მწუხარებას საფლავებს აღვრის...
მთვარე ამოდის, სევდიან ღიმილს,
რა ნეტარებით
ისრუტავს ბალი...
ქრება ყოველი, ცოდვა და მადლი,
მოარხევს სივრცეს და თანაც რიდით...
ნიავი ოხვრით შეარხევს მანდილს
დრო მიდის, როგორც
ავიამზიდი..

24.08.2018
თბილისი

***

სადღაც ღრუბელი დაეშვა და მზე დაღლილი მიწვა,
სადღაც ქარები თარეშობს
და მკერდი სტკივა მიწას!
სადღაც ვარსკვლავი ციმციმებს, გზავნის მოლურჯო
სხივებს,
სადღაც დემონი იცინის
და არხევს ჟამის სიმებს...

10.07.82
ბანძა

გაცურდა ის დრო

გაცურდა ის დრო მწვანე ალერებით,
თუმცა, ნაკვალევი არ ჩანს!
დამივიწროვდა სივრცე საფრენი
და სიმძიმილი
დამრჩა!..
ზის რტოზე ჩიტი სულგანაბული
და ხმა გრძნეული მიწყდა...
რა შორს გაფრინდა ის დრო ზღაპრული
და მოგონებად
იქცა!..
გაქრა ზაფხულიც და გაზაფხულიც
ჟამი უჟმური მიტევს!..
და შემოდგომის ზეცა მახურავს,
და გული დარდს
ვერ იტევს!..
უკვე ვიგრძენი სულის დაცხრომა
და მე არ ვიცი, რა ვქნა?
ვერ ვძლიე ჟამის გაუმაძღრობას
და ყველაფერი
გაქრა!..

17.09.90
ბანძა

რამ უცვალა ფერი?

სოფლის გზებზე გაქრა ნაურმალი
        და იმ ძველ ხიდს ვხედავ უკვე მოშლილს!
აქ დავრბოდით, ამ მინდორზე, მარი,
მზის ჩქერებში
წვიმასა და თოვლში...
რა შორს დარჩა ის ბილიკი მთვარის,
        სოფელს, ასე რამ უცვალა ფერი?
კვლავ ბალახებს აშრიალებს ქარი,
რამ ჩააქრო ო,
ის ალმაფრენა?!
ჩვენ მივდივართ, სხვა თაობა მოდის
        და სოფელი ფერებს ისევ იცვლის!..
ჩვენი ტრფობის ხმება ატმის ტოტი
და რა რჩება? –
ისიც კარგად ვიცით!..

11.07.2013
ბანძა

...და სიხარულით ვტირი

ეს ღამე გადავაგორე და ვეგებები აისს!
ეს ღამე გადავაგორე, უკვე
ვეძლევი ხალისს!
ეს ღამე გადავაგორე და მაქვს იმედი ხვალის,
ეს ღამე გადავაგორე
ტკივილით დაუმცხრალი!..
ეს ღამე გადავაგორე და სული აფრებს გაშლის,
ეს ღამე გადავაგორე, – მზესთან
დავეძებ კავშირს!..
ეს ღამე გადავაგორე და ვსუნთქავ ჰაერს დილის,
ეს ღამე გადავაგორე
და სიხარულით ვტირი!..

06.10.2013
თბილისი

მოვა აპრილი

თებერვლის თოვლში შაშვი გალობს თეთრ რტოზე ჭადრის,
მე ვუსმენ მის ხმას და აპრილის
მოსვლაზე ვფიქრობ!
ჰორიზონტს იქით მზე ეშვება, – დუმილით ჩადის,
მე ეს გალობა რწმენით მავსებს
და ტკივილს მიქრობს!..
მოიწევს მარტი და ზამთარი იალქნებს კეცავს,
ქარი ფრთებს მახლის და ბექობზე
გადარბის იგი...
მოვა აპრილი აამღერებს სივრცეში მერცხალს
და გაზაფხული სილამაზის
დაიდგამს გვირგვინს!

21.02.12
თბილისი

მე შენს წამებას ვიხსენებ!

მე შენს წამებას ვიხსენებ, თუმც, მინდა დავავიწყო!
და გულს ცრემლები მისველებს და
ჩემს სიხარულს იწოვს!
ქარი ხეივანს მიკივის, დგება ფოთლების შვავი,
მთვარე ჰგავს თითქოს ხეიბარს,
მოსავს ღრუბელი შავი...
ვიხსენებ რხევას სიმების, მიედინება წყარო,
ბუნების ფერიცვალება კვლავ
მტანჯავს უმოწყალოდ!
მე შენს წამებას ვიხსენებ, თუმც, მინდა დავივიწყო!
და გულს ცრემლები მისველებს
და ჩემს სიხარულს იწოვს!

18.10.2013
თბილისი

შენს საფლავთან მოვედი

შოთა ლაბარტყავას ხსოვნას

გამვლელო, ვინც უნდა იყო შენ,
წუთით შეჩერდი ამ კაცის ღარიბულ
საფლავთან, რათა პატივი სცე:
ცოდნას, ღირსებას და სულიერ სიდიადეს!

გული გაგყვა დაჭრილი, სული სევდით ნაოსი
და დაღლილი მიწექი
სოფლის სასაფლაოზე.
არც ზარები რეკავენ! არც ქარების ხმა ისმის!
მხოლოდ სოფლის ჩიტები
სხივს კენკავენ დაისის...
შორს, მთა მოჩანს მოლურჯო ღრუბლის თეთრი ქულებით
და ხეები მხედრულად
დგანან გარინდულები...
შენს საფლავთან მოვედი, ჟამს ვიხსენებ გაფრენილს
და ცა გადგას მაღალი
ჩამავალ მზით ნაფერი...
ო, რა სევდა მოირღვა და ტკივილმა იმატა,
სული გქონდა იმხელა
ცასაც გადაჭიმავდა!..
შენი ლანდი ბავშვობის გაჰყვა ჭალებს ატეხილს
და მიჰქონდა მდინარეს
მთვარის თეთრი ნატეხი...

და შორს დარჩა ის გზები სისხლით, ცრემლით მორწყული
და დუმს შენი საფლავი მძიმე
სევდით მოცული...
არც ზარები რეკავენ! არც ქარების ხმა ისმის!
მხოლოდ სოფლის ჩიტები
სხივს კენკავენ დაისის...

12.10.02
ბანძა

ჩიტი

მარტო გალობდა ფერმკრთალი ჩიტი
            და ირხეოდა ცისფერი სიმი...
შემოღამების დაეშვა ფარდა,
დაეცა ფოთლებს
წვეთები წვიმის...
უცებ შეირხა რტო ნაცრისფერი,
            გაფრინდა ჩიტი – პატარა ჩრდილი...
და დარჩა ჩემთან რტო მოწყენილი
და ბინდით სავსე
მდინარის ფსკერი...

03.04.71
სოხუმი

გახსოვს?

გახსოვს, ვერხვის ქვეშ, რომ ვიდექით მე და შენ, მერი!
მსუბუქი ქარი მთვარის ჩრდილებს
არხევდა ნაზად...
და ყველაფერმა რა საოცრად იცვალა ფერი,
რომ სიყვარულის უჩვეულო
დგებოდა ფაზა!..
ცეცხლოვან კოცნით ბაგეები თვრებოდნენ ძლიერ
და გვიზიდავდა სიღრმისეულ
გრძნობების განცდა!..
ჩვეულებრივი მოფერების სურვილებს ვძლიეთ
და ჩვენი ღელვა უკვე
ყველა მოლოდინს გასცდა!..

15.08.13
ბანძა

პირველი თოვლი

მოვიდა ფიფქთა ლაშქარი,
აინთო მთები ჭაღარა!..
ცისკარმა ფრთები გაშალა
და თოვლის
მოსვლა მახარა!..
გათეთრდა ბაღი მელოტი
და შემოდგომა დაბერდა!
მოვიდა, რასაც ველოდი
და სივრცე
მოახავერდა!..

15.12.2013
თბილისი

***

ვერ ვუძლებ ღამის სიურჩეს
            და ბნელში ჭოტის ძახილს!
მოვუხმობ დილის სილურჯეს,
იმედის ფრთებს
რომ მახლის!..
დგას შემზარავი უკუნი,
            ქარს ეხლებიან რტოები...
მიდის ეს ღამე გუგუნით
და სივრცეს
ვემარტოები!

19.02.2013
თბილისი

მაშშალია

რად გაეცალე ჩემს ზღაპრულ სოფელს,
მოსპეს ტყეები როცა!
ჩემს ეზოს აწი ჰანგებს ვინ მოჰფენს,
ვარდებს ვინ უძღვნის კოცნას?!
რად გაეცალე ამ მინდვრის ხავერდს,
რომ სულდგმულობდა შენით!
ო, მთვარიანი გიყვარდა ღამე,
დილა–თვალება შველის!
ათრობდი მუდამ შენი ხმის ეშხით
ვერხვის ფოთლების შრიალს!
დავალ ეულად და ვისმენ ჩემში
შენი სიმების წკრიალს!..

09.07.2013
ბანძა

კვლავ რეკავს ზარი!

ჩემი მერცხლები მოფრინდნენ ისევ,
გამითბეს ჭერი ჭიკჭიკით ტკბილით!
მთების კალთებზე ირხევა ნისლი
და აივნიდან
გავცქერი თბილისს!..
უკვე ბულბულის გალობას ვისმენ
და სულის ქროლვას არ უჩანს ზღვარი...
თუმც, სოფლის ბრუნვა ტკივილებს მისევს,
თამარის ტაძრის
კვლავ რეკავს ზარი!..
მინდა დილის მზეს, რომ მივესალმო,
მთაწმინდის მთვარეს გავცქერი რიდით...
შორიდან ვიღაც უკრავს სალამურს,
წუთისოფელი მიდის
და მიდის!..

29.03.14
თბილისი

ჩემი ვერხვი!

ის ზამთრის სიურჩემ დალეწა,
შეწყვიტა – შრიალი, ფეთქვა!
გრიგალს ვერ გაუძლო გარეწარს,
რომელიც უტევდა მედგრად!..
რამდენი ბექთარი გაცვითა,
ვერ შესძლო ატანა მეტის!
ო, სისხლი ბებერი გაცივდა
შეტევით ყინვის
და სეტყვის!..
უყვარდა თამაში ნიავთან,
დღეს აწევს ბინდები ზანტი...
ვერ იქნა, ვერ გადაიავდრა,
დალეწა ქარბუქმა ზამთრის!..
და ხსოვნას შემორჩა მითივით,
ბექობზე ამაყად მდგარი!
მოვიდა ნიავი ქვითინით,
ატირდა აპრილის ქარიც!..

14.05.90
ბანძა

მზე გაზაფხულის მოიწევს ისევ...

დავით კახაბერის ხსოვნას

ეს ორი წელიც გაცურდა უკვე,
დავდივარ, მაგრამ გპოულობ ვერსად!
მაგ შენს მაღალ სულს საკმეველს ვუკმევ
და შესანდობარს
ცრემ–ნარევს შევსვამ!
შენი სავანე ცა გახდა მეცხრე,
ვინ იტყვის შენზე ამაოდ დაშვრა?
თუმც, ვერ გადურჩი სიკვდილის მეწყერს,
ვერ გაექეცი რღვევას
და დაშლას!..
მზე გაზაფხულის მოიწევს ისევ
და უკვე ნუშის რტოებთან ფეთქავს!..
მე მოგონება ტკივილებს მისევს
და იცრემლება შენს საფლავთან
ადგილის დედა!..

ეს არის ჩემი ტრაგედია!

ჩემს სულში მძიმე სატკივარმა დაიწყო გაშლა
და მე მომიცვა, მწუხარებამ
დაუსაბამომ!..
ნუთუ, შენც ვეღარ გაექეცი რღვევას და დაშლას
და მომაგონდა, საოცარი,
მე ის საღამო!..
ბაგეთა თრთოლვას, ნუთუ, მიწა დაეპატრონა
და შენი რხევა გაიტაცა
სიცოცხლის იქით!..
სიკვდილი, ეს ვინ გაგიხადა უკვე ბატონად,
მე დავიღალე საწუთროზე
ამაო ფიქრით!..
მოვდივარ თბილისს, მაგრამ არ მსურს საფლავის ნახვა,
ვინ მოთვლის ქვეყნად სატკივარი
რამდენი დამაქვს!..
და ჩემი რწმენის ჩაქრა უკვე ბოლო ნათურა,
ეს არის ჩემი ტრაგედია
და არა დრამა!

ვინ გაექცევა?

როცა სხეული გაწყვეტს კავშირს მოულოდნელად,
იმ გარემოსთან, რომელშიაც
ფეთქავდა იგი!..
ჩამოეშვება მდუმარება მთებისოდენა
და სამუდამოდ მოუშორებს
დაგადგამს გვირგვინს!..
ვინ გაექცევა ამ ქვეყნიურ რღვევას და დაშლას
ყველაფერს, ერთობ, ანადგურებს
მსახვრალის ხელი!..
დრო ისევ მიქრის, როგორც ველზე მერანი კავშა
და მიაქვს, სადაც ჟამის ქარებს
ფოთლები ხმელი...

10.10.2013
თბილისი

დრო მიაქანებს...

ბევრჯერ ვეკვეთე დაუნდობელ ნოემბრის ქარებს,
ვერკინებოდი უგულობას
და ძალებს ბოროტს!..
იმ დღეთა წყებას სიშორეში დრო მიაქანებს
და სულის ღელვას უჩვეულოს
არ უჩანს ბოლო!..
ვეღარ შევძელი გამერღვია ნისლები რუხი,
გზები გავლიე ეკლიანი,
თალხი და მღვრიე!
აღარ ვუფრთხოდი ჟამს ბობოქარს და ჭექა-ქუხილს
და ყველა ძარღვი შეტევისგან
მტკიოდა ძლიერ!..

14.12.2013
თბილისი

თან მსდევს...

ბინდი ეცემა ჭალას და ჩემს დაბურულ კბოდეს,
აქ ჩემი სიყმაწვილის ჟამი
ცისფერი ქროდა!..
ახლა შორსა ვარ, სადღაც, თავდავიწყების გზებო!..
თქვენი აჩრდილი მადგას,
ო, დიდო წინაპრებო!..
ჩემო აბაშის წყალო, რომ ჩამორბიხარ ბარად,
ჩემი პატარა ლანდი,
სად მიგყავს ასე ჩქარა?!
თქვენზე მომყვება ფიქრი და იმ ჯადოსნურ დღეთა, –
თან მსდევს უსაზღვრო სითბო,
თან მსდევს მარადი სევდა!..

17.06.72
სოხუმი.

ირხევა ქნარი

მე ეკლესიის ეზოში ვზივარ,
        მეხება მკერდზე ნიავი თრთოლვით...
მე ეკლესიის ეზოში ვზივარ
და ყვავილების მეღვრება თოვლი...
მე ეკლესიის ეზოში ვზივარ,
        თამარის დროის ირხევა ქნარი...
მე ეკლესიის ეზოში ვზივარ
და ნაძვნარებში
შრიალებს ქარი...
ცა ჩამავალ მზის სხივებში ელავს,
        მიცურავს მკრთალი სეგმენტი მთვარის...
მე ვზივარ მარტო და გული ღელავს
შემოღამების
ჰანგებით მთვრალი.

15.04.2013
თბილისი

მშობლიური ელეგია

ფთილაც არ ამოდის კვამლის, ჟონავს ხავსიანი ჭერი,
აგერ წაქცეული სკამი,
დოქი მორღვეული ყელით.
სურათს ვეფერები დედის, ლანდი მამაჩემის მოდის,
ჭასთან ოწინარი თეთრი,
როგორ დაუღლია ლოდინს?!
მუხას შეხიზვნია ჭოტი, ჟანგი მოსდებია სახნისს,
ქარით შელახული ტოტი
კედელს შეჰქვითინებს სახლის!..
სარკმლით შუქი მოდის ვიწრო, არ კრთის კერიაზე ცეცხლი!
სული მწუხარებას იწოვს
და თან მოგონებებს ერწყმის!..
ბუხარს გაჰყინვია ყელი, სევდა შეგაჟრჟოლებს ნახვის!
ჟონავს ხავსიანი ჭერი
და დუმს დაღვრემილი სახლი!..

25.08.72
ბანძა

ყოფნა-არყოფნა?!

კვლავ ,შენზე ვფიქრობ და ვცილდები ყოველგვარ საზღვარს,
ვერაფერს ვამბობ და არ ვიცი
                    რა გელოდება?
უიმედობის, რად ბატონობს ო, ჩემში აზრი,
შენი გაქრობა, რატომ იქცა
ბოროტთა ნებად?!
თერმობირთვული რაკეტების შიშით, პლანეტავ,
ცახცახებ ერთობ, და კარგად ვგრძნობ,
                    იქცევი ფერფლად!
ყოფნა–არყოფნამ, – ყველა კითხვას გადაამეტა,
ამგვარ საქციელს ბოროტების –
რა უნდა ერქვას?!

21.08.2013
თბილისი

ისევ მიქრიან

ისევ მიქრიან დღეები მკვირცხლად
და მათ სრულებით არ ვებრალები!
გულის ფეთქვა კი საოცრად მიცხრა,
მაგრამ მშველიან
შენი თვალები!..
და ხეებიდან ფოთლები ჭრელი,
იღვრება უხმოდ და გული ღელავს;
ეს შემოდგომის ქანაობს ჭერი
და იხოცება
ფოთოლი ყველა.

22.10.2012
თბილისი

მოვიდა თოვლი შემოღამების

დღეს შენს საფლავთან ჩამოდის თოვლი,
ვიხსენებ წარსულს და სევდის ტყვე ვარ!..
დღეები, რა შორს მიდიან ქროლვით
და დგას ფიფქების
ზღაპრული რხევა!..
შემოღამების გიყვარდა თოვლი
და ჩვენს სიხარულს არ ჰქონდა ზღვარი...
ო, ის დღეები არასდროს მოვა
და არც ფანტელებს
მოგვაღვრის ქარი!
წავიდა ის დრო: ღელვით, წამებით,
და სურვილებიც უკვე დაბერდა!
მოვიდა თოვლი შემოღამების
და საფლავის ქვა
მოგიხავერდა...

14.12.2012
ბანძა

მენავე

ოქროსფერი ნაყოფით ნაპირები ელავენ,
ზღვაზე ნავი ქანაობს და
ღიღინებს მენავე!..
შორით მოჩანს ქედები ლურჯად გადათოვილი,
ტკბილად მღერის მენავე
და მზეც გადიფერდება...
მხოლოდ ნავის კოჩოზე ბინდი დაბორიალებს,
ისევ მღერის მენავე, –
დაუბერე ნიავო!..

26.10.79
სოხუმი

რა აცინებს მავანს?!

იწყებს ჟამი ჩემი ტანის დაშლას,
არ ვნებდები და ამაყად ვდგავარ!
რა ხვრელები მოჩანს ირგვლივ შავი,
რას ხარხარებს,
რა აცინებს მავანს?!
მე ხომ ტკივილს გავუძელი მრავალს,
სულის ქსოვილს კვლავ მიწეწავს სევდა!..
მოდის სიზმრად, მაყოჩაღებს მამა
და ჩემს წყლულებს
აღვრის ცრემლებს დედა!..
ვინც გიყვარდა, გემუქრება იგი
და ადგილის დედა კვნესის ჩუმად!
რა ვეება სიწყნარეა იგვლივ,
ვარსკვლავებიც
უცნაურად დუმან!

12.07.2013
თბილისი

ფერი იცვალა ბუნებამ

სივრცე უეცრად გაფითრდა და ჩემში სევდამ იძალა,
მერცხლები უკვე გაფრინდნენ...
ზაფხულმა ფერი იცვალა!
დავდივარ დარდით მოცული და ტკივილს ვეღარ ვიშორებ,
ჩემი ჩიტები გაფრინდნენ
და მტანჯავს მათი სიშორე!..
თქვენი გალობის სივრცეში მეფერებოდა დილის მზე,
შუქის ჩანჩქერი მათოვდა
და იცინოდა პირიმზე!..
რამდენი უნდა ველოდო, ისევ თქვენს შემობრუნებას,
მთა ყინვამ გამიმელოტა,
ფერი იცვალა ბუნებამ!..

19.08.2012
ბანძა

ჩემი სახლი

ამ სახლში ახლა მეფობს მხოლოდ სიცარიელე,
ის აღტაცება ღვთაებრივი,
სადღაც, შორს გაქრა!..
და ჩემში ხსოვნა, არაერთხელ, როცა იელვებს,
ო, ამ დღეების უღონობა –
რა მწარედ გამკრავს!
ამ სახლში ახლა მიმოდიან ლანდები მკრთალი
და სულს მწუხარეს ეფერება
შენი ხმის ექო!..
რა სევდიანად ეფინება ხავერდი მთვარის
და მის სივრცეში იდუმალი
სიჩუმე მეფობს!..

04.08.2013
ბანძა

ხსოვნა

შენს ნატერფალებს დავეძებ ისევ,
ო, იქნებ სადმე ქვიშაზე დარჩა!
მე მახსენდება ის სიმაისე,
თუმცა, ნაფეხური
არა და არ ჩანს!
მივაყურადებ შენი ხმის ექოს,
რომელიც ჩემში ირხევა ახლაც!..
ჩვენი ბავშვობის მივადექ ბექობს
და ხსოვნას ო, რა
გრძნობები ახლავს!..

17.06.77
სოხუმი

შეხვედრის მოლოდინში

გავცქერი ზღვაზე ძოწისფერ ბილიკს,
ჩამავალი მზის სხივებით ნაქსოვს...
შენ გელოდები, ძვირფასო ლილი,
და ნეტარება
რამდენი მახსოვს!..
აქ გლისერები დაქრიან ისევ,
მიარხევს სივრცე აფრების წყებას...
მიიზლაზნება ფერმკრთალი ნისლი
და ირგვლივ ლურჯი
საღამო წვება...
ვინ იცის, რამდენ ათას წელს ითვლის,
ეს სანაპირო ბულბულის ხმებით!..
მე კი ამ ზღაპარს ვპასუხობ რითმით
და მოაქვს ნიავს
ხმა განახლების!..
არ უჩანს ბოლო ჭავლების ლივლივს,
მთაზე ეშვება ღრუბელი რბილი...
და მოლოდინში, ძვირფასო ლილი,
გავცქერი ზღვაზე
ძოწისფერ ბილიკს...

12.05.53
სოხუმი

ღამის საგალობელი

ცას დაუჭიმავს მთვარის მშვილდი და ოქროს ისრებს,
ის აღტაცებით, ყოველ ღამე
მიწისკენ ისვრის...
ის ყურს არ უგდებს ღრუბლის თხოვნას ისევ და ისევ
და არც ვედრებას ჰორიზონტზე
განფენილ ნისლის...
ანგელოზები სიშორიდან ფარფატით ფრთების,
კვლავ უგალობენ უჩვეულოდ
სიცოცხლის ფერებს!..
რა სიმაღლეზე აზიდულან მიწიდან მთები
სიო ათრთოლებს ამ ჩემს ბაღებს, –
ცით მონაბერი...
ზეიმობს სული მომლოდინე რამდენი რამის
და ზღვის ნაპირზე ხეივანში
სანუკვარ ფრთებს შლის!..
და სიყვარულის ულამაზესს ჩანგს უკრავს ღამე,
მხოლოდ მთის წყარო ბრმად მიდის
და იდუმალ ხვნეშის!..

26.05.55
სოხუმი

სოფელი

მე წავალ, მაგრამ სული მხურვალე
დარჩება შენთან განუყოფელი!..
ვიარე გზებით გაუხუნარით
და შემაყვარე
წუთისოფელი!..
ჰა, განშორების დგება მომენტი,
მზე ჩადის, გრძნობას ვეღარ ვერევი!
ძვირფასო, შენთან ისევ მოვედი
და ერთხელ
კიდევ მოგეფერები!..

22.08.81
ბანძა

რა შემრჩა?

ქარი ფანტავდა ყვავილებს ფერადს
            და ჩვენ ვიჯერდით ფერებს უნაზესს...
შემოდიოდი ჩემში სიმღერად
და ცეცხლს მინთებდი სულის ქურაზე!..
ქარმა დაფლითა ათრა მრავალი
            და საოცარი გაქრა ღიმილი...
შორს, იწურება მზე ჩამავალი..
რა შემრჩა? – ღელვა
და სიმძიმილი!..

19.06.60
სოხუმი

ვერის სასაფლაოზე

მაფშალიები გალობენ სასაფლაოზე ვერის,
ეს არის ღმერთის წყალობით
ო, სულის აღმაფრენა!..
მზე ჩამავალი ცის კიდეს ღებავდა თითქოს ფუნჯით
და მკაცრად დუმდა, ძვირფასო,
შენი საფლავი ლურჯი!..
იმ დღეთა ხსოვნას თან ახლდა თვალები ცრემლით სველი,
შუქს ღვრიდნენ მწვანე აფრები,
ო, ამ მდუმარე ველის!..
და რტოდან რტოზე ჩიტები გადადიოდნენ ფრენით
და ირხეოდა ნიავი
მთაწმინდით მონაბერი...

20.06.2013
ვერა

გავცქერი სივრცეს...

წავიდნენ თითო-ორორად ჩემი ბიჭები ყრმობის,
იმ დღეებს უკვე გაფრენილს,
ვეღარ ვუწოდებ ყოფილს!
დავდივარ ფიქრით დაღლილი და ხსოვნის ვუნთებ სანთელს
და მეჩვენება კოშკიდან,
კვლავ რეკავს ზარებს მნათე!..
გაუსაძლისი გამიხდა უთქვენოდ უკვე ყოფნა,
გული ცრემლებით მევსება
და სევდას ვერვინ მომბანს!
გავცქერი სივრცეს ცარიელს და ვებრძვი ტკივილს მწარეს,
რა შორს გაცურდა ის ჟამი, -
მიარხევს აფრებს მწვანეს!..

20.08.2013
ბანძა

შორს, სადღაც იქით...

შორს, სადღაც იქით, მზე მოქანცული ეშვება ზღვაზე,
მე გავცქერ სივრცეს და ჩუმად ვითვლი
მეწამულ ხაზებს...
ქვაფენილებზე სეირნობენ ლანდები მკრთალი,
შორს, სადღაც იქით, უსიერ ტყეებს
ტყვიისფერი დუმილი ავსებს...
და იკარგება ბინდში ბილიკი –
ჩემი ბავშვობის
ცეროდენა ნაფეხურებით!..

26.09.67
სოხუმი

ეპიტაფია

გაიყოლიეს სილაღე ტრფობის
            და მკერდს უშვერდნენ ქარებს მობერილს!..
დე, განისვენონ იმავე გრძნობით,
როგორაც განვლეს
წუთისოფელი!

25.04.2014
თბილისი

დავდივარ შუკებში სოფლის

დავდივარ შუკებში სოფლის, თქვენს ნათელ სახეებს ვეძებ,
დავდივარ შუკებში სოფლის და ხსოვნის
ვაწყდები მეწყერს!..
დავდივარ შუკებში სოფლის და სიმებს სევდიანს ვარხევ,
დავდივარ შუკებში სოფლის, –
ვერცერთი თქვენგანი ვნახე!
დავდივარ შუკებში სოფლის და ისევ თქვენი ხმა მესმის,
დავდივარ შუკებში სოფლის და სული
რა მწარედ კვნესის!..
დავდივარ შუკებში სოფლის და გული ვერ უძლებს ტკივილს,
დავდივარ შუკებში სოფლის
და ყრმობის ჩემი ცა ტირის!..

07.12.2014
ბანძა

რა რჩება ჩემში?

მე არ მასვენებს მოგონება გარდასულ წლების,
იმ ზღაპრულ სივრცეს ვეფერები
ხსოვნაში მხოლოდ...
საით გაფრინდა, რომელი გზით, იმ დღეთა წყება,
თუ ყოველივე ქრება, მაშინ,
რა რჩება ბოლოს?!
ჰა, უკვე ჩემ წინ შეღამების ნისლები წვება,
მსურს გავარღვიო, მაგრამ უკვე
ვერაფერს ვშველი!
ო, რაც მხიბლავდა, ვერ გავატან მას დავიწყებას,
რა რჩება ჩემში? –
იდუმალი ჩურჩული შენი!..

11.07.2013
თბილისი

ვდგავარ საფლავთან

ვდგავარ საფლავთან, ვიცრემლები, ვერაფერს ვამბობ,
ო, ამ ცივ ლოდქვეშ შენი მკაცრი
დუმილი სახლობს...
იმ შორეულ დღეს ვარფურცლობის ვუგზავნი ამბორს,
შემოღამების მზე დასცქერის
სევდიან მაღლობს!..
არ ვიცი, რა ვქნა! სულს მიკაწრავს ტკივილი ურჩი,
ვერაფრით ვძლიე მოწოლილი
სევდა ულევი!..
ირწევა ზეცა შემოდგომის საოცრად ლურჯი,
დაფენილ ფოთლებს, როგორც
შენს ლანდს, ვეჩურჩულები!..

12.09.12
ბანძა

იმ დღიდან მოდის!

შენ რომ შინდის გადახარე ტოტი,
სიყვარული ო, იმ დღიდან მოდის!..
ჟამი ფოთლებს ათრთოლებდა ვნებით,
გახსოვს, იყო
ვარდისფერი წლები!..
მზე მაისის შრიალებდა მინდვრად
და ბალახებს სიო ოდნავ ხრიდა...
ჩურჩულებდნენ ყვავილები სველი,
შენს მუხლებთან
ლოცულობდა ღელე...
ახლა უკვე შეღამება წვება,
რა შორს დარჩა, –
სილამაზის წლები!..

12.07.68
სოხუმი

იმ დღეს!

იმ დღეს, ცა იყო საოცრად ლურჯი,
მზე ჩამავალი არხევდა სიმებს...
რჩეულიშვილის დავეშვი ქუჩით,
ვეზიდებოდი ტკივილებს მძიმეს!..
დავტოვე შენი სამარე ჩუმი
და მომეძალა ტკივილი ერთობ!..
თითქოს, გავექეცა ლოდების დუმილს,
ეს რა წამება
მარგუნე, ღმერთით!

21.06.2013
ვერა

ქალი ქვიშაზე

იყო საოცრად მორცხვი, როგორც ყვავილი ველის,
და ორი თეთრი ბორცვი
თრთოდა მზის ბაგით სველი...

ქვიშაზე მარტო იწვა და შუქს აფრქვევდა მნახველს,
ფრთხილად სუნთქავდა მიწა,
მართლაც, ზღაპარი ვნახე!..

მზე ჰორიზონტის ხაზზე გაოგნებული იდგა,
ზღვა კი ღელავდა, – რაზე?
ზღვა კი ღელავდა დიდხანს!..

17.07.68.
სოხუმი

ვერხვი

სული დაღალა ჟამის რიალმა,
გავცქერი სივრცეს ფერმკრთალს, ცარიელს...
შენი ფოთლების ცისფერ შრიალში
ჩემი ბავშვობის
წლები გავლიე!..
კვლავ ვეფერები იმ დღეთა წყებას,
თუმცა, დამემსხვრა კოშკი ოცნების...
ჩემი ბილიკი ნისლებში წვება
და მივალ –
ხსოვნით განაოცები!..

02.12.2013
თბილისი

ეს რა ზარები რეკავენ?!

გავცქერ ჟამს შენაშფოთები, ეს რა ზარები რეკავენ?!
და ქარი ლაშქარს ფოთლების, სადღაც,
შორს მიერეკება...
ცის სილაჟვარდე დამშრალა და დგას ხეების რიალი,
ისევ ქრის ქარი აშარი,
საით გამექცა ნიავი?
ჩანს სივრცე ჟამით ნატორი, ბაღს იკლებს კვნესა ხეების!..
ყველგან ქარები ბატონობს,
უზომოდ განახელები!..
ტკივილს ვერ დავემალები, არ ვიცი, თუ რა მომელის,
ცრემლის ტბა გახდა თვალები
და გული
სევდის მორევი!..

26.11.2013
თბილისი

მემატიანე სოფლის

ყველგან სიკეთეს თესდა, არ ჰქონდა ჟამის შიში,
თუმც ერტყა წუთისოფელი,
როგორც უდაბნო ქვიშის!
დრომ იგი აღარ დაინდო, ყველგან უგებდა ფაცერს,
მას ჰქონდა ხედვა რაინდის,
არ აკლდა სიმამაცე!
ის ერთხელ მარტო შემომხვდა, რამდენი რამე მითხრა,
ვუსმენდი სიტყვის ჯადოქარს,
ვერ მივატოვე დიდხანს!
ჩვენ ვერხვის ძირას ვიდექით, სივრცე იცვლიდა ფერებს,
დავშორდით ერთურთს კეთილად,
აღარ მინახავს მერე!
მას სძულდა მზერა მავანის, სოფელს განშორდა ოხვრით,
ჭირს შიგან მედგრად მავალი,
მემატიანე სოფლის!
საფლავში სძინავს ბერიკაცს, უზომოდ ღონე დაცლილს,
ახურავს ლოდი სამარის, –
მეტად ცივი და მკაცრი!..

19.08.2013
ბანძა

რომანსი

ვარდს ბულბული კვლავ უგალობს კდემით,
მათი ტრფობა რა შორიდან მოდის!..
და სიმები გრძნობით მონარხევი,
უმღერიან
სიყვარულის მოტივს!..
ო, რა ღრმაა მათი ღელვის წყარო
და თვალები თანაგრძნობით სველი!..
აღტაცებით ორი გული ხარობს
და იზრდება მათი გრძნობის ველი!..
ის არასდროს დაიძლევა ქნარით,
ვერვინ შექმნა საგა მათი ტრფობის.
ცა ირხევა შორით მინანქარის
ფშვინავს ბალი, –
შემოსილი მთვარით!..

27.05.2013
თბილისი

საით მიქრიხართ?

ეს ურჩი ქარი ამ თეთრ ღრუბლებს სად მიაქროლებს?
ვდგავარ მიდნორზე –
ნაღვლიანი, სივრცეს გავცქერი...
რა სევდიანად გალობს ბაღში ჩიტების ქორო,
ცვივა რტოები ბებერი
და ქარით ნაცემი!..
თეთრ ანგელოზებს მისდევს ქარი შმაგი ჯენებით
და სივრცეს ისევ მძაფრი ხმების
აწყდება ექო!
საით მიქრიხართ, სიშორეში, შეუჩერებლივ
და მეშინია, სადმე
აღარ გადაიჩეხოთ!..

23.06.2013
თბილისი

აპრილი

მე ისევ ღამით კოშმარული სიზმრები მტანჯავს,
არ ვიცი, რა ვქნა და ზღვის
ნაპირს ვემარტოები!
ველარ ამშვიდებს სულს ამღვრეულს უბრალო განსჯა
და ირხევიან ტირიფების
მწვანე რტოები...
ნაზამთრალ ნაძვებს ფერი ისევ ეცვალათ ერთობ
და ქრის ნიავი უჩვეულო
თამაშით ფერთა...
ნისლი მიჰყვება სააპრილო, ზოზინით ფერდობს
და ყველაფერი განახლების
ფერებში ფეთქავს!..

12.04.92
სოხუმი

სულო, გაფრენას საით აპირებ?

გაურბის სული სივრცეს უფერულს,
საწუთროს გზები ცრემლით მონამა!..
კვლავ შემოდგომის ქარი უბერავს,
ველარ ვიშორებ
დღეებს ონავარს!
ვუახლოვდები ზამთრის ნაპირებს
და მიდის ცაზე მთვარე ზოზინით...
სულო, გაფრენას საით აპირებ,
რომ ფრთებს შლი
ფერადს ანგელოზივით?!

16.08.2013
თბილისი

მონადირე ძაღლი

გეძახოდნენ შენ ძაღლების დედოფალს,
        რომლის ღირსი უსათუოდ იყავი!
შესაქებლად სიტყვა აღარ მეყოფა,
რომ ხსოვნასთან
რჩები გაურიყავი!..
ნადირობით ცხრა მთა გადაგატარეს,
        ჯადოქარი ძაღლი იყავ ნამდვილი!
არვინ გყავდა შენ ტოლებში სადარი,
ვერც ნაკვალევს
გიმალავდა ნადირი!
როცა წლები მოგეძალა ვერაგი,
        დადიოდი, კუთხე-კუთხე გმინავდი!..
მერე ზამთრის გადაიცვი პერანგი
და უეცრად,
სადღაც გაუჩინარდი...
გეძახოდნენ შენ ძაღლების დედოფალს,
        რომლის ღირსი უსათუოდ იყავი!
შესაქებლად სიტყვა აღარ მეყოფა,
რომ ხსოვნასთან
რჩები გაურიყავი!..

07.09.12
თბილისი

ჩემს ფანჯარასთან

ჩემს ფანჯარასთან რტოზე ალუბლის
მწუხრის ჟამს ჯდება ჩიტი პატარა...
მე ვიცი იგი რაზე საუბრობს,
ან რატომ არხევს
ასე ქანდარას!..
მე ვიცი, იგი თუ რას მოელის,
მე ვიცან ჰანგი სევდანარევი!..
ასე ირხევა სიმი ყოველი
შეშფოთებული მწუხრის ზარებით!..
სულს არხევს ისე, როგორც საკმეველს
და მზე სცილდება ზეცის კაბადონს...
მან შეიყვარა ჩემი სარკმელი
და წუთისოფლის
სევდა გამანდო...

15.05.56
სოხუმი

ბაღში

გუშინ მთელი დღე ვერის ბაღში მიმოვიდოდი
და ვივსებოდი მოგონების
მძაფრი ტკივილით!..
ჩემი ობლობა, სადღაც ღელის პირას ტიროდა
და გულს მივსებდა უჩვეულოდ
ეს სიმძიმილი!..
არხევდა ხეებს ცივს და შიშველს ქარი იანვრის,
ისინი ზეცას გასცქეროდნენ
ხვეწნით, ვედრებით.
და მიცურავდა მზე ღრუბლებში უსხივმფინარო,
იდგნენ უზომოდ დაღლილები
ქარის შეტევით!..

08.01.2014
ვერა

უკვლავება შევსვი!

რხევა შენი ტანის მე ნამდვილად შემშლის!
მეშინია გოგო,
            რომ გადატყდე წელში!
მე სიყვარულს ვეძებ, საყვარელო, შენში,
დავდივარ და რწმენით
ჩემს თავს ვანუგეშებ!..
უშენობით მიჭირს, სული ერთობ კვნესის,
დავდივარ და ყველგან,
            მაგ შენი ხმა მესმის!..
მზე მაისის გვიხმობს, ისევ სანუკვარო,
გელოდები, მოდი...
დაუბერე ქარო !..

12.08.70
სოხუმი

კვლავ წინ მიიწევ

მომღერალ ქალს

შენ ხარ მოვარდნა ღვთაებრივ ცეცხლის,
ერთობ შეკრული ფერებით, რიტმით!
და სულის რხევით სივრცეებს ერწყმი,
ეს ცხადი გახლავთ
და არა მითი!
იღვრება ციდან ოქრო და ვერცხლი
და დროის ქროლვა არაფერს ნიშნავს!
შენ ხარ მოვარდნა ღვთაებრივ ცეცხლის,
რომელიც ტრფობის
ზეიმად იშვა!

12.02.2014
თბილისი

მთვარის საიდუმლო

გვიან ამოდის მთვარე და დილით რჩება ცაზე,
მზე ვარდისფერი, როცა
მინდორ-ველს ალამაზებს...
გვიან ამოდის მთვარე, ირხევა ორი ლანდი,
გვიან ამოდის მთვარე,
დილით ფერმკრთალი ჩადის...
გვიან ამოდის მთვარე და ირჩევს ბილიკს მარტივს,
შენ მეჩვენები, მხოლოდ,
შენ მაგონდები, ნატრი!..
გვიან ამოდის მთვარე და ხსოვნის სიმებს არხევს
და საიდუმლოს ღამის,
თუმცა, არასოდეს ამხელს!

19.06.12
თბილისი

მენანება ძლიერ!

ო, ის ჟამი მენანება ძლიერ,
რაც მინდოდა, ვეღარ ავისრულე!
მოზღვავებულ ტკივილს ვეღარ ვძლიე,
ისე მივალ,
მეგობარო, სულეთს!..
გული მიმაქვს ღელვით ანანთები,
და საწუთროს ვეხეთქები კედლებს!..
სიბნელეში ისე ჩავიკეტე,
ვერ იქნა და
ვერ გავშალე ფრთები!
დემონების ცბიერებას ვწყევლი,
შეუპოვრად მივარღვევდი ზვირთებს...
სატკივარი ეჰ, რამდენი ვზიდე,
მაგრამ ვეღარ
მოვიშორე ცრემლი!..
დამიწყვიტა ჟამმა ყველა სიმი
და შენი ხმა სიშორიდან მესმის...
შემატოვა დამსხვრეული ქიმი
და ეს ჩიტი
რტოზე ანაკვნესი!

01.10.12
თბილისი

ჩემი ჭალა

ჩემი ჭალა მენატრება სანუკვარი
და მის ხსოვნას
ვერაფერზე გავცვლი!
მიგვაფრენდა აბაშისკენ მინდვრის ქარი
და ვეტრფოდი
ნანახსა და განცდილს!..
ის დღეები მახსენდება ბევრის მთქმელი,
მოგონება, რამდენ
სევდას მახლის!..
ახლა, უკვე, იქ არავინ მელის,
ქარი, ღრუბლის
ერეკება ნახირს...

27.09.10
თბილისი

სინანულის სიმი

ვუცქერდი თვალებს ღამეული ლოდინით დაღლილს
და სულს იდუმალს სინანულის
არხევდა სიმი!..
და ჩემს ხსოვნაში ირწეოდნენ რტოები ატმის,
ანთებული ცისკრის სხივებით...
ვუცქერდი თვალებს, ცოცხლდებოდა სურათი სოფლის, –
მთვარისოდენა პატარა ეზო და ცისფერთვალა
ცქრიალა წყარო,
რომელსაც ყელზე ეკიდა მუდამ, –
შენი სიცილის თეთრი ეჟვანი!..

14.06.74
სოხუმი

ნიჟარისფერი მდინარის მიღმა

მზემ მწვერვალები შეღება წითლად,
იდგნენ ხეები ქარით ნაცემი!..
მე გავცქეროდი მზის ჩასვლას დიდხანს
და იყო მხოლოდ
მზე ალმაცერი...
ნიჟარისფერი მდინარის მიღმა,
იფარებოდნენ
ბინდით ბორცვები...
მე გავცქეროდი მზის ჩასვლას დიდხანს
და მიმაფრენდა
ფრთები ოცნების!..

12.06.74
ბანძა

ამაოდ ვეძებ!

გაჭენდა ჩემი ლამაზი წლები
            და ვიხედები ამაოდ უკან!..
გულზე ტკივილი მომაწვა წყებად,
უნდა მაქციოს
დარდების ლუკმად!..
იმ ძველ ბილიკებს ამაოდ ვეძებ,
            მომავალ დღეებს ვეუცხოები!
დავდივარ მარტო, უშენოდ ვერ ვძლებ,
გავცქერ ნაღვლიან
რხევას რტოების...

11.10.12
ბანძა

მოვა დრო!

მ-ს

შენი მედგარი ნაბიჯები ღირსია ქების,
მამულს მოთენთილს დ დაცემულს
შეასხი ფრთები!..
ეს შენ გახადე ცა ლამაზი და სანაქებო
და იმ დღეების სიდიადით,
ო, ახლაც ვთვრებით!..
ხალხის ტკივილი, ხომ საკუთარ ტკივილად სცანი,
მოუხმე ერთობ ბოროტების
წამლეკავ ქარებს!..
მოგვალულ მიწას გაზაფხულის აპკურე ცვარი
და მოაშორე საუკუნოდ
დღეები მკრთალი!..
ღვთაებრივ ძალით ამოზიდე ტლაპოდან იგი,
ვისი სახელიც, სამარცხვინოდ
ჭაობში ეგდო!
მოვა დრო, ერი ტრიუნფალურს დაგადგამს
გვირგვინს,
რადგან პირწმინდად
დაუბრუნე სამშობლოს კრედო!..

08.10.12
თბილისი

დრო არასოდეს დაშრება

დრო მიდის ზავთით, მუქარით... სულს უშენობა აბერებს!
გაქრა დღეების ლაშქარი,
მოირღვა ცა უნაპირო...

სული სულს ითხოვს ათრიანს და ფერთა ღელვას ვარდების!..
ახლაც მინდორზე დარბიან,
ო, ის პატარა ლანდები!..

დრო არასოდეს დაშრება, როგორც არაგვი ორფერი,
და ასე ფერთა თამაშით
მიდის და მიდის სოფელი!..

23.03.54
სოხუმი

მოვდივართ ერთად

პირველად ვხვდები თბილისურ ზამთარს,
ეს რა უზომო ტკივილი დამაქვს!
ერთად მოვდივართ ქუჩაში, თამთა,
და ფანტელების
ვუცქერით თამაშს...
მივყვებით გრძნობით რუსთველის გამზირს
და სულის ქროლვას არ უჩანს ზღვარი...
ხვალ ჩვენს სიყვარულს დრო უფრო გაზრდის
ო, ღვთაებრივი ციური ძალით!..
გავცქერთ მთაწმინდას, ხან კი სამებას
და სივრცე თოვლში ირხევა მკრთალი..
ო, როგორ იტანს სული წამებას
და მაინც მივსდევთ
ნაფეხურს მთვარის...
პირველად ვხვდები თბილისურ ზამთარს,
ეს რა უზომო ტკივილი დამაქვს!..
ერთად მოვდივართ რუსთველზე, თამთა,
და ფანტელების
ვუცქერით თამაშს...

19.12.97
თბილისი

ატირდა ია

მარტის თვის სუსხი ჩამოწვა და ისევ, მიჩენს საფიქრალს,
ატირდა ია ლურჯთვალა,
                  როდესაც თოვლმა დაფიფქა...
ნორჩმა ფოთლებმაც ჩურჩული შეწყვიტეს შიშით ქარების,
სად გაქრა ასე უეცრად, –
ცა ანგელოზის თვალებით?!
ამღვრეულ სივრცეს გავცქერი, ვიცოდე ნეტავ, როდემდის?
და გულს სატკივარს უმატებს,
გულს მწუხარებით მოთენთილს!..

25.03.47
ბანძა

მოდის, მოღელავს...

შეხედე, მაღალ მწვერვალებს მზე სხივებს როგორ ახვევს,
მერე მოვა და ეწვევა
მინდორ-ველსა და ბაღებს...
შეხედე, ზვირთი მოღელავს დ მზე უვარცხნისქოჩორს,
ფოთლებში ფეთქავს ხოხობი,
მოლზე კაკანებს როჭო...
პირი უცინის პირიმზეს, შენც გაიცინე ქალო!
მოდის, მოღელავს დილის მზე..
ცხრა ანგელოზი გალობს...

21.05.52
სოხუმი

სიყვარული

მკერდს ვეფერები სანუკვარს,
მთვარის სინაზით მოფენილს...
ის მოკლავს, ვისაც მოუკლავს,
უხარებია
სოფელი!..
არხიე ტანი ავაზის,
ო, ჯერაც დაუპყრობელი!
მე მკერდს ვეხები ლამაზად,
როგორც კლავიშებს
შოპენი!

15.05.57
სოხუმი

წვება საღამო

ზღვის პირას წვება საღამო, ბაღში თამაშობს ნიავი,
მოახლოებით აპრილის, სული გრძნობს
თრთოლვა-სიამეს!..
მინდვრად ბალახი იღვიძებს და ზღვაც ღელავს და ციმციმებს,
ზღვის პირას წვება საღამო
და მესმის შენი სიცილი!..

24.02.72
სოხუმი

ზღვაზე

მზე ეშვებოდა ზღვის სიღრმეში და დიდხანს მერე
გადახრილ სვეტებს იისფერი
ღებავდა ფუნჯი...
მე და შენ ჩუმად თეთრ ბაქანზე ვიდექით, ნანა!
და შენს თვალებში ზღვა მღეროდა
უსაზღვროდ ლურჯი!..
თეთრი ხელებით აპურებდი პატარა თევზებს,
მზე ჩაიძირა გადახრილი
სვეტების მიღმა
და ოქროსფერი სკაფანდარით
დაეშვა ფსკერზე...

12.06.70
სოხუმი

* * *

შეირხა ჩუმად ლერწამის ღერო, როგორც ბუნების
სიმი ციური
და ცის სიღრმიდან რეკავდა წერო,
იყო ტკივილი ამქვეყნიური!..
ცა ირხეოდა შემოღამების, როგორც ფოთლების
ლურჯი ხავერდი...
გამოჩნდა ბინდში სითბო თვალების
და იდუმალი თრთოლვა გამანდო!..

07.06.70
სოხუმი

შევკარით წრედი

ჩვენ ლირიკაში შევკარით წრედი,
სად სამი სული ძლიერად ფეთქავს!..
ჩვენ ლირიკაში შევკარით წრედი
და მე ეს წილად
მარგუნა ბედმა!..
ავანთეთ ქროლვით გულები მძაფრად
და ვაგეთ რწმენის ტაძარი მტკიცე!..
და ზღვაზე სამი გავშალეთ აფრა,
გავითავისეთ ჟამი
და სივრცე!..
ჩვენ ლირიკაში შევკარით წრედი
და გულთა შორის ვპოვებდით კავშირს!..
ო, ამ მიწაზე ვცხოვრობდით, ვწერდით...
და მას ვერასდროს
ვერავინ წაშლის!..

14.04.03
მოსკოვი

რატომ და რისთვის?!

რატომ უცვლიან ადგილს ასე ფერები ერთურთს,
რა იმალება, ან რა არის
ხილულის იქით?!
შეხედე მყინვარს, როგორ ელავს, უცქირე თეთნულდს,
ვინ მისცა ასე ყოველივეს
ფერი და რიგი?!

მოვა ზამთარი, ბობოქრობენ ქარები მკაცრი,
მერე სივრცეებს გადაბურავს
თოვლი და ნისლი...
ყველაფერს ვხედავ, ვაკვირდები, – სიმშვიდეს მაცლის,
ეს ყოველივე როგორ ხდება,
რატომ და რისთვის?!

მივექანებით, ვრეკავთ ზარებს, ვეძახით წინსვლას,
ქანაობს მიწა, უდაბური
გუგუნი ისმის!..
და ჰგავს ცხოვრება ლაჟვარდებში დარხეულ სიზმარს,
ეს ყველაფერი, როგორ ხდება,
რატომ და რისთვის?!

ო, რატომ არის გაზაფხულს რომ მარადის ვეტრფით,
ყვავილებს რატომ ეშინიათ
ქარის და სიცხის?!
ვიძლევი კითხვას და შენ ვიცი, ვერაფერს მეტყვი,
ეს ყველაფერი, როგორ ხდება,
რატომ და რისთვის?!

მიდის ზაფხული და სიცოცხლე იცვლება, ჭკნება,
მდინარე, სადღაც თავდალმართზე
მოთქვამს და მორბის...
ო, იქნებ, მითხრა ყველაფერი, ეს როგორ ხდება,
ან, ასე რატომ ეომება
სიმაღლეს ორბი?!
რატომ წვებიან პლანეტაზე ლანდები ზორბა,
რად გვაღელვებენ: პაგანინი,
შოპენი, გრიგი?!
ვერაფერს მეტყვი და, არც მინდა დაკარგო ნდობა,
ო, თუმცა, დღემდე
არასოდეს გქონია იგი!
წარსულის, ხშირად გახსენება გვაღელვებს, რატომ?!
ან მზერა ჩვენი რატომ მისდევს
ვარსკვლავთა ციმციმს?!
რა გველანდება, რატომ ვწუხვართ, როცა ვართ მარტო,
ეს ყველაფერი როგორ ხდება,
რატომ და რისთვის?!
ო, ასე ხარბად რად უცქერენ თვალები ერთურთს?
ან ხშირად, რატომ ვერ ვიკავებთ
ბაგეზე სიცილს?!
ან ეს დღეები, რომ მოდიან, – რა მოაქვს შენთვის?
ეს ყველაფერი როგორ ხდება,
რატომ და რისთვის?!
მითხარი, ასე ო, რატომ დუმს უდაბნო ქვიშის?
ან რატომ გდია ასე უხმოდ
მიწაზე ლოდი?!

ეს ვინ ჩაჰკირა ჩვენს სხეულში ამდენი შიში?
მე პასუხს ველი
და საზღვარი არა აქვს ლოდინს!..

27.10.48
ბანძა

ისმის ჩიტების ჟღურტული

მზე გაზაფხულის მოიწევს,
ისმის ჩიტების ჟღურტული!..
ზურიკომ მშვილდი დააგდო
და მიაყოლა შურდულიც.

მდინარის ჩქამი მომძლავრდა,
ზღვაურიც აღარ ზღვაურობს,
ჰა, გაზაფხული მობრძანდა,
ათრებით მიმოგზაურობს...

იყო ბუნების წყალობა,
ზამთარი გადასულიყო!
და ჩიტუნების გალობას,
გულით უსმენდა ზურიკო!..

15.03.45
სოხუმი

კვლავ მოაწვა

კვლავ მოაწვა გაზაფხულის დილა
ჩემს ფანჯარას და ოცნებით ვთვრები!..
ჩიტუნების ვისმენ მელოდიას,
სიყვარულმა კვლავ,
გაშალა ფრთები!..
ჰა, ზამთარი მოვიტოვე მკაცრი,
მზე საცაა, მწვანე აფრებს გაშლის...
იალბუზს აქვს გამოხედვა მარშლის
და მყინვარწვერს
ბიბლიური კაცის!
ზღვაზე მოჩანს იალქანების წყება
და აპრილის ველოდები მოსვლას,
ზამთრის დღეებს მივცემ დავიწყებას,
თუ ოცნებას
შუქი შემიმოსავს!..

10.03.2014
თბილისი

ფოთოლი

უსმენ ღრუბლების შორეულ შიშინს
            და უსახელო დაღუპვას ელი!..
ცახცახებ მუდამ ქარების შიშით,
როგორ გეცვლება
ყოველდღე ფერი?!
ცახცახებ მუდამ ქარების შიშით,
            სავსე გაქვს მწუხრის ცრემლით თვალები!..
და შენს მუხლებთან შრიალებს ქვიშა,
როგორც სიმბოლო
ფერიცვალების!..

25.10.64
ბანძა

რას წუხს?!

შემოდგომის მოთენთილი ზეცა, ქარი არხევს
ხეებს უმიზეზოდ!..
სიხარული გაატანა მერცხალს,
რას წუხს ახლა
ჩემი მცირე ეზო?!
ტყეებს ლურჯი დაუკეცავთ აფრა და მზე მკრთალი
ეფარება ღრუბელს...
ნისლი მთიდან ჩამოცურდა დაბლა
და სივრცეებს
ღელვა გადაურბენს!..

28.10.64
სოხუმი

ისევ ირხევა ტირიფი მწვანე

მთვარიან ღამით მაღლობზე ქარში
ცეკვავენ ხორუმს
ხეები ნაძვის...
და მე ჭაღარა გამიჩნდა თმაში,
რომ ვერ გავექეცი
დროსა და მანძილს!

თუ საით მივქრით არავინ იცის,
ამაოდ ეძებს
სიმშვიდეს სული!
ისევ გავცქერი ვარსკვლავთა ციმციმს
და რას მომძახის
დრო გარდასული?!

გულს რად შემორჩა ჭრილობა მწვავე,
ირგვლივ ყველაფერს
ეცვალა ფერი!
ისევ ირხევა ტირიფი მწვანე,
ჩვენ რომ ესოდენ
გვიყვარდა, მერი!

08.04.09
ბანძა

დაისის ცა

ცა დაისის ჟამს ღუის ისე, როგორც მოცხარი
და შეღამების მოიისფრო
ჩანან ქედები...
ციდან მდარაჯობს ანგელოზის თვალი მოწყალე
და ნისლში კრთება მზე
სისხლისფრად შენადედები...
ზღვა მოციმციმე ეფერება ცათა დაფიონს,
კალმახებივით ნაპირებთან
ხტიან ჯავლები...
დგანან ანძები უმოწყალოდ განაჯავრები
და ქარი არხევს შემოდგომის
ნავებს აფრიანს...
სადღაც, ხევიდან ამოცურდა ნისლი გედივით,
რომ ფერი ცისკრის ზღვის
სილურჯეს გადაათოვოს...

20.08.78
სოხუმი

თეთრ ღრუბლებს

ათას წლის შემდეგ, თქვენ ასე ივლით,
ამ ჩემს ზეცაზე, ღრუბლებო ჩემო!
ვერც ვარსკვლავები შეწყვეტენ ლივლივს,
ჩემი ფერმკრთალი
საფლავის ზემოთ!..
ბევრჯერ შეარხევთ მთვარისფერ რტოებს,
ჩაივლით ო, ამ მდინარის ახლოს...
მე ამ სანახებს დუმილით ვტოვებ,
რომ სხვა სამყაროს
ფერები ვნახო...
ამ ხეივნების მოლურჯო შრიალს,
ჩემი ლამაზი დღეები ახსოვს!..
ჟამს ხორციელი ტკივილი მიაქვს
და სულს შორეულ
ფერებში აქსოვს...
თუ მომინდება მოვსწყდები სივრცეს,
ჩემში უზომო ტკივილი სახლობს!
ძვირფასო ჩემო! ვერ დაგივიწყებ,
ვერც ჩემო ეზოვ,
ვერც ჩემო სახლო!
ათას წლის შემდეგ, თქვენ ასე ივლით,
ამ ჩემს ზეცაზე, ღრუბლებო ჩემო!
ვერც ვარსკვლავები შეწყვეტენ ლივლივს,
ჩემი ფერმკრთალი
საფლავის ზემოთ!..

04.06.09
ბანძა

მდინარესთან ილანდება ქალი

დღემ დაუშვა უმოწყალოდ ფარდა
        და სივრცეებს გამოსტაცა ფერი!..
სხვა რა დარჩა მოგონების გარდა?
ვარხევ სიმებს მაგ
ცრემლებით ფენილს!..

ღამემ მთვარეს აუხილა თვალი
        და სივრცეში გზას მიიკვლევს მშვიდად
და წარბების მოზიდული მშვილდით...
მდინარესთან
ილანდება ქალი.

სული ღელავს სევდით დანასეტყვი,
        თვალი ხარბად შიშველ მკლავებს ლანდავს!..
სხვა რა დარჩა მოგონების მეტი?
სხვა რა დარჩა
მოგონების გარდა?!

20.10.71
სოხუმი

...და ჟღერს ამაყად ჩანგი!..

ვინც ქმნის ცხოვრების სქემას, ის ცოტა რამეს ამბობს,
დღეს აღტაცების, ემა,
დღე მწუხარების სჭარბობს!
ვერ გაარღვია გემმა წყება ზვირთების ურჩი,
დღეებს ვარდისფერს, ემა,
სჭარბობს დღეები ლურჯი!..
მწარედ მაჩნია გულზე ო, იმ დღეების ჭანგი!
მაინც მომავალს ვუმზერ
და ჟღერს ამაყად ჩანგი!..

31.12.71
სოხუმი

რაა სიკვდილი?

გაიფანტება ჩემი ტანის ყველა ატომი,
რაა სიკვდილი? –
სიშორეში ერთი ნახტომი!
სად წავა სული დაკაწრული ჟამის ეკლებით?
ბრუნავს სოფელი და
ყველაფერს მიერეკება...
იცვალა სივრცე, მოლაღურის ფერი გამეფდა
და სულის დავა გაძლიერდა
დროის ქარებთან!..
მაგრამ შორიდან მიღიმიან შენი თვალები,
დუმს სივრცეები
უცნაური ფერიცვალებით...
როგორ მინდოდა, მაგრამ ვეღარ მივწვდი შორეულს,
რა ვუყო ამ გულს –
უსაშველოდ გრძნობამორეულს?!
გაიფანტება ჩემი ტანის ყველა ატომი,
რაა სიკვდილი? – სიშორეში
ერთი ნახტომი!

29.11.11
თბილისი

ის დრო გაცურდა გედივით

დღეს მზემ ზენიტი დატოვა და უკვე იწყებს დაშვებას,
ძვირფასო, ისევ მარტო ვარ
                და ჟამი მეგანგაშება!..
დროს მიაქვს, რაც მიწყალობა, ვტოვებ სანუკვარ ნაპირებს,
აჰა, ვამთავრებ გალობას
და შორს გაფრენას ვაპირებ!..
ო, ეს რა ცეცხლი მედება, კვლავ შენზე ფიქრი მაწვალებს,
ის დრო გაცურდა გედივით,
                ცრემლი მისველებს წამწამებს!..
დღეს მზემ ზენიტი დატოვა და, უკვე იწყებს დაშვებას,
ძვირფასო, ისევ მარტო ვარ
და ჟამი მეგანგაშება!..

22.06.09
ბანძა

დედას

იდგა მაისი ყვავილების გვირგვინით ხელში
და ცივ ლოდებთან მოზღვავებულს
არხევდა სევდას!..
შორს, მიცურავდა ცის სიღრმეში ღრუბელი მრეში
და მე შენს საფლავს დავცქეროდი
ტკივილით, დედა!..
რატომ წამგლიჯა გულქვაობამ ღიმილი შენი,
ვდგავარ მდუმარე და არ ვიცი,
ძვირფასო რა ვქნა!
ჩემი წამება უჩვეულო არ ითქმის ენით,
როცა ბავშვობის სათაყვანო
ზღაპარი გაქრა!..

17.05.57
ბანძა

რატომ არ დამემშვიდობეთ?!

უკვე სიცივე ჩამოწვა, ქარები არვის ინდობენ,
თქვენ, გაფრენის წინ, მერცხლებო,
რატომ არ დამემშვიდობეთ?!
სივრცეს ამაოდ გავცქერი... რა უფერულად ციმციმებს,
მზე შუქთა რხევით მოიწევს,
მაგრამ ტკივილს ვერ მიმცირებს,
არ მესმის თქვენი ჭიკჭიკი, სული ნაღველით მევსება,
უთქვენოდ, ჩემო კარგებო,
მე მხოლოდ სევდა მესევა...
გასცილდით მთებს და მინდორ–ველს, თან მიგაქვთ დიდი
ტკივილი,
ფრთებს ახლის ზვირთი სალ კლდეებს
და ისმის ქარის ხივილი!...

04.08.2012
თბილისი

ისევ ამოდის მთვარე ბებერი...

წარსულს გავყურებ და მეჩვენება –
ჩემი ცხოვრება კალაპოტს იცვლის!
ამაოდ, ვცდილობ მის შეჩერებას
და დემონების
ვაწყდები სიცილს!..
წარსულს გავყურებ და მზერა მკაცრი
სცილდება საზღვრებს ჩემი ცხოვრების...
ჟამი ხელიდან იმედებს მაცლის,
თუმც, წლებს
გარდასულს ვემახსოვრები!..
სული კოშკია აუღებელი,
რომელშიც მწარე ტკივილებს ვაქსოვ,
ისევ ამოდის მთვარე ბებერი,
რომელსაც ჩემი
ბავშვობა ახსოვს!..

16.07.2013
თბილისი

მზე ჩადის

გაფრინდა იმ დღეთა წყება და მარტო შემოვრჩი ბილიკს,
მზე ჩადის, საღამო წვება...
გავცქერი მტკვარსა და თბილისს...
ო, ეს დრო არ ითხოვს ქებას, და სივრცის გახუნდა ფუნჯი,
გაფრინდა იმ დღეთა წყება,
და გაქრა ის ზეცა ლურჯი!

22.08.2013
თბილისი

მაისის წვიმა

ვუსმენ მუსიკას წვიმის და ჟრუანტელი მივლის,
ვუსმენ მუსიკას წვიმის, შენ,
                  რომ გიყვარდა, ლილი!
ვუსმენ მუსიკას წვიმის, მთვარე ღრუბლებში შედის,
ვუსმენ მუსიკას წვიმის,
განაწამები ბედით!..
კვლავ ვარხევ ხსოვნის სიმებს და ტკივილები მიპყრობს,
ისევ ჩამოდის წვიმა და მე კი
                  შენზე ვფიქრობ!..
ვუსმენ მუსიკას წვიმის და გული ოხრავს მძიმედ,
ვუსმენ მუსიკას წვიმის
და ის მიბრუნებს იმედს!..

25.09.2010
თბილისი

სევდიანი მზერა

ვინ მოთვლის ქვეყნად თუ რამდენი ვიხეტიალე,
ფეთქავდა გული
სიყვარულით დაუცხრომელი!..
ისევ ქარების უნაპირო არის რიალი
და ქრება ირგვლივ წუთისოფლის
შუქი ცხოველი!..
შემომრჩა მზერა სევდიანი, ცრემლით სოველი,
და მთვარიანში დავდივარ და
სივრცეს გავცქერი...
მიუწვდომელი, დარჩა ისევ მიუწვდომელად
და მიცქერს ცივად სიშორიდან
დრო ალმაცერი!..

16.06.2013
თბილისი

აჰა, შემოდის აგვისტო!..

შენ ველარ დაგემდურები, ვერც გაზაფხულის სიცილს,
დრო მიდის, მიედინება და
მზე კალაპოტს იცვლის!..
ვერ გავექეცი ცდუნებას, ვერც ელვარებას სივრცის,
დრო მიდის, მიედინება
და, იცი, როგორ მიმძიმს? –
მე უშენობა, ძვირფასო, და იმ თვალების ფერის!..
სადღაც, ბალახი ხასხასებს,
სადღაც ჩიტუნა მღერის!..
აჰა, შემოდის აგვისტო და კრთის ყვავილი ველის,
სადღაც შრიალებს ატმის რტო
ჩვენი ბავშვობის ფერი!..

18.07.52
ბანძა

მოდის ღამე მკრთალი

ჩამავალი მზის სხივები ლურჯ ფოთლებში ჟონავს,
გულმა დარდი უმძიმესი
ვეღარ მოიშორა!
ვდგავარ ბაღში შადრევნებთან, მოდის ღამე მკრთალი,
მზე ეშვება სიშორეში
და გზას უთმობს მთვარეს...
ბეღურები ასკინკილას თამაშობენ მინდვრად
და მათ თავზე უცაბედად
მტრედი გადაფრინდა...
ქრის ნიავი შეღამების და ფერს იცვლის სივრცე,
მე კი ვდგავარ შადრევნებთან,
გული გრძნობით მიცემს!

24.08.2013
თბილისი

***

მზე ჩადის მშვიდად ნანგრევებს იქით
და ჩამოდიან ნისლები მთიდან...
მე დავიღალე ო, შენზე ფიქრით,
საგნები ფრთხილად იცვლიან ფერებს
და ამოდიან ნიჟარებიდან
შავი ლანდები...

21.09.55
სოხუმი

მივალ ხეივანში...

თვალებცრემლიანებს ისევ ვეფერები,
მივალ ხეივანში...
ფერთა მორევია...
მოჩანს გორაკები ნისლით შეფერილი
და ბაღს შემოდგომის
სევდა მორევია...
სივრცეს სამოსელი ეს ვინ გაუხუნა?
ლეჩაქდაბინდული
დგანან მწვერვალები...
ზეცას მუზარადი ღრუბლის დაუხურავს
და მზეს გაქრობია
ძველი ელვარება!
ღელე მიდუდუნებს ფოთლებდაფენილი,
თითქოს დაუკარგავს
ძველი სიანკარე!
მე კვლავ უკან ვუხმობ დღეებს გაფრენილებს,
ფოთლებს ჩამოღვრილებს
ქარი მიაქანებს...

14.10.2012
თბილისი

პოეზიის რაინდი

მუხრან მაჭავარიანის ხსოვნას

„მიჰყევი შენს გზას, დე, რაც უნდა
ილაყბონ კაცთა!“
დანტე ალიგიერი

შენ მოგავლინა უფალმა და საიდუმლოც გაგანდო!...
იბრძოლე კაცმა უფაროდ,
იომე უმუზარადოდ!
მზეს დღემდე თავისუფლების, ღრუბლის მორევი ფარავდა,
შენ გქონდა შენი დიდგორი!
შენ გქონდა შენი მარაბდა!
მამულის სევდა გაწვიმდა, იდექ კლდე დაუპყრობელი!
დაგადგამს მთვარე მთაწმინდის, –
ზედ მთაწმინდაზე ობელისკს!

25.05.10
მოსკოვი

ისევ შრიალებს

მე ის დღეები მახსენდება ესოდენ თბილი,
მივსდევ ბავშვობის ნაფეხურებს,
მიტაცებს იგი!..
თამაშობს მოლზე უჩვეულოდ ნიავი დილის,
ო, რა ზღაპრული სილამაზე
ანთია ირგვლივ!..
მზე გაზაფხულის ბაღჩა-ბაღებს სიუხვით ავსებს,
თავზე მაისის მოხასხასეს
დაადგამს გვირგვინს...
მე იმ დღეების ნაფეხურებს ოცნებით დავსდევ,
ისევ შრიალებს აწვართული
ალვების რიგი..

24.05.2013
ბანძა

ვიხსენებ ოხვრით

მიმოვდიოდით ხეივანში ოლეანდრების,
ნაპირს მსუბუქად ეხლებოდა
ტალღების წყება...
ახლა, იმ დღეთა ირხევიან მკრთალი ლანდები
და ის ზღაპრული სილამაზე
მოშალეს წლებმა!..
ის ხიდი, ისევ წევს მდუმარედ მთვარიან ღამით
და ყრმობის დღეებს უჩვეულოს
მახსენებს ოხვრით!..
ბურჯებთან ხიდის ზღვის ტალღების გაისმის ჩქამი
და ვხედავ იმათ ჯებირებთან
მსუბუქად მოღლილთ.
და ცის სიღრმეში სევდიანი მიცურავს მთვარე,
გარდასულ დღეთა მოგონება,
ო, როგორ მიჭირს!
და სიშორიდან ვარსკვლავები მითვალთვალებენ,
შრიალებს ქარი გაზაფხულის –
რტოებზე ფიჭვის...

24.06.92
სოხუმი

იგრძნო ცივი მზერა

მაფშალიას მიეპარა ციცა,
მოგალობე ლეღვის რტოზე იჯდა,
ნახტომისთვის მოემზადა ფიცხლად
და ზომავდა მანძილს
იგი დინჯად.
მაფშალიამ იგრძნო ცივი მზერა,
რტოდან რტოზე გადაფრინდა ფრთხილად.
სურვილმა არ გაუმართლა მზვერავს
და მაისის
ციმციმებდა დილა...

20.04.13
ბანძა

რატომ ატირდა ნიბლია?

დღეები კვლავაც მიქრიან, და მე არ ვიცი რა ვქნა?
რატომ ატირდა ნიბლია,
                  როს ვარდფურცლობა გაქრა!..
ო, ისევ სევდა მედება, მინდორზე ნისლი გაწვა,
დრო, საით მიეხეტება,
რომ ელვარება დაცხრა!
შორს, მოვიტოვე ტრამალი, შმაგი კივილით ქართა,
მოვედი, ცრემლით დავნამე
                  ადგილის დედის კალთა!..
მზერა კვლავ მაღლა გამირბის, რომ მერცხლებს მოვეფერო,
ეს ღვთაებრივი ტრფიალი,
ღმერთო, არ დამიბერო!

19.06.2013
ბანძა

ზის ქვაზე ბოლოქანქარა

უკვე დაფარა ბალახმა შენი საფლავი მწირი,
ზის ქვაზე ბოლოქანქარა
და გულსაკლავად წივის!..

შემოდგომაა, მიდორზე წვიმა ჩამოდის წვრილი...
უკვე ჩამოწვა ბინდები
და ჟრუანტელი მივლის!..

მზე ღრუბლის ტევრში გამქრალა, მოსწყდა ფოთოლი წყვილი,
ზის ქვაზე ბოლოქანქარა
და გულსაკლავად წივის!..

10.11.50
ბანძა

კვლავ შენზე ვფიქრობ

ვარდების ღიმილს ვეფერები გრძნობის მორევით,
ეს გული, ასე უცნაურად
                    რატომ ღონდება?!
წავიდა ის დრო, მომავლისგან არას მოველი,
მაისი მიდის და
ივლისი გვიახლოვდება!
ვიხსენებ, შენთან გატარებულ დღეების წყებას,
კვლავ შენზე ვფიქრობ, –
                    მოგონების სევდა მედება!..
ერთი ვიცოდე, ასე რატომ გამძარცვეს წლებმა,
გულიც, საცაა,
სინანულით ჩაიღვენთება!..

29.04.2013
თბილისი

მოვა დრო

მივყვები ალმართს სვენებ-სვენებით,
ქეიბურს: ეს ვინ მესვრის?
მოვა დრო, ვიცი, გამიხსენებენ,
მოლობილს
რკინის მესრით!..
მივდვივარ ჟამით ნაფერმკრთალები,
სული ვერ მალავს ვარამს!..
მე მეჩვენება შენი თვალები
და ტკივილს
ვეღარ ემალავ!..
გაუტანლობას, შურს და სიძულვილს,
დრო კვლავ მოისხამს ფრთებად.
მოჩანს მთაწმინდა გადაბინდული
და ვარსკვლავების
წყება...

12.07.2013
თბილისი

***

მე ამ მდუმარებას ვეღარ გავუძელი,
შენკენ გაშვერილი ხელი მომეცარა!
მარღვევს მწუხარება, როგორც დროის ძღვენი,
ეს რა უჩვეულო
სევდა მომეძალა!..
დღენი გარბიან და ღელვა მემატება,
ჩემში რწმენის შუქი
თუკი მუდამ ენთო!
ო, ის საოცარი გაქრა შემართება,
გული დაუმცხრალი,
ოხვრით მოითენთა!..
ვეღარ გავატანე ხსოვნა დავიწყებას,
ცრემლი მერევა და ჟამი მწუხარეა!..
მე კი არაფერი აღარ მავიწყდება
და გულს არაფერი
აღარ უხარია!

16.09.2012
ბანძა

ბანთიადი

თენდება... მინდვრის ხავერდზე კვლავ აციმციმდა ცვარი,
სიო ირხევა მაისის
ყვავილთა თრთოლვით მთვრალი!..
ელოდებიან მზის ალერსს: ტყე, მინდორი და წყალი
და აწვართული ალვები
შრიალით დაუმცხრალი...
ისმის ჩიტების ჟღურტული, იადონები სტვენენ...
და სოფლის ცენტრში კამკამა
მიარხევს სხეულს ღელე...
ცა გადმოჰყურებს მთა-ველებს ქათქათა მტრედისფერი,
სული მიელტვის სიშორეს
ზღაპრული აღმაფრენით!..

10.05.2013
ბანძა

ფერიცვალება

უკვე დავრწმუნდი ამ სოფლად, რომ სიკვდილს ვერსად წაუხვალ,
თუმც, ის ვინც გამოიგონა
აზრიც და ენაც გაუხმა!
ვერ აიცილებ მის ნებას, ის დაჯირითობს ქარივით,
მოვა და ბედს გაწყვეტინებს
და აგატირებს ქალივით!..
მარტის დღეებში შეხედეთ, ამ ხეებს ქარით მოღლილს,
როდესაც სუსხი გაძარცვავს,
ღაწვებს იხოკავს ოხვრით!
მაგრამ უფერიცვალებოდ მიწა იქცევა ჭაობად,
ვერ გაექცევი ვერაფრით
ხრწნასა და არარაობას!

19.07.2013
თბილისი

ბავშვი

ბაქანზე იდგა პატარა ბიჭი
ცნობისმოყვარე, ლურჯი თვალებით...
ბაქანზე იდგა პატარა ბიჭი
და გუგნებდნენ
ზღვაზე ქარები!..
არ შორდებოდა მზერა ნათელი
ცის დასალიერს, არც ერთი წუთით,
ქრებოდა ნელა დიდი სანთელი,
მზე ჩადიოდა
წითელი ბურთი...
როკავდნენ წყალში თეთრი კენჭები
და ღუღუნებდა იქვე ნიჟარა!..
იდგა პატარა დიდი ეჭვებით
და, როცა ჩუმად ჰორიზონტზე
მზე წაიშალა, –
ატირდა ბავშვი!.

29.08.50
სოხუმი

ვერ მივატოვებ!

იცვლება შენი ბედის ვექტორი,
ქანაობ, როგორც წარსულის ლანდი!
ძვირფასო ჩემო, ვერ მიგატოვებ,
ლამის არის, რომ
წამლეკოს დარდმა!..
ვიცოდე, ქვეყნის ვინ მართავს საჭეს,
აქ ყოველივეს, ვინ ურევს გზა-კვალს!
ამ მღვრიე ქარში ვერაფერს ვარჩევ
და ვერც მახვილით
ვუყელე მზაკვარს!
არ შედრკე, სისხლო! კვლავ იხმაურე,
თუმც, მომავლისგან არაფერს ველი!
ო, რა მრისხანე მოქრის ზღვაური
და დგახარ ქარში
გზაუპოვნელი!..

15.10.14
თბილისი

შეღამების თოვლი

გულო, მითხარ, ახლა რაღას დარდობ?
სულო, მითხარ, რად ატირებ სიმებს?
ნუთუ, ცაზე გაზაფხულის მნათობს,
ვერ მოსწყვიტეთ
სიყვარულის სხივი?!

ო, შეხედე, რა ლამაზად ბარდნის,
შეღამების თოვლი მოდის ჩუმი..
გულო, მითხარ, ახლა რაზე დარდობ?
სულო, მითხარ,
რატომ არჩევ დუმილს?

ღელავს ირგვლივ თეთრი აბრეშუმი
და ტოტებზე ბეღურები სხედან...
შეღამების თოვლი მოდის ჩუმი,
მე რა ვუყო
ამ უსაზღვრო სევდას?!

16.12.96
ბათუმი

მახსოვს!

ჩემს ოთახს ავსებს შუქი ულევი
            და მზე თამაშობს ფანჯრებთან ახლოს...
მე მახსოვს მოსვლა გაზაფხულების,
მაგრამ ეს სხვაა,
ბებერო სახლო!

შრიალებს მინდვრად ყვავილთა ტბორი,
            მაგრამ დღეს იგი ნაღველით მავსებს!
კვლავ სიოს ფრთებზე ირხევა მოლი
და მხოლოდ ყვავი
დამჩხავის თავზე!

12.04.12
ბანძა

ის დრო წავიდა

სულო, მითხარი, ქვითინებ რაზე,
            რად გადავყევი ასე სიმართლეს?
მივდივარ, ისევ მოლიპულ გზაზე
და ჩემ სიბერეს
მხრებით მივათრევ!..

ის დრო წავიდა რხევით, ჭიხვინით...
            და მოგონებებს თავს ვერ ვანებებ!
შორს, გაზაფხულმა გადიხვიხვინა
და ჟამი მივსებს
ოხვრით ზმანებებს!..

28.11.12
თბილისი

თეთრი ნავი

ამ თეთრი ნავის მე ვარ მენავე
            და გაზაფხული მავსებს ოცნებით,
როცა ქარები დაუბერავენ,
მე სიშორეში
გავიტყორცნები!..

ვიღაც, შორიდან მეძახის გაღმა,
            ო, სულო, ჟამთან შეურიგალო!
მზე, ისევ ფერად ჩანჩქერებს მაღვრის,
რტოდან მაისის
ჩიტი მიგალობს!..

25.04.12
თბილისი

შეარხევს ქარი

მე ჩიტუნების გალობას ვისმენ
            და თვალებს ცრემლი მისველებს ხშირი...
ვიღაც, შორიდან მეძახის ისევ,
და ისმის მთიდან
ყვირილი ირმის!..

შეხედე, ღამე მოიწევს მრუმე
            და ცაზე მთვარე ამოდის მკრთალი...
სიმები ჩანგის ვერ დავადუმე
და იასამანს
შეარხევს ქარი...

14.04.12
ბანძა

ნეტავი, საით მიქრის?

სულს ნეტარებას ვერ სძენს ხავერდოვნება დღეთა,
დავდივარ, ვღელავ, ვეძებ...
რას სწუხს ადგილის დედა?!
ყრმობის დღეები გაქრა, მიტევს ცხოვრება მედგრად,
ჟამის კლანჭებმა გამკრა,
გული კვლავ მძლავრად ფეთქავს!..

ხსოვნაში ზღვის პირს დავალ და შენს თმებს ვეფერები,
მე შენმა ტრფობამ, მერი,
ბევრჯერ შემასხა ფრთები...
ქარავანს ო, იმ დღეთა მიერეკება ჟამი,
ივსება სხივით ვარსკვლავთა
ეს ღამეები შავი...

ადგილის დედა ღელავს და მე ვივსები ფიქრით,
სევდითმოცული სული,
ნეტავი, საით მიქრის?
ღამეებს თეთრად ვათევ, ო, ცრემლით დატვირთული
და ზარებს რეკავს მნათე,
წინ, კვლავ გზა მიდევს რთული!..

16.05.2016
თბილისი

იდგა სიჩუმე

მე შენს საფლავთან ფეხაკრეფით მოვედი გუშინ
და მთაწმინდიდან შემოდგომის
ნისლი მოცურდა...
რა უჩვეულო ტკივილები შემეჭრა გულში,
იდგა სიჩუმე
ფოთოლცვენით გარემოცული...

ცისა და მიწის მწუხარებას არ ჰქონდა ზომა,
შორეულ დღეებს ვიხსენებდი
ქროლვებით მოღლილს!..
ააცურებდა ჩემი სევდა ვეება ხომალდს,
ვიდექი დიდხანს... მერე დუმილს
გავშორდი ოხვრით!..

17.10.2013
ვერა

არ მინდა ვნახო

დავდივარ ბაღში შემოდგომის და გული ღელავს,
არა აქვს ზღვარი ჩემს ტკივილებს
მორღვეულს ჟამით!..
მიედინება ხევხუვებში ფერმკრთალი ღელე
და ცის ლაჟვარდზე
იფოფრება ღრუბელი შავი...

არ მინდა ვნახო გაძარცული ხეების წყება,
ცახცახა ფოთლებს
სიშორეში მიაფრენს ქარი...
უფერულ დღეთა მაცქერალი დამღალეს წლებმა
და მივუყვები ცრემლიანი
ბილიკებს მთვარის...

03.12.2013
თბილისი

ყველგან დავეძებ!

ჩემი სოფელი მახსენდება სავსე ყღურტულით
და გაზაფხულზე უჩვეულო
ფერთა გამებით!..
დრო მიქრის ისევ, გატყორცნილი მძიმე შურდულით
და მის სივრცეში ოცნებებით
ბევრჯერ გავები!..
რამ დამაჩინა გულზე მწარე ნაიარევი,
მივდივარ, მაგრამ, საით მივალ,
არავინ იცის!
მე ვარ დევნილი, სიშორეში – უცხოდ მარები,
ყველგან დავეძებ, მაგ თვალების
საოცარ ციმციმს!..

16.04.09
მოსკოვი

ყვავილები ცვივა ტყემალს

მე გულისთქმა შენ ერთს განდე, აქ დავრბოდი ჩემს ტოლებთან,
ამ მინდვრებზე აღვიზარდე
                  და შენი მზე მათრთოლებდა!..
აქ ოცნების კოშკი ვაგე და ტყისპირას მედგა ოდა,
ვკოცნე შენი ვარდის ბაგე
და შენი ხმა მეძახოდა!..

ყვავილები ცვივა ტყემალს და მზე მიცქერს ალმაცერად,
იმ თვალების ახლაც ტყვე ვარ, –
                  მესმის შენი გულისცემა!..
ჟამმა მაინც გამიმეტა და სხვა სივრცე მომიქსოვა,
მაინც მოდის შუქი სვეტად,
მაინც მათბობს მე ის ხსოვნა!..

27.03.72
ბანძა

მიმღერე რამე!

მიმღერე რამე, რომ სიცოცხლის სილაღე ვიგრძნო!
მიმღერე რამე, რომ ტკივილი
დამიცხრეს ძველი!
მიმღერე რამე, დარდებს წუთით გავექცე, ვინძლო,
რომ სულში ისევ აშრიალდეს
ზღაპარი ველის!..

მიმღერე რამე, თორემ შხამი იმდენი მასვეს,
რომ ჩემში ლამის ვარსკვლავებმა
შეწყვიტონ კრთომა!
მე ვეებერთელა ჯურჯელი ვარ ტკივილით სავსე,
რომელსაც უკვე აღარა აქვს
ფერი და ზომა!..

მიმღერე რამე, თორემ ერთობ ამამღვრევს ჯავრი!
მიმღერე რამე, სანამ გული
იმედით ფეთქავს!..
ნუ მომაგონებ, მეგობარო, იმ დღეებს ჩავლილს,
იმ ორღობეებს და ხელგაშლილ,
საყვარელ დედას!

მიმღერე რამე! სიყვარულზე მიმღერე რამე,
მიმღერე რამე, დამიბრუნე
საწუთროს რწმენა!..
ნუ მომაგონებ მეგობარო, შორეულ ღამეს,
მთვარის ხეივანს და ფოთლებში
ჩიტების სტვენას!..

მიმღერე რამე, რომ სიცოცხლის სილაღე ვიგრძნო!
მიმღერე რამე, რომ ტკივილი
                                    დამიცხრეს ძველი!
მიმღერე რამე, დარდებს წუთით, გავექცე ვინძლო,
რომ სულში ისევ აშრიალდეს
ზღაპარი ველის!..

15.10.90
ბანძა

ხეივანში ვხეტიალობ მარტო

ეს ზამთარი რა უღონოდ მიილია,
ფანტელები მიწას ვეღარ ათოვს,
გარეთ მხოლოდ ლეგა ქარის კივილია,
ხეივანში ვხეტიალობ
მარტო...
ჩიტუნების წივილია უთავბოლო,
ქარი არხევს შიშველ ალვებს ტანადს...
ჩემთან ახლოს ორმა მტრედმა ჩაიქროლა
და შენ ისევ
მენატრები, ანა!
ყმაწვილობის გაგვეპარა ო, ის ხანა
და მზე, ისევ ეფერება ღრუბელს...
და მე მახსოვს ზღვის ნაპირზე, ჩემო ანა,
ფანტელებით
გვევსებოდა უბე...
გაზაფხულის კვლავ ვეძახი ცისფერ ნიავს,
თუმცა უკვე მე არავის ველი,
ძველებურად ვეღარ ვუძლებ ქარის რიალს,
მენატრება
ვარდფურცლობის ფერი!..

19.03.2017
თბილისი

როგორ მიმძიმს

უთქვენობით როგორ გასძლოს გულმა?
საწუთროსთან სულ ამაოდ ვდაობ!
დამივიწყებს თრთოლვა გაზაფხულის
და შენც, ვიცი,
დამივიწყებ, ცაო!

ჟამი გარბის, ლაგამს ვეღარ ვუჭერ
და სევდისგან გული, როგორ მიმძიმს!
დამამსგავსებს დრო ცარიელ ჭურჭელს,
გამომტაცებს ვარსკვლავების
ციმციმს!..

14.07.2015
თბილისი

რატომ ვენდე?!

რისთვის მოველ, რატომ გავხდი მსხვერპლი,
ჟამის ზვირთი, ისევ მიტევს მედგრად!..
მოვა დრო და გადვიქცევი ფერფლად
და ადგილის
ატირდება დედა!..
ნეტავ, რატომ შევიყვარე ასე,
რატომ ვენდე წუთისოფლის რიალს?
შეღამების ცა მეღვრება თავზე
და ეს სევდა საით
მიაქვს ნიავს?
კვლავ, აჩრდილი მელანდება დედის,
მისი ოხვრით ცვივა სახლის ჭერი!..
წუთისოფელს უკვე შევაბერდი
ჩემი ზეცის –
მცირე მონაჭერით.

16.07.2015
თბილისი

უგუნურობას არ უჩანს ბოლო

ბავშვების მსოფლიო ექიმს –
დოქტორ **ლეონიდ როშალს**

პოლიტიკოსთა ბოროტებას არა აქვს ზღვარი,
მათ არ უწყიან ქვეყანაზე
თუ რას ჩადიან!
შიშით ცახცახებს ო, ეს ზეცა, კლდეები სალი,
ანგრევენ ღმერთის შექმნილ ტაძარს, –
ეს ხომ ცხადია!

უგუნურებას პლანეტაზე არ უჩანს ბოლო,
მიწას სიკვდილი გაუხადეს
უკვე ნათლიად!
არ ვიცი ქვეყნად, ვინ დააშხობს ო, ამდენ ბოროტს,
ვინ მოჰბანს წყლულებს აუტანელს, –
მიწას მადლიანს!

მე კვლავ ვიხსენებ საუკუნის ტკივილებს წყეულს
და თვალებიდან ვერ ვიშორებ
დღეების კოშმარს!..
შენ ანგელოზებს ტყვიის თქეშში ნაგლეჯად ქცეულთ,
ისევ სიცოცხლეს უბრუნებდი,
დოქტორო როშალ!

შენ არაერთხელ დაამარცხე სიკვდილი მკაცრი
ვერ შეეგუე მისი ფრთების
ვეება გაშლას!

ლექსად გადმოვცემ ბრძოლის ველზე ნანახს და განცდილს,
ჯადოსნურ დანით რომ ებრძოდი
რღვევას და დაშლას!

ბნელ პლანეტაზე შემზარავი ღელვა დგას ირგვლივ
და სდის სიცოცხლეს უსაშველოდ
სისხლი ყელიდან!
შენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის იგი,
ოღონდ სიცოცხლე გამოგლიჯო
დემონს ხელიდან!

შენი სახელი, რა შორს, გასცდა სამშობლოს საზღვრებს,
სიკვდილი ურჩი შემოხედვას
შენსკენ ვერ ბედავს!
ჯადოსნურ ხელით პატარების სიცოცხლეს აზღვევ
და ანგელოზებს საღ-სალამათს
უბრუნებ დედას!

პოლიტიკანთა ბოროტებას არა აქვს ზღვარი,
მათ არ უწყიან ქვეყანაზე
თუ რას ჩადიან!
შიშით ცახცახებს ო, ეს ზეცა, კლდეები სალი,
ანგრევენ ღმერთის შქმნილ ტაძარს, –
ეს ხომ ცხადია!..

25.06.08
მოსკოვი

აღარ მასვენებს

მე გაზაფხულის ღამეებს ვეტრფი
        და მოგონების ცრემლით ვასველებ!..
მე გაზაფხულის ღამეებს ვეტრფი
და ფიქრი შენზე
აღარ მასვენებს!..

მე გაზაფხულის ღამეებს ვეტრფი
        და მთვარით მოსილ ხეების კორომს.
მე გაზაფხულის ღამეებს ვეტრფი
და მოგალობე
ვარსკვლავთა ქორწოს...

16.012014
თბილისი

რას წუხს?!

შემოდგომის მოთენთილი ზეცა,
ქარი არხევს ხეებს უმიზეზოდ...
სიხარული გაატანა მერცხალს,
რას წუხს ახლა
ჩემი მცირე ეზო?!

ტყეებს ლურჯი დაუკეცავთ აფრა
და მზე მკრთალი ეფარება ღრუბელს...
ნისლი მთიდან ჩამოცურდა დაბლა
და სივრცეებს
ღელვა გადაურბენს...

23.10.64
სოხუმი

სამი ჩიტი

მე მახსოვს სამი ყვითელი ჩიტი!..
ჩემს ყვავილნარში სუსტ რტოებზე
ისხდნენ ყოველდღე
და გალობით ათრობდნენ სივრცეს,
გამჭვირვალეს წყაროს წყალივით...
მე ვუცქერდი სიყვარულით მათ
ცისფერ თვალებს,
მე ვუცქერდი აღტაცებით სამოთხის ზღაპარს
და ჟღურტულებდნენ ისინი დიდხანს...
მე მახსოვს სამი
ყვითელი ჩიტი!..
მოფრინდებოდნენ ისინი ადრე, მზის ამოსვლამდე
და მზის ჩასვლისას მიფრინავდნენ, –
არ ვიცი, საით?
როცა დაჰქროლეს შემოდგომის ცივმა ქარებმა,
ისინი ბუმბულაცვენილნი
და შემკრთალნი გაფრინდნენ სადღაც...
მე მახსოვს სამი ყვითელი ჩიტი!..

17.09.69
ბანძა

პატარა ჩიტი

პატარა ჩიტო! შეარხიე შენი ჩანგის ლამაზი სიმი
და დამიბრუნე ჩემი ბავშვობის თეთრი ღრუბელი
თოვლივით წმინდა!
პატარა ჩიტო! მაგ შორეულ ვარსკვლავთა წკრიალს
შეუხმატკბილე შენი სულის უსასრულობა!..
და ჩემი ყოფნის ლურჯ მინდორზე
ბალახის ფოთლებს
დაეკიდება ცრემლის
თეთრი მარგალიტები!..

21.08.77
ბანძა

არ ჩანს

ვდგავარ მდინარის პირას, მზე იცრიცება წყალში,
არ ჩანს ლამაზი ცირა
და მოდის ჟამი მლაშე...
გზა მოგონებებს აშლის, როგორც ქარები ღრუბლებს,
ვდგავარ ფიქრების კვამლში
და როგორ მიხურს შუბლი?!
ვხედავ, იალქნებს ფხიზელს, ფეთქავს ჭალარა თმაში,
უკვე გამიქრა პირზე
თბილი ღიმილი ბავშვის!..

24.09.74
სოხუმი

ორი ყვავილი

მაშა და **პლატონ გაბუნიების** ხსოვნას

თქვენს საფლავებზე ორად ორი ენთო ყვავილი,
დიდხანს ისმოდა სევდიანი
მათი გალობა!..
მომაგონდება მწუხარებით წლები ჩავლილი,
რომ დაგნათოდათ ცა მაღალი,
როგორც წყალობა...
და მთვარაინში ფოთოლცვენის შრიალში ფერთა,
ერთმანეთს გრძნობით უშუშებდნენ
ჭრილობას მძიმეს!..
თქვენი სულების სილამაზე სივრცეს ერთვოდა
და დაგცქეროდათ სიყვარულით
ცა მოციმციმე!..

10.05.2017
ბანძა

აბაშა

შენს ნაპირზე თაობებმა ჩაიარეს,
თუმცა იგი აქ ვერაფერს ვერ ცვლის!
გაზაფხულის მზე გიშუშებს ნაიარევს
და ტალღებით
მიირხევი ვერცხლის...
მიდიხარ და ცის ხატებას ეფერები,
მიხარია, შენთან მოვალ როცა!
მიირხევი მზით და მთვარით შეფერილი
და ალვების
მიგაცილებს ლოცვა...
დავიღალე ხეტიალით სოფლის გზებზე,
ბევრჯერ ვიყავ შეპყრობილი იჭვით!..
როცა შორს ვარ, შენ მაშინაც მესიზმრები,
განშორება შენგან
როგორ მიჭირს!

25.09.12
ბანძა

დაათვრე მიწა!

დახლართულია შენი სივრცე ფარული ქსელით,
სად გაებმები ამ მახეში
არავინ იცის!
მივდივარ მარტო, მიმაქვს მხოლოდ თვალები სველი
და სული მისდევს სიშორეში
ფერების ციმციმს...
ველარ ეტევა კალაპოტში ვარსკვლავთა ფეთქვა,
ქარები სივრცეს უნაპიროს
იკლებენ სტვენით!..
დაათვრე მიწა, გაზაფხულო, თამაშით ფერთა
და ბოროტებას მიაყარე
ქვიშა და მტვერი...

07.02.12
თბილისი

ვერ აირიდე

ო, რა სინაზით ირხეოდი ფრთებზე ნიავის,
ლამაზთა შორის გეძახოდით,
ძვირფასო, რჩეულს!
ვერ აირიდე, მეგობარო, ჟამთა სიავე,
რას ვხედავ ახლა? – ულიმღამო
და ფერმკრთალ სხეულს!..

კვლავ ნავარდობენ ჩვეულებრივ ცაში მერცხლები
და გაზაფხული სიშორეში
თამაშით მიდის...
მზითა და მთვარით დრო ირხევა და ივერცხლება
და მოგონებამ გაიარა
რამდენი ხიდი...

ფერი იცვალა წუთისოფლის ყველა გზა-შარამ,
აზრი არა აქვს მოსახვევში
ამაო ლოდინს!
ისევ ხმაურობს სიშორეში ქარი აშარი,
და შემოდგომა მოყვითალო
ფერებით მოდის!

18.04.10
მოსკოვი

მზის ჩასვლა ზღვაზე

კიპარისებმა დახარეს თავი ზარების ხმაზე,
მზე ჩადის ზღვაზე და მთებიდან
ამოდის მთვარე...
კიპარისებმა დახარეს თავი, ნაღველი უჩანთ...
და ნათურების ურჩი თვალები
მოაწყდა ქუჩას.
კიპარისებმა დახარეს თავი ერთბაშად, უცებ,
ფეხის წვერებზე დგება ჩუმად
პატარა ბუჩქი
და მზის ჩასვლას
ბავშვივით უცქერს...

14.06.77
სოხუმი

მშვიდობით, ძმაო!

მშვიდობით, ძმაო! აწი ვეღარ შევხვებით ერთად,
ვერც ახალი წლის, ვერც მაისის
მოსვლას მიწაზე!
ჩვენ ბევრი რამე გვაჩუქა ღმერთმა
და მიწიერი სილამაზის
ძალა ვიწამეთ!..
უკულმართობას ბევრჯერ მკერდით გადავეღობეთ,
შიშველ მკლავებით შევუტიეთ
ბედის განაჩენს!..
ჩვენ სასახელოდ, იმ დღეების ხსოვნაც გვეყოფა
და ჩვენს ყრმობაზე ლექსი
იტყვის, ალბათ, დანარჩენს...

05.12.12
თბილისი

სად მიხვალ, დღეო?!

მიაფრენს ქარი ქათქათა რაშებს,
მიქრის და არსად ჩერდება გზაზე!..
ო, რა საოცრად
თენდება მთაში!..
ო, რა საოცრად
ღამდება ზღვაზე!..
სად მიხვალ, დღეო, ღელვებით სავსე,
რომ შლი იალქნებს აპრილის ქარში?!
ო, რა საოცრად
თენდება ზღვაზე!..
ო, რა საოცრად
ღამდება მთაში!..
მე მახსოვს, მაშინ ვიყავი ბავშვი,
მზის მოლაღური გალობდა ცაზე!..
ო, რა საოცრად
თენდება მთაში!..
ო, რა საოცრად
ღამდება ზღვაზე!..
ცა ღრუბლის ლამაზ იალქნებს გაშლის,
ზღვა ნისლის პერანგს გაიხდის ტანზე.
ო, რა საოცრად
თენდება მთაში!..
ო, რა საოცრად
ღამდება ზღვაზე!..

12.04.75
სოხუმი

***

ირწეოდნენ ტირიფები მდინარესთან ახლოს,
შეღამების ნისლი თრთოლვით
ეხვეოდა მაღლობს...

მზის ფერადი ბურთი უხმოდ ეშვებოდა ზღვაზე...
მე თვალები მოგონების
ცრემლით მქონდა სავსე!..

მდინარე კი მიდიოდა შრიალით და ჩქამით
და მე ვიდექ მდინარესთან,
მომლოდინე ღამის...

თოლიები რიალებდნენ... შუქი კრთოდა ნაზი
და ზღვა იყო შეღამების
სავსე სილამაზით!

აქ, ზღვის პირას ჩაიარეს წლებმა მძაფრი ქროლვით
და ვუცქერდი შეღამების
ღრუბლებს მოოქროვილს!..

ირწეოდნენ ტირიფები, ნაწნავებით გრძელით
და მივსებდა სულს ტკივილით
მოგონება ძველის!...

ახლაც აქ დგას ის ტირიფი, – სავსე მთვარის სხივით
და ჩამავალ მზის ფერებში
მხოლოდ ჩიტი წივის!..

30.03.75
სოხუმი

ვერის ბაღში

დღეს ვერის ბაღში გავივლი, რომ გული დავიმშვიდო,
დღეს ვერის ბაღში გავივლი, გავხედავ
გაღმა მინდორს...
დღეს ვერის ბაღში გავივლი, შევარჩევ ხსოვნის აფრას,
დღეს ვერის ბაღში გავივლი,
ვნახავ ჯონქაძის საფლავს!
დღეს ვერის ბაღში გავივლი, ჩავუვლი ხეთა წყებას,
დღეს ვერის ბაღში გავივლი, თუმც
დარდი მომაწვება!
დღეს ვერის ბაღში გავივლი, ვიცი ფიქრებში გამხვევს
და ხეებს მოვეფერები
ქარით უზომოდ ნარხევს!..

12.12.12
თბილისი

მთვარიან ღამით

ალვის ხეები გატრუნულან მთვარიან ღამით,
მდინარის პირას მიმოვდივარ
სევდით სნეული...
ხსოვნით მევსება, მეგობარო, ყოველი წამი
და მე მარტოსულს
მოქანცული მიმაქვს სხეული!..
ერთი ფოთოლიც არ ირხევა, მხოლოდ მნათობნი,
ამ სიჩუმეში უცნაური
ფერებით კრთიან...
იდუმალების ო, ამ დუმილს სული მოება,
ამ უჩვეულო ნეტარებას,
ნეტავ რა ჰქვია?!

10.12.12
თბილისი

მშვიდობით, ჩემო პლანეტავ!

მშვიდობით, ჩემო პლანეტავ! ჩემო ცრემლო და იმედო!
ო, შენ თუ არა, ძვირფასო,
ვინ უნდა დამაიმედოს?
მშვიდობით, ჩემო პლანეტავ, კოსმოსში ჩემო მეგზურო!
ხან ყვავილნარო სამოთხის,
ხან ბობოქარო ვეზუვო!..
მშვიდობით, ჩემო პლანეტავ, იყივლე ცისკრის მამალო,
მზისა და მთვარის იალქნით
შორეულ გზებზე მავალო...
მშვიდობით, ჩემო მამულო, გული მსურს შენით ვახარო,
ირმის ნახტომზე აპრილში
ირმის რძე გადანაღვარო!..
შენზე ოცნებით ელვარებს – ეს ჩემი სულის კენწერო!
მშვიდობით, ჩემო პლანეტავ,
მარადის ჯვარი გეწეროს!..

23.06.11
მოსკოვი

რატომ დაჩხავით?

რატომ დასჩხავით ამ ჩემს სახლ-კარს თავზე, ყვავებო?
მაგ შემზარავ ხმით აცახცახებთ ამ
სულს და სხეულს!..
რად მოიშალა ჩემი ეზო ანაყვავები,
საით გაფრინდა მაფშალია
ტემბრით რჩეულით?

ჩემს ალვის ხეებს როგორ კაწრავთ ხმებით სატანის,
არ ვიცი, რა ვქნა, და არც
მინდა მივაყურადო!
და, იმ სიყვარულს გაზაფხულზე ცამდე ატანილს,
რა შემზარავი ტკივილებით
სწვდება გულამდე!..

08.12.12
თბილისი

ლილის

ეღვრება საღამოს ჩრდილი ქუჩების სევდიან მზერას,
ვერ ვხედავ იმ ვარსკვლავს, ლილი!
და სივრცეს ამაოდ ვზვერავ!..
ეს ლექსი გადმოსცემს განა, იმ ფერთა უნაზეს ლივლივს?
ეღვრება საღამოს ჩრდილი,
შენს მინდორს ხასხასას, ლილი!
შეხედე, ყვავილიც ტირის და მთვარე იალქნებს ფერავს...
ეღვრება საღამოს ჩრდილი
ქუჩების სევდიან მზერას...

25.08.74
სოხუმი

სულში ნაღველი მიწევს

მე შენ მიყვარდი ძლიერ, ახლა უშენოდ მიჭირს,
ვერ იქნა, თავს ვერ ვსძლიე,
                    დავხეტიალობ, ბიჭი...
მე ცა დამცქერის ცივი, უიმედობით სავსე
და ღამის ჩიტი წივის, –
ჭოტი დამკივის თავზე...
შეპყრობილს მძიმე განცდით, სულში ნაღველი მიწევს
და ბედისწერას კაცი –
უკვე დუელში ვიწვევ!..

13.04.51
ბანძა

დამთავრდა ყრმობის სიზმარი

რატომ გვწყინს დრო რომ ისწრაფვის, თვალებს რად გვიწვავს
ცრემლი?!
ის მიდის ჩვეულ სისწრაფით,
ჩვენ კი ვდგავართ და ვწყევლით!..
მას თავისი აქვს მიზანი, გზიდან ვერ გადაუხვევს!
დამთავრდა ყრმობის სიზმარი, –
მე ეს ვიგრძენი წუხელ!

მადლობა უფალს ამაზე, – სივრცე ზღაპრული ვნახეთ,
ვკოცნეთ ტუჩები, თვალები,
ღაწვებმწყაზარი სახე!
ჩვენ ღობე-ყორეს ვედებით, რა არის ქვეყნად უცვლელი?
და ძალით უკუქმედების
სველდება ჟამის ფურცელი!..

რამდენი რამე ვიხილეთ, ვსვით ტკბილიც, მწარეც რამდენი,
დაჭკნა ვარდიც და ღიღილოც,
და დაიღვენთა სანთელიც!..
ო, ერთხელ კიდევ დამისხით, ვლოცავ სიცოცხლის სანახებს
მადლობა უფალს ამისთვის,
რაც გაგვაცნო და გვანახა...

19.09.62
ბანძა

სად გაქრა?!

როგორ გაბედა მიწამ დაშლა მაგ სილამაზის?!
ეს ვინ წარსტაცა ის სიცოცხლეს,
ასე ხელიდან?!
დავდივარ კაცი და სავსე ვარ ყელამდე ბრაზით,
სად გაქრა რხევა
შენი ტანის, ჩემო მელიტა?!

ვინ მოთვლის შხამი ამ ცხოვრებამ რამდენი მასვა!
შენ ჩემს ხსოვნაში
მარადიულ შუქით ინთები!..
ო, ერთხელ კიდევ ღვინით სავსე მომეცით თასი,
სანამ მოასწრებს ჟამი,
ამ ჩემს გაბედითებას!..

24.04.61
სოხუმი

განმარტება

ო, ახლა ცაზე ნატამალი ღრუბლების არ ჩანს,
არხევს ნიავი შეღამების
მეწამულ ფოთლებს...
წყარო ბავშვივით იცინის და გარს უვლის ლოდებს
და ლაქაშებში დააბიჯებს
ამაყი ყანჩა..

ლურჯი დროშები აღუმართავს ხეების ლაშქარს,
მზე უხმოდ ჩადის,
ეფერება იისფერ ბლონდებს...
მიდორზე ვწევარ, ჩემთვის ჩუმად ვკითხულობ ბოდლერს
და ლაქაშებში დააბიჯებს
ამაყი ყანჩა...

19.09.73
ბანძა

სევდა

გაზაფხული მიდის და სიმშვიდეს ვკარგავ!
გაზაფხული მიდის,
გზა, რომ მომიქარგა...
მზე დაკურდა დაბლა,
სივრცე მოითენთა!
გაზაფხული მიდის
და რა რჩება ჩემთან?!

31.0561
ბანძა

მარტოობის გზა

ცა შინდისფრად შეიღება, მზე ბილიკზე მოდის,
სადღაც ძაღლის ისმის ყეფა
                და კარს ვაღებ ოდის.
მისდევს სივრცეს ფიქრთა წყება, შორს კი ფრთებს შლის ორბი,
მე ვერ მივცემ დავიწყებას
იმ გზას მარტოობის!..

04..09.61
ბათუმი

***

კვლავ ჩემი ცა მერცხლებისგან დაიცალა,
            და ქარები გაბედულად ქრიან...
მოვიდა და გაბატონდა, სულ სხვა ძალა,
და დროს მოსულს
შემოდგომა ჰქვია!
ჟამის რიალს შეშფოთებით ვაყურადებ,
            ხევხუვებში დგას ზვირთების ზავთი...
მინდორ–მინდორ გაზაფხულის დავსდევ ლანდებს
და მოიწევს
ოკეანე ზამთრის...

12.09.2018
თბილისი

ფუნჯი განთიადის

ღებავს ცის კიდეებს ფუნჯი განთიადის
და სულს სილამაზე
ვარდის მოენთება!..
ეს შენ მოდიხარ თუ შენი ლანდი არის?
წყალში ოქროსფერი
ცურავს კომეტები...

სხივი მოირხევა ზღვაზე მომეტებით,
ათრებს ათერადებს
თრთოლვა ლაჟვარდების...
და სულს სილამაზე ვარდის მოენთება,
თუ მზე გაზაფხულის
სივრცეს გადმოენთო...

შუქით მეწამულით სივრცე გაირღვევა,
ნისლებს შერევა
ღამე დავიწყების...
ცვრიან ბალახივით სული დაირწევა,
ღებავს ცის კიდეებს
ფუნჯი განთიადის!..

08.04.64
სოხუმი

მაცილი

თეთრი ისრებით დაცხრილულ განთიადის
ცას ვუცქერ...
გარბის ბილიკზე მაცილი,
გული შიშისგან უცემს!..
გარბის ბილიკზე მაცილი... შუქი იცინის
მზისა...
და ცის გუმბათი ციმციმებს,
ვით ჯადოსნური ლინზა!..

14.07.63
სოხუმი

მეძახის, მოსდევს...

მომღერალ გოგონას, რომელიც
15 წლის ასაკში მოულოდნელად
გარდაიცვალა.

აწი ვერასდროს ვერ დაგვათრობს შენი ხმის ტემბრი
და მაგ ლერწამტანს ვერ შეარხევ
ფონზე მდინარის!
სად გაქრა ნეტავ, საოცარი შენი ხმის ტემპი
და რჩება ჩემში მძიმე
სევდა გაუდინარი!
მოხველ ამ ქვეყნად სიშორიდან ბუნების ნებით,
თითქოს იდუმალ ჩამოჰყევი
ცისფერ დინებას...
მერე, უეცრად ანგელოზის მოისხი ფრთები,
ო, რადგან ღმერთმა
დაბრუნება შენი ინება!..

29.05.67
სოხუმი

სიყვარული

იასამნების ხეივანში შემომაღამდა,
ეს მერამდენედ, აღტაცებით
მოვდივარ შენთან!..
ცა ვარსკვლავების სიხასხასით, ისევ აყვავდა
და სივრცე რაღაც იდუმალი
სინაზით ფეთქავს!..
მე უშენობა უჩვეულო ტკივილებს მისევს,
დე სიყვარულის
ათასფერად იჟღერეს სიმმა!..
მე შენი ტანის თოვლისფერი მეხვევა ნისლი
და შენი თმების თაფლისფერი
მასველებს წვიმა!..

14.06.67
სოხუმი

***

აქ ყველაფერი შენით იწყება და ყველაფერი
შენით თავდება!
ო, მოვლენ სულ სხვა განთიადები
და მზე სხვაგვარად ათავთავდება!..
შორს, სადღაც მთვარის ლანდი ირწევა, ზეცა მომავლის
უფრო ნათდება!..
აქ ყველაფერი შენით იწყება
და ყველაფერი შენით თავდება!..

20.05.74
ბანძა

კვლავ აცურდება დილა

სადღაც მზე გადაქანდა, ბინდი დაეშვა სველი,
ლურჯი მორევი ჩანდა და
ვარსკვლავების ქსელი!..
ჩემს ხავერდოვან მინდვრებს ფერი წაერთვა უმალ!
ფეხქვეშ ქანაობს ხიდი,
ტკივილი იგრძნო გულმა!
აგერ გამოჩნდა გზაზე ნისლის მოლურჯო ფთილა,
გულო, შენ სწუხარ, – რაზე?
კვლავ აცურდება დილა!..

02.06.74
სოხუმი

ბებერი ძაღლი

როგორ მოგთენთა სიბერემ, შენი დღეები ილევა,
არც იხედები იქითკენ, თუნდაც
იყვიროს ირემმა!
ის დრო წავიდა, როდესაც სდევდი ნადირთა ნაკვალევს,
დღეს წევხარ ჩუმად მუხის ქვეშ
და გადგას ლანდი მზაკვარის!.
მზერა ჩაგიქრო ავთვალმა, ტყისკენ არც გინდა მიხედვა,
სიბერემ დაგაბეჩავა, მხოლოდ
სიბერემ ოხერმა!
ო, არც შიმშილი გაწუხებს, არც დღეთა უკუღმართობა,
მზე ჩადის, მთვარე ამოდის,
აფრა დაკეცა მნათობმა!..
ნუთუ, სიჩუმე მოგწყურდა, წაგერთვა მუხლი საქარე,
მოგტაცა ძალა განგებამ, უკვე
ფარხმალი დაჰყარე!
ო, ასეთია ბედშავი, სიცოცხლე გექცა დილემად,
მოთენთილი და ბეჩავი
მიყვები ჟამის დინებას...

19.07.67
ბანძა

თეთრად აბოლდა ალუჩა

ისევ აბოლდა ალუჩა, მოლზე თამაშობს ნიავი,
და ყივის თეთრი მამალი, გული გრძნობს
რამდენ სიამეს!..
ცა ეფერება მინდორ–ველს და ტრფობით ესაუბრება,
შეხედე, ეს რა ლამაზად
ფერს იცვლის დედაბუნება?!
აგერ ატმის რტოც აფეთქდა, ავსებს სინაზით მოლოდინს,
მე მიყვარს ეს სანახები და
მეყვარება ბოლომდის!..
გულს სიყვარული ედება, ჰანგთა იღვრება მეწყერი...
არ ვიცი, რა შეედრება
მზეს, – ამ ჯადოქარს ფერწერის!..

10.03.12
თბილისი

არავინ გენუგეშება

ეს რა სიმწარე შესვი, ნეტავი, რა გჭირს გულში?
წივი, ქვითინებ, კვნესი და
ხე აიკელ ნუშის!..
იქნებ დაკარგე სატრფო, ან მეგობარი სიყრმის?
სიცოცხლე სულს ვერ ათბობს
და გიტევს მთელი სიღრმით!..
მიკვირს, ასე რად გახდი უნუგეშობის მსხვერპლი?
გაქრა ის ჟამი ნაღდი
და შერჩა სივრცეს ფერფლი!..
ეშვები რტოდან რტოზე, სატკივარს ვეღარ მალავ,
არავინ გენუგეშება,
ჩიტუნავ, ცისფერთვალავ!
ეს რა სიმწარე შესვი, ნეტავი, რა გჭირს გულში?
წივი, ქვითინებ, კვნესი
და ხე აიკელ ნუშის!..

28.04.11
თბილისი

მე ჩავუქროლე...

„უნდა დაინგრეს კართაგენი“
სციპიონ აფრიკელი (უმცროსი)

მიწაზე ეს რა კოშმარი სუფევს?
ჩემი მამული ასე ვერ ივლის!
გული მიქციეს ცრემლების გუბედ
და სულში მძლავრი
მეწყერი მივლის!..
ჩემი მცხეთა და გელათი კივის
და გულმა ლამის დატოვოს ბუდე!..
მამულო, ო, ვინ მოგირჩენს ტკივილს,
როცა კვლავ ბრუნავს
დღეები მრუდე!..
გავცქერი ოხვრით სევდიან ხედებს
და მაინც შენი მომავლის მჯერა!
მე ჩავუქროლე კრემლის დიდ კედელს
და სციპიონის
ვესროლე მზერა!..
მიწაზე ეს რა კოშმარი სუფევს?
ჩემი მამული ასე ვერ ივლის!
გული მიქციეს ცრემლების გუბედ
და სულში მძლავრი
მეწყერი მივლის!..

28.07.11
თბილისი

ხომ არ გახსენებს რამეს?!

რატომ არიდებ თვალებს სევდადაფენილ მაღლობს?
ხომ არ გახსენებს რამეს, –
ეს მინდორი და ბაღი?!
რატომ არიდებ თვალებს ამ ორღობეს და ახოს?
ხომ არ გახსენებს რამეს,
როცა ჩაუვლი ახლოს?!
რატომ არიდებ თვალებს ჩრდილებს ზღვის პირად ფენილს?
ხომ არ გახსენებს რამეს
ამ შეღამების ფერი?!
ისევ ქანაობს აგერ ო, ის ცისფერი ხიდი,
ხომ არ გახსენებს რამეს, –
ნავი ზღვაზე რომ მიდის?
რად აადევნე ოხვრა ო, ამ ხეივანს მთვარის,
ხომ არ გახსენებს რამეს
ეს შემოდგომის ქარი?!

რატომ დახედე ღელვით ფოთლებს მიწაზე ფენილს,
მზეს რომ გახედე ჩამავალს,
რად მოგეძალა ცრემლი?!

07.09.78
სოხუმი

ტროპიკული მზე

შენ, ტროპიკულო მზეო, ო, აქ საიდან გაჩნდი?
ჩემს ცის თავანზე ზეობ და
დაგვამსგავსე აჩრდილს!
შენ, ტროპიკულო მზეო, ასე ვინ აგამხედრა?
ჩემს საშობლოში, რომ ყველგან
შენს ნაფეხურებს ვხედავ!..
შენ, ტროპიკულო მზეო, იქ მიდი, სადაც ენთე!
ო, ეს ზღაპრული მთა-ბარი, –
ასე რად მომითენთე?
დადიხარ, დაბარბაცებ, სიცოცხლეს ფერფლად აქცევ,
გახდი სიკვდილის მეხოტბე
და ბოროტების მაცნე!
ამას რას გადავეყარე, ქრება ხავერდი მიწის,
ჩემი ზღაპრული ქვეყანა
კვლავ შენს მეწყერში იწვის!..

31.07.11
თბილისი

მომენატრება

ჩემი ცხოვრების დაიკეცა ო, ეს ფურცელიც,
კარზე მომადგა
ნაღვლიანი შემოღამება!..
მე შენი სახე არ მშორდება უკვე უცრემლოდ,
როგორ გაუძლოს სულმა ნეტავ,
ამდენ წამებას?!
ო, რა ძლიერად იგრძნო გულმა სევდის მატება,
მე იმ წყაროსთან,
ახლა უკვე, არავინ მელის!
კვლავ არაერთხელ ის დღეები მომენატრება
და ის ღიმილი უჩვეულო,
ძვირფასო მერი!

17.07.11
თბილისი

სოფელი გაუდაბურდა

ო, წუხელ ღამით ქარიშხალმა გადიშხუილა,
სახურავებზე გადარბოდა
ის ფეხშიშველი...
და სიშორიდან მოისმოდა მგლების ყმუილი
ვხედავდი თვალებს ცრემლიანებს
ცისკენ მიშვერილს...
ხევში ხმაურით გადაეშვა რამდენი სახლი
სოფელი, ერთობ მსხვერპლად იქცა,
გაუდაბურდა!..
გავცქერი სივრცეს უსაშველო შეტევით დაღლილს,
დილით ნანგრევში დაეძებდა
ყვავი საბუდარს...

23.08.11
თბილისი

შემრჩება ხსოვნა

თუ სული ახალ ორბიტზე გავა,
            როცა სხეული დაიწყებს დაშლას!..
ნუ გაახარებს ეს ჟამი მავანს,
მე მხოლოდ ფრთების
მომინდა გაშლა!..
ვიცი, ჩემს სხეულს დაარღვევს ჟამი
            და ნაწილ-ნაწილ გაჰფანტავს სადმე...
შემრჩება ხსოვნა მთვარიან ღამის,
რომელსაც ჩემი
გრძნობები ვანდე!..

25.04.11
მოსკოვი

ბევრჯერ დაგუბდა ცრემლი თვალებში

არ გაქცევიხარ დღეებს უსიერს
        და უგულობას ვერვინ დაგწამებს!
ფიქრის მერცხლები ცას შეესია
და ლაჟვარდების
არხევს წამწამებს...
ბევჯერ დაგუბდა ცრემლი თვალებში,
        არ გიძებნია ყალბი დიდება!
დრომ რა ულმობლად გადითარეშა
და უდროობის
გცემდნენ ზვირთები!..
არ დაგიკარგავს გრძნობა სიკეთის,
        ცას უცქერდი ბავშვის თვალებით...
ზღვაზე მზის ჩასვლა გამოიკვეთა,
რაღაც ჯადოსნურ საღებავებით...

22.07.79
სოხუმი

დამენანება

მე ამ ქუჩაზე არასოდეს არ დავბრუნდები,
ის გაქრა ჩემთვის საუკუნოდ,
როგორც ზმანება!..
მე ამ ქუჩაზე არასოდეს არ დავბრუნდები,
თუმც ლამაზების
ტანის რხევა დამენანება!..
მე ამ ქუჩაზე არასოდეს არ დავბრუნდები,
რაც უნდა მძაფრად მომიხმონ
და რეკონ ზარებმა!..
მე ამ ქუჩაზე არასოდეს არ დავბრუნდები,
ო, თუმცა გული
მოგონებით დაიბზარება!..
მე ამ ქუჩაზე არასოდეს არ დავბრუნდები,
ის ჩემს ლექსებში
აჟღერდება მხოლოდ ნოტებად...
მე ამ ქუჩაზე არასოდეს არ დავბრუნდები,
მაგრამ ის ღამე
არაერთხელ მომაგონდება!..

15..07.11
მოსკოვი

ჩემს საქართველოს მოეშვით!

ღმერთო, პროსპექტზე რუსთველის,
კიდევ ცოტა ხანს მატარე!..
რომ ალარ დამრჩეს უთქმელი,
რაც უნდა ვუთხრა სატანებს!
ჩემს საქართველოს მოეშვით,
ამ ბაღს–დავითის, თამარის!
კვლავ ცურავთ სისხლის მორევში,
ბარბაროსებო ტრამალის!

14.09.11
თბილისი

რა გემართება?!

შენი თვალების სილაჟვარდე მოვისაკლისე
და მთვარის შუქზე შენი ტანის
თეთრი ხატება!
ო, მე იმ დღეთა მოგონება რამდენს მაკისრებს,
რატომ ატირდი, გულო ჩემო,
რა გემართება?!
ხსოვნა იმ დღეთა, რატომ მექცა ასე წამებად?
ეს ღრუბლის ფთილა, ნეტავ,
საით მიეხეტება?
მე საუკუნოდ სიყვარულის ქსელში გავები,
დრო მიდის, მაგრამ
სატკივარი აღარ ბერდება!..

16.07.11
თბილისი

მოაწვა ღელვა გარემოს!..

ფერებს სად მიერეკებით, ნოემბრის ურჩო ქორებო?
მოაწვა ღელვა გარემოს,
                  როგორც ლაშქარი ლეკების!..
საით მიფრინავთ, ფოთლებო, მაგ სევდიანი ჩურჩულით?
მე ვდგავარ შენაშფოთები
და ფრთებს შლის ქარი უჟმური!..
ირხევა ჟამის ზამბარა და სივრცე შიშით ცახცახებს,
ო, ნუთუ რისხვა დაფარავს
                  ამ ფერიების სასახლეს?!
მზე ჩადის... სივრცე მკრთალდება,
მოდის დღეები დეკემბრის,
მოაწვა ღელვა გარემოს,
როგორც ლაშქარი ლეკების!..

12.11.80
სოხუმი

თამარის ლოცვით ნაგები

გაუსაძლისი რამ არის ამ წუთისოფლის ტრიალი,
ქრის ქარიშხალი ტრამალის
მუდამ ურჩი და ტიალი!..
მიდის ცხოვრება თავის გზით და შლის ხომალდი იალქნებს,
თუ გაარღვიე უკუნი,
სამაგიეროს მიაგებ!..

დავითის ხმალის მოქნევა უდევს საფუძვლად ბალავარს,
მტერი არ უნდა დაინდო,
რომ მოაწყდება გალავანს!..
მოუხმე ძალას განგების, ციური შუქით ფენილო,
თამარის ლოცვით ნაგები
კოშკი არ დავანგრევინოთ!

16.08.11
თბილისი

ჩემი ხომალდი წავიდა

სანამ ვიქცევი წარსულად, მანამ უნდა ვთქვა სათქმელი,
ჩემი ხომალდი წავიდა და ფიქრით
ღამეს ვათენებ!..
ვერ ავისრულე სურვილი, ვერ ვპოვე შენი ხატება,
ცა მოჩანს ოქროცურვილი
და ვგრძნობ შორეულ ნათებას!..
მზე ჩადის სხივთა მეწყერით და ჩემკენ ბინდი მოცურავს...
მაგრამ სულით არ ვეცემი,
აჰა, ზამთარი მოსულა!
რვა ათეულ წელს გავსცილდი, მაგრამ ძალა არ მელევა,
თუმცა ჩემი გზა გაცივდა
და უკვე ცრემლის ღელე ვარ!..

21.08.11
თბილისი

ალბომი

რა აღტაცებას მანიჭებ, სული საოცრად ღელავს!
აქ ვხვდები მე ჩემს ძმაბიჭებს, –
თითქმის უკლებლივ ყველას!..
რა ნეტარებას ვეძლევი, მოაქვს ვარდები ნიავს...
აქ ვხვდები ყრმობის გოგონებს:
თეას, ნათიას, ლიას!

ო, რა სიხარულს მანიჭებს ეს სურათები ახლა!
აქ ვხვდები ჩემი ყრმობის წლებს,
რომ მომწყურდება ნახვა!

23.03.82
სოხუმი

***

მოდის დღეები ქარებით ურჩით
            და ჩემს სატანჯველს ბოლო არ უჩანს!..
ვინ დამიმსხვრია ო, ეს ცა ლურჯი,
სული წამებას
ვერ გადაურჩა!
დრომ მწუხარება ბევრი მოდენა
            და შემოდგომა კვლავ ფიქრებს მისევს...
თავს დავიწვავდი მოულოდნელად,
რომ ფენიქსივით წამოდგომა
შემეძლოს ისევ!..

12.10.2016
თბილისი

პარალელი

დრომ სიმართლე რა ულმობლად მოკლა!
გავცქერ დღეებს, აწი უკვე ჩავლილს...
ბაღში ვისმენ ყვავ-ყორნების ვოკალს,
პარლამენტში
პარლამენტართ ჩხავილს!..
ბრძოლის ველზე კვლავ სისხლი სდის მხედარს,
რა შური და სიძულვილი მეფობს...
ო, რა მწარედ იტანჯება დედა,
წამებისგან განიძარცვა ბებო!
ვის სჭირდება ეს მინდორი, ეს მთა,
ანდა ეს ცა, ასე სანაქებო?
მე მოვდივარ სიყვარულით შენთან,
რომ წარსული
მოგაგონოთ, მთებო!..
დრომ სიმართლე რა ულმობლად მოკლა!
გავცქერ დღეებს, აწი უკვე ჩავლილს...
ბაღში ვისმენ ყვავ-ყორნების ვოკალს,
პარლამენტში
პარლამენტართ ჩხავილს!..

15.06.11
მოსკოვი

რა მინდა მეტი?!

შენა ხარ ჩემი სულის სინათლე
            და ეს თვალები მხოლოდ შენ გეტრფის!
საითაც მივალ, შენ გზას მინათებ
და მე, ძვირფასო,
რა მინდა მეტი?!
შენკენ მივიწევ... დრო ვეღარ მზაფრავს,
            ამ აღტაცებას რა უნდა ერქვას?
სულო, რას უცდი გაშალე აფრა,
სანამდის ჟამი
დამიხეთქს მერქანს!
მე, მაგ ბაგეთა ამბორად მოველ
            და გული მუდამ ტრფიალით მიცემს!..
მე მხოლოდ შენი სინაზე ვპოვე
და შენთან ქროლვად
მეძახის სივრცე!..
შენა ხარ ჩემი სულის სინათლე,
            მთელი არსებით მხოლოდ შენ გეტრფი!..
საითაც მივალ, შენ გზას მინათებ
და მე, ძვირფასო,
რა მინდა მეტი?!

10.12.2001

ხსოვნის კადრები ერთმანეთს ცვლიან

ჩემი ძვირფასი მეგობრის –
ა. რურუას ხსოვნას

ცოცხალთა შორის შენ არ ხარ უკვე
        და ეს გავიგე მოსკოვში გუშინ!
მე შენს ლამაზ სულს საკმეველს ვუკმევ,
დარდი სოლივით
შემეჭრა გულში!..
ახლა, არც შენ ხარ და არც ბორისი
        და მწარე ფიქრი აღარ მასვენებს!..
ის ზეცა უკვე დაიმსხვრა ბროლის
და ყრმობის სურათს
ცრემლით ვასვენებ!..
ამ ტკივილს, ვიცი, ვეღარ მოვისვრი
        და გული უკვე ვერ უძლებს ტანჯვას!
შორით, თქვენი ხმის ექო მოისმის,
მაგრამ ის აღარ
მორჩილებს განსჯას!
ხსოვნის კადრები ერთმანეთს ცვლიან,
        გაქრა დღეები გრძნობით მთვრალები!..
მოვაგონდებით ბალახებს ცვრიანს
ჩვენი ლამაზი
ნატერფალებით!..

და უკვე ყოფნას არ ყოფნა მიჯობს,
ვინ დააბრუნებს აწმყოში ყოფილს?
გამორჩეულებს გულით და ნიჭით,
კვლავ გვეძახიან
დღეები ყრმობის!..

05.04.10
მოსკოვი

რა უნდა?!

ეს სევდა ვერ დასაძლევი, რას მაკრთობს, ნეტავ, რა უნდა?!
ზღვა მოჩანს ქარით ნარბევი და აფრაც
დაობს ზღვაურთან!..
ხომალდი ზვირთებს შებმია, მზეც ზღვაზე მიმოგზაურობს...
ხომ ყველას თავის ფრთები აქვს
და ყველას თავის გზა უნდა!..

10.09.1991
სოხუმი

ცხრა ძმის გაგყვათ შემართება

შინდისის გმირებს

„თქვენს საფლავებთან მოსვლა
და მუხლის მოდრეკა მომინდა“
ლ. ასათიანი

ო, რა მედგრად შეუტიეთ ჩასაფრებულ მგლების ხროვას,
შიში აღარ გაიკარეთ, ჰგავდით
ვეფხვებს შეუპოვართ!
სიმამაცე უჩვეულო აწყდებოდა სიერცეს ფრთებით,
თქვენი ქება და დიდება
დარჩა წიგნში უკვდავების...
დღეს კი მოგვაქვს გვირგვინები თქვენს საფლავთან შესამკობლად,
ცხრა ძმის გაგყვათ შემართება,
არ დანებდით მხეცებს ქოფაკთ!
დრო მიდის და უჩვეულოდ, ისევ ჭიმავს ოქროს ზონარს...
და სიმედგრე ვაჟკაცური
დარჩა მარად მოსაგონრად!..

14.09.2015
თბილისი

ნუთუ, ჟამს ამაოდ ვეომე?!

ცხოვრების მდინარევ იდინე, დღეს უკვე
ოქტომბრის ათია,
საწუთრომ, ხომ
დედა მიტირა,
და არც შენ დამინდე, ნათია!
ცას გავცქერ უთვალავ სანთლიანს, ფოთლებმა
მინდორი მოჰფინეს...
ცხოვრებამ, სად
აღარ მათრია,
მაინც ვერ მაქცია ყოფილად!..
ნუთუ, ჟამს, ამაოდ ვეომე?! რომ სივრცე
ვერ მოვინადირე!
მე ვიცი, ვერ
მოვალ მეორედ
და, ცაო, კვლავ ვეღარ მატირებ!
ცხოვრების მდინარევ, იდინე, დღეს უკვე
ოქტომბრის ათია!
საწუთრომ, ხომ
დედა მიტირა,
და, არც შენ დამინდე, ნათია!

10.10.11
მოსკოვი

არ დაიშურო!

მოხველ? – იღვაწე შეუპოვრად და მერე მიდი,
გულში არ რჩება ადგილი იჭვის!
სანამ დაგფარავს საუკუნოდ არყოფნის ბინდი,
არ დაიშურო მამულისთვის
საქმე და ნიჭი!..
ეკვეთე მედგრად ყველა მაცდურს და ბოროტ ძალას
და მშობლიურ ცას ქუდმოხდილმა
გახედე რიდით!..
რას იზამ, ცრემლი განშორების თუ მოგეძალა,
ო, ეს ყველა გზა, მეგობარო,
იქითკენ მიდის!..

19.05.11
მოსკოვი

ჩემი გზა

მე გავიარე ჩემი გზა ნახევრად გადანისლული
და თანაც გრძელი საოცრად, –
ვით მისისიპი მისურით!..
მე გავიარე ჩემი გზა, დამემდურება ვერავინ,
მივაყურადებ შორიდან,
ისევ ხმა მოდის მენავის!..
მე გავიარე ჩემი გზა და აჰა, მთვარეც ამოდის!
მე გავიარე ჩემი გზა
და ჩიტი გალობს საამოთხის!..

09.11.11
თბილისი

მეგობრის საფლავთან

ჯანო ჯანელიძის ხსოვნას

შენ სიცოცხლეში ჯვარცმული გახდი,
        და მაინც აღარ კარგავდი იმედს!..
გაფრინდა სული ესოდენ ნაღდი
და თან წაიღო
ჭრილობა მძიმე!..
შენ არ გივლია დინების გასწვრივ,
        არ გახდი ბედის მორჩილი მსხვერპლი!
სულმა სხეული ერთბაშად დაწვა
და მიწას შერჩა
მცირედი ფერფლი!..
შენ არ იცოდი რა იყო შიში
        და არ იცოდი რა იყო მოღლა!..
ვერ გაარღვიე უდაბნო ქვიშის
და გული ერთობ
დაგლიჯა ბოღმამ!..
გხედავდი მღვრიე ზვირთებთან შეხლილს,
        შენი წამება არ ითქმის მოკლედ!
ასე აწყდება სივრცეებს ვეფხვი,
როცა ქურდულად
უკლავენ ბოკვერს!
ო, ასეთია სიმუხთლე ბედის,
        მიგყვება გული სისხლით ნაბანი!..

აქ განისვენებ მეუღლის გვერდით
და გხურავს მიწის
მძიმე საბანი!..
გავცქერი სივრცეს სილურჯეგაცლილს,
ისევ ხმაურობს ქარი ტრამალის!..
აქ დგას ლოდების დუმილი მკაცრი
და იცრემლება
მზე ჩამავალი!..

12.11.10
თბილისი

მოვედი ისევ

მე იმ ადგილას მოვედი ისევ,
სად დაჩეხილი ქალები იწვნენ!
ხსოვნა შემზარავ ტკივილებს მისევს
და მოგონებით
ცახცახებს მიწა!!!
მე იმ ადგილას კვლავ მუხლს მოვიყრი,
რომ სატკივარი მამულის ენთოს!
ბარბაროსები რისხვად მოვიდნენ,
რომ აეჩეხათ
სიცოცხლე ერთობ!..
თექვსმეტი გმირი ეკვეთა მტარვალს,
არ შეუშინდნენ ორლესულ ბარებს!
ეს მგლების ხროვა, სად მოწყდა ტრამალს
ანგელოზების სისხლი
რომ ღვარეს!..
მე იმ ადგილას მოვედი ისევ,
სად დაჩეხილი ქალები იწვნენ!
ხსოვნა შემზარავ ტკივილებს მისევს
და მოგონებით
ცახცახებს მიწა!!!

22.10.10
თბილისი

ხიროსიმას ზარები!

სამოცდაშვიდი გავიდა წელი,
მაგრამ იმ ტკივილს ჟამი ვერ აქრობს!
მიფრინავს ცაზე დაღლილი წერო...
მიწას წყეული
აჩნია ლაქა!..
სამოცდაშვიდი გავიდა წელი
და სული ღიმილს მაინც ვერ ბედავს!
ბაგეზე უხმოდ გადირბენს წყევლა
და დუმს ძაძებში
ადგილის დედა!!!
მე ვხედავ უკვე სადაკოს თვალებს
და ოკეანე ბობოქრობს ლურჯი!..
და, როგორც წერო მიცურავს მთვარე,
რომელსაც უკვე
ფერი აქვს თუჯის!
აქ უთვალავი გადატყდა სხივი
და შორს მიფრინავს ღრუბელი ლეგა...
ზეცა სადაკოს თვალებით ტირის
და ხიროსიმას
ზარები რეკავს!!!

12.08.2012
მოსკოვი

დღეს შენს საფლავზე

დღეს შენს საფლავზე სანთლები ვანთეთ,
ვთქვით, ნაღდი ძმობის და ღვინოც მოვსვით...
ცა სიშორიდან გაღვრიდა ნათელს,
და ბორცვს დავცქერდით
სიჩუმით მოსილს!...

ამ განშორებით შევშფოთდით ძლიერ
და, რა ულმობლად გული გვეტკინა!..
ვეცადეთ, მაგრამ გრძნობას ვერ ვძლიეთ
და არ შეგვეძლო,
რომ არ გვეტირა!..

ცა, აქ რატომღაც სიმშვიდეს ირჩევს,
ხსოვნა იმ დღეთა გვექცა დილემად!..
ბუნება, თითქმის, არაფერს იმჩნევს
და ის თავის
გზით მიედინება!..

19.04.10
მოსკოვი

ორი ბუნება

ორი ბუნება არსებობს ხელოვნური და ველური
და მათ მშვენებას ჩვენ დღემდე, –
თუმც ღირსეულად ვერ ვუვლით!
ორი ბუნება არსებობს, რითაც ამაყობს მთა-ბარი,
ორი ბუნება არსებობს,
ორი ლამაზი ზღაპარი!..
ორი ბუნება არსებობს და მათ დიდ სევდას ვედები,
ორი ბუნება არსებობს
თავისი შემოქმედებით!..
ორი ბუნება არსებობს და მხიბლავს მათი ხატება,
ორი ბუნება არსებობს
და ვგრძნობ მათ შემონათებას!..

14.06.11
მოსკოვი

ჟამი ბალახებს თიბავდა

მაინც არ გახდა გულცივი, ჟამის გამოცდას ელის!
მან ჩამავალ მზეს უცქირა და
თვალები აქვს სველი!..
ცრემლები უხმოდ დამალა, შეამჩნევია არვის!
ჩუმად იწნავდა დალალებს
და ხბოს უსმენდა ბღავილს!..
მოირღვა ზვირთი თიბათვის, არ იცის
რაა მოღლა!
ჟამი ბალახებს თიბავდა
და ის ყვავილიც მოჰყვა!..

04.06.82
ბანძა

ჰა, განშორების მუსიკა უკრავს!

ბრძოლის ველიდან გავდივარ უკვე
        და ჩემს ნაბიჯებს ვიღაცა ითვლის!..
ჰა, განშორების მუსიკა უკრავს,
რომ არ მოედოს
სიცოცხლეს ფითრი!
უნდა დავტოვო ეზო და შუკა
        და სანატრელი ზღვა და ქუჩები!..
ჰა, განშორების მუსიკა უკრავს
და ვიცი, რომ
ვერ გადავურჩები!
ჩემი სიცოცხლის იმსხვრევა ბურჯი
        და ტკივილებით ისევ ვინთები!..
რად შევიყვარე ეს ზეცა ლურჯი
და ეს პლანეტა
სავსე მითებით?!

10.05.92
სოხუმი

ომი

ომმა შესცვალა ფორმა და აზრი,
ო, ამ ცხოვრების, ისედაც რთულის!
მკერდზე გვაძგერა შუბები ბასრი
და გულებში კი
გაავლო ხნული!..
სოფელს დაეცა მრისხანე დამბლა,
აიმღვრა სივრცე საოცრად სუფთა!..
და ცა იმდენად დაეშვა დაბლა,
რომ უკვე აღარ
შეგვეძლო სუნთქვა!

21.06.11.
მოსკოვი

მაშინ ათი წლის ვიყავი!

მაშინ ათი წლის ვიყავი, როცა დაიწყო ომი,
სივრცეს მოაწყდა გრიგალი –
ბარბაროსების ტომის!..
მაშინ ათი წლის ვიყავი, მახსოვს რამდენირამე
და ჩემი ეზოს ბალახი
ბევრჯერ ცრემლებით ვნამე!..
მაშინ ათი წლის ვიყავი და ბევრი რამე მახსოვს!..
ლექსებს ვწერდი და მივსდევდი
სტრიქონებს ასო-ასო...
მაშინ, ათი წლის ვიყავი, ბევრჯერ ავყევი განცდას
და ომობანას ვსწავლობდით,
როცა სული არ დაცხრა!..
მაშინ საბჭოეთს ბიჭები, ჩვენს დიდ სამშობლოდ ვთვლიდით
და მერე გვიან ვიგრძენით,
როცა ჩამოწვა ბინდი...
მერე „ესენგედ“ მოგვნათლეს და ჩვენს სისხლს სვამდნენ თასით
და საბჭოეთმა ერთბაშად
უკვე დაჰკარგა ფასი!..
მაშინ, ათი წლის ვიყავი, რამდენი რამე მახსოვს,
ლექსებს ვწერდი და მივსდევდი
სტრიქონებს ასო-ასო!..

09.05.11
მოსკოვი

საქართველოს

ჩემი პატარა მამული შეუდარები რამ არის,
მან ფრთები ბევრჯერ გაშალა და ბევრჯერ
შეკრა კამარა,
როცა ნანგრევად აქციეს, ტკივილი ვეღარ დამალა,
ახლაც რა ურჩად ყმუიან,
ეს შავი მგლები ტრამალის?!
ნუთუ, დღემდე ვერ გაიგეს, ვერ ჩასწვდნენ მის სიდიადეს,
სისხლის მორევში აცურეს, მიწა
გაუხსნეს სამარის!..
ეს ყველამ უნდა იცოდეს, თუნდაც იმ მგლებმა ტრამალის,
ეს არის მიწა რუსთველის,
ეს არის მიწა დავითის,
ეს არის მიწა თამარის!

07.05.11
მოსკოვი

შემოდიოდა აგვისტო

ო, თუმცა ვეღარ შველოდი, მაინც იმედად ედექ,
შენ მწუხარებაც გშვენოდა,
შუქი სწყდებოდა ქედებს!..
მზე ჩადიოდა... ქარაფებს ნისლის მისდევდა ფარა,
ის თხოულობდა არაფერს,
ცა კი არხევდა ფარანს!..
შემოდიოდა აგვისტო და შრიალებდა ყანა
და ფანჯარასთან ატმის რტო
ტირილით დაიღალა!..

05.07.82
სოხუმი

იყო ზამთარი ურჩი

მახსოვს დღეები მკაცრი, ცრემლი გსდიოდა ღვარად,
ტკივილი ვეღარ დაცხრა
                და გულიც დაგეღალა!
იყო ზამთარი ურჩი: ყინვა, თოვლი და ქარი...
და მაინც გადაურჩი
ო, სულით დაუმცხრალი!

17.04.78
სოხუმი

მესხმება ფრთები

სიბერე უკვე დამავიწყა აპრილის მოსვლამ,
დავდივარ ფრთხილად, ყვავილების
სურნელით ვთვრები!...
და ბაღში ხეებს უჩვეულო სიმწვანე მოსავთ,
მეც გაზაფხულის სიყვარულით
მესხმება ფრთები!
თამაშობს ირგვლივ საოცარი ფერთა ნათელი
და ხეებიდან ჩიტუნების
ჟღურტული ისმის!..
ირხევა ჩემში სიყვარულის თეთრი სანთელი
და ხეივანში გაცრეცილი
მიმოდის ნისლი...

10.04.16
თბილისი

მე აქ მოვდივარ

ტყე აკაციის დატვირთულა თეთრი მტევნებით
და ყვავილების საოცარი
იგრძნობა სუნთქვა,
როცა ბილიკებს ყმაწვილობის ავედევნები,
ცის თაღებიდან ლაჟვარდების
იღვრება სუნთქვა!..
იაიების, ენძელების სინაზის ტყვე ვარ,
მათი ტრფიალი ბავშვობიდან
მომსდევდა რიდით!
ამ ჩემს მინდორზე სურნელების არ არის ტევა
და ეს დღეები მათი ჩუმი
ტრფიალით მიდის!..
ო, როგორ მიყვარს ყვავილების ლივლივი ფერთა,
წუთისოფელი, ნეტავ,
საით მიემართება?
მე აქ მოვდივარ სურნელება დავლიო თასით
და ჩემს გარშემო გაზაფხულის
ფეთქავს ხატება!..

მომაგონდება...

ისევ მიხმობენ საოცნებო შენი თვალები
და გადავშლიდი ცხოვრების წიგნს
ისევ თავიდან!
რამ სიშორიდან ვარსკვლავები გვითვალთვალებენ,
თუმცა, ერთად ყოფნის
ეს რამდენი წელი გავიდა!..
მომაგონდება ყმაწვილობის ჟამი ფერადი,
ვეფერებოდი აღტაცებით
მაგ შენს ხატებას!..
მახსოვს, ზღვის პირას მთვარიანში, როგორ ვღელავდით
და უნაპირო შენი სულის
ვგრძნობდი ნათებას!..
იმ წლების ღელვა მე რამ უნდა გადამავიწყოს,
დასასრულისკენ, როცა
უკვე მივექნები!..
მინდა სიცოცხლე, რომ თავიდან ისევ დავიწყო,
დაუბერავენ ვარდფურცლობის,
როცა ქარები!..

25.03.17
თბილისი

ზამთრის პირას...

ქარებს მოაქვთ ფანტელები თოვლის
        და ჩვენ ბაღში მიმოვდივართ ერთად...
სული ღელავს ხსოვნით ანათრთოლი
და ორივე გული
ტრფობით ფეთქავს!..
ზამთრის პირას იძარცვება ბაღი
        და რტოები ცახცახებენ ხეთა!..
თოვლი მოდის და ფანტელებს გვაღვრის
და ცოტა ხანს ვივლით
კიდევ ერთად...
შვიდ ათეულ წელს რა უცბად გავცდით
        და სულს სევდა ეფინება მკრთალი!..
ჩვენც ხეს ვგავართ უკვე ფოთოლგაცლილს
და ლანდებთან
ვიქანავებთ მთვარის!..

29.11.2001
თბილისი

ლოცვა

მე გზას მინათებს შენი ლოცვა დასაბამიდან,
ვინ იცის, დედავ, მან
რამდენჯერ გადამარჩინა!
დრო ულმობელი, რა უღმერთოდ იცვლის ამინდებს
და მიკვირს დღემდე, რომ
არ ვიქეცე ღამის აჩრდილად!
მე დავიღალე ქარიშხლებთან ხშირი შეტევით
და ვგავარ ჟამით დაგლეჯილი
უკვე ნაფრონტალს!
დავდივარ კაცი, ტრამალებში დავეხეტები,
როგორ გავუძელ, რომ
არ ვიქეცე მტვრად და ნაფოტად!..
გზას მინათებდა მხოლოდ შენი სულის ნათელი,
ბევრჯერ სიკვდილმა რა
უღმერთოდ გამინაპირა!
დედავ, ძვირფასო! დღესაც იგი მე გზას მინათებს
და სხივნათელი საიმედოდ
ფრთებს შლის აპრილი!..

19.10.2007
მოსკოვი

გაქრა სილაღე სოფლის!

მზის ამ ვეება ატომურ ბუხარს,
ახრჩობს ნისლები ხშირი!
მე დავდივარ და უსაზღვროდ ვწუხვარ,
ამ დედამიწის შვილი!

ნიავის ნაცვლად ქარი ქრის ურჩი
და აცახცახებს მთა-ბარს!..
სად გაქრა, ნეტავ, ჩემი ცა ლურჯი,
ვეღარ გაშალა აფრა!

ნასახლარებად იქცა სოფელი,
ტანჯვას ვერაფრით ვძლიე!
დრო ბრუნავს მეტად დაუნდობელი
და გული მტკივა ძლიერ!

სიცოცხლე მექცა უკვე წამებად,
გაქრა სილაღე სოფლის!
ნუთუ, აქ ჩვენმა მამა-პაპებმა,
ამაოდ ღვარეს ოფლი?!

12.04.16
ბანძა

მთვარიან ღამით

მთვარიან ღამით ხეივანში მივდივარ მარტო,
გავცქერი სივრცეს ვარსკვლავების
სიმღერა მესმის!
ფიქრით დაღლილი, საიდუმლოდ, რაღაცას ვნატრობ,
რა დრო გავიდა, თუმცა
აღარ მღალატობს ლექსი!
მთვარიან ღამით ხეტიალის მეუფედ გავჩნდი
და ბაგეები განუწყვეტლივ
მიხმობდნენ კოცნად!..
ახლა მარტო ვარ, ხეივანში დავსდევ შენს აჩრდილს
და ვისმენ შორით
ანგელოზთა სევდიან ლოცვას!..
ვეფერებოდი შენი თმების კულულებს ლამაზს,
შენი თვალების სილაჟვარდე
მავსებდა ვნებით!..
იმ დღეთა ხსოვნა საოცარი ტრფიალით დამაქვს,
რომ მეღვრებოდა მხრებზე
შენი მორევი თმების!..
სად გაქრა იგი, რად დამტოვა გზაზე ეული
და ფიქრით სავსე ამ
ხეივნებს ვემარტოვები!
და უშენობამ, მერი, უკვე დამასნეულა,
რა სევდიანად ირხევიან
ქარში რტოები!..

არავინ უწყის, ახლა უკვე საითკენ მივალ,
სად ჩამიტყდება უცაბედად
ცხოვრების ხიდი!
მივდივარ მარტო ო, რა მძიმე ტკივილი მიმაქვს
და, ალბათ, მალე დავიწყების
დამფარავს ბინდი!..

25.05.16
თბილისი

მოსწოლია შემოდგომის სევდა

წვიმს... რა მძლავრად დაუბერა ქარმა
და ხეები გაწუწულნი დგანან...
რა ტკივილი ჩამორეკა ზარმა,
რომ მიდამოს პირს
ვერ უხსნის დანა?!

რა ტკივილი ჩამორეკა ზარმა,
ცას ღრუბლების მოსწოლია ფლოტი...
წვიმს... რა მძლავრად დაუბერა ქარმა
და შიშისგან ტოტს
აწყდება ტოტი...

მობუზული ბეღურები სხედან
და უმწეოდ გასცქერიან ველებს...
მოსწოლია შემოდგომის სევდა
ამ სივრცეებს
მოყვითალო ფერის...

22..11.97
თბილისი

წაშალა ქამმა

„ჰო, მოითმინე, მოითმინე, ძალიან
შორს, ყველაფერი უკვე ჩავიდა!..“
საფო

ჩვენი ბავშვობის ნაფეხური წაშალა ქამმა,
ზღვა ღელავს ძლიერ და ზარის ხმა
ჩემამდე მოდის!..
გადაეფარა ოცნების ცას ღრუბელი შავი,
ვის დაველოდო? – როცა
აზრი არა აქვს ლოდინს?!

ის ნაპირები მოხასხასე დაფარა ზვირთმა,
ტირიფის რაზე იცრემლება
ბებერი ტოტი?
ო, ეს ტკივილი შემზარავი სანამდე ვზიდო,
ზღვა ღელავს ძლიერ, და
ზარის ხმა ჩემამდის მოდის!..

25.02.99
მოსკოვი

ჩვენ ორი დავრჩით

მურმან ხურცილავას

ხუთიდან უკვე ჩვენ ორი დავრჩით,
უთქვენოდ, ძმებო, ძალიან გვიჭირს!
სიზმარში ღამით ვხვდებით თქვენს აჩრდილს,
ვსეირნობთ დიდხანს
ჩვენ ხუთი ბიჭი!..
ის წლები უკვე ჰორიზონტს გასცდა,
ანგელოზები გვისმენენ გრძნობით!
მე იმ დღეების შემიპყრობს განცდა
და მიბრუნდება
დღეები ყრმობის!..
ვეღარ ვხედავდით ძალებს ჩვენს მომრევს,
იდგა ლექსების განგაში ირგვლივ!..
ვძლევდით სიტყვებით ცხოვრებას მდოვრეს
თავისუფლებას ვადგამდით
გვირგვინს!
ბევრჯერ გავფანტეთ ღრუბლები შავი,
ვუტევდით მედგრად ცხოვრებას მღვრიეს!
რა დარჩა მისგან?.. ლაქები შავი
და ბედისწერის
სიურჩე ვსძლიეთ!
თამარის დროის ვეტრფოდით ხედებს
და ცეცხლს ჩამოღვრილს დავითის ხმლების!

ვკოცნიდით კალთებს გმირი დედების
და სიშორეში
მივქროდით ფრთებით!..
გულისთქმა ჩვენი ერთმანეთს ვანდეთ
            და ბოროტებას ვტყორცნიდით ჰოროლს!
მიწაზე რწმენის ვანთებდით სანთელს,
გვაყურადებდა
ვარსკვლავთა ქორო!..

19.04.16
თბილისი

* * *

მერცხლებო, თქვენთვის შურდული არასდროს მისროლია,
ისე დამთავრდა ეს ჩემი
ბავშვობის ისტორია!
თქვენი ჭიკჭიკით მუდამჟამ სიცოცხლეს ახალისებთ
და წუთისოფლის მინდორზე
ფანტავთ ნიადაგ ნისლებს...
მოდიხართ, და კვლავ გაზაფხულს მოეზიდებით ფრთებით,
გიცქერთ ბავშვური თვალებით
და თქვენი ტრფობით ვთვრები!
ჩემი აივნის ჭერზე გაქვთ მუდამ სამოსახლო,
და ამიტომ ვართ ერთურთთან
ასე ტკბილად და ახლოს!

06.04.17
ბანძა

მსურს დავივიწყო!

მსურს, დავივიწყო სოფელი, უკვე არაფრად მიღირს,
არც დედის ლოცვას ვისმენ, არც
მამაჩემის ღიღინს!
ტყე გაქრა ასპარეზიდან, შრიალი აღარ ისმის,
უკვე შუკებს და მოედნებს
მოშავო ფარავს ნისლი!..
სულს მძიმე სევდა ედება, ვწუხვარ, ვერაფერს ვამბობ
და მზე ფერმკრთალი ამოდის...
თვალებს ცრემლები ალბობს!
ერთობ გაძარცვა სოფელი გაუმაძღრობამ ჟამის,
ჩიტებიც აღარ გალობენ,
ტანზე ჩაუცვამთ შავი!..
რა დელგმამ გადაუარა ბაღებს, ვენახებს სოფლის,
გავცქერი სივრცეს მთვლემარეს
და ეს ტკივილად მყოფნის!..

01.04.17
ბანძა

რა საცოდავად სუნთქავს!

არც ჭრიალს ვისმენ ურმის და არც ხარების ბღავილს
და ხეებიდან მთელი დღე, მხოლოდ
ყვავები ჩხავის!
სოფლის ამგვარი დაცემა, ჯერაც არავის უთქვამს,
ყოფნა-არყოფნის საზღვარზე,
რა სცოდავად სუნთქავს!..
ამგვარი გაპარტახება, არ ახსოვს მამა-პაპას,
მე გეუბნებით სიმართლეს,
არა – უბრალოდ ზღაპარს!
სოფლის ბიჭების ყიჟინა, ჰგავს რტოებს ჩამოტეხილს
და გათანგული ტკივილით
მივყვები ჟამის გრეხილს!..

03.04.17
ბანძა

მოლოდინი

მე სიშორიდან ვაყურადებ მერცხლების მოსვლას,
და ჩემი ზეცის სიანკარეს
ლაჟვარდით მოსილს...
სივრცე მზად არის აპრილის, უკვე თქვენს დასახვედრად,
მოდით, მოფრინდით მერცხლებო,
ჩამომაშორეთ სევდა!...
მე ბავშვობიდან მიყვარდით და სულს მივსებდით ლხენით
და ცაში თქვენი ფარფატით,
სივრცეს ეცვალა ფერი...
თქვენი ჭიკჭიკით ივსება, ეს მინდვრები და ხევი,
ეს ვარდ-ყვავილთა სამყარო,
ეზო და მოსახვევი!..

24.04.17.
ბანძა

სოფელი

რა ფერმკრთალია სოფელი, მე აქ არ მინდა მოსვლა!
დრომ ჩემი ყრმობის ბიჭები
სულ ერთიანად მოსრა!
ჟამს ოხვრით გავცქერ მდუმარი, უხვად ცრემლები დამდის,
რა დარჩა ჩემგან ნეტავი,
მხოლოდ უღონო ლანდი!
უმიზნოდ დავეხეტები, გავცქერ სევდიან ხედებს,
ამას ვთხოვ, მხოლოდ საწუთროს,
უკან ნუ მომახედებს!
ის სანატრელი დღეები, ვინ გამომგლიჯა ერთობ,
რატომ წამართვი ის ჟამი,
რა დაგიშავე, ღმერთო?!

02.04.17
ბანძა

* * *

ზიხარ რტოზე და არ გალობ, რატომ მდუმარებ, ჩიტო,
ნუთუ, ამინდი არ გწყალობს,
                და არ ჟღურტულებ მიტომ!
გზა ვრცელი გამოიარე, მაინც სიჩუმეს არჩევ,
იქნებ შენც მალავ იარებს
და მდუმარებას აჩვევ!..
მზე სააპრილო შუქს არხევს, რომ სივრცე აამწვანოს,
შორიდან გიცქერს ართვალი,
ისევ დაქროლე, ქარო!..

10.04.16
თბილისი

მიაყურადე, ფერების რხევას

შენ ამ მიწაზე მოდიხარ ერთხელ,
        უნდა იცოდე თუ რისთვის მოხველ!
გაშალე მხრები ო, როგორც ვერხვმა,
არ გაეკარო ცრუსა
და ოხერს!
უმღერე ცაში ვარსკვლავებს ღამის
        და ქვეყნად მხოლოდ სიმართლე გწამდეს!..
გიყვარდეს სიტყვა, შენ სამად სამი...
და ამაღლდები
უთუოდ ცამდე...
მიაყურადე, ფერების რხევას
        და დიოგენის ფარნით იარე...
იწამე ჟამი შენ განახლების
და ბოროტება
გაანიავე!
გიჭრიდეს სიტყვა შენ, როგორც ხმალი,
        დაიცავ მკერდით მამულის ბჭენი!
მხოლოდ სიმართლეს აუბი მხარი,
რომ შენი ქვეყნის
ამაღლდეს ჭერი!..
იყავი მტრებთან ბრძოლაში ფხიზლად,
        მიაყურადე ზარების კივილს!..
გწამდეს, უთუოდ მიაღწევ მიზანს,
თუ დიოგენის
ფარანით იავლი!..

31.03.17
თბილისი

ნაგამთრალი ბაღი

შევედი ბაღში და დუმდა იგი,
ფოთლები რტოებს არ ესხა ჯერაც
და იწვა მხოლოდ ნისლები ირგვლივ,
კვლავ ამღერდება
უთუოდ მჯერა!..
მზე გაზაფხულის ეღვრება სივრცეს,
უფოთლო რტოებს სიჩუმე ახლავს...
ის მხოლოდ ახლა სამოსელს იცვლის,
რომ კვლავ ხალისით
იმღეროს ბაღმა!..

30.03.17
თბილისი

სად გაქრა, ნეტავ?

ჩიტები ბაღში, აქ, ჯერაც დუმან,
ო, არც ჟღუტრული და არც გალობა!
მე მელოდება ის, როგორც სტუმარს,
და გაზაფხული
მავსებს წყალობით!
მოვდივარ, გული მევსება ღელვით,
დგება აპრილი ფერების თრთოლვით!..
ამ სილამაზეს წამართმევს ვერვინ,
სად გაქრა, ნეტავ,
ამდენი თოვლი?!

31.03.17
თბილისი

მზის მიწურვისას...

მე მიყვარს ბაღში დგომა მზის მიწურვისას გვიან,
ქარი ქრის შემოდგომის, ვისმენ
რტოების რიალს...
გავცქერი ალვებს აწვართულს, ო, რა საოცრად ვღელავ!
და ფოთლებისგან აშკარად
რტო იძარცვება ყველა...
მე მიყვარს ბაღში დგომა, მზე გვიცქერს ალმაცერად,
ჟამი ვერაფერს აკლებს ხეებს
მუხლმაგარს, ძვლიანს!
და ჰორიზონტზე გამოჩნდა ერთი ვარსკვლავი ქერა
მე კი შენს აჩრდილს დავეძებ,
შენ გელოდები, ლია!

30.09.17
თბილისი

ზამთრის გზაზე

ჩემი სამი დრო ო, რა სწრაფად გავიდა უკვე,
ზამთრის ბილიკებს რა სიდინჯით
მივყვები ახლა...
მზე გაზაფხულის ჩემთვის აღარ დაუკრავს ბუკებს
და ზამთრის ქარებს უჩვეულო
განგაში ახლავს!..
ხან წვიმს საშინლად და სიცივე ძვლებამდე ატანს,
ხან თოვლი მოდის, უჩვეულო
ნისლის ნარევით...
ბუნება, უკვე თოვლს და ყინვას გზადაგზა ფანტავს
და ზამთრის გზაზე მივალ...
სევდით ნაიარევი!..

30.12.17
თბილისი

ტყეს აღვიძებდა

მე ტყის სიღრმეში შევდიოდი ჯერ კიდევ ბავშვი,
რათა მენახა ყვავილების
თრთოლვა, ღიმილი...
ტყეს აღვიძებდა მაღალ ხიდან გალობა შაშვის,
მიჰქონდა ნიავს სიშორეში
ხოხბის ყივილი...

დუმდა ტყის სივრცე... იდუმალი ისმოდა ჩქამი,
ვეფერებოდი წყაროს პირას
ყვავილებს ფერადს...
ვაყურადებდი, მხოლოდ ჩხიკვთა გაფანტულ ჩხავილს,
რამ დამავიწყოს ის ზღაპარი
და აღმაფრენა...

29.03.17
თბილისი

ბავშვობის ცა

გამოგეთხოვე, როცა უკვე სტუდენტი გავხდი,
ჩამოვდიოდი ზაფხულობით
ხანდახან შენთან!
და დამრჩა მე იქ ყმაწვილობის დღეები ნაღდი,
ო, ჩემი ყრმობის უერთგულეს
ბიჭებთან ერთად!
მომაგონდება ომის მძიმე დღეები ურჩი
და „თოფობანას“ უჩვეულო
თამაში სოფლად!
როცა წაგვართვეს ბავშვობის ცა საოცრად ლურჯი
და დემონები აბრუნებდნენ
საწუთროს ბორბალს!..
შორს, სადღაც, მაღლა „მესერშმიტი“ რეკავდა ზარებს,
ვიკეტებოდით ოთახებში
ბავშვები შიშით!
ვერ გავდიოდით შეპყრობილნი ცახცახით გარეთ,
ვიტანდით ხშირად პატარები
წყურვილს და შიმშილს!
რა შორს გაფრინდნენ ის დღეები მრისხანე ფრთებით,
გადიხმაურეს დედამიწა –
ვაით და ვიშით!..
რა დარჩა? – მიწა უბოლოო, გვამებით სავსე,
და მხოლოდ სისხლის ოკეანე,
უდაბნო ქვიშის!

29.03.17
თბილისი

* * *

ზამთრის სითეთრე მიეფარა უეცრად თვალებს,
მთებსა და მინდვრებს საიმედოდ
ეცვალა ფერი!..
და სიყვარულით გაზაფხულის აცეკვდა მთვარე,
სად თოვლი იწვა, იქ
ამჟამად სიმწვანე მღერის!..
სივრცეს ჩიტების საოცარი ჟღურტული არხევს
და ხეივნები უკვე ფერად
იალქნებს შლიან!..
ბუნებამ ხედავ, რა უეცრად იცვალა სახე,
არა აქვს ზღვარი უნაპირო
ფერების შრიალს!..

10.04.16
თბილისი

ფერთა თამაში

აპრილის ქარებს რა ლამაზი შემოაქვთ სუნთქვა,
მზე მიირხევა ცის თავანზე
ფერთა თამაშით...
უსიყვარულოდ სილამაზე არავის უთქვამს,
გალობს სამყარო ბუნების
წიგნს, როცა გადაშლი...
მოაქვს სურნელი სილაჟვარდეს სხივთა ჩქერებით
ატმის და ნუშის ყვავილები
ფარფატით ქრიან...
დავდივარ ბაღში, უნაზესი მათოვს ფერები,
ამ სილამაზეს გაზაფხულის
შემოსვლა ჰქვია!..

12.04.16
თბილისი

ტრფობის მტევანი

სკოლის მერხიდან შემიყვარდი, ძვირფასო ჩემო!
და გახდა გული მკერდქვეშ
უკვე დაუტევარი!
უშენოდ ჩემთვის, აქ არაფერს არ ჰქონდა გემო
და სულის ლერწზე თამთამებდა
ტრფობის მტევანი...
მახსოვს, საყელოს გიმშვენებდა თეთრი მძივები,
გიყვარდი, მაგრამ ახლოს,
თითქმის არ მიკარებდი!
ყველა უჯრედი ჩემი გულის შენს გულს მოება
და გიმღეროდა ჩემი ლექსის
ყველა ბწკარედი!..

07.12.12
თბილისი

გულს ამჩნევია

თვალს მიეფარა ჩემი ყრმობის გზები ფერადი,
კვლავ, მიფრინავენ სიშორეში
თეთრი გედები...
როცა ქარები გაზაფხულის დაუბერავდნენ,
სული ღელავდა მუდამ
სავსე შემოქმედებით!..
ზღვაზე დახრილი იისფერი მოჩანს სვეტები,
გულს ამჩნევია
უმძიმესი ნაიარევი!..
ირხევა სივრცე ღრუბლისა და ნისლის ნარევით
და, ამ გაძარცულ ხეთა
ფონზე დავიარები...

14.09.12
თბილისი

რად ამატირა?!

აჰა, კალენდრის გადავფურცლე ბოლო ფურცელი,
მახარებს მოსვლა ახალი წლის,
თუმც გულიც მტკივა!
ერთი, მითხარი, ქვეყანაზე რაა უცვლელი,
ხსოვნამ წარსულის, ასე უღვთოდ
რად ამატირა?!
სიცოცხლე, ვიცი, სანთელივით ჩაიღვენთება,
ო, ბევრი ადრე, ბევრი კიდევ,
ძალიან გვიან!..
თოვს უჩვეულოდ, ახალი წლის დილა თენდება,
და ვუცქერ ისევ, ფანტელების
საოცარ რიალს?

01.01.13

სანამდის ჟამი დამშლიდეს!

რასაც აქ ვხედავ ტკივილით მიკლებს,
ო, რა შორს მიდის დაცინვა ბედის!..
მე კი საომრად, კვლავ ძალას ვიკრებ
და გულსაკლავად
მომძახის დედა!..
მე მოვიტოვე რამდენი ხიდი...
და ისევ ჟამი კივილით მიდის...
ამ გულს მღელვარეს რა დაამშვიდებს, –
სანამდის აღარ
დამფარავს ბინდი!..

30.11.12
თბილისი

კიპარისი

ჩემ წინ დგას ერთი კიპარისი მაღლობზე მარტო,
მუდამ ჟამს ჩუმი, ფიქრიანი
და იდუმალი!..
ეს მხოლოდ მისი ლურჯი ტანის სინაზე მათოვს
და, როცა ფრთხილად შეღამების
შეარხევს ქარი,
მე მიყვარს ჩემი კიპარისი –
სიმღერა მთვარის!..

09.05.78
სოხუმი

თავზე მემსხვრევა ცა მინანქარის

ცხოვრების ბრუნვას ვერაფერს ვუგებ
        და დამკვირვებლის ნაპირზე ვრჩები!
ეკალ-ბარდები ედება შუკებს
და ჩემს ოცნებას
ემსხვრევა ფრთები!
ყრია რტოები ნალეწი ქარით,
        რომელსაც ფარავს უდაბნო ქვიშის;
მემსხვრევა თავზე ცა მინანქარის,
რომელიც მუდამ
ცახცახებს შიშით.

29.11.12
ბანძა

ზარებს არისხებს მნათე

სიკვდილს ვერავინ ვერ შეაჩერებს,
თუ ერთხელ ნაპირს გაცდა!..
მან კეისარი გაინაპირა,
მაკედონელიც დასცა!..
ჰქრება სიცოცხლის თეთრი ჩანჩქერი
და ფიქრი ღამეს ათევს...
იგი ვერაფრით ვერ შეაჩერა –
რუსთაველმა
და დანტემ!

25.04.11
მოსკოვი

მივაყურადებ...

ბავშვობის დღეებს მივაყურადებ,
სიმებით სავსე ირხევა სივრცე!..
შენი ხმა, ისევ, მწვდება გულამდე
და მოგონება
შემიტევს ფიცხელ!..
გული მუხტს ტრფობის ინახავს დიდხანს,
რჩება ხსოვნაში დღეები წრფელი!..
სულო, მითხარი, საითკენ მიხვალ
და, რატომ გინდა
იცვალო ფერი?!

02.12,12
თბილისი

გულწითელა

ისევ გიხილე გულდაკოდილი და უცოდველი მზერით,
შენ დაიღალე უკვე ლოდინით, – ზამთრის
ზღაპარით გრძელით!..
მოდის, მოჟონავს სისხლი ნებისად, ვერ შეგიხორცდა წყლული!
ჩუმად ქვითინებს შეღამებისას
შენი ლამაზი სული!..
რამ შეგაყვარა ეს მარტოობა და შეღამების ბინდი?
და გაძარცული ქარით რტოები
ალუბლისა და შინდის?
ვინ აგიყვავა გულზე მოცხარი, ფიფქებს რად ხვდები თრთოლვით?
რად შეიჩვიე სევდა მცოცავი
და შეღამების თოვლი?!
ისევ გიხილე გულდაკოდილი და უცოდველი მზერით!..
შენ დაიღალე უკვე ლოდინით, –
ზამთრის ზღაპარით გრძელით!..

24.02.97
ბანძა

ვერ შევაჩერეთ!

ვიწამე ქვეყნად გაზაფხულის ფერთა თამაში
და მიწიერი სილამაზის
გავხდი ერთგული!..
საით გაფრინდნენ ის დღეები რხევით, მარმაშით,
გაიყოლიეს სიშორეში
„ნანა“ მეგრული!..
ვეფერებოდი მინდორ-ველებს, მთებს და ჩანჩქერებს
და შეღამების მოსვლა მაცნეს
უკვე ზარებმა!..
დროის დინება ვერ იქნა და ვერ შევაჩერე
და ის დღეები ხსოვნას შერჩა,
როგორც ზმანება!..

09.12.12
თბილისი

იყო საღამოს შვიდი!

შენ თეთრი კაბით იწექ, თითქოს გეძინა მშვიდად,
შუქი წყდებოდა მინდორს,..
იყოს საღამოს შვიდი!
მთვარე იხსნიდა ნიღაბს, სიო გაფენდა ფოთოლს,
დარჩა ცხოვრების მიღმა
შენი სხეული თოთო!..
შენ ცისკრის იყავ სხივი, ჰგავდი აპრილის კოკორს,
რატომ დაგეცა ჩრდილი, –
ასე პატარა გოგოს?!
ვეღარ დაუვლი ანცი ვარდებს სათუთად მოვლილს,
როგორ გიპოვოს აწი,
როცა ჩამოვა თოვლი?!
შენგან დარხეულ სიმებს – რა ეშველება, ნეტავ?
სანამ ჩამოვა წვიმა,
სანამ იგლოვებს დედა?!
შენ თეთრი კაბით იწექ, თითქოს გეძინა მშვიდად,
შუქი სწყდებოდა მინდორს,
იყო საღამოს შვიდი.

17.09.72
ბანძა

მოსკოვი

ყვავილებით ჩინარის დაიბურა ქალაქი,
მივიდივარ და ქუჩაში
მიჯირს თვალის გახელა!..
აქ არასდორს ილევა მტვრის და გაზის მარაგი,
მივდივარ და ქალაქის
კვამლი მაწევს რამხელა...
ოკუპანტთა ნაგები მოჩანს ციხე-კოშკები
და თვალები ვარსკვლავებს
ვეღარ გაეკიდება...
ყვავ-ყორნების ვოკალი მოსკოვს, ისევ ამშვენებს
და შერჩება, ალბათ, ის
მარადიულ დიდებად!..

10.06.11
მოსკოვი

ჩიტებს

ბევრი რამ მომცა განგებამ, გავცქერ ხასხასა მინდორ-ველს...
დრო მიდის, მიიგრაგნება და სევდის
გუბეს მიტოვებს...
შორს, მოვიტოვე ზამთარი და ცისფერ ბილიკს მივყვები...
მე ჩემს სიმღერას ვამთავრებ
გადაღლილს უკვე ფიქრებით.
თქვენი ხმა მწვდება გულამდე და მივსდევ სივრცეს ხალისით...
ხან აისს მივაყურადებ,
ხან სიმთა ჟღერას დაისის!..
და ისევ გრძნობით ვინთები, გავცქერ მინდორ-ველს მაისის..
თქვენი გალობით იზრდება
ჩემი სიცოცხლის ხარისხი!..

23.05.11
მოსკოვი

წყაროს

ცა გაზაფხულის ხშირად იმღვრევა,
შემოდის მთვარე, როგორც სტუმარი...
მე მიყვრს შენი ლურჯი სიმღერა
და ღამეული
ხმა იდუმალი!..
შუქით იღვრება ცა განთიადის,
შენ კი ციმციმებ თვალებალმასა!..
და მოყურადე იადონების,
სად მიდუდუნებ
ასე ლამაზად?

22.04.16
თბილისი

ჩემი სახლ-კარი

ჟამი მიდის და ულმობლად გულში მიმიზნებს მახვილს,
გაცივდა ჩემი სახლ–კარი
                  და განიძარცვა ბაღი!
მოდის ზამთარი პირქუში და ფრთებს მრისხანეს მახლის,
არარაობის საზღვრები
ჯერაც ვერ გადავლახე!..
ჩემი ალვები არ ჩანან წყაროს პირს მდგარი მწყობრად,
არც აკაციის ხეები
                  მთვარის სინაზით მთვრალი!..
ადგილის დედა ეზოში დადის და მწარედ ოხრავს
და ხმელ ფოთლებში ხმაურობს
ნოემბრის ურჩი ქარი!..

21.11.11
ბანძა

ფერდობზე ლურჯი საღამო წვება

ახლაც აღმართებს მიჰყვები უხმოდ,
თუმც დალმართისკენ გეწევა წლები!..
კვლავ ებრძვის თოვლს და ქარიშხალს მუხლი
და ყალყზე დგება
ზვირთების წყება!..
შენ, ბევრი რამე წაგართვეს წლებმა,
სულს შერჩა მხოლოდ სიმტკიცე რვალის!..
ფერდობზე ლურჯი საღამო წვება
და მაინც მიზანს
დაეძებს თვალი!..

18.10.72
ბანძა

ცაო, დაუშვი წვიმა!

ცაო, დაუშვი წვიმა, სივრცე ნუ ამიტირე,
ამაოდ გავცქერ ქათქათა
ღრუბლის ვეება ტივებს!..

ცაო, დაუშვი წვიმა, ბოლო არ უჩანს ლოდინს!
და ათასობით არხიე,
წვიმის ცისფერი ტოტი!..

ცაო, დაუშვი წვიმა, მიეც სიცოცხლეს ღონე,
ცაო, დაუშვი წვიმა,
ხურს მიწა, როგორც თონე!..

ცაო, დაუშვი წვიმა, ღრუბლის არხიე რიდე,
ცაო, დაუშვი წვიმა,
მზის ხანძარს განმარიდე!

ცაო, დაუშვი წვიმა, სიცოცხლე შეიწყალე
და ეს მთა-ბარი ისევ,
ამიბიბინე მწვანედ!..

22.07.10
თბილისი

***

ო, ვინ ჩასწვდება წუთისოფლის იდუმალებას?
მოდის საღამო...
ხე ქანაობს ტოტებდახრილი.
შენ გეძებენ და მოგძახიან ჩემი თვალები
და ჰორიზონტზე მიირწევა
მზე გადაღლილი...

15.07.71
სოხუმი

***

უცებ მოიჭრა ღრუბელი ზეცის კარიბჭე გაიღო,
წვიმის ღრუბლების შემოსვლა,
უკვე ბალახმაც გაიგო...
ისმის ჟივილი ფრინველთა, ელიან ციდან წყალობას,
მზის მხურვალება მინელდა,
იწყეს ფოთლებმაც გალობა!..
ციმციმებს წყაროს თვალები, ისიც სიხარულს მოელის,
ბუნების ფერიცვალებას,
როგორ გრძნობს
ნეტავ ყოველი?!

14.07.71
სოხუმი

მახსენდება!

მახსენდება მუხის ძველი სახლი
მდინარის პირს ტირიფონში მდგარი.
ო, ის სიმებს მოგონების არხევს,
რომელსაც ვერ
გაურბივარ, მარი!

მე არ ვიცი, მივიჩქარი საით?
ან თვალები რად მევსება ცრემლით?
ისევ ფრთებს შლის შემოდგომის ქარი
და მიცქერის
მთვარე
ალმაცერი!..

04.03.10
მოსკოვი

ცივი საუკუნე

მე წარსულსა და აწმყოს შორის ვირხევი კაცი
და მომავლისკენ საიდუმლო
მიჭირავს გეზი...
მიახლოვდება, ვიღაც, ისევ ნაბიჯით მკაცრით,
ო, მე ლექსებს ვწერ მეგობარო,
და არა თეზისს!
ეს საუკუნე კვლავ ქარიშხლის ფრთებზე რიალებს
და სიშორიდან გადუქროლებს
მხედარი ბექობს...
ვეღარ გათენდა ჩემს მამულში დილა მზიანი
და კიდით კიდე მწუხარების
ზარები რეკენ!
ვეღარ გავშორდი საუკუნეს გრძნობისგან დაცლილს,
დასაბამიდან ეს რამდენი
წამება მერგო?..
მე წარსულსა და აწმყოს შორის ვირხევი კაცი
და ჩემი სულის მღვრიე ქარებს
შორს მიაქვს ექო!..

01.05.11
თბილისი

კვლავ დამსდევს ქარი

კიდევ კარგი, რომ ცრემლთადენის შემრჩა უნარი,
ამ ჩემს სატკივარს, – ეს ლექსები
ახლავს თავდებად!..
კიდევ კარგი, რომ – ეს სოფელი მიწყივ მბრუნავი,
არავინ იცის, სად იწყება
და სად მთავრდება!..
დავეხეტები, როგორც მწირი ხელმოცარული,
ამ საშზეოზე ვერსად
ვპოვე თავშესაფარი...
მივდივარ მარტო, მეტირება, ცრემლს ვღვრი ფარულად,
რამდენჯერ ნისლის დამაყარა
ქარმა ფაფარი!..
ჩემი ბავშვობის რა შორს დარჩა თეთრი ზღაპარი,
რა მკაცრად შემკრა ამ ცხოვრებამ
რკინის ხელებით?!
ამ საშზეოზე ვერსად ვპოვე თავშესაფარი
და დამსდევს ქარი
ტრამალების განახელები!..

15.05.11
მოსკოვი

ვერ დავივიწყებ

შენ ცხვირსახოცი მაჩუქე, ვიგრძენი გულისნდომანი!..
და ჩემში შემოაშუქე
ღიმილით ხავერდოვანით!..
შენ ცხვირსახოცი მაჩუქე, ამოქარგული წარწერით,
დრო ვერ შლის, თუნდაც ეცადოს,
იმ სიტყვებს გრძნობით დაწერილს!..

წელი რამდენი გავიდა ციდან სხივების რხევებით,
ვერ დავივიწყე ის ბაგე,
ვერც ტანი მოსახვეველი!..
მე ვერც იმ აპრილს ვივიწყებ ატმის ყვავილთა ფანტელით
და, ისევ შენკენ მივეწევ
სულის მხურვალე სანთელით!..

04.01.10
მოსკოვი

მიდის ჟამის გასწვრივ

ხედავ, ყვავილს უმოწყალოდ აწვიმს,
სიოს ფრთები გაუშლია სველი...
ყველაფერი მიდის ჟამის გასწვრივ,
ღელვით უნდა
გაიარროს ველი!..
ისევ ხარობს ბალახების ღერო
და ზამბახმაც მოიღერა ყელი;
შენ კი მიხვალ ისევ უსიმღეროდ,
საიმედოს, არც არაფერს ელი!
მზე ჩავიდა... ტყემ იცვალა ფერი,
იისფერი ეფინება ფერდობს...
შენ მსხვერპლი ხარ ამ უსაზღვრო ღელვის,
რას ხარხარებ, რა
გაცინებს, ბედო?!

19.08.74
ბანძა

ამაოდ, ვჭიმავ ზონარს

ძვირფასო, ისევ შენ მახსენდები
                  და მე არ ვიცი, რა ვქნა,
ჩემი თვალები ცრემლით სველდება,
დრომ, როცა
ჭანგი გამკრა!
მე დავიღალე რღვევით, შეტევით,
                  ამაოდ, ვჭიმავ ზონარს!
გული საგულეს ვეღარ ეტევა,
ტკივილს არა
აქვს ზომა!..

14.04.10
მოსკოვი

რა უნდა ერქვას?

ისევ და ისევ გსურდა სიმღერა
            და გაურბოდი სიკვდილის კლანჭებს!..
ო, ის მდინარე – რა შორს მიღელავს
და მაისის ცის
მიარხევს ნაჭერს...

შენ გამღერებდა ეს ცა და მიწა,
            ცისარტყელებით შეკრული ერთად!..
მაგ სულში მთელი სამყარო იწვა
და უჩვეულო
თამაში ფერთა!..

რა უნდა ერქვას ამგვარ განაჩენს,
            რომ გაიტაცა შენი ხმის ექო!..
ო, იქნებ, სული მაინც გადარჩეს,
რომ სიყვარულის
ზარები რეკოს!..

23.03.10
მოსკოვი

ვინ მიგვატოვა?

ო, აქ, რაც ხდება, მეგობარო, ენით არ ითქმის
მიწაზე მეფობს შემზარავი შური და მტრობა!..
ამაოდ, ვცდილობ მის გარღვევას პოეტურ სიტყვით,
ო, ასე უღვთოდ, უპატრონოდ,
ვინ მიგვატოვა?!
და სიშორიდან გამოგზავნილ სიცოცხლის ნობათს,
რა შემზარავად ეხეთქება მრისხანე ჯამი!
ეს რა უდროოდ გვემუქრება დაშლა და ლპობა
და საუკუნოდ დავიწყების
შარაგზა შავი!..

10.06.11
მოსკოვი

მივალ თოვლის კაცი

მივალ გზაზე, როგორც თოვლის კაცი,
ფანტელები მეფინება ხშირი...
კალამს ვანდობ ნანახსა და განცდილს,
აქ, მოსკოვში –
საქართველოს შვილი!
ხეები კვლავ ირხევიან ნაძვის,
დრომ არ მინდა გული დამიბეროს!
კალამს ვანდობ ნანახსა და განცდილს,
ამ ჩემს მარად
სათაყვანო სფეროს!..

05.02.10
მოსკოვი

ისევ ქარი და წვიმა

ჯერ ყვავილები დასცვივდა, ახლა ფოთლებიც ცვივა,
ეს რა უეცრად აცივდა, –
ისევ, ქარი და წვიმა!..
მზე იმზირება ფერმკრთალი და მიდის ღრუბელ-ღრუბელ
და ახსენდება წარსული, –
ცრემლით ევსება უბე!..
ბრუნავს ფოთლების მორევი და ცა ეშვება დაბლა,
აჰა, საცაა ჩამოთოვს
და გაშლის თოვლის საბანს...
ეზოს მოადგა აჩრდილი და ჰაერს სუნთქავს ხარბად,
ალბათ, ვენახის საშველად
ისევ გამოჩნდა მამა!

25.11.10
ბანძა

აქ რა გინდოდა?!

სასაფლაოზე მე შენს სურათს წავაწყდი გუშინ,
ო, აქ მოსკოვში, და უეცრად,
შევშფოთდი მწარედ!..
და ყველა ძარღვი, თითქოს ერთობ, ჩამიწყდა გულში,
აშრიალებდა ქარი ხეთა
სამოსელს მწვანეს...

გადამისროლა მოგონებამ შავი ზღვის პირას,
სად ირხეოდა სათაყვანო
შენი ხატება!..
ნუთუ, ყოველი სამზეოზე იქცევა ჩრდილად
და ბოლოს, სადმე
ნაწილ-ნაწილ გაიფანტება?!

მე ტირიფები გამახსენდა ნარხევი ქარით,
რომ სიყვარულით ავედევნეთ
მთვარის ნატერფალს...
და ირხეოდა სიშორეში ცა მინანქარის,
რომელიც, ალბათ,
არაერთხელ მომენატრება!..

აქ, რა გინდოდა სილამაზის ციურ დედოფალს
და ახლა ხსოვნა იდუმალი
იწვის სანთლებად!..
შენ გადაჰყევი, ალბათ, დარდს და უიმედობას
და აქ, შორეთში საუკუნოდ
ჩაქრა ნათება!..

სასაფლაოზე მე შენს სურათს წავაწყდი გუშინ,
ო, აქ მოსკოვში, და უეცრად,
შევშფოთდი მწარედ!..
და ყველა ძარღვი, თითქოს ერთობ, ჩამიწყდა გულში,
აშრიალებდა ქარი ხეთა
სამოსელს მწვანეს!..

05.05.10
მოსკოვი

გავცქერი სივრცეს...

ვარსკვლავთა ციმციმს მივაყურადებ
და მეფინება ციდან ნათელი!..
წარსულის განცდა მოდის გულამდე
და იწვის სულში
გრძნობის სანთელი!..
მწარე დღეები, მახსოვს, რამდენი
და ვიხედები იქით გრძნეული!..
მექცა წამებად დღე დღევანდელი,
გავცქერი სივრცეს
ცრემლმორეული...

22.12.11
თბილისი

ო, ეს ვის გადავეყარეთ?

გული მემსხვრევა ტკივილით,
როცა იმ დღეებს ვიხსენებ!..
სულს აღმოხდება კივილი,
ღმერთო, ტანჯვისგან მიხსენი!..
ამ ბარბაროსთა ქვეყანას,
თავი შევწირეთ უბრალოდ!
ო, ეს ვის გადავეყარეთ? –
შენ დამიფარე, უფალო!..

10.05.11
მოსკოვი

სიჩუმის შრიალი

ეზოში ლურჯი ბინდი მიცურავს, როგორც ლოდებზე ხავსი,
აქ ფეხაკრეფით დადის სიჩუმე
მძაფრი ტკივილით სავსე!..
გადაზნექილა სახლი ფიცრული და ჟამს ვერ უჭერს აღვირს,
ეზოში ლურჯი ბინდი მიცურავს, –
არ ჩანს ფხიზელი ძაღლი!
მხოლოდ ლანდების ჩუმი რიალი, ხესთან აჩრდილი მამის!
აქ დგას სიჩუმის დიდი შრიალი
და ფოთოლცვენის ჟამი!..

15.10.74
ბანძა

სად მიმაქანებ?

სად მიმაქანებ, დროვ, ულმობელო?
ჰორიზონტს იქით ვერაფერს ვხედავ...
ვებრძვი უმკაცრეს ქარებს მობერილს,
რომ მიტევს ისევ
გზადაგზა მედგრად!..

შენ არ მორჩილებ ფოლადის ლაგამს
უკვე მგლურიდან გალოპზე მიქრი...
ეს ვინ წაგიცხო ამდენი ლაქა,
რომ საუკუნე
დაღალე ფიქრით?!

ველარ გავექეც დემონებს წყეულს,
მივქრივარ იქით, ვჩერდები არსად!..
მე სულს ვენდობი და, არა – სხეულს
და ნაფოტებად
ვიშორებ მასას!..

02.01.10
მოსკოვი

გავყვები ბილიკს...

მივდივარ, უკვე არაფერს ვნაღლობ,
თუმც, გულში მძიმე ნაღველი ჩარჩა!..
დემონო, ნუღარ ჩამივლი ახლოს,
მეგობრებს შორის
არავინ არ ჩანს...

გავყვები ბილიკს შორეულს, ცისფერს,
თუმც, მისი ბოლო არავინ იცის!..
მე ფრთებით სივრცეს გავარღვევ ცისკენ
რომ დავემგზავრო
ვარსკვლავთა ციმციმს...

24.04.11
მოსკოვი

ვდგავარ ზღვასთან ახლოს

ვდგავარ ზღვასთან ახლოს და გავცქერი შორეთს,
კვლავ, ყრმობის წლებს ვუხმობ, –
აქ რომ ჩაიქროლეს!..
ვდგავარ ზღვასთან ახლოს, ქარი არხევს ათრევს,
მზე ჩადის და მთვარე –
ცხრა მთას გადამაფრენს...
ვდგავარ ზღვასთან, – იმ წლებს მინდა მოვეფერო,
სივრცეს მკლავზე უწევს
ცეცხლოვანი სფერო!
ვდგავარ ზღვასთან ახლოს, სევდას არვის ვუმხელ
და რტოები პალმის
ზღვას მარაოს ურხევს...
ვდგავარ, ისევ მარტო და გავცქერი შორეთს,
კვლავ, ყრმობის წლებს ვუხმობ, –
აქ რომ ჩაიქროლეს!..

29.09.77
სოხუმი

ცოდვილი

უკვე ნიადაგ სიმშვიდეს კარგავ,
წარსულს იხსენებ, როცა!..
და დაემსგავსე დაჟანგულ ნამგალს,
მუხლზე ეცემი ლოცვად.
შენი ცხოვრების გრძელი გზა-შარა,
მოძმეთა სისხლით მორწყე!..
ჟამმა ის კვალი ვეღარ წაშალა,
ცა და მიწა გყავს მოწმედ!..
მოდიხარ სანთლებს ანთებ ცოდვილი
და მოთქმით სივრცეს სერავ!..
შენი ამ ლოცვის რაა მოტივი? –
ცა მოგევლინოს მხსნელად!..

26.04.11
მოსკოვი

მოვდივარ შენთან

სახურავებზე გარინდული მტრედები სხედან,
მზე კი, საცაა, ჩაეშვება
ჰორიზონტს იქით...
მე მეჩვენება შენი ლურჯი თვალების სევდა
და შენი შუბლი დასეტყვილი
უზომო ფიქრით!..
მიათრევს სხეულს შემოდგომის დღეები ოხვრით,
ირხევა მძიმედ ხეთა მკრთალი
ლანდების წყება...
მე ზღვასთან ახლოს დატენილი დავდივარ ბოღმით,
რომ უმოწყალოდ გამიძარცვეს
იმედი წლებმა!..
დღეების მიღმა ირეკლება ბავშვობის თრთოლვა
და ზღვა ნაპირებს საუკუნის
მღვრიე ფრთებს ახლის!..
მოვდივარ შენთან, უჩვეულო ტკივილი მომაქვს
და სურნელისგან გაძარცული
ყვავილი ბაღის!
სახურავებზე გარინდული მტრედები სხედან,
მზე კი, საცაა, ჩაეშვება
ჰორიზონტს იქით...
მე მეჩვენება შენი ლურჯი თვალების სევდა
და შენი შუბლი დასეტყვილი
უზომო ფიქრით!..

09.08.76
სოხუმი

საით მიდიხარ?

მითხარ, ტკივილით რატომ გასცქერ ამ სივრცის ოვალს?
და თვალებიდან ცხარე ცრემლი –
ეს ვინ გადინა?
ჟამმა პერანგი სიყვარულის ვერ მოგიქსოვა
და კაცი უკვე ვეღარ აძლევ
სევდას სადინარს!
საით მიდიხარ, ასე, უღვთოდ განაწამები,
უკვე არ ჩანან – არც ქეთინო
და არც მადონა!
შუქს ვერ გაღვრიან სიყვარულის – ის ნაწნავები
და გარდასულის
ნოსტალგია დაგეპატრონა!..

22.04.02
მოსკოვი

მერცხლებს

უკვე გაფრენას აპირებთ, როცა ქარებმა იდროვეს,
უკვე გაფრენას აპირებთ
                  და მე კი, სევდას მიტოვებთ!..
თქვენ, თბილ ქვეყნებში მიფრინავთ, ტოვებთ
მინდორ–ველს ბიბინას,
ო, როგორ შეკრთით, მინდორზე
ქარმა რომ გადაირბინა...
თავს იყრით უკვე ჯალებში და ჟამი ხდება მთვლემარი,
თქვენ თბილ ქვეყნებში მიფრინავთ
                  დარდებით ღამისმთევარი!
ტოვებთ სოფლებს და ქალაქებს, გაშინებთ ჟამი ტიალი,
ეშმვიდობებით ქვეყანას,
ამ წუთისოფლის ტრიალით!

04.08.2013
თბილისი

მოცეკვავე გედი

ნინო ანანიაშვილს

ეამაყები სამშობლოს მუდამ საქმით და ნიჭით
შენს სიყვარულში მისდამი
არ გვეპარება იჭვი!
ისე ანთიხარ სცენაზე, როგორც კოცონი თეთრი,
და სალოცავი ხატი ხარ
შენი სამშობლო–დედის!
ნიჭი ხარ უზენაესი და სინარნარით სავსე,
შენით ხარობენ მთიები
საგანთიადო ცაზე!
დიდი რუსთველის გორის ხარ, ქალი ამაყი გვარის,
თეთრი გედივით მფეთქავი
და ცეკვის ჯადოქარი!...

19.12.2000
მოსკოვი

ბოტანიკური ბაღი

შენ არა ერთხელ შეირხევი და არა ორჯერ,
ათიათასჯერ აყვავდები,
ძვირფასო ჩემო!
უკვე ვბრუნდები საშობლოში, გადაწყდა, მორჩა,
მიმყვება შენი სილამაზის
ეშხი და გემო!
ეს ათი წელი შენ მაძლევდი სულიერ ძალას
და არაერთხელ დამავიწყე
დღეები ბილწი!
არ ვიცი, ცრემლი განშორების რად მომეძალა
და გული ისევ ბიბლიური
ბუჩქივით იწვის!..

09.04.11
მოსკოვი

მახსოვს!

მახსოვს, ზღვის პირას მაშინ, შენ თეთრი კაბით მოხველ,
იყავ ნატიფი ბავშვი და მეც
ერთგული მოყმე!
ო, იმ დღეების ღელვა დრომ მიანარცხა ნაპირს
და სამუდამოდ გაქრა
იდუმალება ზღაპრის!..
ახლა, შორს, სადღაც დავალ... ბედის დაცინვას ვითმენ,
და ვუნაწილებ სევდას
მეტაფორებს და რითმებს!

16.04.11
მოსკოვი

ფაუსტი

წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი! ნისლი მოლურჯო
ფარავდა ფერდობს...
წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,
კაცი ნაპირზე თოვლივით ენთო!..

წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი, იდგა მოხუცი
ქცეული სახტად!..
წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი
და ნიღბიანი
მრჩეველიც ახლდა...

წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი, ზღვაზე მზის
ჩასვლას უცქერდა დიდხანს...
წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,
არ დასცდენია არცერთი სიტყვა!

სადღაც, სივრცეებს ფიქრით მისდევდა... რბოდნენ
ტალღები ქარით დევნილი...
მე ვნახე იგი სწორედ ისეთი,
როგორაც მყავდა
წარმოდგენილი!..

წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი, მთლად დაეფარა
სახე ნაოჭებს!..
წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,
და ეს ხატება ახლაც მაოცებს!

წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი... და ნიღბიანი
ვიცან მრჩეველიც!
წუხელ, ზღვის პირას ვნახე ფაუსტი,
კაცი სიხარულს
შეუჩვეველი!

12.08.78
სოხუმი

თოვლი-ეფემერა

ჩამოდის თოვლი აპრილის,
მის სილამაზეს ვერ აღწერ!
ჩამოდის თოვლი აპრილის,
მაგრამ მიწამდე
ვერ აღწევს!

ჩამოდის თოვლი აპრილის,
ხე ტირის ანაყვავები...
ჩამოდის თოვლი აპრილის,
ისევ ჩხავიან
ყვავები...

ჩამოდის თოვლი აპრილის,
მზე ღრუბლებიდან იცინის...
ჩამოდის თოვლი აპრილის
და ქრება
ჩუმი ციმციმით...

12.04.11
მოსკოვი

ირხევა ბაღი

სევდა რამდენჯერ გავუმხილე შენს თეთრ ტირიფებს,
მთვარის ლანდებთან ვირწეოდი
გრძენული კაცი,
მდინარემ ნისლი ერთიანად მოიშილიფა,
ო, შეპყრობილმა ვარსკვლავების
უზომო განცდით!..
ირხევა ბაღი დაცხრილული ოქროს ისრებით,
დავდივარ მარტო და
ეს გული მევსება დარდით!..
ძვირფასო ჩემო! მაგ თვალების მემაისება,
ვიხსენებ წარსულს
და უზომო ცრემლები დამდის!..

11.04.11
მოსკოვი

გაფრენილი დღეების ნოსტალგია

ო, ხშირად ცრემლი მომაწვება თვალებზე უხმოდ,
როცა შენი ხმა სიშორიდან,
ძვირფასო, მესმის!..
და ჩემში სევდამ – რა ულმობლად გაიდგა ფესვი,
გაფრენილ დღეებს ნაღვლიანად –
ვეძახი, ვუხმობ!..
ო, ჩემში შენმა სიყვარულმა გაიდგა ფესვი
და ბაგეებმა ეს რამდენი
შარბათი მასვეს!..
მე მხოლოდ შენი სილამაზით ვიყავი საესე
და ახლა გული
შემოდგომის ჩიტივით კვნესის!..

25.07.11
თბილისი

ო, როგორ მიჭირს?!

დღეების ქროლვა ვერ შევანელე
            და სინანულით გავცქერი სივრცეს...
როგორ მიტოკავს ყოველი ნერვი
და მწუხარებით გული
კვლავ მიცემს!

ხეივანს ზამთრის ნაბიჯით დინჯით,
            მივყვები მარტო და ფიქრი მზარავს!
ხსოვნა იმ დღეთა ო, როგორ მიჭირს
და ჟამს ვეურჩო
არ შემრჩა ძალა!

28.11.12
თბილისი

თეთრი პალატა

საღამოს შვიდი, საღამოს შვიდი,
მზემ ერთხელ კიდევ შემოანათა!
საღამოს შვიდი, საღამოს შვიდი, –
საავადმყოფოს
თეთრი პალატა!

ვერ გაუმკლავდი ბოლომდე სიკვდილს,
რეკავდა ზარი ფერისცვალების!..
რომ ამაოა ეს ბრძოლა მიხვდი
და ჩამოგაწვა
ნისლი თვალებზე...

სარკმელთან ენთო რტოები თეთრი
და ბიბინებდა მინდორი ვრცელი..
სიკვდილმა კვალი გაავლო მკვეთრად
და იყო მხოლოდ
მზე ალმაცერი...
და იისფერი ფრთების შრიალით
გაფრინდა სული შორეულ მხარეს...
ისევ, არხევდა ტირიფს ნიავი
და გადაჰქონდა
ფიფქები ქარებს...

19.04.67
სოხუმი

გული

ეს გული ცრემლს და სიხარულს ორივეს ერთად იტევს,
ფრთებს ვშლიდი აღფრთოვანებით,
ტკივილიც ბევრი ვზიდე!..
მივდივარ გზაზე ცხოვრების, ორივე მიმაქვს ბლომად,
ჩემს წუთისოფელს პატარას
მათი სიმრავლით ვზომავ!..
მახსოვს ბავშვობის ზღაპარი და ყმაწვილობის ჟამიც,
ხან ვშლიდი ოქროს ფაფარს,
ხან ცრემლებს ვღვრიდი ღამით!..
ხან მზის ასული მათრობდა ყვავილთა ნიავქარით,
ხან ჩუმად მეფერებოდა
მთვარე – ბებიაქალი!
ორივეს გრძნობით ვატარებ, რომელი რომელს მეტობს?
მათ ზომა-წონის შეცნობას
ვერ მოუნახავ მეთოდს!
ჩემს არსებაში ორივე ხან ფეთქავს, ხანაც ტირის,
ერთი მეწვევა საღამოს,
მეორე კიდევ დილით.
ხან ფრთებს ვშლი ქარში ძალუმად, ხან მახრჩობს ცრემლის
ტბორი,
ორივეს გულით ვატარებ
და ვცურავ მე მათ შორის...

12.0.2015
თბილისი

წავიდა ის დრო!

შემომეცალნენ მეგობრები, – არავინ არ ჩანს!
და თანაგრძნობის
მოიშალა ყველა იმედი!
წავიდა ის დრო, მოყვითალო ფოთლების ფარჩას
და მთვარიანი ღამეების
ხავერდს მივენდე...
მოჟამულ დღეებს მდოვრედ მავალს, არაფრად არ ვთვლი
და უნუგეშოდ გავხდი
კაცი მოხეტიალე...
მიიზლაზნება მთვარე ცაზე მზის მკრთალი სანთლით,
თავზე ახურავს მხოლოდ
ღრუბლის თეთრი ტიარა!
ყოფნა–არყოფნის ვრცელი საზღვრის ნაპირზე მივალ,
ორივე მხარეს ვაკვირდები
მთელი სიმწვავით...
ხსოვნა დღეების უჩვეულო სიმძიმით მტკივა
და მაინც სულის უკვდავების
ძალა ვიწამე!..

29.08.2016
თბილისი

ჩემი ტყე

მე ბავშვობიდან მიყვარდა ჩემი პატარა ტყე,
იდუმალება მისი – აღარ
მეძახის დღეს!
ის მზით და მთვარით თვრებოდა, ეფერებოდა ცას,
მსუბუქი ფრთებით ხვდებოდა
საგაზაფხულო ქარს...
ვაყურადებდი რიდით წყაროს კამკამა ხმას,
მიყვარდა რხევა რტოების,
რომ მეხვეოდა გარს...
ის დემონებმა მოშალეს, ჟამს რომ უცვლიან ფერს
და მასთან ახლოს ლურჯფრთება
ჩიტები აღარ ფრენს!
მე მიმოვდივარ ახლოს, უკვე ცრემლები მდის,
მთიდან ჩამოდის ნიავი, სევდას
უზომოდ ღვრის.
მისი შრიალი ლამაზი გაჰყვა დინებას შორს...
და გული როგორ მძიმდება –
მომაგონდება როს!

22.05.89
ბანძა

დედამიწა

შენ მზის სისტემის არსებობას ავსებ ტრფიალით,
ერთადერთი ხარ და, თანაც
ფლობ მაგიურ ძალას!..
წუთისოფელი უცნაურად მიდის ტიალი
და მწუხარებას უსაშველოს
ვერაფრით მალავ!..
არხევ მუსიკას სათაყვანოს, თამაშით ფერთა,
ვინ იცის, ქვეყნად სატკივარი
რამდენი გაწევს!
შენი სიცოცხლე უჩვეულო სინაზით ფეთქავს,
ქვითინებ ჩუმად და, ხან
ცრემლი გისველებს ღაწვებს!..
მინდა შეჩერდეს შემოტევა თერმობირთვული,
რომელიც ერთობ შენს სიცოცხლეს
ქაოსად აქცევს!..
მიქრიან დღენი მწუხარებით გადატვირთული,
ო, როგორ მინდა ეს მშფოთვარე
დღეები დაცხრეს!..

08.06.2016
თბილისი

შორს მიატოვა

სულმა გაშალა თეთრი აფრები,
            როდესაც მღვრიე სივრცეს ვერ სძლია!
ვერ აიტანა გაარაფრება,
გაექცა ჟამის
უდაბურ რიალს...
გადაიხურა ზეცის სილურჯე,
            დატოვა გული სევდით ნაოსი...
შორს, მოიტოვა დროის სიურჩე
და მდუმარება
სასაფლაოსი!..

30.08.2016
თბილისი

რამ უნდა გადამავიწყოს?!

ჩემი მინდორი მდუმარებს, არ ვიცი თუ რით დავიწყო,
ის სილამაზე ზღაპრული, რამ
უნდა გადამავიწყოს?!
ჩემი მიდნორი მდუმარებს და ბალახები ბიბინებს,
ჩემი მინდორი, რომელიც
რამდენჯერ გადავირბინეთ...
ალვის ხეების შრიალი სივრცეს საოცრად ედება,
ღრუბელი ზეცის თავანზე შორს,
სადღაც მიეხეტება...
მზე მოდის შუქთა ფანტელით და ფერებს მოათამაშებს,
ეს მინდორი და შუკები
ფეხშიშველებმა დავლაშქრეთ...
დრო მოდგა დაუნდობელი, ადგილის დედა ქვითინებს,
ახლა დავდივარ ეული, ჩუმად
რამდენჯერ ვიტირე!
აქ მოსვლა მეხალისება, თუმცა ცრემლები ჩამომდის,
კვლავ იგალობე, ჩიტუნავ,
ო, როგორც ადრე გალობდი!
ჩემი მინდორი მდუმარებს, არ ვიცი თუ რით დავიწყო,
ის სილამაზე ზღაპრული, რამ
უნდა გადამავიწყოს?!

14.05.2015

დამიბრუნეთ!

სული უკვე ვერ იშორებს წუხილს,
გული, ისევ სიყვარულით მიცემს!
კვლავ, აცურდა ეს ღრუბელი რუხი,
რომ ერთბაშად
დაეუფლოს სივრცეს...
გარდასული მოგონებად მექცა
და ვერაფრით ვერ ვიშორებ ნაღველს!
დამიბრუნეთ სანატრელი ზეცა
და ის ბალი –
ნიავი რომ არხევს...

ჩემი სახლი

არც ძაღლი ყეფს, არ ყივილი მამლის,
სახლს დუმილი ეუფლება ურჩი!
და ბუხრიდან არ ამოდის კვამლი,
სივრცე ღრუბლებს
დაუფარავთ ლურჯი!
სიყმაწვილის მახსენდება წლები
და ხეხილის ოკეანე ვრცელი...
მდინარის პირს ალვის ხეთა წყება –
სიყვარულით, ვიცი,
ახლაც მელის!
ძველ ბილიკებს ავედევნო მინდა,
რომ ისინი ცრემლით დავასველო!
შეღამების მოირღვევა ბინდი
და გავცქერი მთებს
საოცრად მელოტს!

22.11.2015
ბანძა

ამაოდ შევაბერდი

ჩემი დღეები გაფრინდა, მას ვეღარ დავაბრუნებ,
ვერ დავეწევი ვერაფრით, თუნდაც
დავრახტო ჰუნე!
ვემახსოვრები საწუთროს – მოუსვენარი, ურჩი,
და ჟამთან შეხლა–შემოხლას
ვერაფრით გადავურჩი!
ვეღარ გავცურე მდინარე, ვეღარ გავედი გაღმა,
ამაოდ, ვეჭიდებოდი მუხის რტოს
უკვე გამხმარს!
გახდა ტკივილი უზომო – შორს გაჭრილს, მიუსაფარს
და გაფრენილი თეთრონის
არ ვეშვებოდი ფაფარს!
ვერ გავარღვიე საზღვარი და, ვერც სიურჩე ბედის
და ცხოვრებასთან ჭიდილს
ამაოდ, შევაბერდი!

05.07.2016
თბილისი

ზამთარი უკვე წავიდა

ზამთარი უკვე წავიდა და აქ სამოთხე გალობს,
ურჩი თებერვლის ქარები, თუმცა
არ წყვეტენ სისინს...
ფანტავს ნიავი ყვავილებს და მზე ამოსვლას ჩქარობს
და ფერთა ფერად მორევში
ვცურავთ მე და შენ, ზიზი!..
მზის სანატრელი ღიმილი ედება არემარეს,
ჩიტების ხშირი ჟღურტული სულს
სიალამზეს მოჰფენს,
აჰა, საცაა ბულბული მოვა გალობით მალე,
სიმღერა გოგო-ბიჭების
კვლავ არხევს წუთისოფელს!..

12.04.1974
სოხუმი

მზე უკვე ჩადის...

გამოთხოვება მიჭირს შენთან, ჩემო პლანეტავ!
ამაზე ფიქრით ო, ეს გული
როგორ ღონდება!
მე მიყვარს შენი – ყველა გრძედი, ყველა განედი,
თუმცა, განშორების ჟამი
უკვე მიახლოვდება!
ჩვენ, შენ გიწოდეთ „დედამიწა“ და გეფერებით,
როგორც დედა შვილს სათაყვანოს და
შვილი დედას!
როგორ მოგვნუსხე შენი მთებით, შენი ველებით,
და მე ღამეებს, შენზე ფიქრით,
ვათენებ თეთრად!..
შენს მკერდს აჩნია ჩემი მცირე ნატერფალები,
არ ვიცი, რა ვქნა, სული
როგორ დავაიმედო?
ამ მოზღვავებულ ტკივილების მიჭირს ტარება,
არ მინდა შენთან განშორება,
ჩემო იმედო!
კვლავ რეკავს ზარი! – შეღამების მზე უკვე ჩადის!..
ცრემლებს ვერ ვმალავ და ტკივილით
სივრცე ფითრდება!
დახეტიალობს ჩემთან ახლოს სიკვდილის ლანდი
და ფიქრობს იგი ჩემს
გაქრობას, გაბედითებას!..

მაგრამ, ამაოდ, მე ვუმღერე შენს სილაჟვარდეს,
შენს სიდიადეს, სიყვარულს
                და ფერიცვალებას!..
აქ, არაერთხელ სილამაზის შეარხევ ფარდებს
და მიდის ჟამი სიშორეში,
როგორც ზმანება...
შენ გული გტკივა უგუნურთა უთავბოლობით,
რომ თერმობირთვულს
                დაგამსგავსეს, დედავ, პოლიგონს!
რა უნდა ნეტავ? – რაზე ფიქრობს ძალა ბოროტი?
რომ სიცოცხლესთან სამუდამო
ომი მოიგოს?!

მოგონება

ჩემი ძვირფასი მამიდების – **მაშას** და
ფაქიზოს ხსოვნას!

ჩემო, ლამაზო მამიდებო! კვლავ თქვენზე ვფიქრობ,
ყოველ ნაბიჯზე, ძვირფასებო,
თქვენ მაგონდებით!..
დრო მიდის, მაგრამ, ოდნავადაც ტკივილს ვერ მიქრობს,
დავცქერ საფლავებს დამძიმებულს
თეთრი ლოდებით!

მიქრიან წლები... ჩვენი ეზო მოიცვა სევდამ,
თქვენს ყვავილნართან მოვდივარ
და ცრემლები დამდის!..
მე განშორების მწუხარება გზადაგზა მსდევდა
და ის მავსებდა უსაშველო
ტკივილით, დარდით!..

გაუდაბურდა ო, ის ეზო, ვრცელი სახლ–კარი,
წვიმამ და თოვლმა ნატეფალი
მოშალა თქვენი;
ახლა ეზოში ნაზამთრალი თარეშობს ქარი
და ყოველივეს, რა ულმობლად
ეცვალა ფერი...

მიდის ცხოვრება... მეც იქითკენ მეძახის ჟამი,
იმ სილამაზის წლები
გაქრა, გაუჩინარდა!..
და ცის ხავერდი შემოსილა ღრუბლებით შავით,
მე სევდით სავსე, მარტოდმარტო
ვდგავარ ჩინართან...

13.03.2016
ბანძა

ფერთა მორევში ვცურავ...

კვლავ, გაზაფხული მეწვია და, ადრე ვდგები დილით
და ტყისკენ მარტო მივდივარ
სიფხიზლით მონადირის.
ხის წვერზე წივის მზეწვია, კოცნის ნიავი ვარდებს
ტოროლა მაღლა აიჭრა
ლაჟვარდში მონავარდე...
მთიები, სადღაც, გამქრალან და მზეს დაუთმეს სივრცე,
მთებს გავცქერ მაღალმხრებიანს, მზე სხივს რომ
აღვრის ფიცხელ,
ბუნების იდუმალებას მე უხმოდ ვაყურადებ
და საიდუმლო სულის
მის სილამაზეს ვანდე.
ვცურავ ფერების მორევში და ვთვრები სიხასხასით,
სიცოცხლეევ, შენით დამათვრე,
შენი ნექტარი მასვი!
მე ტყის სიღმეში შევდივარ, ჟღურტულს ჩიტების ვისმენ,
დარდებს ერთბაშად მიფანტავ,
ტანზე მზის სხივებს მისევ!..
ფერისცვალებას ვმორჩილებ – დიალექტიკის კანონს,
აქ შარშან ერთად ვიყავით,
დღეს უშენობას ვნანობ!
დრომ დაგვაშორა ერთმანეთს, ნაწილაკებად რომ გვშლის,
ის მოვა და ჩვენს ნაკვალევს
სულ ერთიანად მოშლის!

სიკვდილს ვინ გადაურჩება, ის ხომ არავის ინდობს,
გაშლის ყორნის ფრთებს უშავეს,
ფარავს მთებსა და მინდორს.
ნანგრევად აქცევს სიცოცხლეს, მიუსაფარი რჩები,
დაუნდობელი რამ არის
ის თავის განაჩენით!
მას სურვილი აქვს, უეცრად, სივრცე წამართვას ლურჯი,
გამაგდებინოს კალამი,
ცა დამაფაროს თუჯის.
ის ჩემკენ მოექანება, ჩემს მაღლობს უტევს მედგრად,
უნდა ხელიდან წამგლიჯოს
ყველა სადავე მხედარს!

12.05.2012
ბანძა

ისევ მიცურავს

ო, ეს რამდენი სიცოცხლე ჩაქრა და ეს რამდენი
                    დავღვარეთ სისხლი?!
სული კვლავ ებრძვის
ეპოქის ავქარს
          და დემონების საშინელ სისინს!..
იქ, სადაც ენთო ფერების გამა და მზეს უსტვენდა
                    ჩიტების ქორო,
დღეს შვილის ცხედარს
დაეძებს მამა
          და ყვავ-ყორნები ღრეობენ მხოლოდ!..
გული კვლავ ხვდება კივილით ლახვარს,
იგი დაღუპვას
სულაც არ შიშობს!
პლანეტა ისევ მიცურავს, მაგრამ
სისხლის მდინარეს
ტანზე ვერ იშრობს!

30.07.2016
თბილისი

ობოლი

მშობლები ადრე მოუკვდა და დარჩა ნორჩი ძალიან,
ცხოვრებას ისე ებრძოდა,
როგორც ბოკვერი გალიას!..
და გვერდით ედგა მუდამ ქამს მისი ერთგული მურია
და მამაცურად ხვდებოდა
შეღამებას თუ ალიონს!
დღენი შხუილით მიჰქროდნენ,
აფრაგაშლილნი სადღაც,
და ამხნევებდა სოფელი
ათი წლის ბიჭის სიმარდეს!
ასულდგმულებდა პატარას ტოლებთან ძმური კავშირი,
ტყუილს არასდროს იტყოდა,
უყვარდა მხოლოდ სიმართლე!
წელი გავიდა მრავალი, ცხოვრებამ სახე იცვალა
ოჯახი ისევ აყვავდა,
ისევ დამშვენდა სახლ-კარი!
მზე გაზაფხულის მოზღვავდა, მზემ გაზაფხულის იძალა
და ობლის ჭერი აენთო, –
– შუქნათელი და მაღალი.

02.01.13
თბილისი

საით წავიდა?!

ჩემი კალამი ვერ დაინდობს პოლიტიკანებს,
რომლებიც ყვლეფენ დაუნდობლად
ხალხის ქონებას!
როცა მათ ვხედავ, გინებისგან თავს ვერ ვიკავებ
და ფრთები ერთობ
ეკვეცება ზეშთაგონებას!
ერთი მითხარით, ვინ გადმოქცათ თქვენ ეს უფლება,
დაბნელდა სივრცე, ვარსკვლავებიც
აღარ ელავენ!
ამ ბოროტებას ვინ დაარქვა თავისუფლება,
რომ ყველაფერი
გათელეთ და გაავერანეთ!..
შევყურებ, მაგრამ, ვერსად ვხედავ ქვეყნის აღმასვლას,
ნერვიულ დამბლით მოხრილია,
ვერ იმართება!
ის იქცა უკვე ნანგრევების უსულო მასად
და რწმენა სულის სახვალიოდ
შეწყვეტს ნათებას!
სად არის სწრაფვა დავითის და თამარის დროის!
ერი იშლება უზრუნველ
და უძლურ ფენებად!
ვდგავარ და ვამბობ, დანანებით: „ვაჰ, დრონი, დრონ!“
საით წავიდა ო, ის სწრაფვა
და აღმაფრენა?!

17.07.2016
თბილისი

მეგობარს

დიდი ხანია ყმაწვილობის გავცდით ნაპირებს
და ცხოვრებაში ურთულესი
გზებით ვიარეთ!..
შორს, მოვიტოვეთ, მეგობარო, ცა სააპრილო,
მაგრამ, ვინ მოთვლის,
ამ გულების მწვავე იარებს!
რა დრო გავიდა, რაც ჯადარა შემოგვეპარა,
ბევრჯერ ცხოვრებამ უკუღმართმა,
სად არ გვათრია...
ო, რა უეცრად გაზაფხულის გაქრა ზღაპარი,
მამულს რამდენჯერ
დაგვაშორა კალთამადლიანს!
დღეს კარგად ვხედავთ თუ საითკენ მივექანებით,
უდაბურება, ისევ მოგვსდევს
მინდორ-ველების!..
შემოგვიტიეს, მერამდენედ მღვრიე ქარებმა,
რომელსაც უკვე მეგობრებო,
ველარ ვერევით!

29.08.2016
თბილისი

ბავშვი

ის ცრემლიანი და უმწეო წევს ქვაფენილზე,
ვდგავარ მდუმარი, ერთიანად
მომიცვა დარდმა...
ადგას ღრუბლებით გაზაფხულის ცა შეფერილი
და სიშორიდან ო, რა მძიმე
დაეშვა ფარდა!
ამას რას ვხედავ, დაწეწილი კაბით წევს იგი,
მას თავთან უდევს მათხოვრული
მცირედი ხურდა,
მე დავიღალე ცხოვრებაზე უზომო ფიქრით,
ჭადრის ხეებზე ისევ ჩხავის
ყვავების გუნდი!
ჩემს წინ ულმობლად მიბარბაცებს ცხოვრება ურჩი,
ანგლოზების ცის სიღრმიდან
ტირილი მესმის!..
ვინ დამიმსხვრია მამულის ცა საოცრად ლურჯი
და ვხედავ, უკვე, ბებერ მუხას
უხმება ფესვი!
მოჩანს კლდეები აღმართული ფარდებით ნისლის
და ეს დღეები სიშორეში
კვლავაც მიდიან...
გაღმიდან ისევ უდარდელი სიმღერა მესმის,
მათ ქვეყნის დიდი სატკივარი
ფეხზე კიდიათ!

19.04.2016
თბილისი

ცრემლიანი ზარები

ისევ რეკავენ ცრემლიანი ზარები მწუხრის,
მე მისთვის მოველ, რომ ტკივილი
მძიმე მეზიდა!..
მომრავლდა უკვე შემოდგომის დღეები რუხი,
გააქრო ჟამმა თქვენი
რხევა ასპარეზიდან!..
დავდივარ მარტო და ჩემს ირგვლივ არავინ არ ჩანს,
ყოფნა–არყოფნის საზღვრის გასწვრივ
მივიწევ რიდით!..
ო, ის ზღაპრული სილამაზე, ნეტავ, სად დარჩა?
რომ შემატოვა უსაშველო
ტკივილი დიდი!..
რაც იყო იმას, ვერასოდეს ვიხილავ მეტად
და გული უკვე გამძაფრებულ
ტკივილით მიცემს!..
გავცქერი მზეს და უიმედოდ ფერმკრალი ფეთქავს
და შემზარავი მდუმარებით
ირხევა სივრცე!..

27.10.2015
თბილისი

არავინ იცის

გული შეჩერდა, სულმა როცა ფრთები გაშალა
და მოიტოვა ფანტელების
თეთრი ლაშქარი...
საით წავიდა, რომელ მხარეს, არავინ იცის,
იქნებ შეერწყა სიშორეში
ვარსკვლავთა ციმციმს!..
შენი სხეული დაიღალა ღელვით, ხმაურით,
ჩამოიშორა ამ
ცხოვრების აურზაური!..
ო, შენთვის შესწყდა ბულბულების ნაზი გალობა
და შეუერთდი
მდუმარების გარდუვალობას...

22.08.2016
თბილისი

დეკემბრის ღამე

მიიზმორება ეს ღამე გრძელი
        და მიმოვდივარ ოთახში მარტო...
მე სიშორიდან ვიღაცას ველი,
რომ ჩემი გულის
პასუხი ვანდო!..
სულს ტკივილები ძალუმად ხნავენ
        და ცრემლი ისევ მისველებს თვალებს!..
მიიზლაზნება დეკემბრის ღამე
და მიზოზინებს
ბებერი მთვარე...
ჯერაც არ ისმის ყივილი მამლის
        და მიდუდუნებს თავისთვის ღელე...
ბუხრიდან, ისევ ამოდის კვამლი
ქარო, რას უცდი,
კვლავ დაუბერე!..

15.12.2015
ბანძა

ჩემი აბაშა

აქ, შენს ნაპირზე დავრბოდი ჩემს ტოლბიჭებთან ერთად,
შენი დინება ზღაპრული –
ჩვენთვის გაიღო ღმერთმა.
შენს ტალღებს ვეფერებოდით, ხანაც ბადეებს ვშლიდით,
გვიყვარდა შენი ჭალები,
კბოდეები და ხიდი.
შენი ნაპირი გვათრობდა ო, ფერთა ნიაღვრებით
და, როცა ადიდდებოდი –
სივრცე მიგქონდა მხრებით...
შენს სილამაზეს ჩემში ვერავინ მოშლის, ალბათ,
დავდიოდი და ვსუნთქავდი
შენს სუფთა ჰაერს ხარბად!..
აქ, დედას ხშირად დავყავდი, როცა ვიყავი ბავშვი,
სიმინდის ყანებს ნაპირზე
რხევა უყვარდათ ქარში...
აქ, მიმღეროდა დედიკო პატარას იავნანას,
ის სილამაზე წავიდა,
გაფრინდა ო, ის ხანა!..
დაუცხრომელი რამ არის ო, ის დღეები ყრმობის,
გული მევსება სიამით,
ნოღარ მეძახით ყოფილს,
ისევ მოვუხმობ გაზაფხულს, ჩემს მონატრებას ენდე,
თუმცა, ჭაღარა კაცი ვარ,
გულო, არ დამიბერდე!

20.11.2002
ბანძა

წინაპარს

მას შემდეგ, რაც აქ მოსულხარ, ოთხასი წელი გავიდა,
ბევრჯერ იცვალა დროება და
წუთისოფლის ამინდი...
თუმც, ეზო-კარი სოფლისთვის სამაგალითო გახადე
და შენკენ მოუხაროდათ,
როცა შორიდან გნახავდნენ.
იმ ჩვენს წინაპარს აქ მოსულს, ბერი რქმევია სახელად,
მე კიდეც მეამაყება მისი
კაცობის გამხელა!
მას შემდეგ, რა დრო გავიდა: ღელვით, წვითა
და კვეთებით,
ამაოდ, ვეძებ ნაკვალევს
და ღობე-ყორეს ვედები...
თაობებს მოსდევს თაობა, არ არის ეს გზა მარტივი,
ეს კუთხე ცა და მინდვრები
მიზიდავს ანდამატივით!
დღეს იგი უდაბურდება, ძველ სახელს ვეღარ იფერებს,
ამაოდ ვებრძვი ცხოვრებას,
ვერ შევეჩვიე სიბერეს!
გავცქერი იმ ძველ სანახებს ო, უკვე, სევდით ნაოსებს,
მოვა დრო, წაშლის ყველაფერს,
უღმერთოდ მოაქაოსებს!

12.08.2016
ბანძა

ბანძა – 1924

შიშით იძვროდა სოფელი, ოხრავდა ღობე-ყორე,
ქარი არხევდა თხრილებში
დაღვრილი სისხლს მორევს!
კაცი კაცს აღარ ინდობდა, მუხლამდე იდგა სისხლი,
ზღვარი არ ჰქონდა სიმუხთლეს,
ერთურთს უცქერდნენ ზიზღით!
გაუდაბურდა სოფელი, იდგა წამების ხანა,
დედა აკვანში პატარას
ვერ უმღერროდა „ნანას“.
ცასა და მიწა შორის იწვა ხიდები კვამლის,
საგანთიადო ყივილი
შეწყდა სოფელში მამლის!
ბოლშევიკების სახელით, იყო ხოცვა და ჟლეტა,
რას აღარ ჩადიოდნენ –
თხრილებში ყრიდნენ ცხედრებს.
იავარ იქმნა ქვეყანა, მკვდრებს მიათრევდნენ ურმით,
დუმდა სოფელი ბედკრული
და ეხვეოდა მუმლი...
და თხრიდნენ, „საძმო საფლავებს“, მიწა ოხრავდა შიშით
და ყვავ-ყორნები ისმენდნენ
დაღვრილი სისხლის შიშინს,
დაცარიელდა მიდამო, დუმილი სივრცეს ხევდა,
სიკეთე, ერთობ, დაამხო ამ – 24 წელმა
და უკან გაიყოლია
ჯოჯოხეთური წყევლა!..

18.08.2016
თბილისი

არაშრად მიღირს!

ჩემი სიცოცხლის მოთენთილი მდინარე მიდის,
სად შეჩერდება მისი დენა, –
არავინ იცის!
წავიდა ის დრო, როცა ზღვაზე იალქნებს ვშლიდი
და, მე დავსდევდი ტირიფონში
შენს ლამაზ სიცილს...
წავიდა ის დრო ო, დღეები კენტი და ლუწი
და გულს ამჟამად,
უცნაური ტკივილი მიღრღნის!
მე სიყვარულის ქარიშხალი ვიყავი უწინ
და ეს სიცოცხლე მოთენთილი
არაფრად მიღირს!

10.10.16
თბილისი

ჩემი ვარსკვლავი

ჩემი ვარსკვლავი კვლავ იწყებს ციმციმს
ის გვიან ღამით იდუმალ მოჩანს...
მე განშორება წარსულთან მიმძიმს,
თუმც, ის დღეები –
გათავდა, მორჩა!..
აქ მარადიულს ვერაფერს ვხედავ,
და შორს, ოცნებით მივარღვევ სივრცეს...
კვლავ, მეფერება ადგილის დედა,
რომ დავემსგავსე
გაძარცვულ ცირცელს!
ხმით სევდიანით მე ვტოვებ მაღლობს,
იმ დღეთა ხსოვნით ესოდენ ვიწვი!..
შენი აჩრდილი ჩამივლის ახლოს,
რომ გამიფანტოს
დღეები სიმწრის!..
ჩემი ვარსკვლავი, კვლავ, იწყებს ციმციმს,
ის გვიან ღამით იდუმალ მოჩანს...
მე განშორება წარსულთან მიმძიმს,
თუმც, ის დღეები –
გათავდა, მორჩა!..

08.08.2016
თბილისი

ყველგან სიკვდილი მეფობდა

სერგო და ვაჟა ნარმანიების ხსოვნას!

სიკვდილმა როგორ გაბედა ამ ქვეყნად თქვენი მოშლა,
ვერ გაუმკლავდით, ბიჭებო,
ამ წუთისოფლის კოშმარს!
ქვეყანა იქცა უდაბნოდ, ზღვა მღვრიე ზვირთებს შლიდა,
ღელავდა შავი მორევი,
სისხლის ღვარები იდგა!..
სიცოცხლე არად ფასობდა და მზის ნათელი ჩაქრა,
ყველგან სიკვდილი მეფობდა,
რწმენა სიცოცხლის ჩაჰკლა!
ამ საუკუნის დასასრულს – რა უნდა ერქვას ნეტავ?
ღაწვებს იხოკდა სიმწრისგან
ოხვრით ადგილის დედა!..
სიკვდილმა გაგითავისათ, ჩამოგაფარათ რიდე,
იყავით შემართულები,
ტკივილიც ბევრი ზიდეთ!..
თქვენმა სულებმა მოასწრო სივრცეში ფრთების გაშლა,
ვერ გაუმკლავდით ბოლომდის
ჟამის დემონურ ლაშქარს!..
ენით არ ითქმის, რაც მოხდა, ამ საუკუნის ბოლოს,
რა შეუპოვრად ებრძოდა –
კეთილი ძალა – ბოროტს!
როგორ გაბედა სიკვდილმა თქვენი რღვევა და დაშლა?!
ვეფხვისკლანჭება ბიჭებო,
ჩემო სერგო და ვაჟა!

14.09.97

თბილისი

ორი ღრუბელი

მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, შავი კი მუდამ მაშინებს,
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი,
შავი – ვეშაპს გავს საშინელს!
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, ის, თითქოს, შექმნა განგებამ!
მაშინებს შავი ღრუბელი,
რომ ცაზე მიიგრაგნება!..
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, რომ არხევს ზეცის საფირონს,
და ცდილობს შავმა ვეშაპმა
მთვარე არ გაინაპიროს!
მისი სინაზის ღირსება როგორ არ დავასახელო?
როცა გრძნობით და ფაქიზად,
ის უქსოვს მთვარეს საყელოს!..
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი მსუბუქი, როგორც ოცნება,
რომ მისდევს მთვარის ნატერფალს,
მიდის და მიიკოცნება...
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი, შავი – ბორგავს და ტრიალებს!..
მე მიყვარს თეთრი ღრუბელი
სივრცეში მოხეტიალე!..

18.08.15
თბილისი

შემოდის ჩემში

ის ამ ცხოვრების ეკრანიდან უეცრად გაქრა,
თითქოს, მინდორზე გადიქროლა
ქარმა ხივილით...
დემონმა ფრთები უბასრესი ზედ გულზე გამკრა
და მოგონებად შემრჩა, მხოლოდ
შენი ღიმილი!..
დავიდვარ ჟამით ამღვრეული, ვერაფერს ვამბობ!
და გათანგული დარდით რეკენ
მწუხრის ზარები...
ის სიშორიდან ულამაზესს მიგზავნის ამბორს,
შემოდის ჩემში სერაფიტის
თეთრი ზმანებით!..

19.05.14
თბილისი

მათხოვრების ხეივნები თბილისში

ქუჩებში ისევ მათხოვრების ხეივნებს ვხედავ,
ო, რა საშინლად მებრალება
ჩემი ქვეყანა!
რომ ვაცქერდები შიშველ ბავშვებს, ცრემლიან დედებს,
ამდენი საწყალ-საცოდავი
აქ, ვინ შეჰყარა?!
ნახეთ, ქუჩები მოფენილი მშიერი ხალხით
თქვენ გეუბნებით, მორჭმულებო
მეფურ იერით!
უღმერთოებო, ერთხელ მაინც შეშფოთდით ნახვით,
ვინ ხართ, მითხარით –
ველურნი თუ გადამთიელნი?!
ო, ერთხელ, მაინც გაიარეთ ამ ხეივნებში,
რომ იგრძნოთ მშიერთ სიბეჩავე,
მძიმე ტკივილი!
შეხედეთ, ერთხელ, ამ მიწაზე ხალხი, რომ კვნესის,
იგრძენით მათი მწუხარება
და სიმძიმილი!

19.07.2016
თბილისი

სიბერე შემომეპარა

გამიათკეცდა ტკივილი, რომ მომერია ჭაღარა
და ჩემს სხეულში ცხოვრებამ –
რამდენი სევდა ჩაღვარა!
სიბერე შემომეპარა უკვე დაღლილს და დამაშვრალს
და ჩემს ნაკვალევს ხვალ და ზეგ
ჟამი ულმობლად გადაშლის!
დრო, ისევ მაფორიაქებს, მაგრამ ამაოდ, უგულოდ?
და, კვლავ, მეძახის შორიდან –
ჩემი ბავშვობის გუგული!
როგორ დამღალა ცხვორებამ ამდენი ურჩი შეტევით,
რაც სიბერეში შევდივარ,
ზვირთს მახლის გადამეტებით!..
გულო, რას უცდი, ეკვეთე, დროის ულმობელ მოვარდნას,
დასაბამიდან უტევდი, –
ბუნებამ ასე მოგმადლა!
რომ იქცე, თუნდაც, ნამსხვრევად, ნუ მიენდობი ქარონს,
არ შეგაშინოს სიბერემ,
ისევ იქროლე ქარო!..

12.04.15
თბილისი

მთვარეს

ვართ გადაბმული სიყვარულით ჩვენ ერთმანეთთან,
ყრმობის წლებიდან მინათებდი,
ძვირფასო სავალს!..
მიდის მდინარე წუთისოფლის და ცრემლებს შევრთავ,
ემახსოვრები შენ ამ ჩემს სულს, –
როდესაც წავალ!..
მე შენს ხავერდში ჩემი გრძნობის ვქსოვდი ნაპირებს
და ქარიანში ხეივნების
მაჩვევდი რიალს...
რამ დამავიწყოს, ის დღეები თეთრი აპრილის,
რომ სიყვარულით ვეხვეოდი –
მეგის და ლიას!
შენ ფრთებს მასხამდი მეოცნებეს, და დაღლილს ტრფობით
და ვარდისფერი ბაგეებით
მათრობდი ძლიერ!
სად გამეფანტა ის დღეები ლამაზი ყრმობის,
რომელიც უკვე დავიწყებამ
ვერაფრით სძლია!
ეხ, მთვარევ, მხოლოდ შენ მივსებდი ამ სულს ოცნებით,
შენი იმედით ბილიკებზე
ვარჩევდი ტრიალს...
მე ვიყავ შენი ფორთოხლისფერ შუქის მკოცნელი
და ღამის ჩიტი სიყვარულით
მეძახდა – ტიას!

09.08.16
თბილისი

სულმა თავისი გზა იცის

ჩემი ცხოვრების რთული გზა გამოვიარე მარტომ,
არ შევუშინდი ცის რისხვას
და, კვლავ, შეტევას ვნატრობ!
დასასრულისკენ მივდივარ ორი ნაბიჯი დამრჩა,
კვლავ, ზვირთებს ვებრძვი ვეებას,
ბოლო წერტილი არ ჩანს!..
მივიდივარ... სევდის მორევში მეძახის შავი ღამე...
და, მაინც ვეტრფი მზის ჩქერებს,
მთვარის ქათქათა ხავერდს!
ჩემს ნაფეხურებს შლის წვიმა და ფანტელები ხშირი,
მიხმობს, მეძახის შორიდან –
ცა ლურჯად გადაშლილი...
ტანი დაშლისკენ ისწრაფვის და გული ძლიერ ოხრავს,
ჟამის წინაშე, ვით საწყალს,
აღარ სჩვევია მოხრა!
ვიცი, ვიქცევი მიწისქვეშ ნაწილაკების გროვად,
როცა დემონი მეწვევა,
როცა სიკვდილი მოვა!
მხოლოდ დუმილი დამამხობს, სქელი საბანი მიწის,
გული მორჩება შეტევას,
სულმა თავის გზა იცის...
მზე ჩადის ფერთა თამაშით და შორს მწვერვალებს ანთებს
და სამრეკლოდან ზარს რეკავს
სევდით გაჟღენთილს მნათე!..

15.08,16
თბილისი

ყმაწვილობის მეგობრებს!

ვდგავარ მინდორზე და ვიხსენებ დღეებს სანატრელს,
გავცქერ ხეივანს ფოთოლცვენის
სევდით მოფენილს...
სად ხართ, ბიჭებო? – ჩემს სულს თქვენი ხსოვნა ანათებს,
ო, ძვირფასებო, რა უდროოდ
განვლეთ სოფელი!..
ამაოდ ვეძებ ჩემი ყრმობის მცირე ნატერფალს,
თქვენი ღიმილის ხსოვნა
ბევრჯერ მომაჯადოებს!
არ ვიცი, ასე რატომ გაქრა თქვენი ხატება,
ან სიხალისე უჩვეულო,
აქ, რომ დატოვეთ?!
დავდივარ მარტო, ხან ალვებთან ვდგავარ მდუმარი,
მეუცხოება უთქვენობით
წუთისოფელი!
მე რა შემომრჩა? – თქვენზე ხსოვნა გაუხუნარი
და ეს ცხოვრება ყალბი,
ცრუ და დაუნდობელი!..

24.10.2012
ბანძა

დგას გაგაფხული

თქვენი ჭიკჭიკით მე სულს მივსებთ რწმენით, იმედით,
დიდხანს გავცქერი მაგ თქვენს
ნავარდს საცსეს სიამით!..
მიდის ცხოვრება და საწუთროს ღელვას მივენდე,
ვდგავარ ჭაღარა და
მინდორზე ცეკვავს ნიავი...
მზე ამოვიდა... შუქთა რხევით მიედინება...
და ხმა ბულბულის ეფინება
სივრცეს ხალისით...
დგას გაზაფხული, მობრუნება ისევ ინება
და მდინარის პირს, კვლავ,
შრიალებს ჩემი ალვის ხე...
ვიცი, რომ მალე გავშორდები მე ამ ბაღნარებს,
ვერ ავადევნებ სმენას ჭიკჭიკს
და ვერც გალობას!
დაილუქება ჩემთვის ეს ცა, მზეაღმავალი,
ეს არის ჩვენი
დასასრულის გარდუვალობა.

24.04.16
თბილისი

ო, ის დღეები გაფრინდნენ

ვდგებოდი მარტო სარკმელთან, რომ შენი მოსვლა მეხილა!
ქარი ნორჩ ალვებს არხევდა და
ოკეანეს ხეხილის...
მზე ღელვით ამოდიოდა და ჩიტუნები ხარობდნენ,
ნაყოფთა ფერთა თამაშში,
სულს იქით მიუხაროდა!..
ჩემ წინ ქანაობს ლამაზად იმ დღეთა ჩუმი ლანდები
და მე ვუცქერდი ჩემს ეზოს
მოფენილს ია-ვარდებით...
ის დრო წავიდა ნეტარი, გავჭაღარავდი ერთიან!
და ჩემი სევდა-წუხილი –
დროის დინებას შერთვია...
ეფინებოდა მზე ეზოს შუქთა ულევი შრიალით
და სიყვარულით ცეკვავდა
მწვანე მინდორზე ნიავი...
ო, ის დღეები გაფრინდნენ, უკვე არაფერს მოველი,
ეზოში ნისლი ირხევა,
სევდას მოუცავს ყოველი!
მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო, უდაბურდები რომელიც,
დავდივარ ტანჯვა-წამებით, არ ვიცი,
თუ რა მომელის!
ფერი იცვალა ოჯახმა და ხვალ იქცევა ქაოსად,
„ერთი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა!“

31.07.2018
ბანძა

მოვიდა ფერიცვალება

ფერიცვალება ისევ გვეწვია,
შუქი ირხევა ვერცხლის...
ხის წვერზე აღარ წივის მზეწვია,
არც ჭიკჭიკს
ვისმენ მერცხლის.
ფერს იცვლის ჩემი ხეები ბაღის,
სევდა ედება მინდორს...
ნიავი ფერებს უკვე არ მაღვრის,
არც სურს, რომ
სევდა ზიდოს!
ხუნდება ჩემი ზეცა მაღალი
და სული ტკივილს იწოვს!..
ფერიცვალება აღარ მახარებს,
ვით ეს
ცხოვრება ვიწრო!
წუთისოფელი მიდის ზმანებით,
ფერს იცვლის მზეც და მთვარეც...
კვლავ რეკავს ზარი ფერიცვალების
და ის მეძახის –
გარეთ!

19.08.16
თბილისი

ჩემი სოფელი

ათას წლის შემდეგ, რომ მოვიდე, კვლავ მეყვარები,
რამ დამავიწყოს შენი სივრცე
შუქით ნაფერი!..
მიყვარს, ბღავილი ორღობეში შენი ხარების
და შენი სული მოგალობე..
სხვა არაფერი!
მე შენ მასწავლე კეთილსა და ბოროტს რომ ვარჩევ,
მეფერებოდა სიყვარულით
შენი ნიავი...
აქ, რომ დამბადა, ამისათვის მადლობა გამჩენს
და უმოწყალოდ მათელინა
გზები სიავის!..
ვიხსენებ, გრძნობით შენი მინდვრის მწვანე ბალახებს
და შენს ხეივნებს ყვავილების
ნაზი ქსოვილით!..
მოვდივარ, გრძნობით ვეფერები მაგ შენს სანახებს
და მიყვარს ეს ცა მზით
და მთვარით მოოქროვილი!..
მე, აქ მყავს ბევრი ნათესავი მოძმე, მოყვარე,
და შენს სანახებს საოცარი
შუქი ჰფენია...
ო, ეს მინდვრები თამაშებით ბევრჯერ მოვლალე
და ეზოებში ჩემს ტოლებთან
აქ მირბენია...

ათას წლის შემდეგ, რომ მოვიდე, კვლავ მეყვარები,
რამ დამავიწყოს, შენი სივრცე
შუქით ნაფერი!..
მიყვარს ბღავილი ორღობეში შენი ხარების
და შენი სული მოგალობე...
სხვა არაფერი!

12.11.09
ბანძა

მთვარე და სიყვარული

შენ ჩემი ყრმობის საიდუმლოს ინახავ რამდენს
და ახლა, როცა ამოდიხარ, –
შენ გეფერები!
ჩემი ცხოვრების სილამაზე, მხოლოდ შენ განდე,
რადგან მოსავდი ჩემს სიყვარულს
ნაირფერებით!..
ჩენი ხატება ხეივნებში რამ დამავიწყოს,
ფერთა მორევში აქ ვცურავდით
მე და შენ, მერი!..
ო, იმ დღეების ნეტარებას სული კვლავ იწოვს
და, ახლაც, ვტკბები იმ ლამაზი
დღეების მზერით!..
ფიქრმა დამღალა უსაშველოდ, არ ვიცი, რა ვქნა?
გაფრენილ დღეთა დაბრუნებას
ვერაფერს ვშველი!
ო, ის ზღაპრული სილამაზე შორს, სადღაც გაქრა,
გადავიქროლეთ ბალახები
სილაღით შველის...
ძვირფასო მერი! ო, იმ თრთოლვას ვინ დააბრუნებს,
ის შორს გაფრინდა, უკვე ჩვენთვის
უჩინრად იქცა!..
ნაზამთრალ ჩიტებს ხელმეორედ ვერ დავაპურებთ,
და იმ დღეების სილამაზე
ო, როგორ მიცხრა!

ამოდის მთვარე... მოშრიალე ხეებს ანათებს,
გვეძახის, გვიხმობს, იქნებ,
ხსოვნით ო, ახლაც კრთება?
ვინ დაგვიბრუნებს სათაყვანო დღეებს სანატრელს
და მოგონება გვექცა, მხოლოდ
სევდიან თემად!..

04.05.2015
ბანძა

მზე გაგაფხულის

ის სილამაზე, ნეტავ, სად გაქრა,
შენი ამოსვლით მეც ვინთებოდი!..
ჟამმა კლანჭები რა მწარედ გამკრა
და ვხეტიალობ
განაფითრები...

შენ მოდიოდი ლივლივით ფერთა,
ჩემს აღტაცებას არ ჰქონდა ზღვარი!
როგორც ფეთქავდი, ისე არ ფეთქავ,
არც ძველებურად
ხმიანებს ზარი!..

საით წავიდა ის ყრმობის წლები,
ჟამი, კვლავ მწარე ტკივილებს მისევს!..
გაქრა ლამაზი იმ დღეთა წყება
და მე კი, ყოფილს
ამაოდ მივსდევ...

07.06.2016
თბილისი

წყარო

ის წყარო ახლაც კამკამებს
და ზიგზაგებით მიდის...
მოჩანს ბალახი სამკალი
და შემოდგომა
მშვიდი,
ცას სიყვარულით შევყურებ,
ღამე ვარსვლავთა წყობას...
ვარ სილამაზის შემყურე,
დღენი მიდიან
მწყობრად...
და მზეს გავცქერი ჩამავალს,
ჩუმად ფერს იცვლის ბუნება,
ტყე ჰგავს ვეება სამალავს
მთვარით რომ
დაიბურება...

19.09.2014
ბანძა

მოგონება ისევ მიმაქროლებს

მე თქვენს ჭიკჭიკს ვეგებები უკვე,
ო, მაგ ხმებით საცხოვრისს რომ მივსებთ!..
გაზაფხული რა ლამაზად უკრავს,
სიყვარულით
ჩამოფრინდით ისევ...
მომიტანეთ სილაჟვარდე გრძნობის
და თვალებით ვეფერები სივრცეს...
ჩემი ყრმობის აგერ წყარო მორბის,
ცრემლის გარდა,
რაღაც უნდა მივცე!
მოგონება რა შორს მიმაქროლებს
და ყველაფერს ვეფერები ირგვლივ!
მე მოვყევი გაზაფხულის ქარებს,
მზე მიქსოვდა
ყვავილების გვირგვინს...
კვლავ, ვეწვევი იმ მოჩითულ მინდვრებს,
გულზე უკვე სხვა სიმძიმე მაწევს!
და ბილიკებს ყმაწვილობის მივსდევ,
მოგონება სევდის
ტბორად მაქცევს!..

19.04.2015
ბანძა

მიყვარს

მიყვარს მუსიკა წვიმის, ცაზე ღრუბელი მრეში,
მიყვარს მუსიკა წვიმის, მხოლოდ
აპრილის თვეში!
მიყვარს მუსიკა წვიმის, როცა ყვავილი ცვივა,
დავდივარ თეთრი პერანგით,
და სულაც აღარ მცივა!
სიცოცხლის ტრფობით ვინთები, მინდა გავშალო ფრთები,
მზის ორქოსფერი ისრები ჭაბუკს
მავსებენ ვნებით!..
ფეთქავს დღეების წყება და თეთრ იალქნებს გაშლის
და ყვავილები მინდვრის
ზამთრის ნაკვალევს წაშლის!
მე ხეტიალით მოვქანცე სოფლის ფერადი გზები,
მავსებს აპრილის წვიმა უზომო ნეტარებით...

14.04.1975
სოხუმი

ფიფქებს

ამ ჩემს საფლავზე ფარფატით, ვიცი, ვერაფერს მარგებთ,
ნუთუ, ოცნების კოშკები, მერი,
ამაოდ ვაგეთ?!
დუმს ბაგეები მიწაში და სული ცაში ტირის,
მხოლოდ მინდორზე უმწეოდ
თამაშობს ორი ჩრდილი!..
თქვენი ფარფატი, ამჟამად, ვერ მავსებს უკვე გრძნობით,
ჩვენი დღეები ლამაზი, რა
შორს გაფრინდა ყრმობის!..
ყოფნა–არყოფნის საკითხზე მე დავიღალე ფიქრით,
გაზაფხულის მზე ჩავიდა,
დროის ვექტორი მიქრის!..

12.05.2012
თბილისი

ღამის საგალობელი

ცას დაუჭიმავს მთვარის მშვილდი და ოქროს ისრებს,
ის აღტაცებით ყოველ ღამე
მიწისკენ ისვრის...
და ყურს არ უგდებს ღრუბლის თხოვნას, ღამის მუდარას
და არც ვედრებას ჰორიზონტზე
განფენილ ნისლის...
ანგელოზები სიშორიდან ფარფატით ფრთების,
კვლავ, უჩვეულოდ უგალობენ
სიცოცხლის ფერებს...
რა სიმაღლეზე აზიდულან მიწიდან მთები,
სიო ათრთოლებს ამ ჩემს ბაღებს –
ცინ მონაბერი...
ზეიმობს სული მომლოდინე რამდენი რამის
და ზღვის ნაპირზე ხეივანში
სანუკვარ ფრთებს შლის...
კვლავ სიყვარულის ულამაზეს ჩანგს უკრავს ღამე,
მხოლოდ მთის წყარო,
ბრმად მიდის და იდუმალ ხვნეშის!..

12.06.15
თბილისი

შეწყდა ჩიტების გალობა

ეს გაზაფხულიც გაფრინდა და ბაღს შემოვრჩი მთვლემარეს,
ეს გაზაფხულიც გაფრინდა და გავხდი
ჟამის მხევალი!..
ეს გაზაფხულიც გაფრინდა შეწყდა ჩიტების გალობა,
ეს გაზაფხულიც გაფრინდა
წაიღო, რაც მიწყალობა!..
ვარ სევდის ტბაში ჩაფლული, ფერი იცვალა ბუნებამ,
და სილამაზე ზღაპრული
წაიღო დაუბრუნებლად!..

12.06.2016
თბილისი

წავიდნენ წლები...

დამთავრდა ჩვენი ხეტიალი აბაშის პირას,
წავიდნენ უკვე ყმაწვილობის
                    წლები ფერადი...
აქ სათამაშოდ მოვდიოდით, ძმობილო, ხშირად,
როცა მაისის ლურჯი
ქარი დაუბერავდა.
დღეს შემოდგომის სევდიანი დღეები წვება
და ყვავილებმა რა უმწეოდ
                    ჩაჰქინდრეს თავი...
წავიდნენ, ჩვენი ყმაწვილობის ლამაზი წლები
და სიშორიდან ვაყურადებ
ყვავების ჩხავილს...

12.11.16
ბანძა

საქართველოს

გამოარღვიე უდაბური სიშორე ღამის
და ქრისტესავით დაგლეჯილი
გქონდა სხეული!..
ო, ახლაც ვისმენ ცეცხლმოდებულ ქარების ბღავილს,
მაგრამ შენი გზა იყო
მუდამ გამორჩეული!..
ბევრი ეფერე მინდვრის ფერებს, სიმებს ჩიტების,
ეძებდი, მაგრამ ვერ მიაგენ
ვერსად სამართალს!
გამოაღწიე, სიშორეებს განაფითრებმა
და გინათებდა სანთლის შუქზე
ღამეს სანათა...
ვერ ამოგგლიჯეს სხეულიდან სული დიადი,
ებრძოდი მედგრად ყველა სახის
მტერს და გარეწარს!..
დღეს კი მოიწევს შენსკენ უკვე სხვა განთიადი,
რომელიც ყველა ბოროტებას
ერთობ დალეწავს!..
ცას ეფინება თეთრი შუქი თავისუფლების,
ვინ მოთვლის, რამდენს გადაურჩი
ტანჯვა-წამებას?!
მოიწევ მედგრად, სიშორიდან ღმერთის უფლებით,
დაეფინება შენს
ხატებას – ფერიცვალება!..

11.03.17
თბილისი

მოდის აპრილი

მზემ გაარღვია ღრუბლის მორევი
        და შეუპოვრად ალმა მიიწევს...
მე სილაჟვარდის მოსვლას მოველი,
ძვირფასო, ნუღარ
გადამივიწყებ!
სივრცე ელვარებს რხევებით ფერთა
        გული გრძნობს უკვე ღელვა-სიამეს!
და მწვანე მოლზე ნიავი ფეთქავს,
მოდის აპრილი
ფერთა რიალით...

11.04.2015
თბილისი

ვაყურადებ

გაზაფხული მოდის ფრთების შრიალით
            და მე, ისევ, შენთან მოსვლას ვაპირებ!
დაუბერავს მინდვრად ლურჯი ნიავი
და გავცდები მალე
ზამთრის ნაპირებს...
ფანტელები ირხევიან მკრთომარე
            და მიწაზე ეცემიან ტირილით...
ღრუბლის ქსელში მიირხევა მთოვარე
და მთებიდან მესმის
ირმის ყვირილი!..
ვაყურადებ, მაგ შენს ფერად ნატერფალს
            და ენძელა აღტაცებით ამოდის!..
მეჩვენება, ისევ, შენი ხატება
და ტოტიდან შაშვი
გალობს სამოთხის!..

29.02.17
თბილისი

აპრილი გაშლის იალქნებს...

ტყემალი უკვე აყვავდა, მალე იფეთქებს ატამიც,
ზამთრის ცახცახი შორდება
მიწას ტკივილით ატანილს!
აგერ ენძელა იღვიძებს, მზე უფერადებს სამოსელს
ბუნების ლამაზ ნახელავს,
თოვლის სიღრმიდან ამოსწევს...
იალქნებს გაშლის აპრილი და ცას ლაჟვარდით შემოსავს
და დაუბრუნებს მინდორ–ველს
მშვენიერებას – სალოცავს;
ფერთა გამებით იწყებენ ბაღში ჩიტები გალობას
და ჩემი სულის ნათელი
კვლავ ერწყმის, ამგვარ წყალობას!..
ისევ ხეივნებს გავყვები მორთულს ფერების ნათებით
და ბერიკაცი ტრფიალით
ვარდებში გავიფანტები...

23.02.17
თბილისი

გაფრენილ დღეებს ვიხსენებ!

ზამთარი, უკვე გავიდა და გაზაფხული მოდის,
კვლავ დავიწყებით თავიდან – ნუშის
და ატმის ტოტით!
ცა მოციმციმე დაგცქერის ისმის სიმების ჟღერა
და მზის ამოსვლას გავყურებ,
მინდვრებს გავცქერი ფერადს!..
დღეებს გაფრენილს ვიხსენებ, ჟამს ნეტარება მოაქვს,
ოთახში ვეღარ ვისვენებ, გარეთ
გავიდე დროა!..
მიწას მოუსხამს სილურჯე, ქარი ატმის რტოს არხევს,
სულო, ნუ შფოთავ, იყუჩე,
და ეს ზღაპარი ნახე!..

02.03.17
თბილისი

ბევრჯერ ვეურჩე!

შენი წერილი მივიღე გუშინ
            და გარდასულის ავყევ ზმანებას!..
ო, რა ტკივილი მოირღვა გულში,
თითქოს, ჩამოკრეს
მწუხრის ზარებმა!..
დროის დინებას ბევრჯერ ვეურჩე,
            თუმცა, ვერაფერს გავხდი შეტევით!
ვერ შევეჩვიე დღეებს შეუჩვევს
და ტრამალებში
დავეხეტები...
დრო მიდის სისხლით გაუმაძღარი,
            ლამის ნაფოტად გვექცეს სხეული!
სიკვდილ-სიცოცხლის არ ჩანს საზღვარი
და კივის მწარედ
ცა მორღვეული!..

14.09.1999
მოსკოვი

კვლავ ლოცულობენ სანთლები ხსოვნის

დავით კახაბერის ხსოვნას!

ეს წელიწადიც გადაცურდა ბინდებში მთვარის,
გაფრენილ დღეებს სიშორეში –
ფიქრებით ვზომავ...
ჩემს მწუხარებას უბერებელს არა აქვს ზღვარი
და ჩემს ტკივილებს უკურნებელს
არა აქვს ზომა!..
ჟამი მიდის და, კვლავ სევდიანს გავცქერ ნათებას,
გავყურებ სივრცეს და საზღვარი
არ უჩანს ლოდინს...
შენთან შეხვედრა, ისევ, როცა მომენატრება,
ჭადრის რტოებქვეშ, აგერ
შენი აჩრდილი მოდის!..
შორს, ცის სიღრმეში არხევს სიმებს ფარული ხემი,
ხსოვნის სანთლები ასვეტილნი
იწყებენ ლოცვას!..
და მაგ გულიდან ამონთებულ ყვავილებს რხევით,
კვლავ სიყვარულით
გაზაფხულის ნიავი კოცნის!..

25.02.2017
თბილისი

იყავი ფრთხილად!

დასაბამიდან უქარქაშო ხმლებით იარე,
გამოარღვიე ბარბაროსთა
ყველა შეტევა!..
დღეს, ჩემს მამულში, კვლავ, ტრამალის ქარი ტრიალებს,
რომელიც უკვე სამყაროში
ვერსად ეტევა!..
სურს, რომ დაამხოს პლანეტაზე თავისუფლება,
სისხლის ღვარებით
გადათელოს ყველა ნაპირი!..
მისი ხელებით დედამიწა დაისუდრება,
ო, ასეთია სისხლიანი
გზები ვამპირის!
ო, შენ რუსეთო, ჩემს სამშობლოს თავი ანებე
უომრად ვერ სძლებ,
ასეთია შენი ბუნება!
იყავი ფრთხილად! ნუ აჰყვები, ისევ ზმანებებს,
თორემ იცოდე, რომ
იქცევი უდაბურებად!..

05.03.17
თბილისი

ჩაბარდა წარსულს

საით გამექცა ყმაწვილობის დრო სანატრელი
და ყველა ჩემი ნეტარება
ჩაბარდა წარსულს!..
აწი, რა ვარ მე?.. წუთისოფლის მცირედი მტვერი,
უშენოდ ყოფნა, მეგობარო,
არადა, არ მსურს!
მოვა ჟამი და ყველაფერი გაქრება, ვიცი,
შერჩება ლექსებს სანუკვარი
დღეების წყება!..
დრო უჩვეულო მწუხარებით სამოსელს იცვლის
და მიეცემა ყველაფერი
ფერფლს, დავიწყებას!..

03.03.17
თბილისი

ო, როგორ მინდა?!

ო, როგორ მინდა ჩემი ეზო შემორჩეს სოფელს,
თუმც, ყმაწვილობის ნატერფალი
იქ, უკვე გაქრა!
კიდევ ცოტა ხანს, დარჩეს მინდა ბაღი და ღობე,
რომ ყველაფერი წაიშალოს,
ეს ღმერთმა ნუ ქნას!
ნიავმა, კვლავაც ითამაშოს მინდორზე მშვიდად,
და წყარომ ისევ იკამკამოს
ფერებით ვერცხლის...
მე ვარდფურცლობის სილამაზე ო, როგორ მზრდიდა,
რომელიც დღემდე სიყვარულით
მხიბლავს და მერწყმის!..
მზის ნაფეხურებს მივყვებოდი ოცნებით მაღლა
და ჩემს ბილიკებს ლაჟვარდისფერს, –
არ ჰქონდა ზღვარი!
მე შენი ტრფობის სანატრელი დღეები მახსოვს,
და სიშორიდან გაზაფხულის,
კვლავ რეკავს ზარი!..

04.03.17
თბილისი

მდუმარებს სივრცე

ჭაბუკურ სივრცეს ო, მე ისევ გავძახი ღელვით,
მაგრამ პასუხი არსაიდან, –
არა, არ მოდის.
დღეებს მოჯარულს ღრუბელივით, საშინლად ვწყევლი,
მდუმარებს სივრცე, ვით ბექობზე
ბებერი ლოდი!
ყოფნა–არყოფნის დაუნდობელ მიჯნაზე ვდგავარ,
დღევანდელი დღის შედარება
წარსულთან მიმძიმს!
დავდივარ უხმოდ, სატკივარი რამხელა დამაქვს
გავცქერი გრძნობით ცის თავანზე
მთიების ციმციმს...

01.03.17
თბილისი

რა შეგვრჩა?!

სიმართლის თქმისთვის, ვიცი, აღარ დამემდურები,
ნუ მიეცემი, მეგობარო,
დარდსა და ოხვრას!
ორივეს შეგვრჩა მწუხარება, სევდა ულევი
და ამ ჩვენს სულებს,
რა უზომოდ დაეტყო მოღლა!
ვიხეტიალეთ უიმედოდ ბინდებში მთვარის,
ორივეს ერთად უჩვეულო
სიმშვიდე გვსურდა!
რა შეგვრჩა? – მხოლოდ წუთისოფლის ბილიკი მკრთალი
და ლამის არის, მეგობარო,
შეგვიწყდეს სუნთქვა!

02.03.07
თბილისი

დღეებს გაფრენილს ვეძახი

დღეებს გაფრენილს ვეძახი, მათ სილაჟვარდეს ვნატრობ,
დღეებს გაფრენილს ვეძახი,
მდგარი მაღლობზე მარტო!
დღეებს გაფრენილს ვეძახი, სადღაც მიქრიან უხმოდ,
დღეებს გაფრენილს ვეძახი,
თუმცა, ამაოდ, ვუხმობ!
ტალღების დენას ვუღიმი, მაგრამ ის სულაც არ მცნობს,
ამაოდ, ვეძებ ჭალაში, მეზობლის
ბავშვებს ნაცნობს!
მე, აქ, არავის ვახსოვარ, მხოლოდ ალვებს და კბოდეს,
და ამ ცივ ნაპირს მდუმარეს,
და ამ ხავსიან ლოდებს!

24.02.2017
ბანძა

შენ ბავშვობიდან მიყვარდი!

შენ ბავშვობიდან მიყვარდი, თეა.
შენ იყავ, ჩემი თეთრი ხატება,
შენ ბავშვობიდან მიყვარდი, თეა,
მაგ თვალთა
ლურჯი შემონათებით.
შენ ბავშვობიდან მიყვარდი, თეა,
მერე გაცურდი, სადღაც, გედივით!..
მე კი შემოვრჩი ამ წუთისოფელს –
კაცი ნახევრად
გადაფერდილი!

05.03.17
თბილისი

მაგონდება ის წლები!..

დათოვლილი მინდვრები სულს სითეთრით მივსებენ,
მაგონდება ის წლები,
თვალს ედება სისველე!..
მასხოვს შენი თვალები ფერთა ათამაშებით
და ოცნების კოშკები
ბროლ-ბადახშით ნაშენი!..
აგერ მოჩანს ის ბაღი, ის ბილიკიც ვიცანი!..
მაგრამ არ ჩანს მებაღე,
არც ის წყარო ცინცხალი!
შენზე ვფიქრობ, ძვირფასო, ხსოვნის სიმებს მივენდე,
და ფარფატი ფიფქების
ველარ დამაიმედებს!
ის დღეები წასულა, სულს მზე ველარ მინათებს!
თოვლის, თეთრო ასულო,
შენი თრთოლვა ვინატრე!
დათოვლილი მინდვრები სულს სითეთრით მივსებენ,
მაგონდება ის წლები,
თვალს ედება სისველე!..

01.02.92
თბილისი

ისევ ავედევნები...

გაზაფხული მოიწევს, ისევ ფერთა მტევნებით,
ლაღად სუნთქავს მთა-ბარი
და ვივსები ოცნებით!..
სიხარულით ხეივანს, ისევ ავედევნები,
მიირხევა ნიავი
შენით განაოცები.
მზე კი გვაღვრის ფაქიზად შუქთა ფერად ჩანჩქერებს,
გამოცოცხლდა, უეცრად,
სული ნაფერმკრთალები,
ქროლვას ნიამორების ვერაფერი აჩერებს,
მე კი ტყვე ვარ, ძვირფასო,
მაგ ელიფსურ თვალების!..

14.05.17
თბილისი

***

სულს ახარებს გაზაფხულის მოსვლა
და ნიავი ფრთებს შლის აღმაფრენით...
ჩემს მინდორ-ველს კვლავ ხავერდი მოსავს
და ჩემს ბაღებს
ყვავილების ფერი...
მზე სხივებით, ქსოვს ბუნების კალთას
ხეივანში მიმოვდივარ ღელვით!
ამ სამყაროს ეს რა ძალა მართავს,
რომ სიმღერით არ
ელლება ყელი!..

13.04.17
თბილისი

დრო

დრო მომსდევს და, თან ნაბიჯებს მითვლის,
ველარ ვპოულობთ
საერთო ენას!
მას ვებრძვი მუდამ მუსიკით, რითმით,
ო, სანამ სულის,
შეწყდება ფრენა!
შორიდან, ისევ მაცილი მისტვენს,
მივდივარ, მაგრამ, არ ვიცი საით,
და წუთისოფლის ბილიკს, კვლავ მივსდევ,
როგორც ეს ლექსის
შეშვენის რაინდს!
მე არ მაშინებს ქუხილი, სეტყვა
და ჟამი ერთობ მღვრიე და ურჩი!
მე კვლავ ბოლომდე ვიბრძოლებ მედგრად,
რომ ცა მამულის
შემოშრჩეს ლურჯი!

10.04.17
თბილისი

იადონს

ამ პლანეტაზე ვერ ვნახე, ჩიტუნავ, შენი ბადალი,
შენი ხმის მუსიკალობას, არ ჰყავს,
ამ ქვეყნად სადარი!
გალობ ბუნების წიაღში, როცა ზღვა დგება ფერების,
ერთადერთი ხარ, ჩიტუნავ,
თვრები სურნელით ველების!
მე მხიბლავს სპექტრი შენი ხმის, როდესაც მიგაყურადებ,
მხოლოდ, შენი ხმა ვიწამე,
რომელიც მწვდება გულამდე!
ბუნების ფერიცვალებას ო, რა ზღაპრულად უგალობ,
ალბათ, ეს დედამიწაზე,
შენ გამოგზავნე უფალო!
შენ ჩამოჰყევი შორიდან მზისა და მთვარის დინებას
და აღტაცებით უმღერი
ბუნების აღორძინებას!..

29.04.17
თბილისი

ბედურებს

მე ბავშვობიდან მიყვარდა თქვენი ჯგუფური ფრენა,
როცა ყვავილი ატმების
იღვრება ფენა-ფენად...
თქვენი სიცელქე მახარებს, ერთბაშად ფრთების გაშლა,
მე მუდამ ვეთაყვანები მაგ თქვენს
პატარა ლაშქარს...
თქვენზე ფიქრებით, ჩიტებო, მე თავს ამაოდ ვიღლი,
ჩემი ნასროლი შურდლით
არ მოგწყვეტიათ ღინღლიც.
მე მხიბლავს თქვენი ჟივჟივი, ვეღარ ვუჯერებ თვალებს, –
ღამით ბუჩქებში იძინებთ,
როცა ამოდის მთვარე.

19.04.17
ბანძა

არ მინდა გნახო

არ მინდა გავხდე მოწმე შენი უბედურების,
ამიტომ გტოვებ, – ხელმეორედ,
არ მინდა გნახო!
შენ ამისათვის, მე გთხოვ, ნუღარ დამემდურები
ვცახცახებ შიშით, შენთან
ყოფნა არ მინდა ახლოს!
არ მინდა შენი რღვევა–დაშლის მხილველი გავხდე,
როცა მახსოვხარ აღმაფრენის
ფერებით სავსე!..
მივალ, არც მინდა მოხედვა უკან
და განშორების შემზარავი
მუსიკა უკრავს!..

14.05.17
ბანძა

მოვედი შენთან...

მოვედი შენთან, მომაგონო დღეები ყრმობის,
ჩემო, მღელვარე მეგობარო,
შენ ერთს გენდობი!
შენი ტალღები სიშორიდან მორბის და მორბის,
რომ გამიფანტავს სევდას,
ვიცი, უიმედობის!..
არ გაგონდება მცირე რამე ჩემი აქ ყოფნის,
ო, რა ყიჟინით ვეხლებოდი
ტალღების წყებას!..
თუმც, არ იხსენებ არასოდეს არსებულს, ყოფილს,
გაუტაცნია სიშორეში, –
რაც დავიწყებას!..

07.05.17
ბანძა

გემშვიდობები

არ მინდა გავხდე, ხეო, მოწმე შენი დაცემის,
გემშვიდობები, მეგობარო,
გადაღლილს ძლიერ!
დგახარ ამაყად გრიგალებით ბევრჯერ ნაცემი,
მოვარდნას ბოლო ქარტეხილის
ვერაფრით სძლიე!
ეს რა ულმობლად დაგელეწა რტოების წყება
და, ამ ჭიდილში
უიმედოდ გადაიხარე!
იდექ ბექობზე ერთადერთი დაღლილი წლებით
და მომხდურ ქარზე
ჯავრი უკვე ვეღარ იყარე!
ემშვიდობები წუთისოფელს დარდით სხეული
და დაცემასაც რაინდულად,
თითქოს, იფერებ
მძიმედ ნაომარს ნაფოტებად გექცა სხეული,
შენ ქარმა არა, დაგამარცხა
მხოლოდ სიბერემ!

17.04.17
ბანძა

ოცნებად მექცა წარსული

ალვის ხეების შრიალი ეზოში აღარ ისმის,
გავცქერი სივრცეს მთვლემარეს,
                  რომელსაც ბურავს ნისლი...
ამ მწუხარებას უზომოს, ვიცი, ვერავინ მოშლის,
კვლავ გაზაფხული მოიწევს,
ისიც ფერს იცვლის დროში!
სოფელი გააჩანაგეს და კარგავს თავის სახეს
და ხეებს უნაყოფოს,
ქარი ამაოდ არხევს...

17.04.17
ბანძა

ხეო, ფოთლები მოისხი!

ხეო, ფოთლები მოისხი, არ მინდა ასე გნახო,
ხეო, ფოთლები მოისხი, –
შენთან მოვიდე ახლოს!
ხეო, ფოთლები მოისხი, რათა ჩრდილები არხიო,
რომ გაშლილ მზეზე ხასხასა
სიგრილე შემომახვიო...
შენ კარგად უნდა გესმოდეს, მაგ შენი ჩრდილის ფასი,
აქ ჯდება მუდამ პოეტი,
ღვინოს მიირთმევს თასით.
ხეო, ფოთლები მოისხი, ასე არ დამენახვო,
თორემ, იცოდე, რომ შენთან
მე აღარ მოვალ ახლოს!

05.04.17
ბანძა

რა შორს გაფრინდა

მე სანთლებს ვუნთებ სილამაზეს,
            სულში მდინარე სევდის ირწევა!..
ხსოვნა იმ დღეთა სინაზით მავსებს
და არ მორჩილებს
გადავიწყებას!..
რა შორს, გაფრინდა დრო ნეტარების,
            მას დაბრუნება არ უწერია...
ო, ხსოვნის, როგორ მიჭირს ტარება
სულს მძიმე
სევდა გადაჰფენია...

02.11.2016
თბილისი

დღეებს გავძახი, შეჩერდით!

ბავშვობის ბაღში დავდივარ, სად პირველობენ ნაძვები...
ბავშვობის ბაღში დავდივარ და გულზე
ბოღმა მაწვება!..
მოგონებებად ვანთივარ, ჟამს სევდა მოუზიდია...
აგერ წყალზე, რომ ქანაობს,
ჩემი ბავშვობის ხიდია!..
აქეთ მთა მოჩანს მარტვილის და, იქით კიდევ გეჯეთის,
დღეებს გავძახი, – შეჩერდით!
მაგრამ ისინი მიდიან!..

17.08.10
ბანძა

რამ დააყრუა?!

რამ დააყრუა ეს სახლი, რომ სიცოცხლის ხმა არ ისმის?
რამ დააყრუა ეს სახლი? –
აისს ცვლის – მხოლოდ დაისი!
რამ დააყრუა ეს სახლი, რომ ჰგავს ცარიელ კიდობანს,
რამ დააყრუა ეს სახლი,
ჟამს რატომ დაეშვიდობა?!
რომ დააყრუა ეს სახლი, სად არის ძველი სანავე?
ის სიცოცხლესთან, როდესაც
გადადიოდა ალავერდს!..

04.07.10
ბანძა

შენ ჩემს საფლავს

შენ ჩემს საფლავს, შუქს მიაღვრი ნაწნავების რხევით,
შენ ჩემს საფლავს დაიფარავ,
კოცნით მოეხვევი!
შენ ჩემს საფლავს დაიფარავ ფერთა დიადემით,
შენ ჩემს საფლავს დაიფარავ
ღამეების თევით...
ქარს და სეტყვას საფლავის ლოდს აღარ მიაკარებ,
სული ჩემი ცის სიღრმეში
შეხსნის ფერად კარებს...
შენ ჩემს საფლავს ცრემლს შეასმევ, მე ეს კარგად ვიცი,
და მთიები ჩვენი ტრფობის
არ შეწყვეტენ ციმციმს...

17.08.1986
სოხუმი

ბედისწერა

მიიზლაზნება ჩემს ზეცაზე ღრუბელი თალხი...
არ ვიცი, ქარი ზამთრის პირას
რატომ მაშინებს?
კვლავ მწუხარება უსაშველო, მღვრიე ფრთებს მახლის
და ყველაფერი
ბედისწერას დავუკავშირე!..
ჩემი სიცოცხლე სინანულით დნება, ილევა
თუმც, ქარიშხალი მოვიტოვე
ვრცელი ტრამალის...
ჩემს გზას იმედის შუქი, ისევ, დაეფინება,
რადგან მეძახის
მზე მაისის ამომავალი!..

16.10.10
თბილისი

ვიხსენებ წარსულს!

შემომეცალნენ მეგობრები გზადაგზა უკვე
და ზამთრის პირზე ამ ხეივანს
შემოვრჩი ერთი!..
ო, ასე ადრე, რად იქეცით სიკვდილის ლუკმად
და ჩემი ოხვრა-მწუხარება
სივრცეებს ერთვის!..
ფერთა თამაში გაზაფხულის ჩაგვიქრო ჟამმა,
ვიხსენებ წარსულს და ვივსები
უზომო განცდით!..
ო, ეს დღეები უფერული, ვინ მომაშავა?
და გულს ტკივილით გასიებულს
მივათრევ კაცი!..

19.03.10
თბილისი

ნუთუ, ამაოდ მოველ?

ვერ მოვიშორე ნისლის ბლონდები,
მაინც ვისწრაფი იქით...
სულ სხვა სამყაროს ვუახლოვდები –
კაცი დაღლილი ფიქრით...
მე სიყვარულით ცეცხლმოდებული,
წარსულს განვიცდი მძიმედ!..
შენი ხატება მე იქ მეგულვის
და ის მიბრუნებს იმედს!
დრომ გამიხუნა მთვარის ბილიკი,
ნუთუ, ამაოდ მოველ?!
აქ დემონების მესმის ქილიკი
ვერ ვგრძნობ
შენს სიახლოვეს...

04.10.10
ბანძა

გაცივდა გული

ო, ჯერ ჰქმნის ზენა და, მერე ანგრევს,
ჩაქრა ნათელი შეუდარები!
გაცივდა გული, დადუმდა ბაგე
და დარჩა სახე
ნაფერმკრთალები!..
აწი, სად ვპოვო ო, ის თვალები,
დრო სიშორეში რომ მიაქანებს...
ჩაქრა ის მზერა შეუდარები,
ლამაზი, როგორც
ცის სიანკარე!..

05.10.10

ეჭო

იგუგუნე, მზეო გაზაფხულის,
            იჟღურტულე, გაზაფხულის წყაროვ,
სევდის აღარ გამიჩინო ხნული,
სიყვარულო,
აღარ გამეცალო!
ჩემი ბაღის მოგალობე ჩიტი,
            ქარო, ქროლვით აღარ შემიშინო!
გული, ისევ სიყვარულით მითრთის,
არც ქეთი ჩანს სადმე,
და არც ნინო!
ჩემს გარშემო სიმშვიდეა სრული,
            ყვავილები დაჰფენია ბექობს...
მე ვინახავ ხსოვნას გაზაფხულის
და, იმ დღეთა
მოდის მხოლოდ ექო!..

17.05.10
მოსკოვი

ო, როგორ გაქრა!

რატომ იმღვრევი, ცაო, ასე უკიდეგანოდ,
რად, შემატოვე მწუხარებით
სივრცე ნაჯერი?
ნისლმა დაფარა, მთვარისფერი ჩემი ზეგანი,
არ შემარჩინა ჩემი ზეცის
მცირე ნაჭერიც!
ო, როგორ გაქრა გაზაფხულის ფერადი სუნთქვა,
როგორ მათრობდა, – მოგალობე
ცისფერი ჩიტი!..
ვინ ამიმღვრია ჩემი ზეცა ესოდენ სუფთა,
ვინ დამაჯახა მწუხარების
ლანქერი დიდი?!

20.09.10
თბილისი

გადამაფარე, მზეო!..

მე ჩემი მიწის მსდევს მხურვალება,
სადაც არ უნდა ვიყო!..
ვერ გავექეცი მე იმ ზმანებას,
ო, ის მეძახის,
მიხმობს!..
მე ჩემი მიწის მსდევს მხურვალება
და სული მისით მზეობს!..
შენი ხავერდი საგაზაფხულო,
გადამაფარე, მზეო!..

20.09.10
თბილისი

მოდის აპრილი

ჩემს ფანჯარასთან გარიჟრაჟი ჩამოიღვარა,
მოდის აპრილი და მოლურჯო
ფრთებს შლის ნიავი...
ციმციმებს სივრცე, მოლოდინში, – სულმაც იხარა,
გადიხმაურეს სიშორეში
წლებმა სიავის...
მზის მოლოდინში გულმა იგრძნო, უკვე, სიამე,
შეხედე, მოლზე ვარდისფერი
დილა მოცურავს...
არავინ უწყის, ეს სოფელი, როგორ ტრიალებს,
ხან სიხარულით, და ხან
მწუხრით გარემოცული!..

12.04.10
თბილისი

სანათა

ო, ეს ზღვაური მაშორეთ, დაუნდობელი რამ არის!
დავცქერ და, როგორ მაჟრჟოლებს,
ო, ეს ლოდები სამარის?!
მზე, ისევ, ტოვებს ასპარეზს და მთვარემ ამოანათა,
დადის და გმირთა საფლავზე, –
კვლავ, სანთლებს ანთებს სანათა!...

17.06.93
სოხუმი

მზე ჩადის...

მზე ჩადის ღელვით გადაღლილი, – სამყაროს მგზავრი
და ჩვენ გვიტოვებს
დაბრუნების სევდიან იმედს!..
ზღვის ფსკერიდან კი, ნიჟარები რეკავენ ზარებს,
შორს კი აცურდნენ
მეწამული ღრუბლები მძიმედ...
ისევ, ქანაობს იისფერი ბინდები ხშირი
და მე ტკივილთან,
მარტოდმარტო, პირისპირ ვრჩები...
მთებიდან ვისმენ ხარირმების ნაღვლიან ყვირილს,
და ეხლებიან გამუდმებით
ტალღები ჯებირს...

07.10.88
სოხუმი

შენ გელოდები, ნათია!

დღეს ვარდფურლობის ათია, გავცქერ ფერების ლივლივს,
შენ გელოდები, ნათია,
და მერე ერთად ვივლით...
ცამ მიწას ფერი უცვალა, შემოღამება მოდის
და მალე მთვარეც ამოვა,
შეარხევს ცისფერ მოტივს...
რტოზე ზის ჩიტი პატარა და რტო ირხევა სუსტი,
ალბათ, ჩემსავით უჩუმრად,
ისიც მეგობარს უცდის...

24.07.11
თბილისი

დაგაგვიანდა

ჩემს თვალებს ძილი არ ეკარება,
ვდგავარ სარკმელთან განაწამები!..
გადიხმაურეს ღამის ქარებმა
და რა ულმობლად
მამსხვრევს წამები!..
არ ეკარება ჩემს თვალებს ძილი
და სული, თითქოს ასცდა ლიანდაგს,
შორს, სადღაც, მოსწყდა ვარსკვლავი წყვილი
და შენ ძვირფასო,
დაგაგვიანდა!

17.08.11
თბილისი

რა შემრჩა?

ამ რტოებს ქარებით ნარბევს, გავცქერ იდუმალ თრთოლვით...
მასმევდა ბაგეთა შარბათს:
მზეც, მთვარეც, წვიმაც და თოვლიც!..
ამ ბაღში ავიდგი ფეხი, ვეტრფოდი ხეივანს მთვარის...
ცხოვრების ზვირთებთან შეხლილს,
რა შემრჩა? –
დღეები მკრთალი!..

29.05.11
ბანძა

ხმა იდუმალი

იყო საღამო, ცის ხავერზე შუქი ქრებოდა
და მზის ფერები გადნებოდა
ცისფერ თვალებზე...

მხოლოდ ლამაზი მოგონებით იცრემლებოდი,
მხოლოდ ბავშვობის
ფერად დღეებს მიუალერსე!..

მზე ჩადიოდა ზღვის სივრცეში სვენებ-სვენებით
და შენს სარკმელთან
ალვა, ისევ, იდგა მდუმარი...

იზმორებოდა შეღამების ლანდი ვეება
და სიშორიდან გეძახოდა
ხმა იდუმალი!..

08.11.88
სოხუმი

შეხვედრის მოლოდინში

გავცქერი ზღვაზე ძოწისფერ ბილიკს
ჩამავალი მზის
სხივებით ნარხევს!..
შენ გელოდები, ძვირფასო, ლილი!
ზღვა კი სიჩუმით
აოცებს მნახველს!..
აქ გლისერები დაქრიან, ისევ,
ზღვა კი მიარხევს
აფრების წყებას...
კვლავ მიზოზინებს ფერმკრთალი ნისლი
და ირგვლივ ლურჯი
საღამო წვება...
ვინ იცის, რამდენ ათას წელს ითვლის,
ეს სანაპირო
ბულბულის ხმებით...
მე კი ამ ზღაპარს ვპასუხობ რითმით
და მოაქვს ნიავს
ხმა განახლების!..
არ უჩანს ბოლო ჭალების ლივლივს,
მთაზე ეშვება
ღრუბელი რბილი...
და მოლოდინში, ძვირფასო, ლილი!
გავცქერი ზღავზე
ძოწისფერ ბილიკს...

12.05.53
სოხუმი

ჩიტი

ნუშის გაძარცულ რტოზე, ზის ერთი ჩიტი მარტო,
არ ვიცი, რაზე ფიქრობს, არ ვიცი
თუ რას ნატრობს!
მზე რა ფერმკრთალი მიცურავს, გაქრა ფოთლები მწვანე,
ცას გასცქერს შემოღამების
და იცრემლება მწარედ!..
მზე ჰორიზონტზე ეშვება, ჟამს თვალები აქვს აფთრის,
მიდის მდინარე ღელვით, წვიმა
ჩამოდის წვრილი...
ის ზის გაძარცულ რტოზე და მოლოდინში ზამთრის,
ვეღარ ისვენებს ეული
და გულსაკლავად წივის!..

25.11.2017
თბილისი

დედამიწას

გემშვიდობები სიყვარულით, დედაო მიწავ!
მე შენი სევდა არ შემეძლო,
რომ არ მეზიდა!..
შენს სიდიადეს მე თაყვანს ვცემ, ვერ დავივიწყებ,
ჯერაც არ მინდა, რომ
გავიდე ასპარეზიდან!
როგორ არ მინდა გახდეს მსხვერპლი თერმობირთვების,
პლანეტავ ჩემო, შენი მთები,
შენი ველები!
მე ვდგავარ მარტო, შენზე ფიქრით განაფითრები,
მძიმე სატკივარს ვცდილობ,
მაგრამ ველარ ვერევი!
მზის სისტემაში, ერთადერთი, შენ ხარ რჩეული,
და თუ იკივლებს ათასობით
მწუხრის ზარები,
ცის უფსკრულებში ჩაიშლება შენი სხეული
ბირთვულ დარტყმებით
ნაფოტებად გადაქცეული!..

11.04.17
თბილისი

დრო საით მიექანება?

დღეები კვლავაც მიქრიან, და მე არ ვიცი, რა ვქნა?
რამ ააკვნესა ნიბლია? – როს
ვარდფურცლობა გაქრა...
მე, ისევ სევდა მედება, მინდორზე ნისლი გაწვა...
დრო, საით მიექანება,
ის ელვარება დაცხრა!..
შორს მოვიტოვე ტრამალი, ურჩი ხმაური ქართა,
დავემხე, ცრემლით დავნამე
ადგილის დედის კალთა!..
მზერა, კვლავ, იქით გამირბის და ვეფერები მერცხლებს,
რომ ჩემი ზეცის ლაჟვარდი
ჭიკჭიკით მომივერცხლეს...

19.08.13
ბანძა

მდინარის პირას დავდივარ

უკვე ცხოვრებით დაღლილი მდინარის პირას დავალ,
ამდენი ჭირგამოვლილი, თვითონ
არ ვიცი, რა ვარ!
გაუდაბურდა სოფელი და გახუნებულ ფერებს,
ვერ ვეგუები ვერაფრით,
ქარო, კვლავ დაუბერე!..
ამგვარად, რატომ მაღელვებს ო, ეს დღეები, ნეტავ,
და მეჩვენება ალვებთან, ისევ
ლოცულობს დედა!..
ბევრჯერ მიგრძნია სიმწარე დაობლებული სულის
და მაინც მიყვარს ბავშვობის
ზღაპარი ჯადოსნური!..
ვარ მოტრფიალე იმ ჟამის და მას ვერავინ მომწყვეტს,
ამისთვის ყრმობის ბიჭები
გამომადგება მოწმედ!
დასრულდა ის ნეტარება, უკვე ჭაღარა მათოვს,
მდინარის პირას დავდიევარ
წლებით დაღლილი მარტო...

04.06.2016
ბანძა

მიდის ჟამის გასწვრივ

ხედავ, ყვავილს უმოწყალოდ აწვიმს,
სიოს ფრთები გაუშლია სველი...
ყველაფერი მიდის ჟამის გასწვრივ,
ღელვით უნდა
გაიარროს ველი...
კვლავ, ირხევა ბალახების ღერო
და ბულბულსაც დაეღალა ყელი!
შენ კი მიხვალ, ისევ, უსიმღეროდ,
სიმედოს, არც
არავის ელი!
მზე ჩავიდა... ტყემ იცვალა ფერი,
იისფერი ეფინება ფერდობს...
მეც მსხვერპლი ვარ ამ უსაზღვრო ღელვის,
რას ხარხარებ,
რა გაცინებს, ბედო?!

19.08.74
ბანძა

რა გზაა დაუძლეველი!

რა გზაა დაუძლეველი, ციდან ვერ ატანს სხივი,
რა გზაა დაუძლეველი და
                    რა საშინლად ცივი!..
რა გზაა დაუძლეველი და, რა ავდარი უვლის,
რა გზაა დაუძლეველი
და რა უდაბნო ღრუბლის!..
რა გზაა დაუძლეველი, ვისმენ ქარების ხივილს,
და დუმს ტკივილით მიდამო,
                    სულში მზე იწყებს კივილს!..
რა გზაა დაუძლეველი, ციდან ვერ ატანს სხივი,
რა გზაა დაუძლეველი
და, რა საშინლად ცივი!..

12.12.2015
თბილისი

ო, რა მწუხარეა ქნარი?!

ის დღე მახსენდება, ისევ, და, ის ბილიკები ვიწრო,
მინდორს ეფინება ნისლი,
გულსაც მოედება ვინძლო?!
ჟამმა ცივი ფრთები გამკრა და, სულს მწუხარება ათოვს...
ო, ის აღტაცება გაქრა,
და მე ვხეტიალობ მარტო!..
სივრცეს ახმაურებს ქარი და ტყე იძარცვება ერთობ,
ჟამის მწუხარეა ქნარი,
ო, რა მწუხარეა, ღმერთო!..

წმინდა ნინო

შენ ღვთისმშობელმა მოგცა ვაზის შეკრული ჯვარი
და საიდუმლო ღვთაებრივი, –
ჩუმად გაგანდო!..
შენ მოდიოდი, აედევნე ბილიკებს მთვარის,
ო, როცა რწმენით მაცხოვარმა
უკვე აგანთო!..
შენ მოდიოდი... ცას სერავდნენ თეთრი გედები,
ავსებდნენ სივრცეს თოვლისფერი
ფრთების შრიალით...
შენ მოდიოდი უჩვეულო დაიმედებით
და განკურნებად საქართველოს ყველა იარის!
სამეფო ზღურბლი გადმოლახე უშიშარად ქალმა,
ვეღარ შეგაკრთო მრისხანებამ
მეფის თვალების!
საქართველოში განახლების დაჰქროლა ქარმა
და დაგცქეროდნენ ვარსკვლავები
ლურჯი თვალებით...
გაოცდა მეფე შენი დიდი შემოქმედებით
და უფლისადმი სიყვარულის
რწმენით აივსო!
დაფარეს სივრცე მოქათქათე ფრთებით გედებმა,
გალობდა ჩანგი
ღვთაებრივი სიდარბაისლით!..

დაამხე ქალმა სამუდამოდ კერპები ძველი,
რა უნდა იყოს საოცრება
ამაზე მეტი?!
მოშალე შიში წარმართული, გაჰფანტე ბნელი,
აღმართე მცხეთას უფლის ნებით –
ნათელი სვეტი!

12.04.2015
თბილისი

დაუბერე ქარო!

იმ იალქნებს ზღაპრულს ვეღარ გავშლი,
უკვე ჩემი ახლოვდება რიგი!
გარემოსთან ვწყვეტ თანდათან კავშირს,
ჩამავალი მზე
დამადგამს გვირგვინს!..
ყოფნის ნაპირს რა შერჩება, ნეტავ?
მხოლოდ სევდა ხსოვნით მონარხევი!..
და ადგილის ატირდება დედა,
ქარს გავყვები, ვით
ფოთოლი ხმელი...
ხელებს, ალბათ, შემაშველებს ვერვინ
და სატკივარს ვეღარ ავიცილებ!
და მდუმარე შემოვრჩები მერმის,
ვით სამყაროს
აგურები მცირე!
გულო, შიში აღარ გაიკარო,
ფოთოლცვენის სევდას ვეღარ ვძლიე!
ო, რას უცდი, დაუბერე ქარო,
ფერთა თამაშს
გამაყოლე მღვრიეს!..

14.08.2005
ბანძა

მე ახლაც შენი შრიალი მესმის

მინდა ვეწვიო ჩემს ტყეს პატარას,
იდუმალება მათრობდა მისი!..
ჩემი ბავშვობა აქ გავატარე,
და მეხვეოდა
მზეცა და ნისლიც;
იმ სილამაზეს მე, ისევ, ვნატრობ
იმ ნეტარებას აქ ვეზიარე!
მოხეტიალეს მე შენთან მარტოს,
ო, მიშუშებდი ხშირად იარებს!
ის დრო წავიდა და რხევაც გაქრა,
იმ ძველ ბილიკებს ამაოდ ვეძებ!..
მწარე ტკივილმა რამდენჯერ გამკრა,
დავდივარ, მაგრამ
უშენოდ ვერ ვძლებ!
მე შენი ხსოვნა ხშირად მატირებს
სიზმარში შენი შრიალი მესმის!
ის წყაროც გაქრა ჩემი სატივე
და გული ღამის
ჩიტივით კვნესის!..

17.05.2016
ბანძა

მახსოვს...

არვინ მყოლია ქვეყნად მეგზური
            და გზა მომავლის მარტოკა ვკაფე...
ჟამი ღმუოდა, როგორც ვეზუვი,
გავცქერდი მთვარეს
ძოწისფრად ნაფერს!..
მახსოვს, სოფელი მბორგავი შიშით,
            შმაგი კივილი იდგა ქარების!..
ქვეყანა იქცა უდაბნოდ ქვიშის
და იდგა ყველგან
სისხლის ღვარები!..
ვერ მოვიშუშე ჭრილობა დიდხანს,
            რა უნაპირო იყო ქაოსი!..
მიზეზი ამის, ვერავინ მითხრა,
და იდგა სევდა
სასაფლაოსი!..

12.04.2016
თბილისი

გავცქერ სანახებს სოფლის

ნავენახარზე ვდგავარ, რას სწუხს ეს ჩემი ეზო?
ნავენახარზე ვდგავარ,
ლერწმის ირხევა ღერო...
ნავენახარზე ვდგავარ, დრო მიქრის უმიზეზოდ,
ჩემი პატარა ღელე –
რა უცნაურად ღელავს!..
მინდორზე ნისლი მიცურავს, რტოზე ჩიტუნა კვნესის,
სევდა სანამდის მისულა, –
ბავშვობის ხმები მესმის!..
სოფელს ფერებით მოსილს, დაუფლებია ტბორი
და ცა ირხევა ფერადი
შორს, ვარსკვლავების ბროლით...
ამგვარი რღვევა წარსულის გულს მიღრღნის,
ძლიერ მტკივა
და, მე არ ვიცი რა ვუყო,
სევდის მორევი მიმაქვს!..
ასე ვინ გააპარტახა სოფლის ეს სილამაზე?
გავცქერ მდუმარე სანახებს
და მწუხარებით მავსებს...

04.06.2016
ბანძა

ნეტავ, ვინ მართავს?!

მზემ აიფარა თაკარამ მუხის რტოები ხშირი,
ბაღში ჩიტების იდუმალი
ჟღურტული მიწყდა!
წყლის შადრევნებს კი, ეფერება დედა და შვილი
და სიმხურვალეს უჩვეულოს
ირეკლავს მიწა...
მზე ჩამავალი უდარდელად, კვლავ სხივებს ისვრის,
ო, როგორ მინდა შეჩერდეს და
არხიოს კალთა...
სიღრმეში ბაღის ჩიტუნების ხმა ისევ ისმის,
ო, ამ სამყაროს სიდიადეს,
ნეტავ ვინ მართავს?!

29.0714
თბილისი

დედას

შენი შვილი დაიღალა, დედა,
        მაგრამ, ისევ მიაბიჯებს მტკიცედ!..
შენი შვილი დაიღალა, დედა,
მაინც უტევს მედგრად
დროს და სივრცეს...
შენი შვილი დაიღალა, დედა,
        პოეზიის სიყვარულით მთვრალი!
შენი შვილი დაიღალა, დედა,
და ბილიკებს
მიუყვება მთვარის...
შენი შვილი დაიღალა, დედა,
        ო, ამდენი კვეთებით და შფოთით!
შენი შვილი დაიღალა, დედა,
და ოცნების
გაუხუნდა ტოტი!
შენი შვილი დაიღალა, დედა,
        ამ ცხოვრების გრიგალებთან შეხლით!
შენი შვილი დაიღალა, დედა,
სოფლის თავზე, ვით
ბებერი ვერხვი!
ამ საწუთრომ ბევრი მასვა შხამი
        ჟამს კვლავ მოაქვს ვეებერთელა ძღვენი!
და მოიწევს ღამეები შავი,
და მოიწევს
ღამეები გრძელი!

შენი შვილი დაიღალა, დედა,
სული უკვე ვეღარ უძლებს ლოდინს!
შენი შვილი დაიღალა, დედა,
და მოვიდა,
რასაც მოველოდი!

05.08.2014
თბილისი

დროის ვექტორი მიქრის...

გავცქერ ბავშვობის მინდვრებს,
გული ვეღარ გრძნობს შვებას!
მოგონებები მიტევს
და სევდა მეუფლება!..
მზე ჩამავალი მიღიმის,
მინდორზე ნისლი წვება...
ჩამესმის მამის ღიღინი –
გაურბის დავიწყებას!
ისევ, იყივლა მამალმა,
დროის ვექტორი მიქრის...
გულმა დარდი ვერ დამალა,
ჟამმა დამღალა ფიქრით!..

02.08.2014
თბილისი

მდინარის პირას

მზე მოთენთილი ცის თავანზე მიიზმორება,
ისმის ჩიტების ჟრიამული
საგაზაფხულო...
მდინარის პირას ირხევიან ქარში წნორები,
ცას უხუნდება
სილაჟვარდე გადანახული.
იმზირებიან ყვავილები სველი თვალებით,
და მინდა მე მათ
მოვეფერო, მოვეხალისო!
მოჩანს მინდვრები მზის ღიმილით ნაფერმკრთალები
და მეშინია ცამ ზარები,
რომ დაარისხოს!
მე მზის გადახრას ველოდები, ირხევა ნისლი...
და კანტიკუნტად ფოთოლცვენა,
უკვე დაიწყო,
ნიავმა მინდა ლურჯი ფრთები გაშალოს, ისევ
და შემოდგომის მოსვლის
სევდა გადამავიწყოს.

12.08.2014
ბანძა

მიყვარს მუსიკა

მიყვარს მუსიკა აპრილის წვიმის,
            როცა ატამი და ნუში ჰყვავის,
რტოზე ობოლი ჩიტუნა წივის
და რა ატირებს
პატარა ყვავილს?
ვუცქერ ტალღების მოლურჯო ლივლივს,
            ისევ, დუმს ჩემ წინ კლდეები სალი...
გულში ფარული ტკივილი მივლის,
მივდივარ, მაგრამ
არ ვიცი, საით...

20.03.14
თბილისი

მარის

ბაღში სექტემბრის შრიალებს ქარი,
გავცქერი მღვრიე ფოთლების რიალს...
აქ დავდიოდით მე და შენ, მარი,
და შევხაროდით
მთვარეს და ნიავს!
ო, ის დღეები შორს მიქანაობს
და მოგონებით გული, კვლავ ღელავს!
მოდის ზამთარი, მოუხმობს ქაოსს
და დრო იშორებს
სამოსელს ფერადს.
უკვე ხუნდება ფერების წყება,
და ჩემი მზერა შენ ისევ გელის!..
ჩვენ ბევრი რამე წაგვართვეს წლებმა,
რა შეგვრჩა? – სევდით
თვალები სველი...

20.09.16
თბილისი

მიდის ცხოვრება

„ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოვლისა ტანისა“
შოთა რუსთაველი

სამყაროების არსებობას ვერ გამოვრიცხავთ,
ჩვენთვის მარადის შეუცნობი
ძალით ანაგებს!
ო, იქნებ, ახალ სამყაროთა იზრდება რიცხვი,
მაგრამ ყველაფერს მხოლოდ
ღმერთის ნება განაგებს...
ის გონებისთვის რჩება მუდამ მიუწვდომელი,
მის მასშტაბებთან ვეღარ მოდის
სხვა შედარება!
ემორჩილება უზენაესს არსი ყოველი,
მხოლოდ სულით ვგრძობთ
უჩვეულო ამ ნეტარებას!..
მიდის ცხოვრება და, ჩვენ რწმენით ოცნებებს ვანთებთ
და ღვთაებრივი სილამაზით
სუნთქავს მთა–ველი!
ღმერთმა აჩუქა დედამიწას: შექსპირი, დანტე,
ნიზამ განჯელი, ჰომეროსი
და რუსთაველი!

23.04.2015
თბილისი

რამ დამავიწყოს?!

მე მაგონდება სათაყვანო წლები ბავშვობის,
როცა თქვენს ჟღურტულს
გაზაფხულზე სანატრელს ვისმენ!
თქვენი ჰანგები დილის მზეზე მეთამაშება
და ნეტარებით ჩემი სულის
ხვეულებს მივსებს...
რამ დამავიწყოს მოჩითული ჩემი მინდვრები
ყვავილთა თრთოლვით,
უჩვეულო, თქვენი ხატებით!
მე იმ დღეების მოგონებით ახლაც ვინთები
და მომხიბლავი თქვენი
რხევა მომენატრება;
თითქოს ბრუნდება, ის დღეები, ღელვით ვივსები,
ო, უთქვენობა არის
ჩემთვის გაუსაძლისი!
მიდიან წლები... მოგონება მემაისება,
რა აღტაცებით მაგონდება
ჩემი საწყისი!..

25.09.2014
თბილისი

მოვიდა ისევ, რასაც ველოდი!

ჩემს მდინარეზე მოვარდისფრო აცურდა ნისლი,
ბაღში ჩიტების საოცარი
ჟღურტული ისმის!..
მზე ამოვიდა, მოაქვს შუქთა თაიგულები,
შეაშრათ ხეებს – მოშრიალეს
სევდა ულევი!
მე ფეხშიშველი ავედევნე ცვრიან ბალახებს
და შუქი ათოვს ოქროსფერი
ამ ჩემს სანახებს...
წელში გასწორდა ეს ალვის ხე ნაქარიშხლევი,
მე გარდა შენი სიყვარულის
არვინ მიშველის!
ამიბალახა ცამ მთა-ბარი ზამთრის მელოტი,
მოვიდა იგი, მეგობარო,
რასაც ველოდი!
რას უცდი, სულო, ააჟღერე ჩანგის სიმები,
დამათვრე შენი სილამაზის
ფერთა წვიმებით!..
ამ ცას და მინდვრებს დაუბრუნდა გუნდი მერცხლების
და ჩემს გარშემო ყვავილების
ფეთქავს მეწყერი!..
ამიბალახა ცამ მთა-ბარი ზამთრის მელოტი,
მოვიდა, ისევ გაზაფხული,
რასაც ველოდი!..

24.04.2016
თბილისი

შემოღამების სევდა

არ მინდა გავხდე, მეგობარო, მსხვერპლი განცდების,
არ მინდა ცრემლით დავასველო
ხსოვნის მინდორი.
და ვგავარ კაცი ნაღვლიანი, მიზანსაცდენილს
და მოგონება უსაშველო
ტკივილს მიტოვებს!..
გაქრა დღეები ნეტარების და სულს მიშფოთებს,
ამ წუთისოფლად დარჩენილი
დღეების წყება!
გული წამებას ვერ იქნა და, ვეღარ იშორებს,
რაც იყო იმას, ვერ გავატან
მე დავიწყებას!
შემოღამების სევდის მტანჯავს უნაპირობა,
ვიღაც, მეძახის სიშორიდან –
ცრემლი მედება!..
სულს კი აჩნია ეს, დღეები, როგორც ჭრილობა,
და ვერ ვშორდები
ამ სევდიან შემოღამებას!

17.09.2015
თბილისი

ვერ გამიგია!

მე ამ მიწაზე ეჰ, რამდენი ვიხეტიალე,
მაგრამ თითებზე აღარ ვითვლი
                    დღეებს დარჩენილს,
ო, ეს პლანეტა ძველებურად ისევ ტრიალებს
და განუწყვეტლივ ფერებს იცვლის
ნებით გამჩენის!
საიდან მოველ, ან მივდივარ, ნეტავი საით?
არც მომავალი, არც წარსული
                    არავინ უწყის!
იკივლებს ქარი და სიცოცხლეს ზვირთი დაითრევს
და ცვლიან ერთურთს ეს დღეები –
კენტი და ლუწი...
მიდის ყოველი, თაობები ცვლიან თაობებს,
გარდასულ დღეთა ხსოვნას უკვე
                    ვეღარ ვიშორებ,
ვერ გამიგია დასაბამით – რაზე დაობენ,
და უსხეულო სული
რატომ ელტვის სიშორეს?!

20.07.14
თბილისი

მზე გაზაფხულის ამოდის

ჩემს აივანთან ახლოს რტოზე ბულბული გალობს,
უსმენს ბებერი სახლი და შენ
ხელს უშლი, ქარო!
მზე გაზაფხულის ამოდის და ეფინება მიდორს,
ძვირფასო, ჩემთან წამოდი
და დუმილს განვერიდოთ!..
მე ბავშვობიდან ვეტრფოდი ო, ამ ხმის სილამაზეს
და იმ მუსიკის ჰანგები
კვლავ აღტაცებით მავსებს.
ეს ცა და მიწა ორივე, მაგ ხმის სურნელით მათრობს
და ჯადოსნური სიმები,
თითქოს, ზეციდან მათოვს!..

12.05.16
ბანძა

ცახცახებს ჩემი ბაღი

მოდის ღრუბელი ზამთრის, წყვეტენ ქარები აღვირს,
მოდის ღრუბელი ზამთრის...
ცახცახებს ჩემი ბაღი!..
მოდის ღრუბელი ზამთრის, ვისმენ ჩიტების წივილს,
მოდის ღრუბელი ზამთრის,
მოაქვს სუსხი და წვიმა...
მოდის ღრუბელი ზამთრის, ხეები ერთურთს ლეწენ,
მოდის ღრუბელი ზამთრის,
ეძახის თოვლს და მეწყერს...
მოდის ღრუბელი ზამთრის, თეთრი მამალი ყივის,
მოდის ღრუბელი ზამთრის
ქარით, თოვლით და ყინვით...

17.11.2013
თბილისი

შევრჩით საწუთროს

შენ, ახლა, ალბათ, გახსენდება იმ დღეთა წყება,
გევსება ცრემლით ელიფსური
თვალები ლურჯი!
და ძველ ბილიკზე დავიწყების ნისლები წვება
და მდინარის პირს
ალვებს არხევს ქარები ურჩი...
დრომ რა უეცრად გაიტაცა ყოფნის ზღაპარი
და გაგვიხუნა გაზაფხულის
რტოები მწვანე;
სევდა ულევი ო, ასე ვინ შემოგვაპარა,
ვინ აგვატირა, მეგობარო,
ო, ასე მწარედ?!

12.10.2010
მოსკოვი

რა ამაოდ ვიხედები უკან!

იჟღურტულეთ, ამ ჟღურტულით ჩიტებო,
კვლავ მიბრუნებთ სიყმაწვილის ხალისს...
ო, მე თქვენი ხმის სიმებით ვინთები
და ვივსები ისევ,
რწმენით ხვალის...
გაჟღენთილი წუთისოფლის სევდით
ორღობეში ძლივს მივათრევ სხეულს...
მინდა გრძნობა აღარ დამიბერდეს
და შუქს ვკოცნი
ციდან ჩამორხეულს!..
ისევ, ვეტრფი მზის და მთვარის ნათელს,
სიყვარულით მარხევს თქვენი მზერა!..
სამრეკლოდან ზარებს რეკავს მნათე
და მიღიმის
ჟამი ალმაცერად!..
ვიცრემლები მდინარის პირს მდგარი,
ჩემი ყოფნის აქ მთავრდება ვადა!
შემოდგომის, ისევ, მოქრის ქარი
და დინებას მხოლოდ
ცრემლებს ვატან...
შორს, გაფრენით სული იგრძნობს შვებას,
შეღამების ჩანგი მძიმედ უკრავს!..
და დღეები სილამაზის ქრება,
რა ამაოდ
ვიხედები უკან?!

19.08.2015
ბანძა

მაისის წვიმა

მიყვარდა წვიმა მაისის, ბალში ჭიკჭიკი ჩიტების
და მათ ვხვდებოდი ხალისით, –
და ანთებული რითმებით!..
ვაყურადებდი ყმაწვილი მათ სტვენასა და გალობას,
ო, ის მუსიკა ზღაპრული –
ეს იყო ზეცის წყალობა!..
ის ჟამი გაუჩინარდა, დასრულდა დღეთა მშვენება
და ვდგავარ მარტო ჩინართან,
არ ვიცი რა მეშველება!
დღეები დარჩენილები – რა უღიმღამოდ მიდიან,
მივდივარ სევდადქცეული
და სატკივარიც დიდია!..
მტანჯავს ტკივილი ვეება და, ისევ სივრცეს გავყურებ
და მთვარიანში წყარო ზე
ირხევა შენი საყურე...

15.05.2016
თბილისი

შეწყდა შრიალი

ტყე ამიჩეხეს, ის წყაროც დაშრა,
        რასაც ვეტრფოდი, იმათ არ ვხედავ!
დავცქერი მიწას, რომ იწყებს დაშლას,
როდესაც შეწყდა
შრიალი ხეთა!
ახლა, იქითკენ მიხედვაც არ მსურს,
        აქ ლურჯი მიწა გადიქცა თიხად!
ბოროტთა მზერა ვეღარ დასრულდა,
რომ სპობ სიცოცხლეს,
მითხარი, ვინ ხარ?
შეწყდა შრიალი და გული მეწვის,
        დავალ ეული, ვერაფერს ვამბობ...
და ვარდფურცლობის სინაზეს ვერწყმი
და სიყვარულით
ვუგზავნი ამბორს...

18.05.80
ბანძა

დავდივარ მარტო

მე, აქ ბავშვობის ბილიკებზე დავდივარ მარტო
და სურნელება ყვავილების,
ო, ისევ მათრობს!
კვლავ აკაციის თეთრ ფანტელებს ქარი მიაფრენს
და მოგონება
გარდასულის მაფორიაქებს!..
ჩემი სახლ-კარი, ნასახლარად ქცეულა უკვე,
გარდასულ დღეებს სიყვარულით
საკმეველს ვუკმევ!
აქ თქვენს აჩრდილებს, ვხედავ უხმოდ მოხეტიალეს,
ქრიან ქარები, დედამიწა
ისევ ტრიალებს...
სათაყვანებო, თქვენზე ფიქრებს ველარ ვიშორებ
და უკურნებელ სევდად მექცა
თქვენი სიშორე...
მე ყმაწვილობის ნაფეხურებს ვეთაყვანები,
რომ შრიალებდნენ
უბოლოოდ ლურჯი ყანები...
კვლავ მოგონება მე იმ დღეთა მაფორიაქებს
და აკაციის თეთრ ფანტელებს
ქარი მიაფრენს...

17.04.2014
ბანძა

* * *

სიკვდილთან ბრძოლით ვერაფერს გახდი,
ბუნებამ ერთობ გიცვალა ფერი!..
ტიროდა შენი ბავშვობის სახლი,
მიირხეოდა მზე
ალმაცერი...
ო, რა შორს დარჩა ის აღმაფრენა...
და მიცურავდა ნისლები მკრთალი...
აჭკნობდა ჟამი ყვავილებს ფერადს
და გეძახოდა
მზე ჩამავალი...

23.10.2016
ბანძა

ჩემო პლანეტავ!

ჩემო პლანეტავ! უთვალავი წლების მანძილზე,
როგორ გაუძელ ამდენ ღელვას,
ტანჯვა-წამებას?
მე შენს სიყვარულს, კვლავ ვინახავ გულში განძივით
და გადაჩეხვა სადმე
შენი დამენანება!
ჩემი თვალები ვერ იხილავს ამ შენს დიდ კოშმარს,
ხოლო სული კი უკანასკნელს
იგრძნობს ნათებას!
იქნება მძიმე ტრაგედია ეგ შენი მოშლა,
ჩაიღვენთება შენი ხსოვნა
მხოლოდ სანთლებად!..
ჩემო პლანეტავ! ჩაიშლება შენი ხატება
ცის უფსკრულებში... სული ჩემი
როგორ მძიმდება!
შენი სიცოცხლე სამუდამოდ გაიფანტება
და მერე იგი, –
არასოდეს აღორძინდება!

25.05.2016
თბილისი

მე შენზე ვფიქრობ

ო, მწუხარებამ რა ულმობლად გამინაპირა
და ბაღში ახლა
მარტოდმარტო დავეხეტები!..
მე შენზე ვფიქრობ... მოშრიალებს თეთრი აპრილი
და სული ამით იმსუბუქებს
დროის შეტევას!..
მოდი, სიზმარში, მეგობარო, მაინც მეჩვენე,
გულს ეჯახება დაუნდობლად
ზვირთი მრავალი!..
დრო მიქანაობს და მის ვექტორს ვეღარ ვაჩერებ
და იცრემლება სიშორეში
მზე ჩამავალი!..

23.05.2016
თბილისი

* * *

ვერ იქნა, დღემდე ვერ გავფანტე ბინდები მწუხრის
და სულში დღეთა ნეტარების
დაწყდნენ ძაფები!
ვერ მალავს გული გადაღლილი სევდას და წუხილს
და მაგ თვალების
სილაჟვარდეს დავეწაფები!..
მერი ძვირფასო! მენატრება შენი ალერსი,
ნუთუ, ჩაქრება სიყვარულის
სულში სანთელი!
საით წავიდნენ ღამეები უმხურვალესი,
საით გაფრინდნენ ის
დღეები, ასე ნათელი?!

27.05.2001
თბილისი

წუხელ მერცხლები მოფრინდნენ

წუხელ მერცხლები მოფრინდნენ და დილით ადრე ვხვდები,
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ,
მათი ჭიკჭიკით ვთვრები...
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ, ვუცქერ ბავშვური გრძნობით,
სივრცეს აღვიძებს მოლურჯოს
მათი ჭიკჭიკი მწყობრი!..
ამოდის მზე მეწამული და შუქს ჰფენს არემარეს,
წუხელ მერცხლები მოსულან,
ვეღარ ვუჯერებ თვალებს!
მთვარე შორდება ცის ხავერდს, შუქს არხევს უღიმღამოდ,
მზე სიხარულით მოიწევს
და დილა იცვლის საამოსს...
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ და სიხარული მივლის,
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ,
გუგულს უჭირავს სტვირი...
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ და მზე მოარხევს სხივებს,
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ,
ცა არხევს ცისფერ სიმებს!..

29.04.2016
თბილისი

ფერიცვალების ზარები

მიირხევიან მინდორზე ბინდები შემოღამების,
ვიხსენებ დღეებს სანატრელს და გზას
მივიკვლევ წამებით!
მე ციურ იდუმალებას ხმებით მუსიკის ვწვდები,
მივდივარ სოფლის ბილიკზე
და ტვირთს მივათრევ წლების!..
და ჟამის ქარებს მობერილს თავგამეტებით ვუტევ,
გზას მიმსუბუქებს შორეულს და
უსაშველოდ მრუდეს, –
შენი თვალების სინაზე, მუდამ იმედი ჩემი,
ო, ასეთია საწუთროს, –
რისხვაც და განაჩენიც!
თუ შეწყვეტს გული შეტევას, იმასაც აღარ ვნაღვლობ,
ეს ჩემი სული მედგარი დაიპყრობს
ყველა მაღლობს...
კაცი სავსე ვარ ზმანებით, ზარებს კვლავ რეკავს მნათე,
ხმა შორეული მეძახის
და მიფენს გზაზე ნათელს!..
ელავს თვალები შორიდან, შუქი იღვრება ციდან,
შენი ხატება ციური, ტრფობით
დავიპყრო მინდა!..
რა რჩება: ფერფლი, ნაცარი... და გზას მინათებს მთვარე,
და რეკავს ვიღაც შორიდან
ფერიცვალების ზარებს!..

15.08.92
ბანძა

დედას

შენს ხსოვნას, დედა, საკმეველს ვუკმევთ
            და თითქოს ზეცა დაგვემსხვრა თავზე!
და შენი წასვლით ოჯახმა უკვე
დაჰკარგა სითბო
და სილამაზე!..
დღეები გახდა ცივი და მკრთალი
            და მოგონება ტკივილით გვავსებს!
რა შეგვრჩა? – მხოლოდ ბილიკი მთვარის
და გული კიდევ
ცრემლებით სავსე!..

16.05.1947
ბანძა

ის მიდის მარტო

მიდის, მიჰყვება თვალები მღვრიე
            და ბაგეები დუმილით სავსე!..
ქარი ნოემბრის გადარბის გზაზე,
ირგვლივ ყვითელი
ფოთლები ყრია...
ის მიდის მარტო...
            დაგუბულ ნაღველს
და გახუნებულ ფოთლების შრიალს, –
ვერ უძლებს სული ჟამით ნარბევი,
მიდის, ვეება
ტკივილი მიაქვს!..
ცაზე მიცურავს სეგმენტი მთვარის
            და გაძარცული ქანაობს ტოტი...
გული ეტკინა, ვინ იცის, როდის?
და ცივ ლოდებთან
ქვითინებს ქალი!..

22.10.62
ბანძა

ჟამი გარბის

უთქვენობით როგორ გაძლოს გულმა,
საწუთროსთან, თუმც ამაოდ ვდაობ!
დამივიწყებს, ალბათ, გაზაფხული,
თუ სხეული
დაემსგავსა ჭაობს.
ვერაფერი მეშველება, ვიცი,
როცა მიწა დამშლის ნაწილ-ნაწილ,
მოგონება იმ შორეულ რიცხვის
დედის აჩრდილს
დაუსველებს ღაწვებს!..
ჟამი გარბის, აღვირს ვეღარ ვუჭერ
და სევდისგან გული როგორ მიმძიმს!..
დამამსგავსებს ის ცარიელ ჭურჭელს,
გამომტაცებს
ვარსკვლავების ციმციმს!

29.04.2015
ბანძა

მეამაყება თქვენს ძეგლთან დგომა

სახელოვანი ალპინისტების –
ჯაფარიძეების ნათელ ხსოვნას

მე ვერის ბაღში მოვდივარ ისევ
        და თქვენს საფლავთან ვდგები მდუმარი!..
მიარხევს მტკვარი აპრილის ნისლებს
და მოაქვს ნიავს
ხმა იდუმალი...
ხეები მწვანე იალქნებს შლიან,
        ისმის მამულის მთების გუგუნი!..
და ვაყურადებ ფოთლების შრიალს,
თუმც, მტანჯავს დელგმა
ამ საუკუნის!..
ზარები რეკენ გელათს და მცხეთას,
        რომელსაც მთელი გრძნობით ვენდობი!
და მივასვენებთ ყოფილის ცხედარს,
ვიშორებ დღეებს
უიმედობის!..
ორასი წელი ბორკილი ვზიდეთ,
        მაგრამ მონები მაინც ვერ გავხდით!
დაჰქორწილა ქარმა მთებიდან, ზღვიდან
და ბოროტების
დავამხეთ ტახტი!..

ამსხვერვდა სული ჟამის ურჩ მერქანს,
მისდევდით სივრცეს სხვა აღაფრენით...
ამ სწრაფვას ცისკენ სახელად ერქვა –
თავისუფლება,
სხვა არაფერი!

22.04.2015
თბილისი

რა უფერულად ფეთქავს?!

ერთად განვლილი დღეები რა აღტაცებით მავსებს,
ერთად განვლილი დღეები
ო, ისევ ბადაგს მასმევს!..
რარიგად მეუცხოვება, ნახვა სიურჩის დღეთა,
და უღიმღამოდ ინთება,
რა უფერულად ფეთქავს!
ახლა, ვინ გამიხალისებს ამ გულს უზომოდ დაღლილს,
მოვა დრო და მოგონებას,
ვიცი, ცრემლებად დავღვრი!..
ვით შემოდგომის ხეები ჟამმა გამძარცვა ერთობ,
ცხოვრება მექცა დილემად,
რა დაგიშავე, ღმერთო!
ვეფერებოდი ყვავილებს, მინდვრის ნიავთან ერთად,
სული მათ ამიყვავილეს,
ბევრჯერ გავფანტე სევდაც...
ფერთა მორევში ვცურავდი, ვიდექი ცის ქვეშ ლოცვად,
მშველოდა შენი სინაზე
და მაგ ბაგეთა კოცნა!

13.06.2016
თბილისი

სხვა თვალებით ვუმზერ

ისევ ვუსმენ ჩიტუნების ჟღურტულს
        და ჩემს სევდას აღარა აქვს ბოლო!..
უხმოდ დავცქერ მე ბავშვობის შურდულს
და მაისის სიომ
ჩაიქროლა...
დღეს ყველაფერს სხვა თვალებით ვუმზერ,
        გაზაფხულის ცა ლაჟვარდებს მაღვრის...
შენი სახე მახატია გულზე
და სიმწვანეს
ვეფერები ბაღის!
ცოტა კიდევ, და ვერასდროსს ვნახავ –
        მთვარის ხავერდს და მზის ამოსახედს!
მოგონებებს რა ტკივილი ახლავს
და სევდიან ჩანგის
სიმებს ვარხევ!..

21.04.2015
ბანძა

რა შერჩა?!

გზებთან ჭიდილმა როგორ დაღალა,
სულსაც შემორჩა იჭვის ნასახი!
მაინც ეძახის იქით ჭაღარა,
მაინც იქითკენ
უხმობს ასაკი!..
ცრემლი წამწამებს რად დაეკიდა?
რა შერჩა? – ხსოვნა მოსაფერები!..
სულში ტკივილებს გზადაგზა ზრდიდა
შემოღამების
მკრთალი ფერები!..

14.11.98
მოსკოვი

ბავშვობის ბაღში მოვდივარ!

ქართან შეხლილი ტოტი ვარ, ფიქრით შორს გავიჭრები,
ბავშვობის ბაღში მოვდივარ და
მერე დიდხანს ვრჩები...
აქ ჩემს ბილიკებს დავეძებ, ცვივა ფოთოლი ჭადრის...
ლანდი ბავშვობის გამექცა,
მზე შემოდგომის ჩადის!..
რატომ დასჩემდა, ნეტავი, სულს მწუხარებით თრობა?!
იმ დღეზე ვფიქრობ, როდესაც
ბაღი დარჩება ობლად!..

12.10.2000
ბანძა

მოგონება მაწვიმს

დამჩხავლა და გადაფრინდა ყვავი,
            დამჩხავლა და გადაფრინდა შორად...
ღაწვი ცრემლით დაუსველდა ყვავილს
და ფარული
მაგრძნობინა ჟრჟოლა!..
ნუთუ, დადგა განშორების ჟამი?
            შელამების ბინდი მოსავს მწვერვალს...
გულს ნაღველი მოეძალა შავი,
სულს მოედო
უცნაური ღელვა!..
მზე ჩადის და ბალახებში ვწევარ
            და ბავშვობის მოგონება მაწვიმს!..
მე ვიხსენებ ყოველივე წვრილმანს,
რასაც აზრი
აღარა აქვს აწი!
დამჩახვლა და გადაფრინდა ყვავი,
            დამჩხავლა და გადაფრინდა შორად...
ღაწვი ცრემლით დაუსველდა ყვავილს
და ფარული
მაგრძნობინა ჟრჟოლა!..

17.05.88
ბანძა

იძინე, მშვიდად იძინე!..

შენ, ბროწეულო, ძოწისფრად კუთხეში მდგარო ლამპარო!
იძინე, მშვიდად იძინე,
ჩემი ბავშვობის ზღაპარო!..

შენ თუთავ, ტოტებგაშლილო, მირთობდი სახლს და ლაფაროს,
იძინე, მშვიდად იძინე,
ჩემი ბავშვობის ზღაპარო!..

კვლავ იშრიალეთ ალვებო, რომ სული თქვენით ვახარო!
ოღონდ გთხოვთ, ნუ აცრემლდებით,
ნუ გამხდით სევდის მაღაროდ!..

შენ, ალუბალო, სარკმელთან ნარხევო, მიუსაფარო,
იძინე, მშვიდად, იძინე,
ბავშვობის თეთრი ზღაპარო!..

ღელევ, საითკენ მიდიხარ, რომ გაგიშლია ფაფარი?
იდინე, ჩუმად იდინე,
ბავშვობის თეთრო ზღაპარო...

ო, ის პატარა ბილიკი, ნისლო, არ მინდა მოშალო,
ჩემი ბაღჩა და ვენახი,
გთხოვ, აღარ დამიკოშმარო!

შენ, ვერხვო, ბევრჯერ ქარებით ნარბევო, ნაალაფარო,
იძინე, მშვიდად იძინე,
ჩემი ბავშვობის ზღაპარო!..

ბულბულო, შენი გალობით სევდა არ შემომაპარო!
იძინე, მშვიდად, იძინე,
ჩემი ბავშვობის ზღაპარო!..

შენ, ცაო, შუქით მოსილო, გთხოვ, კალთა გადმომაფარო!
იძინე, მშვიდად იძინე,
ჩემი ბავშვობის ზღაპარო!..

12.04.09
ბანძა

ბავშვობის ნოსტალგია

როგორ მიყვარდა ჩემი ეზოს ზეცა მაღალი
და ვარსკვლავების უნაპირო
შორი ციმციმი!..
მდინარის ტანი მთვარის ოქროგადანაღვარი
და ენძელების უჩვეულო,
წრფელი სიცილი!..

როგორ მიყვარდა მთვარის შუქზე რხევა რტოების
და ხეივანში მოგალობე
ქორო ჩიტების!..
დღეს ვხეტიალობ სიშორეში განმარტოებით
და ტკივილების
მოზღვავებით განაფითრები!..

13.04.09
მოსკოვი

მივდივარ

შორეულ გზაზე მივდივარ მარტო,
სივრცე ქანაობს ქარში ტივივით!..
შორეულ გზაზე მივდივარ მარტო,
ლამის, ამიკლოს
კაცი ტკივილმა!..
ო, ეს მდინარე მიდის სავსავით
და, აჰა, მრუმე ღამე ეშვება...
მივდივარ, სადღაც, სევდანასვამი
და უკვე
არვინ მენუგეშება!

10.09.09
მოსკოვი

გაცურდნენ საით?!

ჩემი ოცნების ის ნავები წავიდნენ საით?
დაგეძებ, მაგრამ უკვე
ვეღარ ვპოულობ კავშირს!
ავდრიან ღამით მოიტოვეს კლდეები სალი,
ჯერ ზღვას და მერე ოკეანეს
მოედვნენ გაშლილს...

იმ სილამაზის ახლა, ისევ, მომინდა ნახვა!
რომ დავაცურეთ, მეგობარო,
დინების გასწვრივ!..
ჩვენი ბავშვობაც, მათთან ერთად, დინებას გაჰყვა
და დაბრუნდება? –
ვერასოდეს, ძვირფასო, აწი!

15.04.09
მოსკოვი

მოვიდა ადრე

წელს გაზაფხული მოვიდა ადრე,
ასი ათასი ხოხბის ყივილით!..
მზემ ოქროსფერი გაშალა ბადე,
რომ მოაშოროს
გულს სიმძიმილი!

წელს გაზაფხული მოვიდა ადრე
და ამიყვავა ბავშვობის ეზო!..
წელს გაზაფხული მოვდა ადრე,
მაგრამ არ ჩანან
გელა და რეზო!

19.04.09.
ბანძა

საით წავიდა ეს ხალხი?

საით წავიდა ეს ხალხი, რომ მათი ჩქამიც არ ისმის,
საით წავიდა ეს ხალხი
თავის ეშხით და ხალისით?
საით წავიდა ეს ხალხი, რომ გასცდა დღეთა სამანებს,
და სევდიანად ზეგანზე,
რად ყივის ასე მამალი?!

საით წავიდა ეს ხალხი, რომ შესვეს გრძნობით თასები
და დროის უკუღმართობას
უტევდნენ გაალმასებით!..
საით წავიდა ეს ხალხი, იმ შემართებით ძლიერით,
საით წავიდა ეს ხალხი,
რას გლოვობს დასალიერი?!

27.09.10
მოსკოვი

შეჩერდი!

გვეყოფა მზის ურჩი ღვარები, ამდენი ყინვა და თოვლი,
ო, სივრცე ივსება ცახცახით, უსაზღვრო
შიშით და კრთომით!..
ბუნებამ იცვალა ფერები, და უკვე თვისებას იცვლის,
მოვარდნა ბირთვული ქარიშხლის,
ჩააქრობს ვარსკვლავთა ციმციმს!..
გონებავ, შორს მიხვალ ძალიან და ურღვევ
სიცოცხლეს ბუდეს,
შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი,
რომ სივრცე არ გაგვიხუნდეს!

27.08.10
მოსკოვი

ჩემი ზღვა

მე მენატრება ჩემი ზღვა მოხეტიალე ნავებით,
მე მენატრება ჩემი ზღვა, –
მოლურჯო შემოღამების...
მე მენატრება ჩემი ზღვა, და ცაზე მთვარე ნამგალა,
მე მენატრება ჩემი ზღვა,
ბობოქარი და კამკამა!..

მე მენატრება ჩემი ზღვა, როცა ნაპირებს ეხლება
და ცხელ ქვიშაზე გაწოლილს, რომ
ტანზე გადამეღვრება...
მე მენატრება ჩემი ზღვა, მასზე ტალღების მატება,
მე მიყვარს, როცა ნაპირზე
ვეძებ ბავშვობის ნატერფალს...
მე მენატრება ჩემი ზღვა, პალმების რხევა–ფარფატი,
მე აქ მოსკოვში დავდივარ და კვამლში
ვცურავ არბატის!..
ო, ყველგან კვამლი ირხევა, ქანაობს რუხი კოშკები,
მზე იხედება მაცდურად,
გახუნდა ფერი დროშების!
მე მენატრება ჩემი ზღვა მოხეტიალე ნავებით,
მე მენატრება ქვიშაზე
ივლისის პაპანაქება...
მე მენატრება ჩემი ზღვა – პალმების რხევა–ფარფატი,
მე, აქ მოსკოვში დავდივარ
და კვამლში ვცურავ არბატის...

22.07.10
მოსკოვი

ერთმანეთს გადავეყრებით!..

სიკვდილს ვერ დაველოდები, რომელიც ჩემსკენ მოჰყეფს!..
მწარე მოთქმით და გოდებით,
არ მინდა ფეხქვეშ მოვყვე!
არა ვარ კაცი მერყევი, ვერც ცრემლი მიწვავს ლოყებს!
ერთმანეთს გადავეყრებით,
როგორც ვეფხვი და მოყმე!..

13.12.01
მოსკოვი

იკაროსის ნაკვალევზე

ო, ჟამი იდგა იმგვარი რომ მზისკენ ქროლვა მომინდა
და, როგორც, მაშინ იკაროსს,
ცა ხელს მიქნევდა შორიდან...
აფრა გავშალე ოცნების, იმხელა მქონდა სურვილი
მივქროდი მზისკენ ჭაბუკი,
გზა იყო ოქროცურვილი!..
მიწას ერთბაშად დავშორდი და მიმაფრენდა მზის ქარი,
რა შორს დავტოვე მინდვრები,
ჩემი ეზო და ცისკარი!..
და სიმაღლეებს ზედიზედ ვიპყრობდი გულანთებული,
ეს იყო ჩემი ოცნება
და შემართება მეფური!
ვიყავი ბიჭი ობოლი და ობლის კვერი ვერ ცხვება,
და მზით ფრთებშემოძარცული
გამომიტირეს მერცხლებმა!..
სადღაც, რიყეზე დავეშვი, სისხლი მსდიოდა ნაკადად,
ჩემი ოცნების შარაგზა
ო, რა უეცრად დაქანდა!..
და მზემ რამდენი იცინა, მესმოდა ქარის ხარხარიც!..
მხოლოდ ჩინარი ტიროდა,
ჩემი ჩინარი მაღალი!..
ასე დამთავრდა ეს ქროლვა უიმედოდ და უკვალოდ,
გულუბრყვილობა ამგვარი,
შენ მაპატიე, უფალო!

24.06.10
თბილისი

საღამო ზღვაზე

აწყდება ჯებირს ტალღები მძიმედ
        და ნაწილ-ნაწილ იმსხვრევა მერე,
ცაზე ღრუბელი მიცურავს მცირე
და ათამაშებს
ჩრდილებს და ფერებს...
აწყდება ჯებირს ტალღები მძიმედ,
        როგორც ცის გუმბათს ფიქრები ჩემი...
ო, სული, ისევ, მოუხმობს იმედს
და შლის თამამად
იალქნებს გემი!..
ზღვა ღელავს – მიწის ამაყი სული!
        და კივის სივრცე მღვრიე და ცივი!..
მზე ჩადის... ტოვებს ტყვიისფერ დუმილს
და მეწამული
ცახცახებს სხივი...

14.09.65
სოხუმი

რატომ ჩამიქრე?!

რატომ ხარ, ასე უმოწყალო, და თან უქმური?
რად მიმიჩნიე ობიექტად –
რღვევის, შეტევის?
გადამავიწყო გინდა მზე და წვიმა ჟუჟუნა,
მე, მაგ შენს ჩარჩო-სარკოფაგში
ვეღარ ვეტევი!
რატომ მაჩვენე ჩემი მიწა გადარუჯული?
რატომ ჩამიქრე გაზაფხულის
შუქი ცხოველი?
რატომ ხარ, ასე უმოწყალო და, თან უქმური
და სიკეთისთვის, –
დასამხობად მიუწვდომელი?!

10.10.69
სოხუმი

რამდენ წამებას ვუძლებ!

კვლავ ცისკრის გედი აცურდა, და ხარბად ვსუნთქავ ოზონს,
შენზე მარადის ვლოცულობ,
ო, ფუძის ანგელოზო!
ცა იასამნისფერი და ჩემი კოხტა ეზო
ცეცხლი და კვამლი კერიის, –
რამ შემაყვარა ეგ ზომ?!
რამდენ წამებას ვუძლებ, როცა არა ვარ ახლოს,
აქ არის ჩემი ფუძე
და ჩემი სამოსახლო!
მზე შემოდგომის ჩადის, მიდის ჩურჩულით წყარო,
მიაქვს ფოთლები ჯადრის,
შორს, სადღაც, უმოწყალოდ!..

24.11.92
ბანძა

ჩემი ოცნების პლანეტა

ჩემი ოცნების პლანეტა შემოვიარე „ბიგლით“,
მალე, შორს გადავქანდები
კაცი დაღლილი ფიქრით...
ვუცქერ ფერების ხატებას – კადრი იცვლება კადრით,
ამ საიდუმლოს ვერ ახსნის
ვერც მარქსი და ვერც კანტი!..
მიდის ცხოვრების მდინარე იცვლის ფერსა და იერს,
ბუნებამ ასე ინება,
თუ შეგიძლია სძლიე!
ჩვენ მცირე ნაწილაკი ვართ და ბნელს ნაპერწკლით
ვანთებთ,
მიდის ის ფერთა თამაშით
და ზარებს რეკავს მნათე!..

31.03.11
მოსკოვი

პაემანი

მაგ დალალების მეღვრებოდა მხრებზე ჩანჩქერი
და სულს მივსებდა
აღტაცებით შენი ღიმილი!..
დრო, ისევ, მიდის მის დინებას, ვინ შეაჩერებს
და გულს ეხლება მოგონება
მძაფრი ტკივილით!..
ისევ, იდუმალ ირწეოდა ქარში ჩინარი
და ჩემი სული ივსებოდა
სხივით ხილულით!..
მიირხეოდა მთვარიანში წყალი მდინარის,
ნაძვის ხეების სილამაზით
გადაჩრდილული!..

15.04.11
მოსკოვი

რატომ ატირდი?!

გარდასულ წლების მოგონებას არა აქვს ზომა
და ეძებს სული მასთან
მუდამ იდუმარლ კავშირს!..
როცა შევეხეთ ო, იმ დღეთა ოქროსფერ ზონარს,
რატომ ატირდი უცნაურად,
ძვირფასო, მაშინ?!
რატომ მივსტირით ჟამს მარადის დაუბრუნებელს,
რად ვწუხვართ, როცა გადავდივარ
დროიდან დროში?!
ჩვენი ცხოვრების ასეთია, მკაცრი ბუნება
და მას ვერასდროს, რომც ეცადოს,
ვერავინ მოშლის!

20.04.09
მოსკოვი

ორი აჩრდილი

დრომ ერთობ გამატიალა, რომ გავცდი ყრმობის სეზონს,
ამ წუთისოფლის ტრიალმა
გამთელა უმიზეზოდ!
მოადგა მოულოდნელად ორი აჩრდილი ეზოს!
და ორივეში ვიცანი: –
ჩემი გელა და რეზო!

22.04.09
ბანძა

შენი თვალები

შევედი ბაღში და ხეები შემომხვდნენ თრთოლვით,
რტოები ოდნავ ირხეოდნენ
ფერადი თოვლით...

წამწამებს ცრემლი მისველებდა, იმ დღეთა გამო!
ბაღი იცვამდა გაზაფხულის
ხასხასა სამოსს...

ჩემი ბავშვობა კარგად ახსოვს აქ ყოველ კუნჭულს,
დავდივარ ჩუმად, თითქოს ვისმენ
შორეულ ჩურჩულს!..

იდუმალია კავშირები სულთა ერთობის,
გახსოვს?! ხავერდი გადვირბინეთ
ღელვით ფერდობის...

ცას კი ხატავდა გაზაფხულის მზე აკვარელით,
შენი თვალები იყო თბილი
და საყვარელი!

მზე აქ მივსებდა შინდისფერით ქათქათა თასებს
და მის ჩასვლისას აქ შევხვდები
ტკივილით სავსე!..

29.02.92
ბანძა

ჩამოდის წვიმა

აქ ყოველღამე ჩამოდის წვიმა
        და ვარსკვლავების ქრება ნათება!
აქ ყოველღამე ჩამოდის წვიმა
და იცრემლება
შენი ხატება!
აქ ყოველღამე ჩამოდის წვიმა
        და რა ჯიუტად დგანან ხეები...
აქ ყოველღამე ჩამოდის წვიმა
და გავცქერ
სივრცეს განახელები...
აქ ყოველ ღამე ჩამოდის წვიმა
        და გული ღელავს სევდის მოდებით,
მე საუკუნის ტკივილი მიმაქვს
და მიტევს ჟამი
გაბოროტებით!..

24.10.10
თბილისი

ვერავინ გადამავიწყებს

ჩემი ძვირფასი მეგობრის –
ოთარ ცანავას ხსოვნას

ბიჭო, შენ გადამარჩინე, სიკვდილს ულმობელს მაშორე,
ბიჭო, შენ გადამირჩინე, –
მახსენდება და მაჟრჟოლებს!
ბიჭო, შენ გადამირჩინე, რომ აღარ გავხდი სამიწე,
ბიჭო, შენ გადამირჩინე,
სიკვდილი გადამავიწყე!
ბიჭო, შენ გადამარჩინე, ნიადაგ შენზე ვლოცულობ,
ახლა, უშენოდ დავდივარ, –
ტკივილით გარემოცული!..
შენი სახელის ხსენება, მჯერა, კვლავ ძმობას გამიწევს,
შენს ხსოვნას და მაგ ღირსებას
ვერავინ გადამავიწყებს!

16.10.09
მოსკოვი

გაჰყვება მერმისს

მ-ს

გავხარ დამბაჩას სადუელოდ უკვე დატენილს!
მაგ შემართებას ვერ დასძრახავს
ქვეყნად ვერავინ!
დღეებს მომავლის შენ აუნთე რწმენის სანთელი,
შენი სახელი სიშორეში
გაჰყვება მერმისს!..

კვლავ ბობოქრებენ ულმობელი ქარები ირგვლივ,
შენ უტევ მედგრად! – მერამდენედ
შეები ზვირთებს!..
და უკვდავება, მეგობარო, დაგადგამს გვირგვინს,
რადგან უღელი ერთგულების
ბოლომდე ზიდე!..

21.04.03
მოსკოვი

ვარ თანამგზავრი

ჩემს ძველ ხეივანს, კვლავ ფერმკრთალი ანათებს მთვარე
და, ვიღაც, რეკავს სიშორიდან
სევდიან ზარებს!..
ისევ ხმაურობს შემოდგომის წვიმა და ქარი
და მეც მათსავით ბედიწერის
ვარ თანამგზავრი!
მე ვარ სიცოცხლის სიყვარულით ბოლომდე მთვრალი,
სადღაც, მივაგდე უიმედოდ
ღამე უკუნი!..
და ერთ ღიმილზე ეშხიანი ქართველი ქალის,
ნამდვილად არ ღირს, მეგობარო,
ეს საუკუნე!

23.10.10
თბილისი

* * *

ცოცხალთა შორის, რომ არა ხარ, გავიგე შარშან,
მომიცვა სევდამ
უმძიმესმა, დაუსაბამომ!..
ნუთუ, შენც ვეღარ გადაურჩი რღვევას და დაშლას
და მომაგონდა საოცნებო
მე ის საღამო!
ბაგეთა თრთოლვას, ნუთუ, მიწა დაეპატრონა
და შენი რხევა გაიტაცა
სიცოცხლის იქით...
სიკვდილი, როგორ გაგიხადა ჟამმა ბატონად,
მე დავიღალე საწუთროზე
ამაო ფიქრით!..

14.02.16
თბილისი

გათავდა, მორჩა!

მე ხელმეორედ ოცდახუთის ვეღარ გავხდები,
ჩემს ჰორიზონტზე უკვე რუხი
ნისლები მოჩანს!..
დრო კი თავის გზით სიშორეში მიდის თავხედი,
ჩემი ცხოვრების გაზაფხული
გათავდა, მორჩა!..
მე ხელმეორედ ოცდახუთის ვეღარ ვიქნები
და, ვერც იმგვარად სიყვარულის
იფეთქებს ალი!..
და, საყვარელო, გრძნობის ცეცხლი თუ ჩაგვიქრება,
ვერც იმავ გრძნობით დაგიკოცნი
ბაგეებს, ლალი!

22.04.60
სოხუმი

ბუნების ფერიცვალება

ღელვით მოიჭრა ღრუბელი, ზეცის კარიბჭე გაიღო,
წვიმის ღრუბლების შემოსვლა,
უკვე ბალახმაც გაიგო.
ისმის ჟივილი ფრინველთა, ელიან ციდან წყალობას,
მზის მხურვალება მინელდა,
იწყეს ფოთლებმაც გალობა...
ციმციმებს წყაროს თვალები, ისიც სიხარულს მოელის,
ბუნების ფერიცვალებას, როგორ
გრძნობს, ნეტავ, ყოველი?!

14.07.71
სოხუმი

ვინ წაგართვა?!

შენთან სიკვდილს რა უნდოდა, ლია!
მზეს ცრემლებით უსველდება უბე!..
შენთან სიკვდილს რა უნდოდა, ლია,
დედა, – წვიმის
დაემსგავსა ღრუბელს!..

შენთან სიკვდილს რა უნდოდა, ლია,
ვინ უშველის მშობლებს გაუხარელს?
ბუჩქთან ჩუმად იცრემლება ია
და წყლის პირას
ვარდიც ტირის ცხარედ...

ვინ წაგართვა ეს მინდორი მწვანე,
სიცოცხლეს რად გაეცალე გზიდან?
და ატმის რტოც იცრემლება მწარედ
და ნიავის ქვითინს
ვისმენ ზღვიდან!..

შენთან სიკვდილს რა უნდოდა, გოგო!
მზეს ცრემლებით უსველდება უბე!..
შენთან სიკვდილს რა უნდოდა, ლია,
დედა, – წვიმის
დაემსგავსა ღრუბელს!..

20.04.61
სოხუმი

უკვე არაფრად მიღირს

ვხედავ, სოფლის ცას უმწეოს და უიმედოდ გაშლილს,
წავიდა ის დრო, ბიჭები ვარსკვლავებს
ვკრეფდით ცაში!
ხეხილის ოკეანიდან ერთი ხე დარჩა ვაშლის,
მისი ბებერი რტოები
უკვე იმსხვრევა ქარში.
აქაურობა, უნდა ვთქვა, უკვე არაფრად მიღირს,
თუმცა, ორღობეში ყურს ვუგდებ,
მამის სევდიან ღიღინს...

14.10.17
ბანძა

ჩაიღვენთები ხსოვნის სანთლებად

დრო მოვა, და შენც სცენიდან გახვალ,
თუმცა, ცხოვრება ისევ ენთება!..
ჟამი მოწამლულს გაძგერებს ლახვარს
და ერთიანად მოითენთები!
დრო მოვა, შენი ვარსკვლავი ცაზე
ღრუბლის მორევში შეწყვეტს ნათებას!.
შენ წახვალ მძაფრი ტკივილით სავსე,
ჩაიღვენთები ხსოვნის სანთლებად!..
დრო მოვა, მინდვრის ბალახი სველი
საფლავს მდუმარეს მოგიხავერდებს...
და იჩურჩულებს ნიავი ველის,
რომ სიყვარული
აღარ დაბერდეს!

26.10.91
სოხუმი

შევყურებ მთების სიმაღლეს

კვლავ გელოდები შორიდან, თვალები რწმენით მევსება,
ჰა, გაზაფხული მოვიდა,
იწყეს ხმაური ფესვებმა!..

გავცქერი სივრცეს ნაღვლიანს, მინდა, რომ დრო-ჟამს ვედავო,
მე არასოდეს ვყოფილვარ
სუსტი და გაუბედავი!

შევყურებ მთების სიმაღლეს, ლეგა ღრუბლები მოდიან,
მზეს ამომავალს ისინი,
ისრებით დაუკოდია!..

07.03.10
თბილისი

მიაქლარუნებს დეზებს

ვერ სძლია ჟამის სისხამი, ჩიტი კვლავ
კვნესის ხეზე,
დრო მიაბიჯებს მრისხანედ,
მიაქლარუნებს დეზებს...
მიწა, კვლავ სისხლში ბანაობს, ისევ სუნი
დგას შმორის,
ნისლის ძაძებში ქანაობს
ის ბილიკები შორი!..

05.10.2010
თბილისი

მშვიდობით, მერი!

ამ ბულბულის ხმას, მალე უკვე, ვეღარ მოვისმენთ,
ვერც აყვავებულ ბაღებს ვნახავთ,
ასე სანუკვარს!..
შემოღამება შემოდგომის ბინდებს მოგვისევს
და გაზაფხული, იმავ ხმაზე,
ვეღარ დაუკრავს!..

და მთვარიანში ვერც ტირიფებს ავეფარებით,
ვერც სიმთა გამებს,
უჩვეულოს, მივაყურადებთ!..
ვერც ვარსკვლავები მოგვხედავენ მწვანე თვალებით,
მშვიდობით, მერი,
ხელმეორე გაზაფხულამდე!..

20.06.81
სოხუმი

შენ ერთს!

მ–ს

შენ შეაჩერე ეს ქვეყანა უფსკრულის პირას,
შემოაბრუნე იგი და, თან
აღავსე რწმენით!..
ჩვენი ცხოვრების გზა ტეხილს ჰგავს, ხან კიდევ სპირალს,
გასცქერი ახალ სიმაღლეებს
თვალებით ბრძენის!..
შენ ერთს, ძვირფასო, ხალხმა უნდა მადლობა გითხრას,
მაგ შემართებით, –
ეს, უთუოდ, დაიმსახურე!..
ერის ქომაგად, მეგობარო, იცოცხლე დიდხანს,
რადგან სამშობლოს მზე და მთვარე
შენით დაჰყურებს!..

03.10.10
თბილისი

მიილანდები...

გუშინ, რა ლურჯი და ელვარე გქონდა თვალები,
დღეს უკვე იგი, სანუკვარო,
ცრემლით გაქვს სავსე...
კვლავ დემონები დაუნდობლად გითვალთვალებენ
და გარდასულთან სულ ამაოდ
ვეძებ მსგავსებას...
ო, გუშინ ჰგავდი სათაყვანო მინდვრის დედოფალს,
დღეს უკვე ჩაქრა საუკუნოდ
შენი ხატება!..
თითქოს, მინებდი, მეგობარო, უიმედობას
და ხეივანში
უცნაურად მიილანდები!..

24.03.10
თბილისი

ო, ერთხელ კიდევ!

ისევ მოჯარდა ჩემს ზეცაზე ღრუბელი თალხი,
არ ვიცი, ასე ზამთრის ქარი
რატომ ვერაგობს...
კვლავ მომეძალა მწუხარება და ის ფრთებს მახლის,
შემომაწეწა მძიმედ დაღლილს
ტანზე პერანგი!..
ჩემი სიცოცხლე, რა უღმერთოდ იწვის, ილევა!..
მოლიპულ გზაზე ხეტიალი
მექცა დილემად!..
ო, ერთხელ კიდევ გამაგონეთ ირმის ყვირილი,
სანამდის ფსკერზე
ოკეანის ჩავიძირები!..

20.09.10
თბილისი

მზის ამოსახედს გავცქერი...

რად შემიშინე, ამინდო, ჩემი მერცხლების ლაშქარი,
ნიავის ნაცვლად მინდორზე ქრიან
ქარები ფრთაშავი!...
რა ვუთხრა მერცხლებს სანატრელს, აქ სიყვარულით მოსულებს,
გამიქრა ზეცის ლაჟვარდი
ღრუბლის მორევით ორსული...
მზის ამოსახედს გავცქერი რუხი ღრუბლებით მოფენილს,
ვერაფრით ვეღარ ვიშორებ
ამ წყეულ ქარებს მობერილს...
ქართლის მთა-გორებს გავყურებ, რა მწარედ გმინავს კახეთი
თვალებზე ცრემლი მერევა
მიწას რომ ვხედავ დახეთქილს!..
ო, ეს ვინ ამომიქოლა მზის ლურჯი ამოსახედი,
ნიავის ნაცვლად მინდორზე
ქრის მხოლოდ ქარი თავხედი!..

03.06.2017
თბილისი

ვინ მომაშავა?

შემომეცალნენ მეგობრები გზადაგზა უკვე
და ზამთრისპირის ამ ხეივანს
შემოვრჩი ერთი!
ო, ასე ადრე, რად იქეცით სიკვდილის ლუკმად
და ჩემი ოხვრა-მწუხარება
სივრცეებს ერთვისს!..
ფერთა თამაში რა უდროოდ ჩაგვიქრო ჟამმა,
ვიხსენებ წარსულს და ვივსები
უზომო განცდით!..
ო, ეს დღეები გაძარცული, ვინ მომაშავა?
და გულს ტკივილით გასივებულს
მივათრევ კაცი!..

19.09.10
თბილისი

ამოიოხრე

ბავშვობის ბაღში იმ დღეს დიდხანს ვიხეტიალეთ,
ხან ატმის რტოებს მოეფერე,
ხანაც ლიანებს!..

ამოიოხრე, – ვერ მოვალო აქ ხელმეორედ, –
და შენი ოხვრა
ხეებმაც კი გაიმეორეს!..

22.04.91
ბანძა

მიდიან დღენი

რატომ იმღვრევი, ცაო, ასე უკიდეგანოდ?
ეს ვინ ჩამიქრო რწმენის შუქი
ეულად შთენილს?
ნისლმა დაფარა უმოწყალოდ ჩემი ზეგანი
და მძიმე სევდით გაჟღენთილი
მიდიან დღენი!..

მე ყველგან მსდევდა სიყვარულის ლამაზი სუნთქვა
ათრობდა ჩემს სულს მოგალობე
ცისფერი ჩიტი!..
ვინ ამიმღვრია ო, ეს ზეცა ესოდენ სუფთა,
ვინ დამაჯახა მწუხარების
ლანქერი დიდი?!

22.09.10
თბილისი

ვერ ამიხსნია

აწი, ძვირფასო, იმ ფანჯრიდან ვერ გამიღიმებ,
ვერც ხელს დამიქნევ ულამაზესს,
იმავ ტრფიალით!
ჩემი ცხოვრება დაემსგავსა ნესტიან მღვიმეს,
ვერ ამისხნია წუთისოფლის,
ასე ტრიალი!..

რა ვუთხრა ნეტავ, – ბედისწერის ამგვარ განაჩენს,
არავინ იცის, სად ჩაქრება
ტრფობის საგანი!..
სხეული არა, მაგრამ სული იქნებ გადარჩეს,
იქნებ, ამაოდ გვზარავს ქვეყნად
ლოდი სამარის?!

12.10.10
თბილისი

დაგენანება

შენ ანთებული სანთლების წინ მუხლს იდრეკ ისევ
და გეუფლება უჩვეულო
თეთრი ზმანება!..
რომელიც ჩუმად ბედისწერის გაჰფანტავს ნისლებს,
თუმც, სამზეოსთან
განშორება დაგენანება!..
გაგიტაცებენ თეთრი ფრთებით ანგელოზები,
რამდენიც უნდათ წუთისოფლის
რეკონ ზარებმა!..
და შენი სული განახლდება შუქის მოსევით,
რადგან მიწაზე აღასრულე
უფლის ბრძანება!..

16.10.10
თბილისი

სევდა ყვავილობს

ხედავ, ზღვა როგორ გაჩუმდა, ცას თვალები
აქვს სველი,
ნიავი აღარ ფაჩუნობს,
მხოლოდ ჩურჩულებს ღელე...

ზის ბუჩქზე ჩიტი ფრთაჭრელი უცქერს
ჩამავალ მნათობს,
ცაზე კრთის ღრუბლის ნაჭერი
მოხეტიალე მარტოდ...

ისმის შორიდან ხავილი, უკვე ჩამოწვა ბნელი
და სულში სევდა ყვავილობს
შემოღამების ფერი!..

26.07.87
სოხუმი

ორი გოლიათი

შენ ერკინები დროს და სივრცეს – ამ ორ გოლიათს,
და კვლავ მიწაზე ხელმეორედ,
თუ გსურს დაბრუნდე,
აღარ დანებდე წუთისოფლის მელანქოლიას,
რომ გზა მომავლის, ერთობ
აღარ გაუდაბურდეს!..

კვლავ ოცნებებით აედევნე ცისფერ სართულებს,
რად გინდა სადმე –
უიმედოდ გაინაპირო?
ცის კამარაზე ეს რამდენი ქრება ნათურა,
დაეფინება შენი სული
ზეცის საფირონს...

15.10.10
თბილისი

ჩემი ალვები

ჩემი ალვები გატრუნულან თოვლის ქარქაშში,
არც ტანის რხევა, – არც ფოთლების
თეთრი შრიალი!
დრო, ისევ მიდის უჩვეულო რხევით, განგაშით
და ვარსკვლავები აწყდებიან
სივრცეს რიალით...
ბავშვობის ლანდი დგას წყაროსპირს თვალცრემლიანი,
იმზირებიან ისევ ურჩად
მუხის დევები!..
და სიშორიდან გაზაფსულის ზარი წკრიალებს
და მოგონებებს
ბილიკ-ბილიკ ავედევნები!..

15.02.10
ბანძა

მზეს

ჩემს მამულში ამაყად დგანან მთები ვეება,
მზემ სიშორე დასძლია,
მერე ღრუბლებს შეება!..
ცას გავცქერი ნაღვლიანს იქნება გამოიდაროს
და ყვავილთა სიმრავლით
ამიყვავოს მიდამო!..
მზეო, რას ელოდები სივრცე გადმოაშუქე
და ჩემს მთა-ბარს წამებულს,
შენი მზერა აჩუქე!..

06.10.10
თბილისი

დამთავრდა შენი ცხოვრება!

ადრე ვერავინ გჯობნიდა, შენ ვეფხვი იყავ ბწკლიანი,
დრომ ისე დაგაუძლურა,
შეგრჩა თვალები წყლიანი!..
ჟამი რა ურჩად გიცქერის, ვეღარ მიაგებ საკადრის,
ვერ იქნა, ვეღარ მომართა
მზემ შენსკენ ოქროს ნაკადი...
ვერც მეგობარი გეძახის და, ვერც ცისკარი გიღიმის,
დამთავრდა შენი ცხოვრება,
შენი ქროლვა და ღიღინი!

08.10.10
თბილისი

მოგონება მაწვიმს

დამჩხავლა და გადაფრინდა ყვავი,
            დამჩხავლა და გადაფრინდა შორად...
ღაწვი ცრემლით დაუსველდა ყვავილს
და ფარული მაგრძნობინა ჟრჟოლა!..
ნუთუ, დადგა განშორების ჟამი?
            შელამების ბინდი მოსავს მწვერვალს...
გულს ნაღვეევლი მოეძალა შავი,
სულს მოედო უცნაური ღელვა!..
მზე ჩადის და ბალახებში ვწევარ
            და ბავშვობის მოგონება მაწვიმს...
მე ვიხსენებ ყოველივე წვრილმანს,
რასაც აზრი აღარა აქვს აწი!
დამჩხავლა და გადაფრინდა ყვავი,
            დამჩხავლა და გადაფრინდა შორად...
ღაწვი ცრემლით დაუსველდა ყვავილს
და ფარული მაგრძნობინა ჟრჟოლა!..

17.05.88
ბანძა

წაიღეთ ჩემი სევდა

დასაბამიდან ულელი ჩემი მამულის მედგა,
სანამ შემეძლო, ვუტევდი
უგუნურებას მედგრად!..
წამება აუტანელი, მე ბავშვობიდან მსდევდა,
ღრუბლებო, შორს მიმავალნო,
არ დამაღვაროთ სევდა!..

30.09.10
თბილისი

ვზივარ სარკმელთან

ო, ის დაფარა იმავ მიწამ, რომელმაც შობა,
რომ სიმახინჯედ და ქაოსად
აქციოს იგი!
აწი, ვერასდროს დაიხურავს ძოწისფერ გვირგვინს,
ვერც, ამ გულს დაჭრილს, დრო
ვერასდროს ტკივილს ვერ მოჰბანს!
ვზივარ სარკმელთან და იმ ლამაზ დღეებზე ვფიქრობ,
რომელმაც შენი საოცარი
მაჩუქა თრთოლვა!..
ეს გული, ისევ, იცრემლება, ტკივილს ვერ იქრობს,
გაფრინდა იგი, – ხელმეორედ
ვერასდროს მოვა!

12.08.09
მოსკოვი

რატომ გაგვიანდება?

რატომ მოადგა ჩემს ფანჯარას მზე ჩამავალი,
როცა აისი იყო
ჩემო სათაყვანები!
მახსოვს, დღეები ბედნიერი, ტანჯვაც მრავალი
და ოკეანე მოშრიალე
ლურჯი ყანების!..

რატომ მომრავლდა შეღამების მკრთალი ლანდები,
მომსდევს გვერდიგვერდ ბილიკებზე
ჩემი მრჩეველი...
შენ, მეგობარო, ნეტავ, რატომ გაგვიანდება?
და მიღრმავდება
ჭრილობები მოურჩენელი!..

10.04.09
ბანძა

ნუთუ, ეს არის?!

არ გშორდებოდა წამწამებზე სიმძიმე ცრემლის,
ფიქრობდი მწარედ – კაცის ბედი
ნუთუ, ეს არის?!
კრთოდა ღრუბლებში შემოდგომის მზე ალმაცერი,
შენ განშორების სარეცელზე
იწექ მკვნესარი!..

თქვენს შორის ჩადგა უსულგულოდ, ვიღაც, მესამე,
არღვევდა დუმილს სიშორიდან
ყორნის ჩხავილი...
იცრემლებოდა შენი ცოდვით მინდვრის ყვავილი,
ჯერ კიდევ ნორჩი,
ბედისწერით დაუგესლავი!

10.10.10
თბილისი

არავინ იცის

სად დასრულდება არავინ იცის,
შენი წამება ესოდენ მძიმე!..
კვლავ მოგსდევს სევდა შორეულ რიცხვის
და იდუმალი
ცა მოციმციმე!..
ვეღარ გაექეცა ზმანებებს კაცი,
თუმცა, მოგონება იმ დღეთა გიჭირს!..
კვლავ მიდის ჟამი ესოდენ მკაცრი
და დგახარ მარტო
დაღლილი იჭვით!..
შენ ბედისწერის განაჩენს ელი,
დაუნდობლობა არ გაკრთობს მისი...
იყავ რაინდი შენ ბრძოლის ველის
და ეს რამდენი
დაღვარე სისხლი!..
სად დასრულდება არვინ იცის,
შენი წამება ესოდენ მძიმე!..
კვლავ მოგსდევს სევდა შორეულ რიცხვის
და იდუმალი
ცა მოციმციმე!..

24.10.10
თბილისი

საუბარი ყვავილებთან

„სამარეს ჩემსა როს გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!“
ნ. ბარათაშვილი

თქვენი ეშხით გამახარეთ დღენი გამიხანგრძლივეთ,
როცა მოვკვდე, დამაღვარეთ,
თქვენი ცრემლი მაწვიმეთ!..
თქვენს მკლავებზე დამაძინეთ, არ შემხედოთ ირიბად,
თქვენი თრთოლვით გამაცილეთ
ამ პატარა ბინიდან!..

იმ ასულის ქორფა თვალებს და თქვენს ალერსს მივენდე,
უკანასკნელ გზაზე თქვენი
ცრემლიც დამაიმედებს!..
ცისფერ ნისლთან დამაწყვილეთ, სული ცისკენ მიიწევს,
თქვენს კალთაში დამაწვინეთ
და ნუ გადამავიწყებთ!

რომ ვფანტავდი გრძნობას ულევს, ის დღეები წავიდა!..
ჩემს საფლავთან იჩურჩულეთ,
სხვა სამოთხე არ მინდა!

17.05.90
სოხუმი

ვერ ვიმორჩილებ განცდას

შენს ხეივნებში დავდივარ და ფიქრით მოვიღალე,
ისე შემიპყრობს სევდა,
                  როგორც მინდორ-ველს ღამე!..
ამ საზღვრებს მინდა გავცდე, მდოვრედ ამოდის მთვარე,
ვერ ვიმორჩილებ განცდას,
ო, როგორც სივრცე ქარებს!..
ჩარჩოში ვეღარ ვეტევი, რა აცახცახებს სოფელს?
და ვუძლებ ჟამის შეტევას
ურჩსა და დაუნდობელს!..

10.12.10
მოსკოვი

გახსენებს წარსულს

სად გაქრა ო, ის სიმარდე ვეფხვის,
            დღეს, თითქოს, ფეხქვეშ გეცლება მიწა!..
და ფანჯარასთან შრიალი ვერხვის,
გახსენებს წარსულს
და გულ-ღვიძლს გიწვავს!..
საით წავიდა იმ დღეთა წყება,
            რომ ობოლივით მიგაგდო გზაზე...
მზე ჩადის, უკვე საღამო წვება,
ო, გამოუცნობ
მუსიკით სავსე!..
და ცვივა ყვითელ ფოთლების დარად,
            ის სილამაზე საოცრად მწვანე!
ქარი კი ალვებს კვლავ არხევს ტანადს
და ხსოვნა, ისევ,
გატირებს მწარედ!..

23.10.10
თბილისი

მხოლოდ სიზმრებში

მე ის დღეები განშორების მექცა წამებად,
ვიქეცი კაცი ტკივილის და
ცრემლების ტბორად...
ბუნებამ ჩემზე რა უღმერთოდ შეჰკრა წარბები
და ჩემი სევდა ააცურებს
ვეება ბორანს!..
მხოლოდ სიზმრებში მოდიოდი მთვარისფერ კაბით
და დიდხანს აღარ მშორდებოდი,
ძვირფასო დედა!
მე სიშორიდან, კვლავ მესმოდა ტირილი გაბმით
და შენზე ფიქრით
ვათენებდი ღამეებს თეთრად!..

19.10.10
თბილისი

ვინ გამიძარცვა?!

ვინ გამიძარცვა, ეგ ლამაზი შენი ხატება?
ბუნების ძალებს რა ამაოდ ვესაიდუმლე!..
დღეს ტანჯვა ჩემი – ყველა ტანჯვას აღემატება
და მაკრთობს ჟამი
უჩვეულოდ გადაბინდული...
ჩამოუქროლეს შენს ყვავილნარს ცივმა ქარებმა
და გაიტაცეს ვარდფურცლობის
ო, ის ზღაპარი!..
არ ვიცი, ასე ნეტავ, საით მიგეჩქარება,
რად გახდი ასე –
მარტოსული, მიუსაფარი?!

18.10.10
თბილისი

ბელურა

რად მოიწყინე, ბელურავ, შენი ჟივჟივი მომინდა!
რად მოიწყინე, ბელურავ, –
გაზაფხული ხომ მოვიდა?!
ქარი არ კივის აშარი, მინდორიც მწვანედ ბიბინებს,
სიომ ხავერდი გაშალა
და, როგორც გინდა იფრინე...
შენ ბუჩქზე ზიხარ უჩუმრად და თვალებს რისთვის მარიდებ?
ნიავი მოდის ჩურჩულით, –
ზამთარი უკვე წავიდა...
რად მოიწყინე ბელურავ, – შენი ჟივჟივი მომინდა!
რად მოიწყინე ბელურავ, –
გაზაფხული ხომ მოვიდა?!

01.04.98
მოსკოვი

ისევ, იდუმალ მეძახის!

შენ ცეკვავ, როგორც ფერია, სირინოზივით მღერი,
და შუქით გადაფერილი
ქათქათებს შენი ყელი!...
მე ისევ მიხმობს, ძვირფასო, სილაღე შენი ეშხის,
და უშენობა ამიკლებს,
ალბათ, ჯკუიდან შემშლის!..
ისევ, მიხმობს და მეძახის შენი ხმა გამორჩევით
და ისევ, იქით მიმაფრენს,
ო, ეს თეთრონი ჩემი!..
გზა ვეღარ გავიადვილე, გული ტრფიალით მიცემს,
ისევ, შენი ხმა ჩამესმის
და ეფინება სივრცეს!..

20.10.10
თბილისი

სად გაწყდა სიმი?!

დრომ გაიტაცა, სადღაც შორს, ო, იმ დღეების თრთოლვა,
დავდივარ ტკივლიანი,
რაც ჟამმა მომათოვა!..
ვგრძნობ ჩიტუნების საფიქრალს, ყვითელ რტოებზე სხედან,
მე, ისევ მარტო დავდივარ
და მეფინება სევდა!..
გავცდი ზაფხულის სამანებს და შემოდგომა მოდის,
გავცქერ შორეულ ბილიკებს,
ბოლო არ უჩანს ლოდინს!..
რად დაშრა ჩემი სატივე, სად გაწყდა ო, ის სიმი?
და მოგონება მატირებს,
ვისმენ ჩიტების წივილს!..

21.08.10
თბილისი

რეკვიემი

აქ, ვერაზე განისვენებს იგი,
სად დუმილი შემზარავი სუფევს!..
აქ, ვერაზე განისვენებს იგი,
რომ ქცეულა
მწუხარების გუბედ!..
აქ, ვერაზე განისვენებს იგი,
რომ არხევდა: სიმს, ფერებს და რითმებს,
აქ, ვერაზე განისვენებს იგი
და დუმილის უსაზღვრობას ითმენს!..
აქ, ვერაზე განისვენებს იგი,
სად ტკივილებს დაუძენძავთ სივრცე...
აქ, ვერაზე განისვენებს იგი
და საფლავთან
ქარი არხევს ცირცელს!..

29.10.10
თბილისი

სად მოწყდა ტრამალს?

მე ამ ადგილას მოვედი, ისევ
სად დაჩეხილი ქალები იწვნენ!!!
ხსოვნა შემზარავ ტკივილებს მისევს
და ჟამთან, ისევ საოცრად მიწვევს!..
მე ამ ადგილას კვლავ მუხლს მოვიდრეკ,
რომ სატკივარი მამულის ენთოს!
ბარბაროსები რისხვად მოვიდნენ,
ენით არ ითქმის, რაც ვნახე, ღმერთო!
თექვსმეტი გმირი ეკვეთა მტარვალთ,
არ შეუშინდნენ ორლესულ ბარებს!
ეს მგლების ხროვა, სად მოსწყდა ტრამალს,
ანგელოზების სისხლი
რომ ღვარეს!..
მე ამ ადგილას მოვედი, ისევ,
სად დაჩეხილი ქალები იწვნენ!!!
ხსოვნა შემზარავ ტკივილებს მისევს
და ჟამთან, ისევ საოცრად მიწვევს!...

22.10.10
თბილისი

დროს რა ვუყო დარჩენილს?!

მოველოდი სხვა რამეს და, სულ სხვა რამ მოვიდა!
კიდევ ერთი სამარე –
მოახლოვდა შორიდან!
ღელვა ისევ მოვარდა! მიქრობს სულის ნათურებს
და თუ კიდევ მოშრავლდა,
ვიცი, გამანადგურებს!

სევდა ვეღარ დავმალე, დროს რა ვუყო დარჩენილს?!
კიდევ ერთი სამარე, –
ჩემი სულის მტანჯველი!..

02.06.98
მოსკოვი

მერის

წყალზე ცეკვავენ წვეთები წვიმის,
ირწევა სივრცე იდუმალ ვნებით!..
ო, ისევ, ვისმენ ჩიტების ჭიკჭიკს
და მახსენდება
ბავშვობის წლები!..
მიწაზე მწიფე თავთავი წვება,
ირხევა ზანტად ფერები მთვარის...
და კვლავ ვიხსენებთ იმ დღეთა წყებას,
ო, შორს გაფრენილს, –
მე და შენ, მერი!..

24.10.10
თბილისი

ისევ მეძახი

ვისმენ გარდასულ დღეთა შეძახილს
            და ვტოვებ უხმოდ ღამის მინარეთს...
შენ სიშორიდან ისევ მეძახი
სანატრელი და
მოსხივემფინარე!..
და სიმაღლიდან მიხმობ ნიადაგ,
            მე, კვლავ მოვდივარ იმ ძველ ჩინართან!..
ეს ჩემი მზერა ასცდა ლიანდაგს
და სიშორეში გაუჩინარდა!..

31.10.10
თბილისი

ჩემი სოფლის ცა

დღესაც მაოცებს ვარსვლავების უნაპირობით
ჩემი სოფლის ცა, რომლის შუქი
მუდამ მეფინა!..
მე ის ყრმობიდან მიშუშებდა ყველა ჭრილობას,
საიდან მოდის ეს
ზღაპარი გამაგებინა?!
ალვის ხეები აწვართულნი მირხევდნენ რტოებს,
იდუმალებით შენ მავსებდი,
ცაო, მაღალო!
შენს სილამაზეს, უჩვეულოს ვერ მივატოვებ,
კვლავ მინდა სხივი
სიყვარულის გადმომაღვარო!..

17.09.10
თბილისი

დავდივარ რუსთველის გამზირზე

გაფრინდა ის ჟამი აზიზი,
ტყვე გახდა მზე ღრუბლის ფაცერის...
დავდივარ რუსთველის გამზირზე
ცხოვრებით
უღმერთოდ ნაცემი!..

ხან გრძნობით გავხედავ მთაწმინდას
და დღეებს ვიხსენებ გაფრენილს!..
ამ სულში რამდენჯერ გაწვიმდა, –
სად გაქრა ცა
ლურჯად ნაფერი?!

16.12.10
თბილისი

მზის ჩასვლა ზღვაზე

შორს, სივრცეში კრთის ნისლები ბაცი,
სიო ტალღებს ეფერება თრთოლვით...
მზე ჩადის და ზღვას ფერები აწვიმს
და ღრუბლების
იზმორება თოვლი...
შეღამება მაფენს ჩრდილთა კორომს
და, თან მძაფრი ტკივილები მავსებს!
სადღაც, გალობს ანგელოზთა ქორო
და მზის გვირგვინს
ზღვა იხურავს თავზე...
მოდის ღამე და დღე კეცავს აფრებს,
ზღვა ჰგავს ბინდში ამღერებულ ჯეჯილს...
ნიავს დააქვს ზღვის სურნელი მძაფრი
და მკლავებში
შეღამებას შევრჩი!
სიზმარივით მიირწევა ჟამი,
უკან რჩება ნაფეხური ჩუმი...
მესმის ახლა მელოდია ღამის
და მინდორზე
სიო მიჩურჩულებს...
ვდგავარ კლდეზე და მზის ჩასვლას გავცქერ,
დგას ტალღების იისფერი ჩქამი...
დღე დაღლილი, სადღაც, მიბარბაცებს,
ყველაფერი სადღაც
მიიჩქარის!..

და ეს სული რა საოცრად ფრთონავს,
თუმცა, ირგვლივ კვლავ სიჩუმე სუფევს...
თოლიების გუნდმა ჩაიქროლა
და წიაქით ზღვას
აუვსო უბე...
და შორს, იქით ნისლების წევს ხიდი...
ვდგავარ მარტო, ზღვა სილურჯეს
მაღვრის...
სივრცეს უხმოდ ეფინება ბინდი
და ვარსკვლავებს...
ელოდება ბაღი!..
მოდის ჟამი და, თან ჭიმავს ზონარს,
დღე სამოსელს მთის კალთებზე ჰკიდებს,
ამ ჩემს ღელვას აღარა აქვს ზომა
და ჩემს სწრაფვას
აღარა აქვს კიდე...
შორს, სივრცეში კრთის ნისლები ბაცი...
სიო ტალღებს ეფინება თრთოლვით...
მზე ჩადის და ზღვას ფერები აწვიმს
და ღრუბლების
იზმორება თოვლი...

28.11.96
ბათუმი

ვუახლოვდები

ვუახლოვდები მთებს კავკასიის და გული გრძნობით მიცემს,
ვუახლოვდები მთებს კავკასიის,
ამ, ჩემს სანუკვარ სივრცეს!..
ვუახლოვდები მთებს კავკასიის,იალბუზსა და მყინვარს,
მესმის ყივილი თეთრი არწივის,
ვტოვებ თოვლსა და ყინვას...
ვუახლოვდები მთებს კავკასიის და მზე იღვრება დილის!..
ვუახლოვდები მთებს კავკასიის
და ჩემს მშობლიურ თბილისს.

14.09.10
თბილისი

რუხი ნაკვალევი

ისე გავქრებით, არ დარჩება გზაზე ვუალი,
შეხედე სივრცეს, რომ
იმსხვრევა მძიმე გუგუნით!..
ფერიცვალებამ დედამიწას გადაუარა
და ნაკვალევი რჩება რუხი
ამ საუკუნის!..
შეხედეთ, პირქუშ ოკეანეს თერმობირთვების,
სივრცეს ზვირთებად, რომ
აწყდება მისი ხსენებაც!..
ამ პლანეტაზე არ დარჩება ხსოვნაც მითების,
როდესაც ეს მზე
საუკუნოდ ჩაესვენება...

25.09.10
თბილისი

ხსოვნას შერჩება

ჩემი ნერვები დაუნდობლად ჟამმა გაცვითა
და ვიცქირები სიშორეში
ბევრის მნახველი!
ეს გული, თუნდაც, უმოწყალოდ ადრე გაცივდეს,
ხსოვნას შერჩება საუკუნოდ
ჩემი სახელი!..
ჩემს ვერხვს ფოთლები შემოდგომის უკვე დასცვივდა
და ლექსში ვცდილობ, მეგობარო,
სულის გამხელას!..
ო, ჩემს გარშემო უჩვეულოდ სივრცე გაცივდა
და გავცქერ ცაზე ნაღვლიანი
მთვარის ნახევარს...

22.10.10
ბანძა

ფოთოლცვენა

მზეს რატომ მისდევ, ღრუბელო,
ნუთუ, არ გაკრთობს იგი?
ოქტომბრის ქარი უბერავს,
დგას ფოთოლცვენა ირგვლივ...
სევდა რამდენჯერ მეწვია,
დავალ, რაღაცას ვეძებ!..
დრო ცდილობს წამომეწიოს
და გამატანოს მეწყერს!..

21.03.10
თბილისი

იმ დღეზე ვფიქრობ!

ქართან შეხლილი ტოტი ვარ, ფიქრით შორს გავიჭრები,
ბავშვობის ბაღში მოვდივარ და, მერე
დიდხანს ვრჩები...
ყრმობის ბილიკებს დავეძებ, ცვივა ფოთოლი ჭადრის,
ლანდი ბავშვობის გამექცა,
მზე შემოდგომის ჩადის...
რატომ დასჩემდა, ნეტავი, სულს მწუხარებით თრობა?!
იმ დღეზე ვფიქრობ, როდესაც
ბაღი დარჩება ობლად!..

12.10.2010
ბანძა

რატომ ინება?!

ზღვაზე ნავები კვლავ გაშლიან ქათქათა აფრებს,
ლოცვა-კურთხევით მოგადგება,
ისევ სამება!..
მზე გაზაფხულის ზღვაზე დაჰყრის ნისლებს მზით ნაფერს
და მომავალი აღტაცებით
მოგესალმება!..
კვლავ, არაერთხელ, მოიგონებ დღეებს შორეულს,
არსთაგანმრიგემ ო, ეს
ტანჯვა რატომ ინება?!
აანთებს იგი მაგ შენს თვალებს ცრემლებმორეულს
და შენს ოცნებებს
მადლი ცათა დაეფინება...

19.10.10
თბილისი

ვუტევდი ჟამის სიურჩეს

ამაზე დიდი ტკივილი მე არასოდეს მქონია,
ვუტევდი ჟამის სიურჩეს,
                  როგორც დავითი – გოლიათს!..
დავცქერდი მიწას სისხლიანს და შავი ჯვრებით მოფენილს,
ვიყავი კაცი ჯვარცმული
და სულით დაუპყრობელი!..
მე წუთისოფლის სიმუხთლის უკვე გავიგე რაობა
და გამოვტაცე ხელიდან
ბევრი რამ არარაობას!..

14.10.10
თბილისი

ვიხსენებ დღეებს სანუკვარს

ის გაზაფხულზე გალობდა ამ ფანჯარასთან დილით,
არც სალამური ეჭირა,
არც მსგავსი რამე სტვირის!
სულის გამებით, ათრობდა სივრცეს ფერებში გაშლილს
და უმღეროდა გრძნეული
ცისა და მიწის კავშირს!..
ვიხსენებ დღეებს სანუკვარს და გული გრძნობით მითრთის,
დრო მიდის, მაგრამ ამ ხსოვნას
ვერ გააკარა თითი!
ეტრფოდა ცის სიხასხასეს, ნაფეხურს მზის და მთვარის,
და ჩემი ხსოვნის სარკმელთან
ის ახლაც გალობს მთვარლი!..

17.10.10
თბილისი

ყვავილების მოგაიკა ჩემს ოთახში

თქვენი ხასხასი ოთახს მივსებს თრთოლვით, ხალისით,
ხან ცისკრის ფერებს ათამაშებთ,
ხანაც დაისის!..
ღამეში კედლებს მთვარის ჩრდილით მომიხავერდებთ,
მე თქვენი ტრფობით
ლექსის წერად ბევრჯერ ავენთე!..
ო, ეს ტკივილი უთქვენობით ვერ გადავლახე,
მივსებთ სინაზით საოცარით
სულის სანახებს!..
მილიმით, როცა მოვდივარ და კარებს შევაღებ...
თქვენს ხეივანში ვხეტიალობ,
როგორც მებაღე...
მე, ხშირად მესმის თქვენი ჩუმი ხმა იდუმალი!..
მიგაყურადებთ... სიყვარულით
გისმენთ მდუმარი!..
მძაფრი ტკივილით ჩემი სული, როცა ივსება,
თქვენთან მოვდივარ,
თქვენი ნახვა მემაისება!..
თუ ჩემმა გულმა ვერ გაუძლო ჟამის ქარ-წვიმებს,
სათაყვანებო, განშორების
ცრემლი მაწვიმეთ!..
თქვენი ხასხასი ოთახს მივსებს თრთოლვით, ხალისით,
ხან ცისკრის ფერებს ათამაშებთ,
ხანაც დაისის!..

18.10.2000
მოსკოვი

მოსკოვი – 2010

იწვის მიწაც და ტყეებიც კვამლი კი სივრცეს ედება...
და რუსეთი ჰგავს უკუნეთს
ხანძრების შემოქმედებით!..
ზეცას ედება განგაში, ისმის ხეების მუდარა,
ნუთუ, ის ღმერთმა დასწყევლა,
რომ კვამლის იცვამს სუდარას?!
სახლები კვამში ცურავენ და მიწა იდგამს ობელისკს
და გავცქერ სივრცეს უსახოს,
ცეცხლით და კვამლით მოფენილს...
მზე კი სიცოცხლის ნათურებს კვლავ აქრობს
დაუფარავად,
ერეკებიან ქარები სივრცეში
კვამლის ქარავანს...

19.07.10
მოსკოვი

არავინ მენუგეშება

იასამანი დამიჭკნა და დავრჩი ხსოვნის იმედად,
დრო მეურჩება სასტიკად და რამდენ
რამეს მიბედავს!..
შეწყდა ბულბულის გალობა, მზე თავდაღმართზე ეშვება,
დავდივარ კაცი ეული,
არავინ მენუგეშება!..
ჩემი მერცხალიც საცაა გადიჭიკჭიკებს მინდორ-ველს,
დრო მიდის, მიედინება და მძიმე
ნაღველს მიტოვებს...
და ვრჩები კაცი უმიზნოდ, შორს, სადღაც, მიუსაფარი,
მოვკვდები? – გადამაფარეთ
თოვლის ქათქათა საბანი!..

25.06.10
მოსკოვი

წავიდა ის დრო

რა დამავიწყებს მიმოზისფერ ხეივანს მთვარის,
რომელსაც ახსოვს ჩვენი ტრფობის
დღეების წყება!..
მე დავიწყება აღარ ძალმიძს იმ დღეთა, მარი!
ო, თუმცა, ჩემში შემოდგომის
ნისლები წვება...
მახსოვს ბაგენი ადნებოდნენ, ერთმანეთს კოცნით,
მდინარის ტანზე გადარბოდა
ცელქი ნიავი...
ანგელოზები გვიცქეროდნენ შორიდან მორცხვად
და ჩვენ გვათრობდა მათი ფრთების
თეთრი შრიალი!..
წავიდა ის დრო! – და რა დარჩა? – სიჩუმე მკრთალი,
და ჩემში ჩადგა, მეგობარო,
სევდა ულევი!..
მე დავიწყება აღარ ძალმიძს იმ დღეთა, მარი,
არც მდინარისპირს –
შენი თეთრი ნაფეხურების...

12.05.10
მოსკოვი

ზღვა ღელავს

ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს
                  და ჯებირს აწყდება ტალღები...
ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს
და სივრცეს
გავცქერი დაღვრემილს!..
და ქრება ვარსკვლავთა სიმრავლე,
                  ღრუბლები მოდიან ზვირთებად...
და მთვარეს ცის თაღზე მიმავალს
ქარები კვლავ
გაეკიდება!..
და წყება შორს ანგელოზების
                  კვლავ სიმებს არხევენ სევდიანს!..
უფრო ღრმად სივრცეში შედიან
და ისმის შორიდან ლოცვები...
ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს
                  და ჯებირს აწყდება ტალღები...
ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს, ზღვა ღელავს
და სივრცეს
გავცქერი დაღვრემილს!..

12.12.92
სოხუმი

დრომ გამიხუნა

ვერ მოვიშორე ნისლის მორევი, მაინც ვისწრაფი იქით!..
მე კარგად ვიცი თუ რა მომელის
და რას მიქადის იგი!..
მე მზრდიდა შენი „ნანა“ მეგრული, ო, მუდამ სავსე გრძნობით,
შენი ხატება კვლავ იქ მეგულვის,
სად ფეთქავს წლები ყრმობის!..
დრომ გამიხუნა ბილიკი მთვარის, უკვე არაფერს ველი!
და შემოდგომის უბერავს ქარი,
რომ ჟამს უცვალოს ფერი!..

02.10.10
თბილისი

შენი გზით მიდი...

ღრუბელები ისევ მიდიან, სივრცის არა აქვთ შიში,
ჩემი ტკივილი დიდია,
                  როგორც უდაბნო ქვიშის!..
გაუსაძლისი რამ არის, ერთფეროვნება ჟამის,
ო, ის დუმს, ვით სასაფლაო,
როგორც ლოდები შავი!..
და ვხედავ ჩემი ცხოვრების უკვე მთავრდება ციკლი
და ჟამის ხიდი ქანაობს, ო,
                  ო, როგორც თოკი ცირკის!..
დროო, შენი გზით მიდი, არ დამაკარო თითი,
სულში სანთელი მინთია
და გული გრძნობით მითრთის!..

22.05.11
მოსკოვი

ფერიცვალების მოლოდინში

რამ შემაყვარა ასე ძლიერ ეს სანახები?
და შემოდგომის ხეივანში
                    დავალ ეული...
ჩემი ალვები სევდიანად სივრცეს არხევენ
და ზენა ქარებს აწყდებიან
მთელი სხეულით...
ფერიცვალების მოლოდინში მესმის ქვითინი,
დრო უტევს სივრცეს,
                    უჩვეულოდ შენაშფოთები!..
თქვენი მშვენება შემორჩება ჩემს ლექსს მითივით
და დავცქერ უხმოდ
ჩემს სანახებს ფენილს ფოთლებით...

17.09.11
ბანძა

* * *

არ მინდა ჟამმა გამიხუნოს შენი გალობა
და ვარდი, ისევ, ამიცრემლდეს
დროის ტრიალით!..
ღმერთის წყალობა, ნუთუ, აღარ რჩება წყალობად,
ნუთუ, ქარიშხლით შეიცვლება
ქროლვა ნიავის?!
რა ვუყო, ამ გულს უმოწყალოდ სევდით ნაგუბარს,
არ მინდა ჟამმა
ველ–მინდვრები გამიტიალოს?
მე დრო კი არა, მიმოქცევა დროის დამღუპავს,
მაგრამ დარჩები ჩემთან ერთად,
სულისზიარო!..

02.06.11
თბილისი

მიდიოდა წყალი

მდინარის პირს ვსეირნობდით წუხელ –
            მე და მწვანე გაზაფხულის ქარი...
და შორს ჩანდა მწვერვალები რუხი
შემოსილი მთვარის
მინანქარით...
წყლის სარკეში ვარსკვლავები მკრთალი,
            ირხეოდნენ იდუმალი ძალით...
და მდინარის მიდოდა წყალი,
გაზაფხულის სურნელებით
მთვრალი...
თან მიჰქონდა ნოსტალგია ჟამის,
            მიდიოდა, ჩანდა მეტად მშვიდი...
მიდიოდა სამოსელით მთვარის
და მიჰქონდა
ვეებერთელა ტვირთი!..

05.06.10
ბანძა

შენი ლანდი

მაცილებდი სოფლის შარა-გზაზე
            და გირხევდა სიო ცისფერ მანდილს...
გაფრენილა იმ დღის სილამაზე
და ცრემლები
მწუხარების დამდის!..
ჩემს ნაღვლიან ნამოსახლარს ვხედავ,
            ხსოვნა დღემდე შევინახე წრფელი...
შენი ლანდი მეგებება, დედა!
მოაქვს კალთით
სურნელება რთველის!..
შემოდგომის მოყვითალო ფარჩას
            ბილიკებზე აშრიალებს ქარი...
მდინარის პირს დააბიჯებს ყანჩა,
როგორც თეთრი
ათინათი მთვარის!..

09.09.89
ბანძა

დედას

მე მახსენდება ნაადრევი შენი ჭაღარა
და განთიადის მთვარესავით
ფერმკრთალი სახე!
გულში ტკივილი უმოწყალოდ ვინ ჩამიღვარა?
და ეს მდინარე მწუხარების
ვერ გადავლახე!..
ნაღვლიან ალვებს შემოდგომის ნიავი არხევს,
დავეხეტები უგზოუკვლოდ,
მარტოდ მარები
და არ მშორდება განშორების ფერმკრთალი სახე
და უჩვეულოდ
სევდიანი შენი თვალები!..

29.09.10
ბანძა

თოვლის ტირილი

არც სიქათქათით გვიტაცებს სივრცე,
            არც ფანტელების ლამაზი თრთოლვით!
და ჩემში, ისევ, ყრუ ტკივილს იწვევს,
როცა ფერს იცვლის
და ქრება თოვლი!..
მზე კვლავ მოზღვავდა ფერების ჩქერით
            და მოცისფერო ქარების ქროლვით...
და, როცა სივრცემ იცვალა ფერი,
მე ვნახე, როგორ
ატირდა თოვლი!..

12.03.11
მოსკოვი

ლურჯი სიმღერა

ჩემი ცხოვრების ზვირთი მიღელავს
        და ის, როდესაც საზღვარს გასცდება...
ჩაქრება ჩემი ლურჯი სიმღერა,
და შემოვრჩები
ლექსებს განცდებად!..
დრო, სიშორიდან ვეებერთელა ტკივილს მოდენის
        და ხეს ფუტურის დავემსგავსები!
მას ვერ უშველის მზე მაისის, მთვარის გავსება,
ვერც შემართება,
მეგობარო, მოულოდნელი!

18.05.11
მოსკოვი

გაითავისებს ზღვის მელოდია

განშორების წინ საგნების წყებას,
        რა უჩვეულო თვალებით ვუმზერ!
ჩემი ცხოვრების საღამო წვება
და ის ტკივილად მედება გულზე!..
მზე ჩადის უკვე, სხივები ცხრება
        და შორეულის ხსოვნაც ილევა!..
არ ვიცი, სული თუ რატომ კრთება,
როდესაც იცვლის განზომილებას?!
ძვირფასო! ნუღარ დამელოდები,
        ნურც დაივიწყებ იმ ძველ ხეივანს,
სადაც ვიყავით გრძნობით მთვრალები
და მთვარის შუქზე გავისეირნეთ...
მე ქვეყანაზე ღიმილით მოველ
        და ავედენე მაისის ნიავს...
ამ ჩემს სიმღერას – გრძნობათა მორევს,
გაითავისებს ზღვის მელოდია!..

13.09.90
სოხუმი

პლანეტა

პლანეტამ ფერი იცვალა, ცა მოჩანს თვალებსველი,
ის ავად არის უთუოდ,
უკურნებელი სენით!
პლანეტამ ფერი იცვალა, ღაწვებზე ცრემლი დასდის,
თვალებზე მხოლოდ სიშავე,
გულში – მახვილი ბასრი!
გვშობა და ძუძუ გვაწოვა, თანაც აგვავსო ცოდნით,
აყალო მიწად ვაქციეთ,
დახედეთ კარგად, მოდით!..
ჯერ შევიყვარეთ, უზომოდ ცამდე ავზიდეთ ქებით,
მერე მივვარდით გიჟივით,
ძუძუ ვუნაყეთ ქვებით!..
პალნეტამ ფერი იცვალა და მოითენთა ერთობ,
პლანეტამ ფერი იცვალა, –
ამას რას ვხედავ, ღმერთო!
პლანეტამ ფერი იცვალა, ის იყო ოქროს ზოდი,
პლანეტამ ფერი იცვალა
და დასტკბით მისი ცოდვით!..

13.06.11
მოსკოვი

სიყვარულმა ჩაიარა ახლოს

სიყვარულმა ჩაიარა ახლოს,
        მაშინ იდგა გაზაფხულის ხანა!..
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს,
შენი ნახვით
გული მოიფხანა!..
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს,
        ის დილის მზის ჰგავდა ამოსახედს!..
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს,
მაგრამ მაინც
არ გაჩვენა სახე!
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს,
        ფანტელების აღარ იყო ტევა!..
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს,
მაგრამ გრძნობის
არ შეხო თემას!
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს
        და ბუნებამ იწყო უკვე კვდომა!..
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს
და მოგადგა
კარზე შემოდგომა!..

14.06.11
მოსკოვი

მზე გაზაფხულის გაცურდა

მზე გაზაფხულის გაცურდა და ქარის ვისმენ კივილს!..
ჩემი წამება დასრულდა
და გული რატომ ტირის?
მზე გაზაფხულის გაცურდა და ტოვებს მთებს და მინდვრებს
მზე გაზაფხულის გაცურდა
და მომახვია ბინდი!..

კვლავ შემოდგომა მოვიდა და ფანტავს მორევს ფერთა,
მე ხეტიალი მომინდა,
გული კვლავ გრძნობით ფეთქავს!
მზე გაზაფხულის გაცურდა, ჯერ არ ჩამქრალა ვნება,
თუმც გაზაფხული გაცურდა,
ნისლი მოისხა ფრთებად!..

13.06.11
ბანძა

ნატვრა

მზე ეშვებოდა ზღვის ხავერდზე რხევით, ზოზინით...
იყო ლამაზი ჩვენი ყოფნის
ყოველი წამი!..
გალობდნენ ტკბილად ცის თავანზე ანგელოზები
და ჩვენ ვნატრობდით, –
მზის ჩასვლას და
სამოსელს ღამის!..

20.09.90
სოხუმი

დიალოგი

მე უხრწნელი ვარ, შენ ხრწნადი,
ერთმანეთს როგორ ვენდოთ,
შენ ხარ ამ მიწის უმწეო ლანდი
და მივუყვებით
ნაზამთრალ ფერდობს...
შენ უიმედოდ ირწევი
მე ძალმიძს ცაში ავენთო!
ზეციერსა და მიწიერს,
რა უნდა გვქონდეს საერთო?!

04.02.10
მოსკოვი

რა ძალა მართავს?!

სად მიბარბაცებს ეს ღრუბელი კუპრივით შავი,
ესოდენ მკვრივი, ჩვეულებრივ
ბურთისოდენა!
მას შესწევს ძალა იალქნები აუშვას ავი
და ის ხმელეთის რისხვად
იქცეს მოულოდნელად!..
საითკენ მიდის, ან საიდან მოვიდა, ნეტავ?
ვინ გამოგზავნა, რომ
ასეთი ძალით ტრიალებს!..
მზეს აეფარა, ო, შეხედე, თუ რამდენს ბედავს,
რა ძალა მართავს
უგზო-უკვლოდ მოხეტიალეს?!

12.06.11
მოსკოვი

მეფისტოფელი

მაშინებს მეფისტოფელმა არ ამირიოს გზა-კვალი,
ვეომე დროის მოვარდნას,
გვერდით მომსდევდა მზაკვარი...
ვერ განვერიდე ვერაფრით ჟამთა სვლის მაცდურ ნახელავს,
მაშინ ვიგრძენი, როდესაც
გზა გამიმრუდა ნახევრად!

27.08.11
თბილისი

რამ დამავიწყოს?!

რამ დამავიწყოს ეს ჩემი ეზო
            და დატვირთული ტოტები ხილით,
ჩვენ აქ დავრბოდით – მე და შენ, რეზო,
და სილამაზის
ვძღებოდით ხილვით!..

გზის პირს ალვების იდგა შრიალი
            და შურდულების ვხარობდით ტყორცნით!
არხევდა სიო წყლის პირს ფშიარებს
და ერთობოდა
ყვავილთა კოცნით!..

მას შემდეგ ბევრი გავიდა წელი,
            თუ გაგონდება ის დრო ხანდახან?
მან მორთმეული წაიღო ძღვენი
და ის სახლ-კარიც
გააპარტახა!..

22.01.10
მოსკოვი

მზე მათრობდა შენი ზეცის

შენს კალთაში ვინეტარე, მზე მათრობდა შენი ზეცის,
მოვდივარ და მომსდევს მთვარე,
აწი უკვე გადახვეწილს,
შენს უბეში ვინებივრე და მათრობდა ბაგე მარწყვის,
ზეცა უკვე ნისლებს ირევს,
სულში ჟამის სევდა მაწვიმს!..
ვეტრფი შენი სიერცის ფერებს და ღვთისმშობლის თვალებს ვკოცნი,
მახსოვს, როგორ მოგეფერე
და ღელავდი ბაგემორცხვი!
მზე დაისის მიირწევა და მახსენებს რამდენ რამეს!..
მესმის შენი გულისცემა,
ტკივილს ვეღარ დავემალე!
შენს კალთაში ვინეტარე, მზე მათრობდა შენი ზეცის,
მოვდივარ და მომსდევს მთვარე,
აწი, უკვე გადახვეწილს!..

20.10.92
ქუთაისი

თოვლი

ო, თოვლო, დიდხანს არ დამიბერდე,
შენთან შეხვედრას ყოველთვის ვნატრობ!
ამ ჩემს სიყვარულს ბოლემდე ენდე,
შენა ხარ ჩემი
ბავშვობის სატრფო!
მე ლოლუების კვლავ ვითვლი წყებას,
მის სიანკარეს ვეხები თითით!
რამდენი რამე წამართვეს წლებმა,
მაგრამ მათ ნახვით
გული კვლავ მითრთის!..
შემოღამების ეცემა ბინდი
და გული ზამთრის ჩიტივით კვნესის...
ო, ეს დღეები მიდის და მიდის
და თოვლში, ისევ,
შენი ხმა მესმის!..

08.01.10
მოსკოვი

წყარო

პაწაწინავ, კვლავ საითკენ მიხვალ,
ნუთუ, აღარ შეყოვნდები სადმე?
შენი ტანის სიანკარე მიყვარს,
გეფერები, ვერ
ვიშურებ სათქმელს!
ბავშვობისას ბევრჯერ ფიქრი განდე
და რა გრძნობით შეინახე იგი?
შენს სიცოცხლეს დღემდე ვუნთებ სანთელს,
ჩამწკრივებულს ალვის
ხეთა რიგით...
მითხარ, რატომ გეჩქარება იქით,
ნუთუ, არ გრძნობ, რომ გაქრობა გელის?!
კაცი, ძლიერ დავიღალე ფიქრით,
გაყურადებ...
და ვერაფერს გშველი!

06.0610
ბანძა

არ დამისუსხო!

არ დამისუსხო, წვიმავ, ყვავილი,
            რომ ჩაიაროს ჟამი ღიმილით!
არ დამისუსხო, წვიმავ, ყვავილი,
და ცა ამინთე
ხოხბის ყივილით!..
არ დამისუსხო, წვიმავ, ყვავილი,
            არ დამიბურო ნისლით სოფელი!
არ დამისუსხო, წვიმავ, ყვავილი,
ქარო, არ გახდე
დაუნდობელი!
არ გამაგონო ყორნის ჩხავილი,
            ო, სული უკვე ვეღარ ყვავილობს!
მე ამ ხეივანს ლოცვით ჩავლილი
და გული აღარ
გამიყამირო!

17.09.10
ბანძა

ბააპარტახეს ქვეყანა

ხალხს არვინ ჰყავდა ქვეყნად მეგზური,
დრო არისხებდა მწუხარე ზარებს!..
ჟამი ღმუოდა, როგორც ვეზუვი,
და სისხლში იწვა
მზეცა და მთვარეც!..
მახსოვს, სოფელი შეძრული შიშით,
იყო კივილი შმაგი ქარების!..
და მიწა იქცა უდაბნოდ ქვიშის
ნაფეხურებზე
დინოზავრების!..
გაუდაბურდა ერთობ სოფელი
ისმოდა კვნესა მხოლოდ შმორიდან!..
იყო კვეთება დაუნდობელი
და მას ხედავდა
ღმერთი შორიდან!..
და უპატრონოდ იდგნენ სახლები,
და დახოცილთა გვამი ეყარა!
რევოლუციის მკაცრი სახელით
გააპარტახეს
მთელი ქვეყანა!..
ჩვენ პატარები ვიყავი მაშინ
და ყველაფერი გვახსოვს, ლაურა!
და ერთმანეთთან ვეძებდით კავშირს,
როცა გრიგალმა
გადიხმაურა!..

27.05.49
ბანძა

იღვრებოდა ქარვა

შემოდგომის მოშრიალე ქარმა,
ზღვის ნაპირზე ფრთები გამკრა ჭრელი,
ციდან მთვარის იღვრებოდა ქარვა,
ვარსკვლავების
ქანაობდა ჭერი...
უჩვეულოდ ციმციმებდა სივრცე,
ცას სწვდებოდა ვარსკვლავები მწიფე...
მე იმ გრძნობით გული ახლაც მიცემს,
რომ არხევდა ქარი
ჩემ წინ წიფელს...
მთაზე იწვა თხელი ნისლი მკრთალი
და ზღვას, ისევ, ღელვა მოეძალა!..
ფოთლები კი ნაფეხურზე მთვარის,
ეცემოდა, ხან წყვილად
ხან ცალად...

28.08.11
თბილისი

დღეს ბულბული შემოფრინდა ბაღში

მაისი ფრთებს ხავერდოვანს გაშლის,
        იასამნის სურნელება მეცა!
დღეს ბულბული, შემოფრინდა ბაღში,
ხვალ, უთუოდ,
ველოდები მერცხალს!..
კვლავ ღიმილი მეფინება ბავშვის,
        დარდებისგან სულს ნიავი რეცხავს!
ყვავილები ფარფატებენ ქარში
და მადლობა: მზეს
მიწას და ზეცას!..
სივრცეს თრთოლვა ფერიების არხევს
        და, თავს ხრიან ყვავილები მორცხვად.
მე ბუნება სილამაზეს მახვევს
და მიხმობენ
ბაგეები კოცნად!
მაისი ფრთებს ხავერდოვანს გაშლის,
        იასამნის სურნელება მეცა!
დღეს ბულბული შემოფრინდა ბაღში,
ხვალ, უთუოდ,
ველოდები მერცხალს!..

14.05.81
სოხუმი

ცას გავყურებ ნამაისევს

გაზაფხულმა კარი მიიხურა ისევ,
გავიარე ზაფხულიც
                და შემოდგომაც!
ო, ეს გული, ცას გაჰყურებს ნამაისევს,
მოვდივარ, და კვლავ უზომო
სევდა მომაქვს!..
ჟამის ქროლვას უკვე ვეღარ ვუმკლავდები,
ვხედავ, მაცილს
                ავბედითად ეცინება!
შორს, არწივი კვლავ მიარღვევს სივრცეს ფრთებით
ისიც ქროლვას და
შეტევის ეწირება!

24.12.11
თბილისი

აქ დავაცურე ნავები

ბუნება მუდამ მწყალობდა, ახლაც საოცრად მწყალობს,
დილის მზე ეთამაშება
ჩემი ბავშვობის წყაროს...
აქ დავაცურე ნავები, რომ თეთრ იალქნებს შლიდნენ,
ღამე შემოშრჩა უძილო,
გაქრა დღეები მშვიდი!
აქ მაწვიმდა და მათოვდა ბევრჯერ ცრემლები ვღვარე,
როგორ იქნება, არ მწამდეს
ჩემი ბავშვობის მხარე!..
მიყვარდა მზე და ბალახი და სამაია სამთა,
ახლა კი, ადგილის დედას
ცრემლით ვუსველებ კალთას!..

18.06.2013
ბანძა

მივყვები ბილიკს

მე მთაწმინდისკენ მივყვები ბილიკს
            და სული არხევს სევდიან სიმებს!..
ო, ირგვლივ თოვლი შრიალებს რბილი
და მე კი თოვლში
მივცურავ მძიმედ...
მე მთაწმინდისკენ მივდივარ მარტო,
            ამ გულს ნაღვლიანს რამდენი უჭირს!
აქ, ხეტიალი უყვარდა ტატოს
ცა ირხეოდა
ფერებით ლურჯით...
მე მთაწმინდისკენ მეძახის სული,
            და გენიოსთა სავანე დიდი...
სად მდუმარება მეუფებს სრული
და მას გავცქერი,
უსაზღვრო რიდით!

19.12.10
თბილისი

კვლავ მენატრება!

ო, რა ულმობლად გაიძარცვა სივრცე ქარებით,
ჟამის სიურჩეს, ალბათ
ვერც მე გადავურჩები!..
კვლავ მენატრება ელიფსური შენი თვალები
და მარწყვისფერად დაცვარული
შენი ტუჩები!..
სივრცე საგსეა გარდასულის რხევით, ზმანებით,
შეხედე, უკვე როგორ
ჭკნება ყვავილი მინდვრის!..
მე მენატრება სილაჟვარე შენი თვალების
და სოფლის ბოლოს
მოქანავე პატარა ხიდი!..

05.01.10
მოსკოვი

ვერ დავამშვიდე

სულის ტკივილი ვერ დავამშვიდე
        და მაქვს თვალები ცრემლებით სველი!..
შენს გულში სანამ კარავს გავშლიდე,
მე ვრჩები, როგორც
გზაუპოვნელი!..
ისევ ქანაობს ცხოვრების ხიდი,
        შენი ხატება ახლოს მეგულვის,
ო, ეს დღეები მიდის და მიდის
და მეფერება სიშორიდან
ნანა მეგრული!..

23.112.11
თბილისი

დრო მიდის

დრო მიდის... უკვე ყველაფერი იცვლება ირგვლივ,
ჩვენ დავიღალეთ, მეგობარო,
ღელვით და ფიქრით!..
თუმცა, დედამიწა მზის ყოველდღე იხურავს გვირგვინს,
არავინ იცის, თუ რა ხდება
ხილულის იქით!..
დრო მიდის!.. და ჩვენ ვაკოწიწებთ ტყუილს და მართალს,
ო, ეს რა მძიმე ავიკიდეთ,
ძმობილო, ტვირთი?!
არავინ იცის, თუ სამყაროს რა ძალა მართავს,
დასაბამიდან ის, უთუოდ,
თავის გზით მიდის...
იდაყვზე თავით დაყრდნობილნი ვზივართ და ვწუხვართ,
რომ უცნობსა და ნაცნობს შორის
ვერ გავდეთ ხიდი!..
ო, ეს ფიქრები უჩვეულოდ გვესევა უხვად
და ყოველივეს, დღენიადაგ
გავცქერით რიდით!..
ვქმნით თეორიებს, „ნისლოვანურს“, ხან „აფეთქების“
ვამბობთ „ევრიკას“,
უჩვეულო გრძნობით ვინთებით!
გაივლის დრო და ყოველივე თავისით ქრება
და ჩვენ ყოველთვის
მიღმა ვრჩებით ჯეშმარიტების!..

24.01.10
მოსკოვი

შეღამება

ირწეოდნენ ტირიფები მდინარესთან ახლოს,
შეღამების ნისლი მკრთალი
ეხვეოდა მაღლობს...
მზის ფერადი ბურთი უხმოდ ეშვებოდა ზღვაზე...
მე თვალები მოგონების
ცრემლით მქონდა სავსე!..
მდინარე კვლავ მიდიოდა შრიალით და ჩქამით
და მე ვიდექ იქვე, ახლოს
მომლოდინე ღამის...
თოლიები რიალებდნენ... შუქი კრთოდა ნაზი
და ზღვა იყო შეღამების
სავსე სილამაზით!..
აქ ზღვის პირას ჩაიარეს წლებმა მძაფრი ქროლვით
და ვუცქერდი სიშორეში
ღრუბლებს მოოქროვილს...
ირწეოდნენ ტირიფები ნაწნავებით გრძელით
და მივსებდა სულს ნაღველით
მოგონება წრფელი!
ახლაც, აქ დგას ის ტირიფი სავსე მთვარის სხივით
და ჩამავალ მზის ფერებში
მხოლოდ ჩიტი წივის!..

06.10.90
სოხუმი

ვნახე ზღაპარი!

მზე გაზაფხულის მიცურავდა ფერების ტევრში
და ჩემი ბალი ჩიტუნების
ხმაზე გალობდა!..
მე მთვრალი ვიყავ ვარდ-ყვავილთა უზომო ეშხით,
ვნახე ზღაპარი, რომ პატარას
ცამ მიწყალობა!..
არ მინანია ქვეყანაზე მოსვლა ბიჭუნას,
მზეზე რტოები ირხეოდა
ფერად-ფერადი...
ჟამი მიტევდა, მეც ვუტევდი ხშირად ბიჭურად,
როცა ცხოვრების
ქარიშხალი დაუბერავდა!..
დროის დინებამ რა უღმერთო გზებით მატარა,
ხან ზენა ქარი მაწყდებოდა,
ხანაც ზღვაური!..
მაგრამ მეობა ვერ წარმტაცა მაინც სატანამ,
თუმც, ზღვა ჩემს კბოდეს
აწყდებოდა აურზაურით!..
მზე გაზაფხულის მიცურავდა ფერების ტევრში
და ჩემი ბალი ჩიტუნების
ხმაზე გალობდა!..
მე მთვრალლი ვიყავ ვარდ-ყვავილთა უზომო ეშხით,
ვნახე ზღაპარი, რომ პატარას
ცამ მიწყალობა!..

18.10.10
მოსკოვი

დღეს შემისრულდა 80 წელი

ჩემი ცხოვრების გავიარე ოთხმოცი წელი,
ო, რა ტკივილით შემზარავით
დასრულდა იგი!
ცივდება უკვე უჩვეულოდ ეს გული წრფელი
და ხეივანში მთვარე მადგამს
ქარვისფერ გვირგვინს!
გამოვიარე ო, რა მღვრიე დღეთა მორევი
და ჩემი ჩანგის მძაფრი კვნესით
დასწყდნენ სიმები!
ამაოდ ვუხმობ, იმ დღეების მზერას შორეულს
და ამ მიწაზე ვარსკვლავების
ვრჩები იმედით!..

17.05.11
მოსკოვი

ნუთუ?!

გნახე და გულზე დამეცა, თითქოს, ათასი ლახვარი!..
მზე გაზაფხულის გამექცა და მიტევს
ჟამი მსახვრალი!..
სულს მიგლეჯს ღელვა რამხელა! გულს ვერაფერი ახარებს!
ნუთუ, შენც უნდა დაგერქვას
ნაოხრალ-ნამოსახლარი?!

24.10.97.
ბანძა

ხმა სამარიდან...

დავცქერ საფლავის ქვას რიდით, კრთიან სევდიანი სანახები!..
– ღმერთო, მომანიჭე ძალა
ქვიდან ამოზრდილი ბალახების!..
ფეთქავს ფორთოხლების ჭალა, – ეს რა სხივი მოდის განახლების?!
– ღმერთო, მომანიჭე ძალა
ქვიდან ამოზრდილი ბალახების!..
შუქი მიღმიური მსჭვალავს, სულმა შვება იგრძნო ამაღლების!..
– ღმერთო, მომანიჭე ძალა
ქვიდან ამოზრდილი ბალახების!..

25.10.95.
ბათუმი

ბევრი გავიდა წელი

ბევრი გავიდა წელი, არ მახსოვს იყო როდის?!
თვლმედა ბალახი სველი,
ტყიდან კიოდა ჭოტი...
იდგა შრიალი გზაზე, ჩუმი შრიალი ქარის,
მთვარე ეკიდა ცაზე,
ვით ანთებული კვარი!..
ტყე იშორებდა ნისლებს, იყო საღამო ხანი...
და ირხეოდა, ისევ
შენი ლამაზი ტანი!..
მერე, ის მხარე გახდა უდაბური და ცივი,
მხოლოდ ცეკვავდა დიდხანს
ფოთლებზე მთვარის სხივი...

08.04.94.
ბანძა

ალუბლის ტოტი

წვიმს... ამ საშინელ წვიმას, ნეტავ, გადიღებს როდის?
სველდება უმოწყალოდ
ჩემი ალუბლის ტოტი!..
ცვივა ყვავილი თოთო, როგორ ელოდა სხივებს,
ქარი ატირებს სიმებს,
წეწავს ზღვაური ფოთოლს!..
ზვირთი გადარბის თავზე, თელავს უღმერთოდ ობოლს,
ხელებს იფარებს თვალზე
ჩემი პატარა გოგო!..

24.11.92.
ბანძა

ისევ მოვდივარ

კვლავ ვრჩები ჟამით განაოცები, მზემ გაზაფხულის
ისევ ინათა!..
მე გამიფრინდა ჩიტი ოცნების
და ლაჟვარდებში
გაუჩინარდა!..

შენთან შეხვედრა, ისევ, მომინდა! სულმა ბავშვობა
ისევ ინატრა!..
ნუთუ, სიბერის ჟამი მოვიდა? –
ისევ, მოვდივარ
იმ ძველ ჩინართან!..

14.03.79.
სოხუმი

ვერ იზეიმებს

შეხედე, ო, რა ნაღვლიანი დგანან ვერხვები!
ვერც შემოდგომის მზე აღვიძებს
ყვავილებს კოცნით!
აწი, ერთმანეთს იმ გრძნობით ვერ გადავეხვევით,
ვერ იზეიმებს სიყვარულით
სული და ხორცი!..
რატომ შეირხა წამწამებზე წვეთები ცრემლის?
სადღაც, სიღრმეში ჩვენი ყრმობის
მწვერვალი მოჩანს!..
რა ფერმკრთალია, ზამთრის პირას მზე ალმაცერი?
ო, ის დღეები აღტაცების
დამთავრდა, მორჩა!..

25.11.02.
ბანძა

ახლოვდება საღამო

ძველი სევდა მეწვია, ისევ გამინაპირა,
ახლოვდება საღამო და მზე
ჩასვლას აპირებს...
იქნებ, ვღელავ ამაოდ, ვერ ვამართლებ მოლოდინს
და გზა გაუკაფავი, ვერ
გავკაფე ბოლომდის!
ცას შეხედე, უსაზღვროდ შლის ღრუბლების მარაოს,
სად მზე სივრცეს ათრობდა,
იქ ნისლები ქანაობს...
მინდვრებს ქარმა დაჰქროლა და ფრთებს სივრცეს მიახლის,
ძველი მუდამ გახსოვდეს,
ჰქონდეს გრძნობა სიახლის!..
ფოთლებს ფერმკრთალს, დაღალულს, ქარი, სადღაც მიაფრენს...
ეს ვარსკვლავი მაღალი,
ხედავ, როგორ კიაფობს!..
სიცოცხლეს, ხომ სიკვდილის ლანდი მუდამ დაჰყვება,
სულს, იმ დღეთა დიდება
მარად ეამაყება!..
ძველი სევდა მეწვია, ისევ გამინაპირა,
ახლოვდება საღამო და
მზე ჩასვლას აპირებს!..

01.08.82.
ბანძა

იჩქარე!

ის მოვა და ჩემზე გეტყვის, დაფარავს ცრემლები თვალებს!..
მე შენგან რა მინდა მეტი, – იჩქარე,
მზე ჩადის მალე!..
მე შენგან რა მინდა მეტი, მაგ სათნო ღიმილის გარდა,
საცაა გაწყრება ბედი, ცხოვრება
დაუშვებს ფარდას!..
გაცურდა სივცეში გედი და ცრემლი მოედო თვალებს!..
ის მოვა და ჩემზე გეტყვის,
იჩქარე, მზე ჩადის მალე!..

02.06.78.
სოხუმი

ჩიტი

ხედავ, ზღვა როგორ გაჩუმდა? ცას თვალები აქვს სველი,
ნიავი აღარ ფაჩუნობს,
მხოლოდ ჩურჩულებს ღელე...
ზის ბუჩქზე ჩიტი ფრთაჭრელი, უცქერს ჩამავალ მნათობს,
ცაზე კრთის ღრუბლის ნაჭერი
მოხეტიალე მარტოდ...
ისმის შორიდან ყივილი, უკვე ჩამოწვა ბნელი
და სულში სევდა ყვავილობს
შემოღამების ფერი!..

14.04.69.
სოხუმი

კიდევ პატარა ხანი

კიდევ პატარა ხანი და ყვავილების თრთოლვას
დაშლის გრიგალი ქამის
და რა დარჩება ბოლოს?!
კიდევ პატარა ხანი – ჩიტი უგალობს მაისს!..
მიწას დარჩება ტანი,
სული? – ვინ იცის – საით?!

04.07.82.
ბანძა

მომწყინდა უშენოდ

მარტო ვარ, ო, როგორ მომწყინდა უშენოდ!
ზღვა ღელავს, ვდგავარ და
მზის ჩასვლას ვუცქერი...

ტალღები იმსხვრევა ლოდებზე შიშინით
და მთაზე ღრუბლებს ძლივს
გადააქვთ მუცელი...

სივრცეში ოცნების ლანდები ქანაობს,
ეკვრიან ცახცახით
ერთმანეთს ტოტები.

მარტო ვარ, ო, როგორ მომწყნდა უშენოდ
და მე ვგრძნობ, რომ, ისევ,
შენ მიახლოვდები!

09.11.77.
სოხუმი

სინანული

„ვაჰ დრონი, დრონი...“
ა. ჭავჭავაძე

ვდგავარ მდინარის პირას, ვუცქერ ვარსკვლავთა რონინს,
შორს, დარჩა ჩემი დილა, –
„ვაჰ დრონი, დრონი!..“
ჩემი ხომალდი მიდის და ცა იმღვრევა ბროლის,
ჟამის ქანაობს ხიდი,
„ვაჰ, დრონი, დრონი!..“
მე, ისევ, ვფიქრობ შენზე, დასრულდა ჩემი როლი!
ეს არის, რაც კი შევძელ,
„ვაჰ, დრონი, დრონი!..“

19.06.67.
სოხუმი

პოეტი

არ გაგიხუნდეს სიტყვის ქსოვილი,
არ დაგიბერდეს გრძნობა ფხიზელი!
აინთე სივრცე მოოქროვილი,
ციდან ცხრათვალა
ტრფობით გიმზერდეს!..
გახდი სიმაღლე აუღებელი
და გქონდეს სულში სწვდომის უნარი,
რომ არ წაგექცეს მუხა ბებერი
და გრიგალებში
ნაგუგუნარი!..
ლექსი რას ვარგა ნაუცბათევი
და მოფარფატე, როგორც ფანტელი,
გიყვარდეს ფიქრი ღამენათევი
და ენდე სიტყვას
გრძნობით დატენილს!..
როცა გიზგიზებს ცეცხლი ვეება
და გარღვევს ბოღმა აუტანელი,
ურჩხულს შიშველი ხელით შეები,
ოღონდ გადარჩეს
შენი მთა–ველი!
თუნდაც, მოგაწყდეს ჟამი განგაშით,
როგორც აწყდება ხმელეთს ზვირთები,
ოღონდ მოისხი ფრთები საქარე,
შუქს რომ ტკივილით მოეზიდება!..

არ გაგიხუნდეს სიტყვის ქსოვილი,
            არ დაგიბერდეს გრძნობა ფხიზელი!
აინთე სივრცე მოოქროვილი,
ციდან ცრათვალა
ტრფობით გიმზერდეს!..

22.09.94.
ბათუმი

რა დამავიწყებს?!

რა დამავიწყებს იმ ღამეს და იმ თვალების კრთომას,
ნოემბრის სუსხი სისინებს,
იწყო ბუნებამ კვდომა...
რა დამავიწყებს იმ ხანას, იმ ლჟვარდოვან თვალებს?
მზე უხმოდ გადაიხარა
მიდის შორეულ მხარეს...

10.11.72.
ბანძა

ᲓᲐᲘᲡᲘ

დაისი ფერთა მორევში ცურავს
            და მასში ჭარბობს ფერები ძოწის,
ჩვენ ვაცქერდებით საოცარ სურათს
და აღტაცებით
ერთმანეთს ვკოცნით!..
მზე ჩადის შორს, შორს, რიალით ფერთა,
            დღე წვება უკვე და პერანგს იცვლის...
ჩვენ გაშლილ ზღვაზე მივცურავთ ერთად,
მაგრამ საითკენ? –
არავინ იცის!..

24.06.52.
სოხუმი

დავდივარ ბაღში

კვლავ შემოდგომის ხმაურობს ქარი,
მე ისევ მარტო დავდივარ ბაღში!..
მიწას ედება ღიმილი მკრთალი
და შორს ღრუბლები
მიდიან მარშით!..

დღე ვარდფურცლობის დავტოვე სადღაც,
ბუნება, ისევ სამოსელს იცვლის!..
საით მიდიხართ დღეებო მარდად,
არ ჩამოშალოთ
ღიმილი სივრცის!

ისევ ირხევა ნაძვის ხე კართან,
ჟამმა დამღალა, ძვირფასო, ფიქრით!..
მზემ აიკეცა უეცრად კალთა
და მიიმალა
ჰორიზონტს იქით!..

15.10.60.
ბანძა

მზე ჩადიოდა...

მზე ჩადიოდა და ძოწისფრად ენთო ნაპირი,
მზე ჩადიოდა და ღებავდა
ზეცის საფირონს...

მზე ჩადიოდა... ლივლივებდნენ ლურჯი ტალღები,
ზღვა იყო სავსე ღრუბლის
თეთრი ბაირაღებით!

მზე ჩადიოდა... მივცურავდით ნავით მე და შენ
და ენთო სული
სიყვარულის სიმხურვალეში!..

მზე ჩადიოდა... ცას უმძიმდა შუქის ტარება,
რამ დამავიწყოს ის სალამო
და ნეტარება?!

16.10.01.
მოსკოვი

...და მიქრის სადღაც...

უკვე სიმშვიდეს ვკარგავ ნიადაგ,
            რადგან ავშალე ჩემი კარავი!
გული არყოფნის ჯებირს მიადგა
და მისდევს ქარი
ღრუბლის ქარავანს...

ცხოვრება მოჰგავს მხეცების ბუნაგს,
            სივრცეს კივილით ისევ ვედები!
ეს დედამიწა ბრუნავს და ბრუნავს
და მიქრის, სადღაც,
თავგამეტებით!..

31.12.11.
თბილისი

ოქტომბრის ქარი

დავცქერ მწუხარედ მეგობრის საფლავს,
ო, რა უსაზღვროდ მდუმარებს იგი!..
მზე ჩადის... ნისლმა გაშალა ათრა
და კიპარისთა
ირხევა რიგი...

ცახცახებს შიშით ცა-მინანქარის,
ვერ იქნა სევდა ვეღარ დავაშრე!
გადარბის ლოდზე ოქტომბრის ქარი
და ყვითელ ფოთლებს
მიათამაშებს...

24.10.92.
სოხუმი

მივსდევ ბილიკებს...

მე ქალაქისკენ არ ვიხედები,
თუმც, ხსოვნა რამდენ სევდას მიტოვებს!..
ო, რა ზღაპრული გაქრა ხედები,
რომელსაც უკვე
დავეშვიდობე!..
მივსდევ ბილიკებს ნაგაზათხულარს
და მოდის ხმები წყვეტილ-წყვეტილად,
ო, რა გულცივი ზეცა მახურავს,
და მივალ მარტო
გულდაწყვეტილი!

01.06.11.
ბანძა

რამ შეგაშინათ?

რად შეგაშინათ, მერცხლებო, მაისის სუსხმა ამგვარად?
მინდვრები ნისლმა დაფარა, ღრუბლებმა –
– ზეცა ანკარა.
არც მზე ამოდის ცის თაღზე უთვალავ სხივთა ციმციმით,
დგას და უფსკრულის ნაპირას
მხოლოდ მაცილი იცინის!
ვერ გადაურჩნენ ბაღები მთიდან ქარების მოვარდნას,
და ყვავილების მაგივრად, მინდვრად
ჭინჭარი მომრავლდა,
ამგვარ დღეების სიმრავლეს არ ვართ ჩვეული ნამდვილად,
და ყვავილები მინდვრების
ავდარმა მწარედ ატირა!
სანამდის უნდა გაგრძელდეს ამგვარი ორომტრიალი?
ხან დიადი ხარ, ბუნებავ,
ხან კიდევ მეტად ტიალი!

14.05.17.
თბილისი

***

რა უფერულად ჯკნება ჩემი იასამანი?!
და ბაღში უკვე არ იგძნობა
ფერთა თამაში!
გზაზე რამდენი მოვიტოვე კაცი მავანი,
მივათრევ სხეულს სიშორეში
დაღლილს, დამაშვრალს!
ვერ ვურიდგები წუთისოფლის ფერიცვალებას,
მახსოვს, დღეები ვარდფურცლობის და
უსამანო!
ვიცი, ეს გული ბევრჯერ ცრემლით დაიცვარება,
რა უფერულად ჯკნება
ჩემი იასამანი?!

02.06.11.
თბილისი

ზღვა და სიყვარული

ნაპირებთან გაისმოდა ჩქამი, გაზაფხულის ზღვა
სუნთქავდა ხარბად...
ზღვაზე თეთრი ირხეოდა ნავი
და ვუცქერდით თოლიების ფარფატს...

სივრცე იყო ლურჯად მონანავე და გვაღვრიდა
გაზაფხულის ხავერდს...
ზღვაზე თეთრი სრიალებდა ნავი,
მოდიოდა საოცნებო ღამე!..

წყლის სარკეში ტირიფების რწევა,
სიშორეში – ჩამავალ მზის ალი...
ვერ მივეცი დღემდე დავიწყებას,
ის ღიმილი და თვალები, ლალი!

27.09.01.
მოსკოვი

სიმღერის ძალა

ლარი ფაბიანს

თითქოს, ათასი ყვავილი შენს სულში ერთად შრიალებს,
როცა შენ მღერი, სივრცეში
დგას მხოლოდ შუქთა რიალი...
ო, მაგ ხმის ფერთა ნიაღვარს დღემდე ვერაფერს ვადრი,
მზე ცურავს ძლევამოსილი,
მთვარე ტირიფონს ბარდნის...
ვარსკვლავნი მოირხევიან, შენთან ეძებენ კავშირს,
და მიაცილებს შენი ხმა
ხომალდს იალქნებგაშლილს!..
მსოფლიო მაგ ხმას უსმენს და, დილის მზე შენით ფეთქავს,
სიკეთეს მოეზიდები და
ბოროტს უტევ მედგრად!..
სიცოცხლე შენით ამაყობს, ჟამის ტკივილი გაწევს,
ვარდი იცინის, ხან ტირის,
ცრემლი უსველებს ღაწვებს!..
ხან ატმის რტოებს შეარხევ, ხანაც ყვავილებს ნუშის,
სიცოცხლეს, როგორც ლამაზ ბავშვს,
გრძნობით იხუტებ გულში!..

25.05.11.
მოსკოვი

მექცა სიზმრებად

კვლავ რეკავს ზარი შემოღამების,
შეხედე, სივრცემ ფერი იცვალა!..
არა აქვს მიჯნა ამ ჩემს წამებას,
დღე გაფრინდა
თუ გარდაიცვალა?!

ცა ვარსკვლავების თრთოლვით ივსება,
ქარმაც დაქროლა მოულოდნელად!..
წარსული უკვე მექცა სიზმრებად
და ტკივილები უხვად მოდენა!..

29.08.11.
თბილისი

გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში

გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში,
ია სამნის ყვავილებმა მიხმეს!..
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში,
მოვიგონე ბავშვობა
და სიყრმე!..
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში,
ო, აქ ახლა სიმშვიდეა სრული...
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში,
სევდამ ერთობ
დამიტბორა სული!..
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში,
ჭაბუკობის ბილიკები ვიცან!..
გავცქეროდი ცას ლამაზად გაშლილს
კვლავ ბელურებს
თავს ესხმოდა ციცა!
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში
და შორიდან მიცქეროდნენ მთები!..
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში,
დავდიოდი ხსოვნით ანანთები!..

21.05.11.
ბანძა

მიიწევს მაღლა

მზე კვლავ ჯიუტად მიიწევს მაღლა
            და აღტაცებით ვაყოლებ მზერას...
მიდის ცხოვრება... ტალღა ცვლის ტალღას,
ისევ, უბერავს
ქარები ზენა!..
ის ზენიტისკენ მიემართება,
რომ აღარ ჩაქრეს მიწის ხატება,
            ბუნებას მხოლოდ ღმერთი ჰყავს შემწედ!
ის ზენიტისკენ მიემართება
და თან მიარხევს
ფერების მეწყერს...

08.05.11.
მოსკოვი

დამყვება სიმღერა შენი

დავდივარ ბილიკზე ბაღის და ღრუბლებს გავცქერი ფერადს
და ჩემში ჟამი ღვრის ნაღველს,
სად გაქრა ის აღმაფრენა?!
მღელვარე მივდივარ ბილიკზე და მივაბიჯებ დინჯად,
ჭაღარა, სილაღეს მართმევს
და ყოფნის ვშორდები მიჯნას!..
შორს ვტოვებ მიწიერ სანახებს, გარდასულს ვერაფერს ვშველი,
და ხსოვნა იმ დღეთა მალაღებს,
დამყვება სიმღერა შენი!..

23.05.11.
მოსკოვი

ორი მუხა

ჩემს ეზოში ლურჯ ბექობზე იდგა ორი მუხა
და მიჰქონდა უმოწყალოდ ქარს
ფოთოლი უხვად...
ერთად იდგნენ ბრძოლის ველზე შეკრულები ფიცით,
მათი ხაფით და ხეთქებით
იმღვრეოდა სივრცე!..

დილით ვნახე არემარე დარბეული შფოთით
და ფერდობზე ყორნისფრთება
ეგდო ქარაშოტი!

24.11.2000.
მოსკოვი

მინდვრები გადავირბინოთ

ბუნებამ ფერი იცვალა, კვლავ გაზაფხული მოდის!..
ის ჩემს სანახებს მოადგა ნუშის და
ატმის ტოტით...
ბუნებამ ფერი იცვალა, ჩიტი იძახის „ტიას“
და გულით მივესალმები,
ო, სოფლის ამგვარ ტრიალს!..
სიმწვანემ გადაურბინა: მთებს, მინდვრებსა და ახოს,
ო, რა საოცრად მიზიდავს
და მინდა მივეახლო!..
ცის სილაჟვარდეს ვეფერო და ავედევნო ნიავს,
მინდვრები გადავირბინო,
სანამ არ არის გვიან!

30.03.11.
თბილისი

წვიმა და ყვავილები

გადაირბინა წვიმამ მინდორი
            და ყვავილებმა ბევრი იცინეს...
გადაირბინა წვიმამ მინდორი
და სივრცე ერთობ ააკიმციმა!..
გადაირბინა წვიმამ მინდორი
            და ჩემს სანახებს შუქი მოჰფინა...
გადაირბინა წვიმამ მინდორი
და ცა და მიწა
დააძმობილა!..
გადაირბინა წვიმამ მინდორი
            და ყვავილების ისმის ტკარცალი...
გადაირბინა წვიმამ მინდორი
და არსად – სევდის
ერთი მარცვალი!..

09.05.11.
ბანძა

შენ მოევლინე

ბარბარა სტრეიზანდს

შენ მოევლინე შორეული ზეციდან მიწას
ო, ყოვლისშემძლე, ღვთაებრივი
შენი ვოკალით!..
და სიცოცხლის და სიყვარულის გზები იწამე,
როცა მიწიერ სილამაზეს
თვალი მოჰკარი!..
ადამიანთა გულში აქსოვ საოცარ რწმენას,
არაკაცებმა წუთისოფლის
გზები დაბურდეს!..
დემონურ ძალებს მიადევნე ჭირი და წყევლა,
რომ ბოროტება ამ მიწაზე
აღარ დაბრუნდეს!
შენ დედამიწას ღვთაებრივი შუქი მოჰფინე
და შენი სულის ყველა
სიმი აამეტყველე!..
შემოსე რწმენით თვით სიცოცხლის უარმყოფელიც
და სამზეოზე სიმთა რხევით
ვეღარ ეტევი!..
გისმენ და სული უჩვეულო გრძნობით მევსება,
და არხევს სივრცეს ეგ შენი ხმა
საკსე ფერებით!..

02.05.11.
მოსკოვი

სიკვდილი

„ცდების და ცდების სიკვდილსა,
ვინც არ მოელის წამისად!“
შოთა რუსთაველი

სად დაგეწევა ვინ იცის, – ყეფით, ჩხავილით, ორანით,
მას არ აწუხებს სინდისი, არც სიბრძნე
და არც მორალი!
მოვა და მოულოდნელად ფრთებს დაგაფარებს ყიამეთს,
სადაც მიადგა, მან ყველგან –
თესა შხამი და სიავე!..
ის არის გულქვა ბატონი, რადმენიც გინდა ეფერე!
მას თვალები აქვს დემონის და ორი
კლანჭი ბებერი!
იგი უეცრად გეწევა, შენ ცაში ხარ თუ ხმელეთზე,
მოვა ზავთით და შხუილით,
ველარ იხილავ მერე მზეს!
მას ვერაფერი ვერ აკრთობს, არ ცნობს გზებსა და
სადგურებს,
მოვა და თალხით დაგბურავს,
წამისად გაგანადგურებს!..
გამოხედვა აქვს დემონის და ფრთები კიდევ რამხელა!
გინდა გაიგო ვინ არის? –
სიკვიდლი ჰქვია სახელად!

03.11.2000.
მოსკოვი

კვლავ დაბრუნდება...

ათიათასჯერ დაბრუნდება მიწაზე იგი,
ათიათასჯერ ჩაუქროლებს
იმ ძველ ხეივნებს...
თუ მოუნდება მზის და მთვარის დაიდგამს გვირგვინს
ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გაისეირნებს...
იმ ძველ სანახებს რა განცდებით იხსენებს ახლა
და სხვა თვალებით
აცქერდება ვარსკვლავებს ცაში...
და მოგონებებს ო, რა მწარე ღიმილი ახლავს,
როდესაც ხედავს ჯაბუკობის
ნაკვალევს წაშლილს!..
უახლოვდება ნაპირს შავი აფრებით ნავი,
შიგ დემონების უჩვეულო
ხარხარი ისმის!..
და, ვიღაც მიცქერს სიშორიდან თვალებით ავით,
და ყოფნის ნაპირს
ეფინება მთვლემარე ნისლი...

07.05.91.
სოხუმი

მზე კვლავ ფეთქავს თბილისური

მზე კვლავ ფეთქავს თბილისური
        და შევხარი ამ მთა-გორებს...
ისევ, ფრთებს შლის ჩემი სული,
ქარი ღრუბლებს მიაგორებს...
დავცქერ ღელვით ზვირთთა მორევს
        და მთაწმინდა ნისლებს ირევს...
სიყვრულით შენთან მოველ
და ტკივილებს მიადვილებ!..
მტკვარს ფეხდაფეხ ავედევნე
        და ის ხსოვნა ჩემთან რჩება!..
ცას კვლავ მოვწყვეტ შუქთა მტევნებს,
თუმცა, ჟამი მეურჩება!..
მზე კვლავ ფეთქავს თბილისური
        და შევხარი ამ მთა-გორებს...
ისევ ფრთებს შლის ჩემი სული,
ქარი ღრუბლებს მიაგორებს...

03.03.11.
თბილისი

აიმღვრა სივრცე

მოვარდა სეტყვა და ხოშკაკალით
მოფინა მიწა მოურიდებლად...
ერთობ, აიმღვრა სივრცე ანკარა,
ცაზე გარბოდნენ
ღრუბლის სკვითები...
მოვარდა სეტყვა და ქარტეხილმა
ვეება სივრცე გადიკივილა!..
მილეწ-მოლეწა ზვარიც, ხეხილიც
და შეგვატოვა
მწარე ტკივილი!..

19.06.11.
ბანძა

რა შორს ჩავიდა

თქვენს საფლავებთან მერამდენედ მოვდივარ ისევ,
და ვდგავარ უკვე
მწუხარე და ხელდაკრეფილი!..
ფიქრები გრძნობით, უმოწყალოდ, შორს გადამისვრის
და დაეშვება მთვარიანში
მთიდან ზეფირი...
საით წავიდნენ ის დღეები შუქით ნაფერი,
მზე გაზაფხულის, მეგობრებო,
რა შორს ჩავიდა!..
გავცქერ მინდორ–ველს ფოთოლცვენის სევდით დაფენილს,
ვერ დავიწყებით ვერასოდეს,
ისევ, თავიდან!

04.09.10
თბილისი

იცინის ხვითო

მზე გადმოენთო ატეხილი ჭალების თავზე,
გადააქვს ზანტად
დასიცხული სხეული თითქოს...
გარბის ბიჭუნა ფეხშიშველა მხურვალე ქვებზე
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო!..
იხრჩობა ბუღით შუადღის მზეზე ლანდები ხეთა,
ბალახებს სული ეხუთება
და შველას ითხოვს!..
მზე კივის ცაზე ისე მწარედ, რომ ქვასაც ხეთქავს
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო!..
ჭიხვინებს კვიცი და გავაზე გადასდის ხვითქი,
მზე მოვარვარე ცხელ ქვიშაზე
გაადნობს ლითონს!
მდინარის პირას ტანს ისვენებს პატარა ჩიტი
და ოქროსფერი ბუჩქიდან კი
იცინის ხვითო!..

12.07.79.
ბანძა

მზე ჩადიოდა!..

უკვე ვერაფერს შველოდი, ყელი ჭკნებოდა გედის!
შენ მწუხარებაც გშვენოდა,
შუქი სწყდებოდა ქედებს!..

მზე ჩადიოდა... ქარაფებს ნისლის მისდევდა ფარა...
ის თხოულობდა არაფერს,
ცა კი არხევდა ფარანს...

შემოდიოდა აგვისტო და შრიალებდა ყანა...
და ფანჯარასთან ატმის რტო
ტირილით დაიღალა!..

02.08.79.
ბანძა

კვლავ ველოდები!

კვლავ ველოდები შენს გამოჩენას,
            რომელიც ჩემს სულს ღელვით აანთებს!..
ძვირფასო, შენი მე ისევ მჯერა,
ო, მაგ თვალები შემომანათე!..
რომ ერთხელ კიდევ, საწუთროს ვიგრძნო
            მოზღვავებული ბედნიერება,
რომ სული ისევ აყვავდეს, ვინძლო,
თორემ უშენოდ
ძალა მელევა!..

19.04.72.
სოხუმი

გვა

მივალ ქუჩაში დაღლილი ბრძოლით
            და ჟამი, ისევ ულმობლად მიტევს!..
დავეძებ ცაზე ვარსკვლავებს ბროლის,
ვეღარ იშორებს ცა
ნისლის რიდეს...
მე დავასრულე თამაში როლის,
            შევკარი მტკიცედ სიტყვა და საქმე!..
ვიცი, მივდივარ დაღლილი ბრძოლით
და ამ გზას მე ჩემს
ცხოვრებას ვარქმევ!..

02.10.10.
თბილისი

ნაძვის ხეზე

ნაძვის ხეზე ბალიშები თოვლის
ირწევიან... და შორს
მზე კი ჩადის...

გახსენდება, სიო მონათრთოლი,
რომ გირხევდა
ხეივანში მანდილს...

ზღვა კვლავ ფრთებს შლის... მიირხევა წყალი
და გედები
მიფრინავენ ღრუბლის...

რად მეპყრობა წლები უმოწყალოდ,
დარდით რატომ
დამეღარა შუბლი?!

12.03.73.
სოხუმი

მე ისტორია შენი მაჟრჟოლებს...

მილიარდობით წლები მაშორებს
შენი გაჩენის დღიდან!
მე ისტორია შენი მაჟრჟოლებს
და გულს
მიმძიმებს დიდად!..

ჩემო პლანეტავ, ადრე დაბერდი,
რამდენ სატკივარს იტევ!..
ვეღარ გიქციეს გული აბედად,
თუმცა, დაგადეს
კლიტე!..

დემონთა ბანდას ბევრი ედავე,
გიმსხვრევდნენ ყველა ანძას!
ტანზე ჩაგაცვეს, როგორც დედაბერს
გაუხუნარი
ძაძა!

15.04.10.
მოსკოვი

ჩემი გზა

ჩემი გზა უკვე იქითკენ მიდის,
სად კიპარისთა ირხევა რიგი!..
ჩემი გზა უკვე იქითკენ მიდის,
აქ არ მთავრდება,
ძვირფასო, იგი!..

ჩემი გზა უკვე იქითკენ მიდის,
სად ცა დაისის ფერებში იწვის!..
ჩემი გზა უკვე იქითკენ მიდის,
სადაც იღვრება
სურნელი წიწვის!..

ჩემი გზა უკვე იქითკენ მიდის
და, აქ ხორციელ სამოსელს იცვლის!..
ჩემი გზა უკვე იქითკენ მიდის,
სული კი ერწყმის
ვარსკვლავთა ციმციმს!..

ო, რა ულმობლად გამძარცვეს წლებმა
და იზმორება დღეები მკრთალი!..
რა რჩება? – მხოლოდ ლექსების წყება
და იდუმალი
ბილიკი მთვარის!..

06.06.10.
მოსკოვი

მზერამავედრებელი!

მზერა მავედრებელი, ისევ მაფორიაქებს,
თავზე მთების ბებერის, ქარი
ღრუბლებს მიაფრენს...
მზე ამოდის ცხრათვალა და მე მუხლებს მოვიდრეკ,
მოლზე დილა ფართქალებს,
დღე მაისის მოვიდა!..
მთა ფერებით მოირთო, ზღვა გამოდის სიზმრიდან,
სული სივრცეს მოითხოვს,
ცა ოცნებით მიზიდავს!..
დღე არაფერს იშურებს, სხვა სინაზით ინთება,
ამ ბაღს მოშარიშურეს
ახსოვს გადაფითრება!..
გულს მრავალჯერ დაკოდილს შუქი მოეძალება,
როგორც ბოლო აკორდი,
როგორც ფერიცვალება!..
მზერა მავადრებელი, ისევ მაფორიაქებს,
თავზე მთების ბებერის
ქარი ღრუბლებს მიაფრენს...

21.05.93
ბათუმი

შენ წახველ უკვე!..

თამაზ წივწივაძის ხსოვნას

შენ წახველ უკვე, დაჩეხილი საშობლო კვნესის,
შენ წახველ უკვე ამ სოფლიდან,
ბატონო თამაზ!
ხალხში შენმა ხმამ რა ერთბაშად გაიდგა ფესვი,
დავდივარ, გულით ტკივილების
ზღვაური დამაქვს!..
ზარები მცხეთის არ მალავენ სატკივარს მძიმეს,
მშობლიურ კედლებს კვლავ აწყდება
წყება ზვავების!..
ბედით განწირულთ, ვინ მოუტანს რწმენას და იმედს
და დუმს ქვეყანა
ნაკვალევზე დინოზავრების!..
ო, ეს ვინ შესძლო ჩვენგან შენი ჩამოცილება,
და, რა უეცრად დაგვიმსხვრევია
იმედის კოშკი!
მამულის გმინვა საუკუნოდ გვექცა დილემად
და ვხედავ უკვე ამ ქვეყანას
წამებულს, მოშლილს!..
ო, საქართველოვ! ვინ წაგართვა შვილი რჩეული,
სანამდის უნდა უიმედოდ
რეკონ ზარებმა?!
ვხედავ, განწირულს კვლავ აწყდება ძალა წყეული
და რა დავარქვათ შენს
წასვლას და გარდაცვალებას?!

შენ წახველ უკვე, დაჩეხილი საშობლო კვნესის,
შენ წახველ უკვე ამ სოფლიდან,
ბატონო თამაზ!
ხალხში შენმა ხმამ რა ერთბაშად გაიდგა ფესვი,
დავდივარ, გულით ტკივილების
ზღვაური დამაქვას!..

14.07.2018
თბილისი

რა დარჩა ჩემთან?

თქვენს საფლავებთან მოვდივარ, გული ვერ მალავს ვარამს,
თქვენს საფლავებთან მოვდივარ და სათქმელს
ვანდობ კალამს...
თქვენს საფლავებთან მოვდივარ და სევდას ვეღარ ვიშორებ,
ვიხსენებ დღეებს სანუკვარს,
რომელიც ერწყმის სიშორეს...
სად გაქრა ო, ის სილაღე და მოქნილობა სხეულის?
რამ დამავიწყოს ის ჟამი და
ბილიკები ხვეული...
ნუთუ, ყოველი დამთავრდა და გაჰყვა ფერიცვალებას,
რა დარჩა ჩემთან? – წარსული,
როგორც ზღაპრული ზმანება!..

22.06.2016
თბილისი

***

მერცხლებისგან ზეცა გაიკრიფა,
შეწყდა ბაღში ბულბულების გალობაც!
სადმე, რომ არ გამოედონ ხიფათს,
გზას გაუყვნენ, როგორც
ღმერთის წყალობას...
დავდივარ და სივრცეს გავცქერ უგულოდ
და ეს ბაღიც აღარ მეხალისება!
ადრე შეწყდა ეს შენი ხმაც, გუგულო,
ცას და მიწას ვინ
წაართვა ღირსება?!
ფოთოლცვენის ჟამი მოდგა მთვლემარი,
მთის კალთებზე უკვე ნისლი აცურდა...
მე დავდივარ ფიქრით ღამის მთევარი,
ბედნიერი ეს ორი
დრო დასრულდა!..
კანტიკუნტად ჩამოდიან ფოთლები,
ბალახებში ხოხბებიც არ ყივიან!
ვდგვარ კაცი ჟამით შენაშფოთები,
რტოზე ზამთრის
ჩიტუნები წივიან!

05.08.2018
თბილისი

ზამთრის ჩიტუნა წივის!

მოულოდნელად გაფრინდნენ ჩემი მერცხლები ისევ,
როდესაც სივრცე გაფითრდა და
გაქრა სიმაისე!
კლდეებზე ჯანღი აცურდა, ნისლი მოედო ფერდობს,
ცა გახდა ერთფეროვანი,
გზა მოჩანს უიმედო!..
ირხევა ჟამი ფერმკრთალი და რა ატირებს ლერწამს
ლურჯი ფოთლების სივრცეში
ქარის მუსიკა შეწყდა!
ღელე დუდუნით მიიწევს, დრო გაქრა სანაქებო,
და თქვენაც ფერი იცვალეთ,
ო, რა უეცრად, მთებო!
და ბედგამწყრალი ზამთარი, ისევ იალქნებს გაშლის
და ვარდფურცლების მუსიკას
სადმე გაჰფანტავს ქარში...

04.08.2018
თბილისი

შემოდგომა მოიწევს

შემოდგომა მოიწევს და ფერს იცვლის ბუნება,
მიწის ლურჯი ხავერდი
ნისლით დაიბურება...
შემოდგომა მოიწევს და ცას მივაყურადებ,
ზაფხულს ვემშვიდობები
სევდა მწვდება გულამდე!..
სილამაზის ზღაპრულის ქრობა დამენანება,
მოწოლილი ტკივილის, როგორ
მიჯირს ტარება!
ვარდფურცლობა წავიდა, გაჰყვა მას ნეტარება,
ახალ გაზაფხულამდე
რეკონ მწუხრის ზარებმა!..
დღეებს დავემშვიდობე და ჟამს ნატვრისთვალებას,
ფოთოლცვენის ზღვაური,
როგორ დამენანება!
დავდივარ და ჩურჩულით ცას გავცქერი მკრთომარეს,
ჩამომაცვეს დღეებმა
ტანზე ნისლი მდგომარეს.
შემოდგომა მოვიდა, შემოდგომა ზეგ არის,
ცურავს ფერთა მორევში
მთვარის თეთრი ზეგანი...

28.08.2018
თბილისი

დავემშვიდობე!

დავემშვიდობე შუკებს, მინდვრებს და მოსახვევებს,
თვალები ცრემლით დამისველდა...
ტკივილს ვინ მოთვლის!
ვხრიდი ტრფიალით ალუბლების რტოებს მოსარხევს
მავსებდა გრძნობით უთვალავი
შრიალი ფოთლის...
დავემშვიდობე ყმაწვილობის დღეების ზღაპარს
და ბებერ ვაშლის ფესვებს უხეშს
ვკოცნიდი გრძნობით!
აქ სიყვარულით ნაყოფს მწიფეს მაწვდიდა პაპა,
გზას მინათებდა გაზაფხულის
დღეები მწყობრი...
შერჩება ლექსებს ჩემი სოფლის ყველა კუნჭული,
მას ვერას უზამს დროის ქროლვა
მძიმე და მკაცრი!..
ვაყურადებდი ჩემი ეზოს ყვავილთა ჩურჩულს,
სად ყმაწვილობის სილაჟვარდე
დამთავრდა მარცხით!
საყვარელ ღელეს ავედევნე დინების გასწვრივ,
ბავშვური ღელვით მოვიგონე
დღეები ყრმობის!..
ჩემს ოცნებაში დასახევი ხიდები დავწვი,
და ეს ტკივილი ჩემს ჭაღარას
ბოლომდე ყოფნის!
ჩემი აბაშა ვინახულე და მის დინებას –

მე სიყვარულით დავცქერიდი კბოდედან კაცი!..
დამშვიდობება ჩემთვის
იქცა უკვე დილემად
და მთის კალთაზე მიცურავდა
ნისლები ბაცი...
დავსდევდი დიდხანს შუკა–შუკა ბავშვობის აჩრდილს!
დავემშვიდობე ბელურების
სევდიან ჟივჟივს, –
გადავარჩინე დიდ ზამთარში ისინი შიმშილს
და ჩვენ განუყრელ მეგობრებად
ბოლომდე დავრჩით!..
დავემშვიდობე შუკებს, მინდვრებს და მოსახვევებს,
თვალები ცრემლით დამისველდა...
ტკივილს ვინ მოთვლის!
ვხრიდი ტრფიალით ალუბლების რტოებს მოსარხევს,
მავსებდა გრძნობით უთვალავი
შრიალი ფოთლის...

09.08.2018
თბილისი

ვიხსენებ წარსულს...

ჩემი ძვირფასი დის ხსოვნას

რად დაგვაშორა ჩვენ ბუნებამ ო, ასე ადრე?
ვიხსენებ წარსულს, მწუხარებას
შემზარავს ბადებს!..
ამაოდ, დავსდევ ქუჩა–ქუჩა სევდიან ლანდებს,
რა შემრჩა, მხოლოდ
უიმედო გზაუდაბური!..
დავდივარ მძიმედ და შეტევით ვერაფერს გავხდი,
დონკი ხოტივით ვეომები
დროის ქარტეხილს!..
ჩვენი დაძმური სიყვარული, სად გაქრა ნაღდი,
რა შემრჩა? – გულის
უმნიშვნელო მცირე ნატეხი!

10.08.2018
თბილისი

საით მიქრიხარ, დროო?

დრო არ ჩერდება, ის სადღაც მიქრის
                    საით, არავინ იცის!..
ჩვენ, მუდამ მასზე ვიღლებით ფიქრით,
ის გარბის,
როგორც კვიცი..
საიდან მოდის, ან საით მიდის,
                    ამას ვერავინ იტყვის!
ის არასოდეს არ არის მშვიდი,
ეცვლება ფორმაც,
რიტმიც!
არავინ უწევს მის ქროლვას კონტროლს,
                    ხშირად ნიღაბსაც იცვლის!
ბერიკაცებთან თამაშობს ლოტოს,
ცვლის ვარსკვლავების
ციმციმს...
ის არ მორჩილებს ღვთიურ კანონებს
                    და ყველგან ქსელებს აბამს...
ადრე აბერებს ხშირად მანონებს –
ძაძებად
უქცევს კაბას!
მის კლანჭებს ბებერს ვერ გაექცევი,
                    და მზესაც უცვლის სახეს!..
და ვარსკვლავებიც იწყებენ ცვენას
და მთელ
სამყაროს არხევს!..

სივრცეებს ზღაპრულს აუდაბურებს
                  და მას არავის კითხავს!
სამყაროს ბორბლებს უცვლის საბურველს
სიცოცხლეს
აქცევს თიხად!..
ის ძველ სახეებს აუჩინარებს,
                  უცვლის სამყაროს ხედებს!..
ო, ასე მიქრის დროის მდინარე,
თუ სურს,
არც მოგახედებს!
საიდან მოდის, ან საით მიდის,
                  ეს ხომ არავინ იცის!
ის არასოდეს არ არის მშვიდი
და მიქრის
როგორც კვიცი!..

12.08.2018
თბილისი

რა დამავიწყებს!

ჩემი ყრმობის მეგობრის –
ბ. კოტიას ხსოვნას

ვეჯიბრებოდით ჩვენ ერთმანეთს სროლაში ისრის,
არ ჰქონდა ზღვარი ჩვენს სიხარულს
და აღტაცებას!..
ეფინებოდა შემოდგომის ნისლი ფერდობებს,
და მიდიოდა ჩვენი ყრმობის
დღეების წყება!

რამ დამავიწყოს ვარდფურცლობის წლები ფერადი,
ჩემს ხსოვნას იგი, უკვე დღემდე,
აღარ შორდება!
და ჩვენ, ძვირფასო, სინანულით როგორ ვღელავდით,
წავიდა ის დრო, –
არასოდეს განმეორდება!

ის ნეტარება სიყვარულით მომყვება დღემდე,
სიკვდილის გარდა, ო, იმ ზღაპარს,
რა დამავიწყებს!
მახსოვს, ძმობილო, ჩვენ ერთმანეთს თუ როგორ ვენდეთ,
იმ სილამაზეს ხელმეორედ,
ამაოდ ვიწვევ!..

წავიდა ის დრო, ნაკვალევი წაშალა ჟამმა
და ახლა მარტო, მხოლოდ ხსოვნით
ვსაუბრობ შენთან!
დამთავრდა ჩვენთვის ვარდფურცლობის თამაში ფერთა,
რომ ყმაწვილური სიხალისით
დავრბოდით ერთად...

11.08.2018
თბილისი

წარსული გაგვეთამაშა...

ჩემს ყოფნას, ძვირფასო, უშენოდ, უკვე არა აქვს აზრი,
ხანაც მტკვარს ავედევნები,
ხან ენგურსა და ფაზისს...
ის ჟამი გაცურდა უმიზნოდ, სიცოცხლემ იცვალა ფერი,
შორს, სადღაც გაფრინდა ნანატრი –
ის ღელვა და აღმაფრენა!..
ათი წლის შემდეგ ერთმანეთს შემთხვევით
შემოვხვდით გზაზე,
ორივე დაღლილი ცხოვრებით და მძიმე ტკივილით საგსე!
ჩაგვიდგა ცრემლები თვალებში, დავშორდებოდით ვიდრე,
იმ დღეთა წამებას, სინანულს
ვერაფრით განვერიდეთ!
წარსული გაგვეთამაშა და შეგვაშფოთა ძლიერ,
წარსული გაგვეთამაშა,
მაგრამ ტკივილს ვერ ვძლიეთ!..

19.08.2018
თბილისი

წუთისოფელი

შენს მოსვლას ისევ დაველოდები,
თუმც, ვარდფუცლობის ჟამი წავიდა!..
გულო, იყუჩე, ნუ დაღონდები,
ვერ დავიწყებით
ისევ თავიდან!
საწუთრო არვის ინდობს ტიალი,
ვერ ვუმკლავდები ქარებს მობერილს!..
წუთისოფელი მიდის რიალით
მარად ურჩი
და დაუნდობელი!..

07.09.2018
თბილისი

თბილისი

მე შემიძლია რუსთველზე ჭადრებს,
            რომ ვვესაუბრო მაღალი გრძნობით!..
ამ სულის სევდა მთაწმინდას ვანდე
და ცას ღამეულს
ვარსკვლავთა წყობით...
მე სვეტიცხოვლის სიმაღლეს ვეტრფი,
            მიყვარს სიონი, მიყვარს სამება!
მინდა თბილისი, რომ იყოს მეტი,
რომ გადაურჩეს
სული წამებას!
დავითის კოშკებს მე ვუნთებ სანთელს
            და სათაყვანო მამულს თამარის!
რომ უკუვაგდო რისხვა ტრამალის,
რომ დიდხანს ზარებს
რეკავდეს მნათე!..

17.08.2018
თბილისი

ისევ მივსტირი

ისვ მივსტირი დღეებს უკვე არდაბრუნების,
თუმცა, ეს ოხვრა და ცრემლები
არაფერს ნიშნავს!
ო, ასეთია დასაბამით წესი ბუნების,
უცნაურია, ყოველივე
საიდან იშვა?
დღეები ყრმობის უჩვეულო ფერებით ფეთქავს,
სადღაც, სიყრცეში უიმედოდ
გაცურდა იგი!
ამ ჩემს წამებას, მე არ ვიცი რა უნდა ერქვას,
და მდინარესთან კვლავ ირხევა
ალვების რიგი...
დაუბრუნებელ დღეებს, ასე რად ვეფერები,
წავიდა იგი, სამუდამოდ
გაცდა ნაპირებს...
გული ტკივილით არაერთხელ დაიბერება,
რომ ხელმეორედ
ვერასოდეს გავიაპრილებ!

17.06.2018
თბილისი

სად წავიდა?!

რატომ გახდა ღამე მოსაწყენი,
სად წავიდა ჯადოსნური რხევა!
მოვიტოვე მე ოთხმოცი წელი,
მაინც შენი სილამაზის
ტყვე ვარ!..
მე სიმღერით დამეღალა ყელი,
გავცქერ გრძნობით ვარსკვლავების
ციმციმს!..
რატომ გახდა ღამე მოსაწყენი,
რად არ ვისმენ შენს
მომხიბვლელ სიცილს!..
გაზაფხული შორს გაცურდა მწველი,
დავდივარ და, უკვე სევდის ტყვე ვარ!
რატომ გახდა ღამე მოსაწყენი,
სად წავიდა
ჯადოსნური რხევა!

01.08.2018
თბილისი

ფოთოლცვენის ღამე

მიწის ტრფობით არ იღლება მთვარე
            და შუქს გვათოვს ზეცა მოკამკამე...
სიყვარულით სივრცეს ვუთვალთვალებ
და იწყება
ფოთოლცვენის ღამე...
ფერიები ქრიან ოქროსფრთება,
            ციდან გვათოვს შუქი ალმაცერი...
სევდიანი სიყვარულით ვთვრები
და ირხევა
ღამე ფოთოლცვენის...
სულს ამშვიდებს ჟამის მელოდია,
            ფერს იცვლიან მინდვრები და მთები,
მე გავცქერი ფოთოლცვენის ნიავს,
შემოდგომის
სევდით ანანთები!..

30.09.2017
თბილისი

დედის აჩრდილი

ლადო მისაბიშვილის
საფლავთან

გვიან ღამით მოდის შენთან დედა,
ეფერება შენს სურათს და კოცნის!..
წუთისოფელს ისევ ედავება,
და სივრცეში
მოირხევა ლოცვით...
შორს, ირხევა ალვის ხეთა წყება,
მე კი შენზე ფიქრი როგორ მიმძიმს!
ფერდობებზე თეთრი ნისლი წვება,
სული სწვდება
ვარსკვლავების ციმციმს...
ვერ ვგებულობ თუ საიდან მოდის,
შუქი მთვარის ეფინება მშვიდი...
დუმს უსულოდ ეს საფლავის ლოდი
და ზედ აწევს სევდა
როგორც ტვირთი!..
მესიზმრება თუ ნამდვილად ვხედავ,
ვაცქერდები აქ ყველაფერს რიდით!
გვიან ღამით მოდის შენთან დედა,
ვერ ვგებულობ, მერე
საით მიდის?

26.07.2018
თბილისი

ცხოვრება მიდის...

მოირღვა ჟამით ჩვენი ყრმობის წრფელი კავშირი,
ახლა, რა ვარ მე? – ვუცქერ გრძნობით
სევდიან ხედებს...
რა დარჩა, სულო, ყვავილების ჭალა გაშლილი,
ამას ვთხოვ ხსოვნას –
წარსულისკენ ნუ მომახედებს!
დაიმსხვრა ჩვენი ოცნებების ზურმუხტის კოშკი,
დავდივარ მარტო და, მხოლოდ
ხავსს ვეპოტინები!
რა ვუყო, ამ სულს ჟამთადენით წამებულს, მოშლილს,
ცხოვრება მიდის, ჩვეულებრივ,
თავის დინებით...

10.07.2018
ბანძა

* * *

დაცარიელდა ჩემთვის სოფელი,
მოვდივარ, მაგრამ არ ვიცი, რა ვქნა!
ბრუნავს მორევი დაუნდობელი,
ზვირთები ურჩი
აწყდება ბაქანს!..
ის ჟამი ოხვრით გაჰყვა სიშორეს
და უმოწყალოდ იმედებს მაცლის...
იმ დღეთა ხსოვნას ვეღარ ვიშორებ
და ნაფოტებად
ვიშლები კაცი!
მივდივარ, ირგვლივ წკვარამი მოჩანს,
რა შემზარავად მიცქერს სატანა!
რაც იყო იგი გათავდა, მორჩა
და მხოლოდ რწმენა
შემრჩა პატარა!
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი,
მოვდივარ, მაგრამ, არ ვიცი, რა ვქნა!
ბრუნავს მორევი დაუნდობელი,
ზვირთები ურჩი,
აწყდება ბაქანს!..

09.07.2018
ბანძა

ვიცი, რომ წავალ!

ჩემი ცხოვრების ამ მიწაზე მთავრდება ვადა,
ვიცი, რომ წავალ, მაგრამ საით,
არავინ იცის!
სულს ვარსკვლავების იდუმალი სხივები ბარდნის
და მოგონება გაიყოლებს
სევდას და ტკივილს!..
წუთისოფელი გაგაცილებს ფერთა შრიალით,
ჩამოშლის, ერთობ, მთის კალთაზე
ელვა ქონგურებს...
მწვანე მინდორზე გაცურდება ლურჯი ნიავი,
და არაერთხელ აკვნესდება
სიმი ჩონგურის!..
აკივლდებიან მწარე მოთქმით ზარები მცხეთის,
წკვარამ ღამეში ჩაიშლება
შენი სხეული!
დაეფინება დაძენძილი ბინდები ცხედარს
და გაფრინდება სული
ცისკენ სხივშეფრქვეული...

12.07.2018
თბილისი

საიდან მოდის?

საიდან მოდის ამდენი სევდა,
ან როგორ უძლებს გული ნიაღვრებს?
რამსიშორიდან მომძახის დედა
და უნაპირო
სივრცეს მივარღვევ...
შორს მოვიტოვე გზები ტიალი
და მოზღვავებულ ზვირთებს ვეომე!..
დრო მოდის, ისევ ორომტრიალით,
ვიცი, რომ ვეღარ
მოვალ მეორედ!
მე არ ვიცოდი დაცხრომა, შიში,
მივსდევდი ბნელში ვიწრო ბილიკებს...
მე გადავსერე უდაბნო ქვიშის,
მაგრამ დრო,
ვეღარ შემოვირიგე!
მე ჩვეულებრივს გავცდი ნაპირებს,
ჟამთან კვეთებით კვლავ წინ მივიწევ...
ჟამს შეუპოვრად ვუტევდი ფიცხელ,
არ დამწეწვია
სულის ლერწამი!
ჩვენს შორის მკაცრი ბრძოლები შედგა,
ჩამოგვდიოდა სისხლი თქრიალით!..
ერთმანეთს მკერდი ვულეწეთ მედგრად
მძიმე ისრებით –
შავიფრთიანით!..

საიდან მოდის ამდენი სევდა,
ან როგორ უძლებს გული ნიაღვრებს?
რამსიშორიდან მომძახის დედა,
და უნაპირო
სივრცეს მივარღვევ...

08.07.2018
თბილისი

ვიხსენებ ისევ

ყრმობის დღეებს მოვიგონებ ოხვრით,
ისინი ხომ, შორს გაფრინდნენ, სადღაც.
ქარებისგან ამ ალვის ხეს მოხრილს
მთვარის შუქის
ნეტარება ადგას...
ღელის პირას მიმოვდივარ მარტო,
ცა ვარსკვლავთა შუქის მტევნებს არხევს...
იმ დღეების სილამაზეს ვნატრობ,
ჩემ წინ შენი კვლავ
აცურდა სახე!..
შეღამების მეფინება ნისლი
და არ ვიცი, თუ საითკენ მივალ...
სიშორიდან კვლავ შენი ხმა ისმის,
მივდივარ და სევდის
ტბორი მიმაქვს!..

24.07.2018
თბილისი

სიზმარში

კვლავ სიზმარში შენ მოდიხარ ჩემთან,
ზღვასთან ახლოს ჩამოვჯდებით სადმე.
მთვარემ გვიცნო, გრძნობით მოგვაჩერდა
და, თან გვირხევს
სიყვარულის სანთელს!..
სტუდენტურ წლებს მოვიგონებთ ოხვრით,
სული ითხოვს წამებს ნეტარების!
მახსენდება ტყის პირს მცირე ქოხი,
დროის დენას
ისევ ვედავებით!..
ყმაწვილობის ხსოვნას ვეღარ მოშლის,
დემონების უსახური წყება!..
მთვარეს შერჩა ფერი მწიფე კომშის
და გაურბის სული
დავიწყებას!..
კვლავ სიზმარში შენ მოდიხარ ჩემთან,
ზღვასთან ახლოს ჩამოვჯდებით სადმე.
მთვარემ გვიცნო, გრძნობით მოგვაჩერდა
და თან გვირხევს
სიყვარულის სანთელს!..

26.07.2018
თბილისი

ფოთოლცვენის ღამე

მიწის ტრფობით არ იღლება მთვარე
            და შუქს გვათოვს ზეცა მოკამკამე...
სიყვარულით სივრცეს ვუთვალთვალებ
და მოცურავს
ფოთოლცვენის ღამე...
ფერიები ქრიან ოქროსფრთება,
            ციდან მათოვს შუქი ალმაცერი...
სევდიანი სიყვარულით ვთვრები
და ირხევა
ღამე ფოთოლცვენის.
სულს ამშვიდებს ჟამის მელოდია,
            ფერს იცვლიან მინდვრები და მთები!
მე გავცქერი ფოთოლცვენის შრიალს,
შემოდგომის
სევდით ანანთები!...

30.07.2018
თბილისი

ისევ მეძახი

მიყვარხარ მერი! სანატრელო, და მერე როგორ?
უშენოდ უკვე დავდივარ და, არ ვიცი
რა ვქნა?
მე შენს ბაგეებს, მხოლოდ ატმის ვადარებ კოკორს!
რაც იყო ჩემში, რა უდროოდ
წავიდა გაქრა!..
იმ ლამაზ დღეებს ყმაწვილობის, რა დამავიწყებს,
ხარობდა გული სააპრილო
ფერების მოსვლით!..
შენ კვლავ მეძახი, საალერსოდ ო, ისევ მიწვევ,
გახსოვს, ძვირფასო, წყაროს წყალი,
რომ პეშვით მოვსვით!..
რაც იყო იგი, ხელმეორედ არ დაბრუნდება,
„ერთსა და იმავ მდინარეში
ორჯერ ვერ შევალთ.“
საით გაფრინდა მოჟღურტულე ჩიტების გუნდი,
რატომ მოედო გულს მღელვარეს,
უმწეო თვლემა...
წავიდა ის დრო, ო, საითკენ არავინ იცის,
მე განშორების სიმძიმილი
მწვდება გულამდე...
ეს სული ტრფობით იფერფლება, საოცრად იწვის,
მშვიდობით მერი, –
ხელმეორე გაზაფხულამდე!..

24.05.2018
თბილისი

დავცქერით რიონს

თეთრი ხიდიდან დავყურებთ რიონს,
            რომელიც შმაგი ჭენებით მიქრის...
დევნილობაზე ტკივილს ვერ ვძლიეთ
და დავიღალეთ
მამულზე ფიქრით!..
მზე ჩადის ფერთა მღვრიე რიალით
            გავყურებთ სივრცეს მე და შენ, დონა!
ამგვარ წამებას რა უნდა ერქვას,
ამ დარდებს მძიმეს,
და გაუგონარს!

22.10.92
ქუთაისი

მე თქვენ მიყვარდით

მეგობრების ხსოვნას

ვიხსენებ ყრმობის დღეებს გაფრენილს
და ალუბლების რტოების რხევას...
მე თქვენ მიყვარდით, სხვა არაფერი,
და დღესაც მე იმ
გრძნობების ტყვე ვარ!
ცოცხალთა შორის თქვენ უკვე არ ხართ
და უჩვეულო ტკივილი დამაქვს!..
კვლავ იმ ხეივნის არ მინდა ნახვა,
ო, ჩემო მეგი,
კოტე და თამარ!

12.10.17
თბილისი

წვიმს

წვიმს და მაისში უქუდოდ ვარჩევთ ხეტიალს გარეთ,
არც მზე ჩანს ღრუბლის მორევში,
არც ნაკვალევი მთვარის.
დავდივართ თეთრ სამოსელში და ქრის ნიავი ნელი,
ჩვენს აღმაფრენას უსაზღვროს
ათრობს ფერები ველის!..
ფრთებს შლის სიცოცხლე ხალისით,
სიმაღლეს ვსწვდებით ყველას,
იზრდება სულის ხარისხი,
ვარდ-ყვავილები ღელავს!
გაზაფხულს ვეთამაშებით და ვარდფურცლობით ვტკბებით,
სიცოცხლეს ვეთაყვანებით,
რომ დაგვაფაროს ფრთები!..

06.05.2018
თბილისი

სულო დამშვიდდი!

ვინ გაექცევა დროის სრბოლას, მის სითავხედეს,
ის მიდის მუდამ, მხოლოდ
ერთი მიმართულებით...
ნუ შეშფოთდები, ვერ მიაღწევ, როდესაც შედეგს
და შეატოვე პოეზიას
სევდა ულევი!..
მოველ, ძვირფასო, რომ წამება რწმენად მექცია,
ვიხეტიალე ბილიკებზე
ღელვით, კვეთებით!..
ამ ტრიბუნიდან მიკითხავდნენ ხშირად ლექციას,
მაგრამ ვცხოვრობდი
მხოლოდ ჩემი შემოქმედებით...

10.05.2018
თბილისი

მერცხლებს

მე თქვენი ფრთებით დასერილ სივრცეს
გავცქერი რიდით, ღელვას ვერ ვმალავ!
ამ ნეტარებას ყველაფერს მივცემ
და გავურბივარ
ღამეებს წკვარამს!..
უმისამართოდ ეს ჟამიც წავა
და განშორების ვიგრძნობ სიმძიმეს!..
ამ ცის და მიწის ტკივილი დამაქვს
და მათი ტრფობით
სული ციმციმებს!..
რამსიშორიდან მომყვება დარდი,
რომელსაც უკვე ვეღარ ვიცილებ!
ახლაც ლოყებზე ცრემლები დამდის
და გაუსაძლისს
ვერწყმი სიცივეს!..

28.05.2018
თბილისი

როგორ ვირწმუნოთ?!

... მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?!
ილია ჭავჭავაძე

როგორ ვირწმუნო, რომ ქართველმა გესროლა ტყვია
და ერის მამას, ღვთაებრივი
გაგიპო შუბლი?!
დასაბამიდან წუთისოფლის უცნაურ ტრიალს,
რატომ არ ესმის – მოწოდება
ზეციდან უფლის?!
რუსთველის შემდეგ აღარ იცის თამარის მიწამ,
ო, ტიტანური შემართება
ამგვარი ბრძენის!
ყოველ ნაბიჯზე შემზარავი წყვდიადი იწვა,
არსთაგამრიგემ გონით სავსე,
გვიბოძა ძღვენი!..
მამულს ედექი შემართული რწმენად, იმედად
და სამშობლოს მტრებს მთელი ძალით
უტევდი მედგრად!..
შენ საქართველოს უმძიმესი უღელი გედგა
და საოცარი გქონდა ბრძენკაცს
გონი და ხედვა!..
როგორც გოლგოთა–წიწამურიც წამებად გვექცა,
ამოიზიდა წყვდიადიდან
ურჩხული შავი!..

ამ დანაშაულს საქართველოს ვინ ჩამორეცხავს,
ვინ მოაზღვავა ქვეყანაზე
ამდენი შხამი?!
როგორ ვირწმუნო, რომ ქართველმა გესროლა ტყვია
და ერის მამას ღვთაებრივი
გაგიპო შუბლი?!
დასაბამიდან წუთისოფლის უცნაურ ტრიალს,
რატომ არ ესმის – მოწოდება
ზეციდან უფლის?!

22.07.2018
თბილისი

რად შეწყდა?

თქვენი ყიჟინა შუკებში ო, რა უეცრად შეწყდა?
მზე ამოდის და, ვერ არხევს მინდვრებში
შუქთა მეწყერს!
ცა რა ფერმკრთალი დაგვცქერის და სულს ვერ აფერადებს,
სანამდის უნდა ვუცქირო,
ო, ამ მოთენთილ ლანდებს?
მაისი მოდის და რტოებს უკვე ნიავი არხევს,
უთქვენოდ ამ ჩემს მინდორ–ველს
გაუფერმკრთალდა სახე!
ბიჭებო, ლაღი თქვენი ხმა ო, ისევ მენატრება,
კვლავ ციურ სილაჟვარდის
და მაგ ყიჟინის ტყვე ვარ!

05.05.2018
თბილისი

„სალაყბო“

ჩემს მეგობარს – გიორგი შონიას

ჩვენი „სალაყბოს“ ისტორია დამთავრდა უკვე,
იმ ხის მორებთან, ახლა, უკვე,
არავინ მოდის!
მზე გაზაფხულის ვეღარ უკრავს ხალისით ბუკებს
და სიო მწუხრის გალობს
მხოლოდ სევდიან მოტივს!..
ის სიხალისე უჩვეულო, სადღაც, შორს გაქრა,
გაუსაძლისი გახდა ჩვენთვის
დღეები ურჩი!
დრომ შხამიანი კლანჭი გულზე რამდენჯერ გამკრა
და ხსოვნას მხოლოდ ცა შემორჩა
საოცრად ლურჯი!..
აქ, ხელმეორედ მხოლოდ ჩვენი აჩრდილი მოვა,
რომ მოიგონოს გარდასული
დღეების ეშხი!
იმ დღეთა ხსოვნას, მეგობარო, არა აქვს ზომა,
დრო ისე გარბის თავხედურად, –
უთუოდ შეგშლის!

02.06.2010
თბილისი

ვერ გამექცევა

შენ წახველ უკვე და მე შემრჩა დრო გაძარცული,
როგორც გვიანი შემოდგომის
ხეების წყება!..
აღარ მშორდება ულმობელი მზერა მაცდურის,
ვერ გავაყოლე ხსოვნა ურჩი
იმ დავიწყებას!..
როდესაც გული სამზეოზე ვეღარ ეტევა
და ის განიცდის მოზღვავებულ
ფერების კვდომას,
სული ძლიერი, ისევ, იწყებს დროსთან შეტევას,
ვერ გამექცევა მონადირეს –
ესოდენ ჯომარდს!

17.05.2018
თბილისი

მოლოდინი

მიათრევს ქარი სიშორეში ნაზამთრალ ღრუბლებს,
ისმის ყმუილი გამუდმებით
ცოფიან მგლების!..
დავდივარ მარტო და ფიქრისგან კვლავ მიხურს შუბლი,
ელოდებიან სიყვარულით
გაზაფხულს მთები!..
ყმუილი მგლების კვლავ აწყდება ჯებირებს რისხვით,
გაავებული მესმის მათი
კბილთა ღრჭიალი!..
ო, როგორ უნდათ ჩემი ხალხის დალიონ სისხლი
და მიდის ღამე უმთვარო
და გაუმჭვირვალე!..

18.02.2012
თბილისი

ვისმენ შორეულ ღიღინს!

დრო მიდის ისევ ღელვით, სიურჩით,
ფერიცვალებას არ უჩანს ბოლო...
რომ შერჩეს ზეცას ის ღრმა სილურჯე,
გადაუკეტე ყველა
გზა ბოროტს!..
სადღაც, გაფრინდა დრო სანატრელი,
მაგრამ ცოტა რამ მეიმედება!
ვეღარ ჩამიქრეს სულის სანთელი,
და ფეთქავს
ჩემი შემოქმედება!
მე დღემდე შენი თვალების ტყვე ვარ,
უშენოდ ყოფნა არაფრად მიღირს!
უკვე ყვავილი დასცვივდა ტყემალს
და ვისმენ მამის
შორეულ ღიღინს!..

15.01.2018
ბანძა

ისმის გალობა

ისევ ამწვანდა ჩემი ბაღი და აღმაფრენას
სული ვერ მალავს, ვარდფურცლობის ის
ფერებს ერწყმის...
ისმის გალობა იადონთა და სივრცეს ფერადს
ავსებს მუსიკით უთვალავი
შრიალი ლერწმის..
მოვიდა ჟამი გაზაფხულის თამაშით ფერთა
და მინდორ-ველებს სილამაზის
მეწყერით ათრობს!..
მზე ამოდის და საოცარი სილაღით ფეთქავს,
დაქრის ნიავი და რტოები
ყვავილებს მათოვს...
ო, როგორ მინდა ფერთა ღელვა გაგრძელდეს დიდხანს
და ჩემი ზეცის მეღვრებოდეს
ლაჟვარდი თავზე...
ამაზე მეტი ცა და მიწამ რა უნდა მითხრას,
ო, ყვავილების სიელვარის
მორევით სავსემ!

06.05.2018
თბილისი

განშორება

შენ წახველ უკვე... საიდუმლო გაგყვა მრავალი
და უკან შენი დაბრუნების
არავის გვჯერა!
გიყვარდა მხოლოდ გაზაფხულზე მზეალმავალი,
შენი ხმის ტემბრი უჩვეულოდ
გვათრთოლებს ჯერაც!..
მეგობრებს შორის შემართული იდექი მუდამ,
მაისის თვეში დაცურავდი
მორევში ფერთა...
ეცადნენ, მაგრამ გზა ვერაფრით ვერ გაგიმრუდეს,
მოგონებებში ჩვენი ყრმობის
დღეები ფეთქავს!..
დამთავრდა ჩვენი ჯაბუკობის ნანატრი ქამი,
ვდგავარ და ვდუმვარ, საიმედოს
ვერაფერს ვამბობ!
მთვარის ბილიკებს ეფინება ბინდები ღამის
და ვარდფურცლობის წლები
ისევ გვიგზავნის ამბორს!..

31.05.2018
თბილისი

მე დავიღალე

ცოცხალთა შორის, რომ არა ხარ, გავიგე შარშან
და მე მომიცვა მძიმე სევდამ დაუსაბამომ!..
ნუთუ, შენც ვეღარ გაექეცი რღვევას და დაშლას
და მომაგონდა საოცარი
მე ის საღამო!
ბაგეთა თრთოლვას, ნუთუ, მიწა დაეპატრონა
და შენი რხევა გაიტაცა
სიცოცხლის იქით!..
სიკვდილი, ეს ვინ გაგიხადა უკვე ბატონად,
მე დავიღალე საწუთროზე
ამაო ფიქრით!..
მოვდივარ თბილისს, მაგრამ არ მსურს საფლავის ნახვა,
ვინ მოთვლის ქვეყნად სატკივარი
რამდენი დამაქვს!..
და ჩემი რწმენის ჩაქრა უკვე ბოლო ნათურა,
ეს არის ჩემი ტრაგედია
და არა დრამა!

10.02.11
მოსკოვი

სამშობლოს მთებს

ჩემს მთა-გორებზე გადარბიან ქარები რუხი,
მდუმარე კლდეებს ეფინება
ნისლების წყება...
როგორ უძლებენ ამდენ ღვარებს და ჭექა-ქუხილს,
ამდენი ღელვით, ნუთუ
ვეღარ დაღალეს წლებმა?!
დასაბამიდან დაგლეჯილი ტკივათ სხეული
და მათ ფერდობზე გამუდმებით
ყმუიან მგლები!
მიწის შვილები, კვლავ ამაყად დგანან რჩეულნი,
რამდენი ჭირი, განსაცდელი
მათ მიაქვთ მხრებით!..
მამულის მთებო, გეფერებათ ეს ჩემი მზერა,
თქვენი ხატება ჩემში ფეთქავს
დიადი ძალით!..
მე თქვენი დიდი შემართების მარადის მჯერა,
დგახართ ურყევი მწვერვალებით,
კლდეებით სალით!..
ჩემს მთა-გორებზე გადარბიან ქარები რუხი,
მდუმარე კლდეებს ეფინება
ნისლების წყება...
როგორ უძლებენ ამდენ ღვარებს და ჭექა-ქუხილს,
ამდენი ღელვით, ნუთუ
ვეღარ დაღალეს წლებმა?!

17.02.11
თბილისი

* * *

მე ჩემს შეცდომებს ჯაბუკობის სილაღეს ვაწერ,
რომელიც, როგორც საქანელა,
ისე ირწევა...
ხშირად, იმ დღეთა მოგონება ტკივილად მაწევს
და არ მორჩილებს რღვევას,
დაშლას და დავიწყებას!
მიდიან წლები... არაფერი არ მავიწყდება,
გული კი ღელავს უიმედოდ,
უკვე ბერდება!..
მიედინება სიშორეში დღეების წყება,
შენთან შეხვედრა,
მეგობარო, მეიმედება.

27.08.69
თბილისი

მარტოობა

დამიმეგობრდა მარტოობა და დუმილს მაჩვევს,
შიშისგან ერთობ დაიცალა
ჩემი სხეული,
და, მაინც აღარ ვეურჩები არასდროს გამჩენს,
მივდივარ, სადღაც სიშორეში გზებით ხვეულით...
დაუვიწყარი რჩება ჩემთვის რამდენი რამე,
მათ ვეფერები, მუდამ
გრძნობით ვეალერსები!..
რატომ მიტაცებს სილამაზე მთვარიან ღამის
და სევდამ ჩემში უფრო
მძლავრად გაიდგა ფესვი!..
ო, მთვარე იყო ჩემი ყრმობის დიდი ტრფიალი,
მას ყველაფერი ახსოვს, მაგრამ
ვერაფრით ამხელს!
წუთისოფელმა ჯეშმარიტი დაჰკარგა სახე,
მიეფინება, სიშორეში
მიდის ტიალი...

18.07.2018
თბილისი

წუთისოფელი მიდის და მიდის

„ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ
ვერ შეხვალ“
ჰერაკლიტე ეფესელი

მე შენს გენიას, რამდენის მთქმელს, ბევრ რამეს ვუგებ,
რა გააჩერებს მდინარის წყალს,
ხმაურით მიდის..
ამ ქვეყანაზე მე მის ქროლვას ვერაფერს ვუქებ
და გადავცქერი მის დინებას
ტკივილით დიდით!..
წუთისოფელი არასოდეს არ არის მშვიდი,
აწყდება ნაპირს მოგანგაშე,
მხოლოდ რიალით...
მზე ეფინება შეღამების, ეცემა ბინდი,
მიემართება სიშორეში
ორომტრიალით...
გვიტოვებს სევდას და ჭრილობებს, ვინ იცის რამდენს,
ამ ქვეყანაზე მხოლოდ შენ
ხარ მოუსვენარი!
თუ მოუნდება თვალებიდან ცრემლებსაც გადენს,
მას ვინ განაგებს? – მეუფება
მხოლოდ ზენარის!..

27.07.2018
თბილისი

რა ადრე წახველ?

ჩემს დისშვილს, კუბური ფესვის
ზეპირად ამოღების მესაიდუმლეს –
ლადო მისაბიშვილს

შენ ამ ქვეყნიდან რა ადრე წახველ?
ჩვენს შორის გაწვა დუმილი მკაცრი!..
მე ხსოვნის სიმებს გრძნობებით ვარხევ
და გავცქერ სივრცეს
ფერმკრთალს და დაცლილს!
მე ვდგავარ შენი საფლავის ახლოს,
მიჭირს ძალიან, არ ვიცი რა ვქნა!
აქ მხოლოდ რღვევა და დაშლა სახლობს,
სიკვდილმა ბასრი
ბრჭყალები გამკრა!
იმ დღეთა უკვე გაქრა ზღაპარი,
სად ფერიები გალობდნენ ტკბილად!..
და სიყვარულის ჩაქრა ლამპარი
და გაზაფხულის
დაიფშვნა დილა!..
შენ საიდუმლო მიგაქვს მრავალი,
მესაიდუმლეს კუბური ფესვის!
გეფინებოდა მზე ჩამავალი
და უკვდავების
ნათელი შესვი!..
ამ შენს მიგნებას და აღმოჩენას,
ალბათ, ვერავინ გაიმეორებს!

თუ მოუნდება კვლავ ვინმეს რჩევა,
არ დაიზარებ,
მოხვალ მეორედ!..
შენ უკვე წახველ, ძვირფასო ლადო!
ანგელოზები გინთებენ სანთელს...
წუთისოფელი არ არის სანდო,
ის დაუნდობლად
სიყვარულს გვართმევს!..
შენ ამ ქვეყნიდან რა ადრე წახველ?
ჩვენს შორის გაწვა დუმილი მკაცრი!..
მე ხსოვნის სიმებს გრძნობებით ვარხევ
და გავცქერ სივრცეს
ფერმკრთალს და დაცლილს!..

20.07.2018
თბილისი

გაშალე ფრთები

ღვთაებრივ ძალის სიყვარულით მოვდივართ ოდით,
ხშირად გვართმევენ დემონები
ამის უფლებას!
აზრი არა აქვს, მეგობარო ო, ამდენ ლოდინს,
გაშალე ფრთები და
უმღერე თავისუფლებას!..
დედამიწაზე დგას მუდმივი ორომტრიალი,
მიქრის პლანეტა, უთვალავი
ღელავს მორევი!..
ამიტომ არის ეს სოფელი ასე ტიალი
და იზნიქება მისი მკერდი
ცრემლის ტბორებით!..

29.07.2018
თბილისი

შენი პატარა ტოტი ვართ

ჩვენ, შენს წიაღში მოვდივართ, მაგრამ ცოტა ხნით მხოლოდ,
შენი პატარა ტოტი ვართ, ვიმსხვრევით
უცებ ბოლოს!
ჩვენ შენს წიაღში მოვდივართ და შენი ფასი ვიცით,
გავცქერით სივრცეს მადლიანს
და ვარსკვლავების ციმციმს...

იადონების გალობას ვუსმენთ, რა აღტაცებით,
გვიტაცებს ღმერთის წყალობა – მზისა და
მთვარის ფერი!
მინდვრების აყვავილებას რა სილამაზე ახლავს,
მიაყურადებ, და გინდა
ფერებში გარდასახვა...

მოდის ნიავი თამაშით, მას ხელს არავინ უშლის
და ათასობით რტოს არხევს გრძნობით
ატმის და ნუშის!..
ჩვენ აქ ვეძლევით სიხარულს, ლამაზ ბაგეებს ვკოცნით
და სანთლებს ვუნთებთ სიყვარულს
ანგელოზების ლოცვით!..

მერე კი, შენგან მივდივართ და ყველა სიგნალს ვკარგავთ,
ვირღვევით მოლეკულებად, უნდა
გვესმოდეს კარგად!

ვხდებით სამყაროს ნაწილი მოლეკულების ღვარით,
მას ვეღარ დაშლის ვერაფრით
სეტყვა, წვიმა და ქარი!
ჩვენ შენს წიაღში მოვდივართ, მაგრამ ცოტა ხნით მხოლოდ,
შენი პატარ ტოტი ვართ,
ვიმსხვრევით უცებ ბოლოს!..

23.07.2018
თბილისი



ปฏิทินจีน

***

შენ ხომ სიცოცხლის სილამაზეს ეტრფოდი მუდამ,
გჯეროდა მხოლოდ სიყვარულის უსაზღვროების!..
გიყვარდა ქარში გაზაფხულზე რხევა რტოების
და ბაღებიდან მობერილი ნიავის სუნთქვა!..

არ შეიძლება არ ახსოვდეთ ხეივნებს ფერადს,
სიცოცხლის რხევით ანთებული შენი ხმის ეშხი!
შენ მოფართქალე წყაროს წყალი მოგქონდა პეშვით
და, ეს ჩინარი მოგონებით ო, ახლაც ღელავს!..

ეჰ, რა მოკლე გზა გაიარე, მაგრამ შენს სახელს
დროის დინება ჩემს ხსოვნაში ვერასოდეს წაშლის!
კიდევ კარგი, რომ ვეღარ ვხედავ მაგ სხეულს დაშლილს,
რომელსაც უკვე შემზარავი ქაოსი არღვევს!..

დავდივარ მარტო და სიცოცხლეს ვუცქერი იჭვით,
საით წახვედი ასე უცბად, ღიმილის ბიჭი?!

14.06.57
სოხუმი

***

სად შეწყვეტს ღელვას ო, ეს გული, არავინ იცის!
შორს გავსცდი, უკვე ჭაბუკობის ცისფერ ნაპირებს!..
შენ სულთან იყავ დასაბამით შეკრული ფიცით,
ბრძოლის ველიდან, ნუთუ, ადრე გასვლას აპირებ?!

იქნებ, ვერ შესძელ, მეგობარო, ძალის მოკრება
და შეუშინდი სიშორიდან გავარდნას მეხის?
ვერ გაუძელი, იქნებ, ჟამის აბობოქრებას,
როცა ერთბაშად მიეხეთქე ცხოვრების გრეხილს!..

ვიცი, კივილით შესძრავს სული ცასა და მიწას,
ბრძოლის ველიდან თუკი შენი გაქცევა ნახა!
ფიცხელ ბრძოლაში სისხლდაცლილი, რომ ველარ მიწექ
ო, ის ვერასდროს გაიკარებს შენს ხსოვნას ახლოს!

რადგანაც ფიცი დასაბამით შეჰკარი მტკიცედ,
ბოლომდე უნდა შევუტიოთ დროსა და სივრცეს!..

14.09.64
სოხუმი

***

კვლავ შეღამების ბილიკს გავცქერ ფოთლებდაფენილს,
მზე ჩამავალი იზმორება სველი თვალებით!..
ვინ დააბრუნებს, სიშორეში დღეებს გაფრენილს
და ხეივანი მოჩანს ზღვასთან ნაფერმკრთალები!..

მიდის მდინარე გადაღლილი ჟამთან დუდუნით
და ნაპრალებში რუხი ფერის წვება ნისლები...
ჩაკეტავს მალე ყინვა მკაცრი სივრცეს ურდულით
და წყლის სარკეზე ცვივა სხივთა მყიფე ისრები!..

ქარი მრისხანე დაუბერავს სივრცეს მთვლემარეს,
გაჟღენთილია არემარე ზამთრის ზმანებით!..
სული ბობოქრობს ქვეყანაზე დაუტევარი,
ამხედრებული, ნაფეხურზე დინოზავრების!..

მოაქვს მთის ქარებს კვლავ ღრუბლები თოვლით ორსული,
ვდგავარ ზღვის პირას მძიმე სევდით გარემოცული!..

29.11.90
სოხუმი

***

რატომ დაგჩემდა ხეტიალი მთვარიან ღამით,
რამ შეგაყვარა ასე ძლიერ მდინარის პირი?
მიაყურადებ გაზაფხულზე ირმების ბღავილს, –
იქიდან, სადაც ტირიფები ირხევა ხშირი...

იხსენებ ღელვით გაფრენილი დღეების წყებას,
რომელსაც ხშირად უბრუნდები იდუმალ გრძნობით!..
მაგ სულის თრთოლვას ვერაფერი დააკლეს წლებმა,
რომელსაც კრძალვით ეფინება ფერები ყრმობის!..

დღეებს სალოცავს ეთხოვები ტკივილით დიდით,
რომელსაც აწი დაგიბრუნებს, ალბათ, ვერავინ!
ამ სამზეოზე ყველაფერი თავის გზით მიდის,
იხსენებ დღეებს – გაფრენილებს სისწრაფით ელვის!..

არ ვიცი, ასე რად ვაღმერთებთ ძალას ბუნების,
როცა გზას გვიხშობს ის ყრმობისკენ შემობრუნების?

27.05.92
სოხუმი

***

როცა ისარი შეწყვეტს ცახცახს ჩვენი საათის,
გადაუვლიან სივრცეს ქროლვით თეთრი ცხენები!..
მერე, არასდროს შეიცვლება ეს მისამართი
და მამულის ცით, ვიცი, ბევრჯერ დავიცრემლებით!..

დარეკავს ჟამი! მოვარდება ქარბუქი ზამთრის
და გაფრინდება გაზაფხულის თეთრი ფრინველი!
დროის დინება ჩვენს სიყვარულს არაფრად ჩათვლის,
რაა ამაში უჩვეულო, გასაკვირველი?!

საფლავის მიწა გამოფიტავს ბაგეებს ლამაზს,
აათამაშებს მთვარის ლანდებს ცისფერი ტოტი...
მერე, ცხოვრება, ჩვეულებრივ, თავის გზით წავა,
დაიფარება სველი ხავსით საფლავის ლოდი!..

ჩვენი სულები ვარსკვლავეთში ივლიან ფრენით,
თუ სიყვარულის ვარდფურცლობის შერმორჩათ ფერი!..

26.05.94
ბათუმი

***

ოთარ ცანავას ხსოვნას

წუხელ სიზმარში ნაღვლიანი გამომეცხადე,
დავიღალეო, ბიჭო, წოლით ამდენი ხანი!
მე შენთან ყოფნა–საუბარი დიდხანს მეწადა,
მაგრამ თვალებში მხოლოდ სასოწარკვეთა ვცანი!..

ტანზე კი გეცვა სამოსელი შავი, უხეში,
იდექი მარტო, უჩვეულოდ და ყრუდ გმინავდი!..
მოლურჯო შუქი გიფეთქავდა თვალთა გუგებში,
შემომხედე და უცაბედად გაუჩინარდი!..

საით წახვედი, ვერაფერი ვეღარ გავიგე,
უსაზღვრო სივრცე იყო ყრუ და დაუძლეველი!..
თითქოს, გარშემო ზამთრის ცივი იდგა ტაიგა
და ცახცახებდა უჩვეულო შიშით ტყე–ველი!..

გამომეღვიძა, ჩანდა სივრცე ნაფრმკრთალები
და განშორების ცრემლით მქონდა სავსე თვალები!..

20.07.98
მოსკოვი

***

გადავუქროლე საუკუნის უღელტეხილებს,
ომი, სისხლის ღვრა, ველურობა ვნახე მრავალი!...
შენი თვალების სილაჟვარდე რომ არ მეხილა,
ამაკივლებდა ზღვის სიღრმეში მზე ჩამავალი!

ვერ იქნა, დღემდე ვერ ვიშორებ დროის სიურჩეს,
კვლავ ხვნეშის გული უჩვეულო ცეცხლის მოდებით!..
რეკავს საათი, მაგრამ ღელვას ველარ მიყუჩებს,
ვაწყდები კაცი ჟამის კედლებს გაბოროტებით!..

ვერ მოვიტოვე საუკუნის ლაბირინთები,
ისევ, მიქრიან ეს დღეები შმაგი ჯენებით!..
არ მიცხოვრია სამზეოზე მხოლოდ მითებით,
რად მემუქრება, ეს დემონი გადაშენებით?!

უნდა დავსძლიო ტკივილები გაუსაძლისი,
რომ გავამართლო ქვეყანაზე ჩემი საწყისი!

22.01.01
მოსკოვი

***

ვიღაც მომყვება და, რა მკაცრად მითვლის ნაბიჯებს,
მზე ჩადის უხმოდ, გულს ტკივილი აღარ ურჩება!
აჰა, თამამად სამოცდაათს გადავაბიჯე,
მაგრამ კალამი სრულებითაც არ მეურჩება!

დროის მდინარე მიდის, ტალღებს მიათამაშებს,
ხან მზე იცინის, ხან ქარიშხლით სივრცე იმღვრევა!..
ლექსებს ვწერ, მაგრამ სულში სევდა ვეღარ დავაშრე,
გული ბობოქრობს, ალბათ, ისიც გადაიღლება!

ვაჟღერებ სიმებს, შეღამების რეკენ ზარები,
მშვიდობით აწი, – განშორების სევდა მედება!..
მე სიშორეში ახალ ვარსკვლავს დავემგზავრები
და შენ გიტოვებ ჩემ სულიერ შემოქმედებას!

გაზაფხულია, ვეთხოვები მინდვრებს მოლიანს,
ჟამი ვერ წაშლის ჩემს პოეტურ ტრაექტორიას!..

17.02.02
ბანძა

***

დავალ თბილისში, მაგრამ ვეღარ ვპოულობ თბილისს!
ნუთუ, შეცნობის დამეკარგა უკვე უნარი?
შემუსვრა ყოვლის, რატომ გახდა გარდაუვალი?
რატომ ქვითინებს უცნაურად ნიავი დილის?!

ასე ბეჩავი რატომ გახდა სული ქართული?
არარაობად, ნუთუ, იქცა ქვეყნად ყოველი, –
ვრცელი სამყარო რუსთაველის მიუწვდომელი,
ან ეს ტაძრები კელაპტრებად ცადაღმართული?!

მთაწმინდის მთვარე რატომ კვნესის იდუმალ ხმაზე?
რამ შეუცვალა ზღაპრულ ქალაქს შნო და იერი?
ამ ჩემს მამულში რას ბობოქრობს გადამთიელი?
ვერ იქნა, მტრისთვის ეს კარები ვერ გადავრაზეთ!

დავდივარ კაცი და ქალაქი მეუცხოება,
ნუთუ, დასრულდა სამუდამოდ ქართლის ცხოვრება?!

06.09.02
თბილისი

***

მოვედი შენთან ერთხელ კიდევ, მდინარევ ჩემო,
და განშორების სევდა მინდა რომ ავიცილო!
მიირხევიან შემოდგომის ღრუბლები ზემოთ,
ბავშვობის ჭალა სიყვარულით გამიფენს ჭილოფს!..

ვიხსენებ, უკვე გარდასული დღეების ზღაპარს,
როცა შენ გხედავ, გული ო, რა ძლიერად მიცემს!..
შორს, მთის კალთებზე ისევ, შლიან ნისლები ფაფარს,
გაჟღენთილია ხმით ბავშვობის ეგ შენი სივრცე!..

საცაა, ჟამი გამომტაცებს ხელიდან ავშარს,
ვინ იცის, სულო, სად წამიყვანს ტრიალი ბედის!
ბექობზე დგას და ჩემი თეთრი ჭიხვინებს ლაბშა,
ფლოქვების ცემით მომლოდინე ამაყი მხედრის!..

მივდივარ შენგან და თვალები ცრემლებს ვერ მალავს,
დაუვიწყარო ამ გულისთვის, მარად და მარად!..

04.10.02
ბანძა

***

ეს მზის სისტემა უშენოდ ხომ არაფერს ნიშნავს,
მის სილამაზეს მხოლოდ შენით ეძლევა აზრი!..
რაა სამყარო? – სივრცე მრუდე და მრავალნიშნა,
რა რჩება, თუკი გადაესვა სიცოცხლეს ხაზი?!

ირგვლივ ყოველი საოცარი ფერებით ფეთქავს
და არხევს სიმებს სიყვარულის სხვადასხვა ხმაზე!..
კვლავ შენკენ მიხმობს იდუმალი თამაში ფერთა
და აღტაცებით ვიმუხტები შენს დანახვაზე!..

საითკენ მიდის ჩვენი გზები, არავინ იცის!
მზე ეზიდება, ო, ეს რამდენ პლანეტას ერთად!.
მე თვალს ვადევნებ სიშორეში ვარსკვლავთა ციმციმს
და შენზე ფიქრით, ისევ, ვათევ ღამეებს თეთრად!..

აზრი მატყუებს, მაგრამ გრძნობით ყველაფერს ვსწდები,
მივილანდები ორღობეში დაღლილი წლებით!..

26.10.02
ბანძა

***

ო, აქ ბავშვობის ნაფეხურებს დავეძებ ისევ,
დავდივარ ჩუმად... ფოთოლცვენის არის რიალი...
ნეტავ, სად გაქრა ის სინაზე და სიმაისე?
შემომხვდა ჩემი ატმის ტოტი თვალცრემლიანი!..

ვერ განვერიდე მოგონების ტკივილებს მწარეს,
მიცურავს მშვიდად ცის თავანზე ღრუბელი თალხი...
სად არის ო, იმ გაზაფხულის თვალები მწვანე,
საით წავიდა, აქ რომ იყო, ნეტავ ის ხალხი?!

რად შემაშფოთე მოგონებავ, ო, ასე ძლიერ?
ტკივილი ერთობ მომეძალა, ჯვარცმული გავხდი!..
ვხედავ, რომ ჩემი შემართება მხოლოდ შენ სძლიე,
საით გამექცა ის დღეები ესოდენ ნაღდი?!

კვლავ მიდის წყარო ნაღვლიანი, ჩემი სატივე,
მოგონებებო, ასე ცხარედ რად ამატირეთ?!

13.11.02
ბანძა

***

ტრამალებიდან ნაზამთრალი მგლები ყმუიან,
ადევნებული სიშორიდან ბილიკს მთვარიანს...
სივრცეს უდაბურს ქარიშხალი გადიშხუილებს,
მოდის აპრილი, ჩემს მამულში კვლავ ავდარია!..

სანთლებით ხელში საფლავებზე დადის სანათა,
ამ დემონებმა ეს რამდენი სისხლი დალიეს!..
რას უცდი, მზეო, მთელი ძალით ამოანათე,
უმღერე ჩანგო, განახლებას – მრავალჟამიერ!

დრო მიქრის, მაგრამ გული ბოლმას უკვე ვერ იტევს,
საუკუნეებს გაუსწორე თვალი ამაყად!..
ლექსო აენთე! ჟამის სათქმელს არ მოერიდო,
თორემ ცხოვრება, ერთობ, გაქცევს მტვრად და ბალახად!

ჩემო მამულო, შენც ქრისტეს გზა გაიზიარე,
ტანი დაგგლიჯეს, სული ვეღარ დაგიზიანეს!

28.03.03
თბილისი

***

ჩემს შვილებს – ნანას და გოჩას

ჩვენ გამოვდივართ, მოქანცულნი ბრძოლის ველიდან,
თქვენ კი შედიხართ მთელი ძალით და შემართებით!..
ასე იყო და, ასე არის ამიერიდან,
ბუნების ამ წესს, ერთი მითხარ, რას ვემართლებით?!

კაცობრიობის ბილიკები მოდის შორიდან,
არა გალობით, ო, არამედ – ბრძოლით, ხმაურით!..
გეძახით ჟამი!.. თქვენი ჯერი უკვე მოვიდა,
ჰა, თალპიონზე დგას ხაფი და აურზაური!..

ეცადეთ მუდამ, არ მოგედოთ შიში მზარავი,
არავინ იცის, ძვირფასებო, თუ რა მოგელით!..
გაიყოლიეთ მხოლოდ რწმენა გაუბზარავი
და მკერდი მედგრად შეუშვირეთ ქარებს მობერილს!..

ჩვენ კი ვეშვებით, თქვენ კი ფრთებს შლით, უტევთ
ვერტიკალს,
მაშ, გაუმარჯოს ბუნების ამ დიალექტიკას!..

29.05.09
მოსკოვი

***

ფრთხილად დაადგი ამ მიწაზე ფეხი, იცოდე,
ამ ცას და მიწას, უპირველეს, ეცი თაყვანი!
ადამიანი! ზენაარმა მისთვის გიწოდა,
არ დაამსგავსო ეს პლანეტა მსხვერპლად აყვანილს!

მზის სისტემაში ერთადერთი ესაა მხოლოდ
სილამაზის და შთაგონების ნაღდი გარანტი!..
ეცადე იმას, რომ სიცოცხლე არ ჩაიქოლოს
და მოახმარე მის მშვენებას შენი ტალანტი!..

გავერანებულს, ნაპარტახალს ნუ დაამსგავსებ, –
მშობლიურ მიწას, ვინც ერთგულად ძუძუ გაწოვა!
იყავი მუდამ სიყვარულით, სიკეთით სავსე,
ნუ გადარუჯავ ამ ქალაქებს, ტყეს და საძოვარს!

ბუნების ძალამ უანგაროდ შენ ეს გაჩუქა,
მერწმუნე, ძმაო, დაფასება უნდა ნაჩუქარს!

12.06.03
მოსკოვი

***

დადგება ჟამი ატომური მკაცრი დუელის,
გამარჯვებული აქ არავინ იქნება მაშინ!
ამ ულმობელ დროს გადარჩენას ნურავინ ელის,
გადაუვლიან დემონები პლანეტას მარშით!..

შმაგი ნაბიჯით ყველფერი იქითკენ მიდის,
რომ არსებული იქცეს მხოლოდ ნანგრევთა გროვად!..
ამაზე ამბობს უთვალავი ეს რაკეტმზიდი,
დაფარავს სივრცეს წამებულთა კვნესა და გლოვა!..

საშინელ ნგრევას ვერ უშველის ლოცვა-ვედრება,
ვერ აიცილებს დედამიწა ვამპირთა სისინს!..
ყოფნა-არყოფნის შიში მიწას უკვე ედება,
ღმერთის თვალებში ირეკლება ჩვენდამი ზიზღი!..

არც ზღვა დარჩება, არც ეს მთა და არც ეს ზეგანი,
და გავიბნევით სივრცეებში უკიდეგანოდ!..

16.06.03
მოსკოვი

***

შენ გული გქონდა, საყვარელო, თბილი და სუფთა
და არ იცოდი თუ რა იყო შური და ბოღმა!
მაგ ხმის ხავერდში ვარდფურცლობის ისმოდა სუნთქვა
და სიოს ფრთებზე, ვით ლერწამი, არ გრძნობდი მოღლას!..

ღამით ვარსკვლავნი გისხდებოდნენ უბეში მორცხვად
და გაზაფხული აღტაცებით გვასმევდა შარბათს!..
ათი ათასჯერ ბაგეები მიწვევდნენ კოცნად
და მიზიდავდნენ უჩვეულო ტრფიალით ხარბად!..

გაფრინდა ის დრო მოგალობე ჩიტების დარად
და ჩემს ტკივილლებს ახლა უკვე ვერავინ შველის!..
ხსოვნად შერჩება ის დღეები ამ ლექსებს მარად,
ვით ჩემს ზმანებას იდუმალი ნათელი შენი!..

წავიდა ჟამი და მიმაგდო გზაზე ჭაღარით,
ის მიქრის, სადღაც, და თან მიაქვს ნაყაჩაღარი!..

12.06.03
მოსკოვი

***

უშენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან!
ვერ გეფერები, მაგრამ მაინც იმედით ვსუნთქავ!..
ვერ იქნა ქვეყნად ბოროტება ვერ გადაშენდა,
თუმც უძლურებაც ბოროტების არავის უთქვამს!

ორთა ბრძოლაში სიკეთესთან, ის უფრო ხშირად,
ათასგვარ ხერხით წარმატების მიღწევას ცდილობს!
ხან შემართებას გოლიათურს სასტიკად ჩრდილავს,
რომ სიდიადე შეურაცხყოს და დაამციროს!

და მის ქმედების დასასრულს ხომ ბოლო არ უჩანს,
ის ფოცხვერიივით მოზომილი ნაბიჯით დადის!..
ბევრჯერ დაფარა შავი ღრუბლით ეს ზეცა ლურჯი,
ასი ათასჯერ ხელთ ჩაიგდო სამეფო ტახტიც!

ის უზენაესს, ნუთუ, აღარ ემორჩილება?
კაცობრიობას იგი უკვე ექცა დილემად!..

08.07.03
მოსკოვი

***

თუნდაც იარე ქვეყანაზე გზებით უვალით,
მის მახინჯ სახეს მაინც ვერსად დაემალები!
თუ გინდ გაიქეცი, გახდი კაცი უცხოდ მარები,
მოგიწევს ბრძოლა ბარიერთან გარდაუვალი!..

შიშით გათანგულს ის ამარცხებს ძალზე უბრალოდ,
მამაცის ლანდის დანახვაზეც კრთება მაცილი!
ბევრჯერ გათელე ფეხქვეშ მკაცრად დრო და მანძილი,
ოსტატის ფასი, თუმც სიკვდილმაც იცის, უფალო!

გმირს და გენიოსს ის ვერასდროს ვეღარ ეწევა,
ისინი სივრცეს გადუვლიან ღელვით, ხმაურით!..
სიკვდილსაც ერთობ აღმოხდება ხმა უცნაური,
როცა მის ფრთებზე საუკუნოდ დაილეწება!..

რეკენ ზარები!.. და გუგუნებს ერთობ მთა-ველი!..
ტოვებს ნაფეხურს გორგასალი და რუსთაველი!..

19.07.03
მოსკოვი

***

რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო!
ვის სჭირდებოდა ეს ქალაქი, ან ეს სოფელი?
იქნებ, არც იყო ამ მიწაზე მოსვლა საჭირო,
თუ იქნებოდა ხოცვა-ჟლეტა დაუნდობელი?!

თუ ბოროტებას ფრთები აღარ დაელეწება,
დაიხურება, აქ ყველა გზა შუქით ნაფერი!..
სივრცე ზღაპრული, ქარაშოტით დაიწეწება
და რა დამრჩება? – გზები რუხი, სხვა არაფერი!

რატომ და რისთვის? – დღენიადაგ განსჯას ვუნდები,
რად ვეურჩებით ასე უღვთოდ ძალას ბუნების?
თუ მიგვატოვა, ის არასდროს არ დაბრუნდება
და ყველაფერი დამთავრდება უდაბურებით!.

ჩვენ მივეჩვიეთ სისხლის ნთხევას, ჩეხვას, კვეთებას,
და დღემდე მხოლოდ გზა წამების გვეიმედება!

23.08.03
მოსკოვი

***

მე ჩემს ამ სიცრცეს გავაჯერებ, ძვირფასო, დარდით,
რადგან ამ ქვეყნად უჩვეულო წამება მერგო!..
დავდივარ უხმოდ და გულიდან ცრემლები დამდის,
რომ ვერ აყვავდა ჩემს წიაღში ფარული ნერგი!

და ჭრილობებმა დღემდე ვეღარ შეიკრა პირი,
არ ითქმის ენით ამ ტკივილმა როგორ ამანთო!..
და შავი ფრთებით დამსისინებს თავზე ვამპირი,
დავხეტიალობ, სადღაც შორს, შორს, უმისამართოდ!..

გამოვეთხოვე ჩემი ქვეყნის სევდიან ხედებს,
ვერ გამიგია ვერაფერი ჟამის დინების!..
თავისუფლების მწვანე ზღაპარს ამაოდ ვენდე,
მითრევს მორევი და მე კი ხავსს ვეპოტინები!..

ეს საუკუნე გახდა ჩემთვის გაუსაძლისი!
ამ ბოროტების ვერ შევიცან, – რაა საწყისი?!

17.11.03
მოსკოვი

***

ამ ცას და მიწას, ალბათ, დიდხანს ვემახსოვრები,
საცაა, მთა–ბარს მოაწყდება ქარი აშარი!..
დგანან ხეები მდინარის პირს, როგორც მსტოვრები,
ცურავს სივრცეში ვარსკვლავების თეთრი ლაშქარი...

მიდის ცხოვრება ხელხუვებით, ვით მთის მდინარე
და მის სივრცეში მღვრიე ტალღა ფეთქავს ულევი!..
იმღერე სულო! დიდხანს აღარ გაუჩინარდე,
მიართვი მერმის შუქით სავსე თაიგულები!..

შენ, ამ მიწაზე არ გივლია უმტკივნეულოდ,
თუმც, ბევრი გახსოვს დღე ლამაზი, ღამე ნათელი!
არ გაქვს უფლება დამივიწყო, გულის რჩეულო,
რადგან მე შენში სიყვარულის ვანთე სანთელი!..

მოდის ზამთარი,... ალბათ, გული ღელვას მორჩება!
ცვივა ფოთოლი,... მაგრამ ბალი კვლავ ინორჩება!..

25.11.03
მოსკოვი

***

აქ ყველაფერი დროის ფრთებზე მიედინება
და უძრავსა და გაქვავებულს ვერაფერს ნახავ!
დრომ იცის ჩუმი ჩასაფრებაც, თუკი ინება,
თუ გაგიმეტა – ის ათასჯერ გაძგერებს ლახვარს!..

ტკივილს და ცრემლებს იშვიათად გაიზიარებს,
მის მკაცრ დინებას, რომც გინდოდეს, ვერასდროს შეცვლი!
ვერას შეასმენ! – გულს საშინლად დაგიზიანებს,
თუნდაც უყვარდე, – მიაყარე ყრუ კედელს ცერცვი!..

ის ყველგან მეფობს, გაუთელავს არაფერს სტოვებს,
თანაც ფრთხილია, ფოცხვერივით მუდამ ფხიზელი!
თუ მიენდობი, – შუქს მოგაღვის საოცრად ცხოველს,
ხან ისე გაგხდის გაწყვეტაზე გქონდეს კისერი!

მიდის და ანგრევს ათასობით ქვეყნებს, ქალაქებს
და მერე სიკვდილს უმოწყალოდ მოაბალახებს!..

29.11.03
მოსკოვი

***

მას სათავისკენ კვლავ მოუნდა შემობრუნება
და წარსულისკენ ნაწამებმა პირი იბრუნა!..
სახეს ნაღვლიანს ღრუბლითა და ნისლით იბურავს,
და უცნაურად გაფერმკრთალდა დედაბუნება?!

ამ სიდიადეს თუკი გონი უდევს საფუძვლად,
ნეტავ, ასე რად შეუპყრია უიმედობას?!
მრუდე სურვილმა სიღრმეებში ისე შეტოპა,
რომ ლაქაც აღარ შემორჩება, ალბათ, ნაფუძარს!

მზე ვერასოდეს გაანათებს ცისფერ აივნებს
და სამუდამოდ ბნელს და ქაოსს დაემონება!..
აწი ვერასდროს მიენდობა მაღალ გონებას,
არც აინშტაინს, არც ფერმსა და ჰოპენჰაიმერს!

დაიპყრეს სივრცე დემონებმა დაუპყრობელი,
მიექანება უფსკრულისკენ, ნუთუ, ყოველი?!

29.06.03
მოსკოვი

***

მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად,
იყო ქუჩები ზამთრის რუხი ნისლით ნაფერი...
ვაყურადებდი არემარეს ეული ფხიზლად
და აწყდებოდა ზღვა ნაპირებს... სხვა არაფერი!..

აქ სასაფლაოს შემზარავი დუმილი იდგა,
ძლივს კრთოდა ნისლის სიშორეში მთვარის სხეული...
მე დავდიოდი უკაცრიელ ქუჩებში დიდხანს,
ისევ შხუოდა ქარის ფრთებზე ზღვა ამღვრეული!..

მთა საოცნებო დაეფარა უჟამო სევდას
და სიბნელეში ის ყრუდ იყო, თითქოს ჩაფლული!..
ირგვლივ ყველაფერს მხოლოდ მკვდრული სიჩუმე სდევდა,
არ ირხეოდა ო, იმ დღეთა აფრა ზღაპრული!

და ვიხსენებდი კაცი წარსულს სულით ნათელით,
გავცქერი ქალაქს ბედისწერის ფლოქვით გათელილს!..

12.12.03
მოსკოვი

***

მზის სისტემაში ჩვენ სიცოცხლეს ამაოდ ვეძებთ,
თანამგზავრებით სიშორეებს ამაოდ ვკეცავთ!..
იქნებ, ო, სული უმეგობროდ ვერა და ვერ ძლებს,
ან იქნებ, სწრაფვა სიმაღლისკენ წყურვილად გვექცა?!

დედამიწაა ოაზისი ტრფობის, ოცნების,
ადამიანმა ოღონდ ისიც დაამახინჯა!
მივალ ამაყად, მიწავ, შენით განაოცები
და აღარ მინდა დაგამსგავსონ, დედავ, სახიჩარს!

რასაც აქ ვხედავ, ნუთუ იგი არაფერს ნიშნავს?
ნუთუ, იმდენად ვერ ამაღლდა გონება კაცთა?
რატომ ვაქციოთ ეს ზღაპარი ფერფლად და ქვიშად,
დუმილის კლიტე, რად დავადოთ ყველაფერს მკაცრად?!

ადამიანო, ნუ მოითხოვ პირქუშ საბურველს,
არაა ძნელი მიწა ისევ გაუდაბურდეს!..

10.01.04
მოსკოვი

***

მ. ს.

სიტყვა და საქმე სააკაძის ხმალივით გიჭრის,
ბორგავს ვეშაპი, მაგრამ ფარ-ხმალს არა და არ ყრი!
ჩვენ კარგად ვხედავთ, მეგობარო, თუ როგორ გიჭირს,
მსოფლიოს უხმე, მერამდენედ ჩაჰბერე საყვირს!..

ერის ტკივილი მწვერვალივით აზიდე მაღლა,
რომ შენი ხალხის გასაჭირი მსოფლიომ ნახოს!..
შავი ვეშაპი ჩასაყლაპად მოაწვა ბაღნარს,
შენ კი ხანჯალი მკერდში – გულთან უმარჯვე ახლოს!

ეს მერამდენედ გადავურჩით ნანგრევად ქცევას,
ერთობ გაწამებს პოლიტიკა ხალხების ჩაგვრის!
ჩვენ ხომ ერი ვართ საამაყო დ არა სქემა,
კვლავ ვდგავართ მედგრად იალბუზზე რუსთაველის
ჩანგით!..

შენ უტევ მძლავრად ბედისწერის ულმობელ ტრიალს
და მოაქვს, ისევ, გაზაფხულის სურნელი ნიავს!..

19.04.04
თბილისი

***

ამ პლანეტაზე მე ვიცხოვრე უმკაცრეს დროში,
ეს ყველაფერი ვინ მარგუნა? მითხარით, რაზე?
ჩემი ოცნების ცის თავანზე დაინგრა კოშკი
და მოვიქანცე ხეტიალით მოლიპულ გზაზე!..

ჩემი ქალაქი ვამპირების საბუდრად იქცა,
არ დამკლებია: ქარიშხალი, სეტყვა და თოში!..
შემომიტია მერამდენედ ტკივილმა ფიცხლად
და მე ვბრუნდები ჩემ სანუკვარ საქართველოში!..

სიკეთის ფესვი ვინ დაგლიჯა ხელით მსახვრალის,
ეს ვინ ამივსო ჩემი ბაღი სისხლის მორევით?
არ მინდა ვნახო, უკვე ჩემი ნამოსახლარი,
არც ის მინდორი – ნახტომებით ნიამორების!..

გემშვიდობებით სანახებო და ზღვის ნაპირო!..
და თან მომყვება სევდა მძიმე და უნაპირო!..

25.09.04
მოსკოვი

***

ს – მ.

დადევი ფიცი შენ საფლავთან დიდი დავითის,
დაუჩოქე და ეამბორე მის დიად აჩრდილს!
მამულის ტრფობა უწმინდესი სანთლად აინთე
და შენ ამ ფიცის რაინდულად ერთგული დარჩი!..

უსულგულობით იდგა იგი დაღუპვის კართან
და კარგად ვიცით – რა ულმობლად ბრუნავს სოფელი!..
გადააფარა შენს გმირობას მფარველმა კალთა,
გამართე ბრძოლა მამულისთვის დაუნდობელი!..

შლიდნენ იალქნებს მოვლენები სისწრაფით ელვის
და მხოლოდ ბნელი კოშმარული მეფობდა ირგვლივ!..
შენ ვაჟკაცურად სამსახურში ჩადექი ერის,
რომ არ ექციათ კართაგენის ნანგრევად იგი!

ო, ისევ, რწმენის, გამარჯვების მუსიკა უკრავს,
ვერ გაიხადა საქართველო ვეშაპმა ლუკმად!

26.10.04
თბილისი

***

ანგელოზებო, დაგიმსხვრიეს სიერცე ფერადი
ეძებენ, ახლა, თუ ვინ არის მტყუან-მართალი!
უკეთესია ქარიშხალი დაუბერავდეს,
რომ მტვრად აქციოს ჯოჯოხეთის ეს სამართალი!..

ის აღმოცენდა ნანგრევებზე ბნელი ძალების
და ბოროტებას ბოროტება უდევს საფუძვლად!
მას აღარ შველის ხელოვნური ფერიცვალება,
მხოლოდ ამოთხრა-ამოძირკვა უნდა ნაფუძარს!

ეს სისხლიანი ნაფლეთები დახოცილ ბავშვთა
გამოფინეთ და შეახედეთ მსოფლიო კარგად!..
ქვეყნიერება სინდისისგან, ნუთუ, მთლად დაშრა,
რომ ყველაფერი არსებული სახეს რომ კარგავს!..

შენ წყევლა-კრულვით მოგიგონებს ყველა თაობა,
დასაბამიდან რადგან იყავ არარაობა!..

09.11.04
მოსკოვი

***

ცის სიშორეში ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი,
მიყვარს შეფოთლილ, ტოტებგაშლილ ხეებქვეშ დგომა...
ჩემს სულში უკვე გაზაფხულის ჩიტუნა ტირის,
მტკვარს გადავცქერი სევდიანი, ვით შემოდგომა!..

ჩემი თბილისის ისევ ვეტრფი ქუჩებს, ხეივნებს,
თუმც რამდენ რამეს რა უღმერთოდ ეცვალა ფერი!
დუმს სული მკაცრად, ის არარის დღეს მოზეიმე,
წავიდა ჟამი სიყვარულის და აღმაფრენის!

გულხელდაკრეფით ვხვდები მთიდან მონაბერ ნიავს,
ვდგავარ მღელვარე და თვალებზე ცრემლშეუშრობი!..
და მამჩნევია ეს რამდენი ჭრილობა ღია,
მაგრამ ვერ ვშველი უჩვეულო სატკივარს მშობლის!

დავალ მწუხარე, ვერ ვიშორებ ნისლის საბურველს,
ნუთუ, ჟამთა სვლა ყოველივეს აუდაბურებს?!.

09.09.05
თბილისი

***

ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას,
როცა სერავენ არემარეს გრძელი ჩრდილები...
ბევრი გელოდე, მაგრამ ნახვა აღარ მეღირსა,
ვდგავარ ბექობზე გადაღლილი, ფიქრით ვილევი!..

აქ ყველაფერი ჩემთან ერთად მიედინება,
რა შორს ირხევა პორიზონტზე ჩემი საწყისი!..
საით მივყავარ ო, ამ უჟმურ მღვრიე დინებას
და რატომ გახდა ყოველივე გაუსაძლისი?!

მზის ბილიკიდან გადავდივარ მთვარის ბილიკზე,
ვუცქერ და ზღვაზე ცარიელი ნავი ქანაობს...
ო, ეს რამდენჯერ ამიცრემლა ჟამმა პირიმზე
და სევდიანი ჩემი ფიქრი შორს მიქანაობს!..

რა მემართება? – ასე დარდით რატომ ვივსები?!
რა დრო გასულა, – სივრცეს აღარ ვეხალისები!

12.09.05
თბლისი

***

ო, დედამიწის დაღუპვის წინ ჩემი აჩრდილი
ნანგრევის ლოდზე ჩამოჯდება სევდანასვამი!..
დარჩება გზები გადახანძრულ–გადაჩრდილული,
დაფარავს ზეცას ყორნის ფრთები მრუმე სავსავით...

გაბზარავს კოსმოსს ხმა ზარების უკიდეგანოდ,
მზე ძოწისფერი კვლავ აიკლებს სივრცეს ბღავილით!
შორს, ჩამიქრება მოქათქათე მთვარის ზეგანი
და ატირდება ჩემი სატრფო – მინდვრის ყვავილი!..

ცის უფსკრულებში შთაინთქმება ხმები დიადი,
დაიწეწება ჩემი სულის რბილი ქსოვილი!..
ჩვენს ნაკვალევზე რა დარჩება? – მხოლოდ წყვდიადი!
ჩაქრება სივრცე სამუდამოდ მოოქროვილი!..

შენ მზის სისტემის სათაყვანო იყავ ასული,
ცის უფსკრულებში ჩაიშლები მზეგადასული!..

14.09.05
თბილისი

***

„უნდა დაინგრეს კართაგენი“

სციპიონ აფრიკელი (უმცროსი)

ამ ღრმა ჭრილობებს გამიმრთელებს აწი ვერავინ,
მთელი სურათი ტრაგედიის მეშლება თვალწინ!..
როცა ქარები ჩრდილოეთის დაუბერავენ,
რად უსველდება ჩემს ქვეყანას ცრემლებით ღაწვი?!

სისხლის ლანქერმა გადარეცხა ჩემი მთა–ბარი,
მახსენდება და ზღვა კვლავ იწყებს გრიგალში კივილს!..
ჩემი მამული, ისევ ბორგავს სისხლით ნაბანი
და მერამდენედ სულში სევდის აცურდა ტივი!..

ო, აფხაზეთო! ვინ აგანთო შურისძიებად,
ეს ვინ გაგხადა ასე გიჟი, სულით სნეული?
მაგ ახირებას, რომ იცოდე შეეწირები,
მაგრამ ფერფლისგან კვლავ აღსდგება შენი სხეული!..

შენ ნაწილი ხარ საქართველოს განუყოფელი
და, რატომ გახდი, ასე უღვთოდ დედისმგმობელი?!

15.09.05
თბილისი

***

ამოდის მთვარე ცის თავანზე ლაწვებმწყაზარი
და ათოვს მთა-ბარს მოცისფერო შუქის ხავერდი...
დგანან მდუმარედ ო, ეს მთები უზარმაზარი
და მათზე ფიქრებს ბავშვობიდან შემოვაბერდი!..

როგორ გაუძელ ამდენ ტანჯვას, მამულო ჩემო?
ხან ხმლისკვეთებით, ხანაც კიდევ მონის უღელით!
დასაბამიდან ბოროტების ეომე დემონს
და შემართებით დგახარ დღემდე მკლავმოუღლელი!..

კვლავ შლი იალქნებს სიშორეში სამოგზაუროდ
და უჩვეულო სურვილებით ისევ ინთები!..
ხან ჩრდილოეთის ქარი გიტევს, ხანაც ზღვაური
და ვერ დახურეს მაინც შენი გზები დიდების!..

შენ, ამ პლანეტის მემკვიდრე ხარ, თანაც თამამი
და წინ მიგიძღვის სხივნათელი დროშა თამარის!..

16.09.05
თბილისი

***

მიდის ცხოვრება და, თან იცვლის ფერს და კალაპოტს,
ხან ცისკარს ვუხმობთ, ხან ვირხევით მწუხრის ჩრდილებად!..
რამდენიც გინდა ეფერო და ელაპარაკო,
ის შენს სურვილებს არასოდეს ემორჩილება!

როცა გრიგალი მოვარდება, ზღვა მოგუგუნე
მღვრიე ზვირთების მოზღვავებით ხეთქავს ჯებირებს!..
ვიღაც გვაბრძოლებს! საუკუნე ცვლის საუკუნეს,
მაგრამ ბოლომდის არასოდეს გვამარჯვებინებს!

მზერით ვაწყდებით, ყორნებივით ღრუბლებს აშლილებს,
სივრცე ცახცახებს! ულმობელი შიში გვედება!..
ცა კი მიწასთან ფარიკაობს ელვის დაშნებით,
ო, ასეთია წუთისოფლის შემოქმედება!

მზემ სიშორიდან სიბრალულით ბევრჯერ დაგვხედა,
როცა ცხოვრებამ დაგვამსგავსა ბებერ სახედარს!

03.12.05
მოსკოვი

***

მიმართულებას ეს ცხოვრება ნიადაგ იცვლის,
ხან ალმა მიდის, ხან კი დალმა მიექანება!..
დღეს ფრთებს შეგასხამს, ხვალ რას გიზამს, არავინ იცის,
ხან ნიავს გირხევს, ხან აგიკლებს ზამთრის ქარებით!..

მოულოდნელად გადაგივლის თავზე ზვირთებად,
როცა სიცოცხლის აფრებს გაშლი კაცი ხალისით!..
და შენ ყოფნიდან არყოფნაში გადაირთვები
და ყველაფერი სიშორესი წავა თავისით!..

მიხვალ ბილიკზე, ჟამი ყორნის თვალებით გიმზერს,
პირდაფჩენილი უფსკრულები გიახლოვდება!..
მხოლოდ ლექსები სიყვარულის ჩავწეროთ ფირზე,
რომ იგრძნოს სულმა უჩვეულო ცეცხლის მოდება!

სანამდის ვცოცხლობთ, თავს ნუ ვიღლით ამაო ფიქრით,
არავინ იცის მეგობარო, საითკენ მივქრით!..

11.12.06
მოსკოვი

***

„ვით სპარტანელი ფარსდაყრდნობილი
ამაყად ვდგავარ!“
ლორდ ბაირონი

შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა,
სულით–ხორცამდე პოეზიის ცეცხლში იწვოდი!..
პლანეტის მკერდზე ღამის შავი ვეშაპი იწვა,
უკან დახევა, თუ რა იყო, აღარ იცოდი!

კაცი სამშობლოს აუჯანყდი ყალბს, ხავსმოდებულს
და ყრუ კედლების შენ ერთბაშად სცადე განგრევა!..
ებრძოდი მედგრად ამ სამყაროს გაბოროტებულს,
რომ ის გექცია კართაგენის პირქუშ ნანგრევად!..

გადაიქროლე შენ სიმღერით ჩაილდ–ჰაროლდის,
ზღვა და ხმელეთი... შემართება გასცდა მოლოდინს...
თავისუფლებას მხოლოდ შენკენ მოუხაროდა
და მისთვის ბრძოლას შეეწირე კიდეც ბოლომდის!...

იდექ და ალპებს ახეთქებდი მსოფლიო სევდას
და რას დაგაკლებს ჟამი ურჩი კოსმოსურ მხედარს?!

12.08.03
მოსკოვი

***

კაცობრიობის ისტორია შობეს ომებმა,
არაკაცებო, თქვენ რით დგახართ მხეცებზე მაღლა?
ო, ლამის არის, ეს პლანეტა წალეკოს წარღვნამ,
თარო, ამაოდ იზნიქება ბრძნული ტომებით!

გაჩენის დღიდან მტრად ექეცით დედა პლანეტას
და აჩანაგებთ ყოველივეს, რასაც ეხებით!
გათელილია უმოწყალოდ თქვენი ფეხებით,
ო, ამ ვეება დედამიწის ყველა განედი!..

სამოთხე მიწის ვერ იქნა და ვერ შეიფერეთ,
იზმორებიან ველ-მინდვრები სისხლის ტბორებით!..
ეს რა ცოდვა გჭირთ დასაბამით მოუშორები,
ო, ლამის არის, ფერფლად იქცეს ეს ბიოსფერო!..

სიცოცხლეევ, რწმენას შენ ამაოდ ეპოტინები,
შორს, მიირხევა ყოველივე თავის დინებით!..

30.12.05
მოსკოვი

***

პირქუშ კედლებთან დაბოღმილი ვდგავარ ეული,
დრო ისე მიდის, როგორც ქარში ღრუბლები შავი!..
ვაწყდები სივრცეს კაცი მღვრიე ფიქრების ზვავით
და დამჩხავიან ყვავ-ყორნები ცოფმორეული!..

გავცქერ ამ ბუნაგს!.. კაცმა ღელვა ველარ დავმალე,
ბრძოლის ველიდან მოაქვთ ხორცი სვავებს ბრჭყალებით,
ყველაფრისადმი სიძულვილით განიმსჭვალები, –
თავისუფლების რომ გახედავ ცოცხალ სამარეს!..

ის ბოროტების შეკრულია ყველა ნიშანით,
ტანში გაჟრჟოლებს, შემოგხედავს, როცა უბრალოდ!
სტრიქონებს ლექსის ისე ვისვრი, როგორც ყუმბარებს,
რომ ეს კედლები ჩამოირღვეს, ჩამოიშალოს!..

ფრთხილად იარე! არ მოგედოს თავად ხანძარი,
თორემ იქცევი გორმახებად ფერფლის, ნაცარის!...

10.01.06
მოსკოვი

***

კეთილი ერთობ დავიწყებას ეძლევა უკვე,
ეს ცისქვეშეთი, ვინ აქცია დემონთა ბუდედ!
გახედე ამ გზებს, ღვთის დასწყევლილს, სასტიკად მრუდეს,
რომ ბოროტება ბოროტებას კვლავ გუნდრუკს უკმევს!..

ეს უღმერთობა, ღმერთის სახელს რად ეფარება?
თქვენგან ჩადენილ დანაშაულს არა აქვს კიდე!..
კვლავ დიდ ტაძარში დადიხართ და ლოცულობთ კიდეც,
რომ გაიხადოთ ქვეყანაზე ღმერთი მფარველად!

დღემდე, ვით შესძლო ამ პლანეტამ დაღვრილი სისხლით
ასე გაჟღენთვა, მერე მისი უჩინარყოფა?!
ამ დანაშაულს, მაგ თქვენს ხელებს ვერავინ მოჰბანს
და თქვენს ნაკვალევს ღმერთი მაღლით დაჰყურებს ზიზღით!..

ვეძებ სათავეს ბოროტების, – ვეღარ მივაგენ!
და, რასაც იგი იმსახურებს ლექსით მივაგე!..

31.01.05.
მოსკოვი

***

მ.-ს.

როგორც რაინდი ტრიბუნალის წინაშე იდექ,
გასამართლებდა მართლის თქმისთვის, მსაჯულთა ბანდა!..
ო, ეს რამხელა სატკივარი შენ ერთმა ზიდე
და ჩამოხიე ბოროტებას ბოლომდე ფარდა!..

მართლმსაჯულება ქვეყნიური სიბილწედ სცანი,
მის გზა-ფარსებზე რა ამაყად გადინადირე!..
შენ ტიტანივით აღიმართე და მთელი ძალით
უსამართლობას ცხვირ-პირიდან სისხლი ადინე!..

და სიცოცხლეში საუკუნის გასცდი სამანებს,
შენი სახელი განახლების სიმბოლოდ იქცა!..
ზრახვა „მამათა“, რადგან ცოცხლად დაასამარე,
ვერ შემოგბედავს დავიწყებას – ეს დედამიწა!..

დრო, ერთ ფოთოლსაც ვეღარ მოსწყვეტს მაგ შენს დიდებას,
რადგან შესძელი უღმერთობის გაბედითება!..

12.03.06

***

რა დაგიშავათ ამ პატარა გოგონამ, ნეტავ?
მშობლების თვალწინ, რომ ულმობლად აკაფეთ დანით!
განბანეთ სისხლში კალმახივით მფეთქავი ტანი,
დავალ მდუმარე, ვერ ვიშორებ ტკივილს და სევდას!

შეხედეთ, დღემდე ქუჩა როგორ ცახცახებს შიშით,
შეხედეთ ხეებს, ნანახით და განცდილით მოხრილთ!
კვნესის მიდამო და მევსება სხეული ბოღმით
არამზადებო, მხეცის გულით, ნეტავ, სად იშვით?!

ამ პატარას ნეშტს ო, თერთმეტი ჭრილობა მიაქვს,
რას უცდი, ყველას გასაგონად, იყვირე გულო!
ასი ათასჯერ გადამწვარო და გადახნულო,
არ შეურიგდე საუკუნის ჭრილობებს ღიას!

თუ ეს შური და სიძულვილი ვერ ამოვბუგეთ,
მაშინ ქვეყანა დაღუპულად ჩათვალეთ უკვე!

27.04.06
მოსკოვი

***

მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების,
ხან ბულბულივით მოგალობე, ხანაც მყივანი!
ეს იყო შენი მოუდრეკი სულის სუფევა,
ო, შემართული ცისქვეშეთში, როგორც მყინვარი!..

დაუნდობელი მტერი იყავ ჩაგვრის, მონობის,
არ გაგივლია სამზეოზე გზა უფერული!
სწვდებოდა მწვერვალს სიდიადე შენი გონების,
გზას იკაფავდი ჯაჭვარდნით და დავითფერული!..

მზე დაგცქეროდა იმედივით დიდი თამარის,
დიდხანს ბორგავდი სასიკვდილოდ ხელში ურჩხულის!..
ბარბაროსებმა გადმოლახეს ვრცელი ტრამალი
და წალკოტები შეგვატოვეს გადარუჯული!..

ერკინებოდი შენ გრიგალებს – მუხა ბებერი,
რადგანაც გქონდა სული მარად აუღებელი!

05.06.06
მოსკოვი

***

ნუ დავაჩქარებთ მშობლიური პლანეტის სიკვდილს,
ო, ნუ ჩამოვჭრით იმ ტოტს, რაზეც ლამაზად ვზივართ!
კაცთა ბუნების სივერაგე საოცარად მიკვირს,
მივდივართ სადღაც, და არ ვიცით საითკენ მივალთ!..

შეხედეთ, კარგად დედამიწას უკვე ფერმიხდილს,
აწამეს იგი დემონებმა, – ვერაფერს გახდა!
ნუ დავაჩქარებთ მშობლიური პლანეტის სიკვდილს,
თვითონ ბუნება, ლამის არის, გადიქცეს სახტად!

დავგლიჯეთ მკერდი სალოცავი, რომლითაც ძუძუს
გვაწოვებს იგი, გადავთელეთ მძიმე ჩექმებით!
ალბათ, მიწაზე, მანამ აღარ მოვიშლით ძუნძულს,
ცის უფსკრულებში სანამ აღარ გადვიჩეხებით!..

ამ ცის დედოფალს ტრფობით უნდა ვადგამდეთ გვირგვინს
და ლამის არის მზის სისტემას მოვგლიჯოთ იგი!

10.06.06
მოსკოვი

***

ო, რა ულმობლად დაგეღალა გული ამაყი, –
ცხოვრების პირქუშ ჯებირებზე შეხლით, კვეთებით!
ვერ წაშლის ხსოვნის სილამაზეს ქვა და ბალახი
და მდუმარების ქსელში აღარ ჩაიკეტები!

შენ ბედისწერის მოზღვავებას ებრძოდი მედგრად,
არ გიცხოვრია ქვეყანაზე შიშით, ცახცახით!
შენ არ ხარ, მაგრამ, ო, ის გული კვლავ ჩვენში ფეთქავს
და რაინდული სიყვარულით მერმისს გასძახის!..

არ გიკვენსია ჟამის ხეზე ობოლ ჩიტივით,
ჩამოტყდა ტოტი და გაფრინდი მიუსაფარი!..
მე ბილეკებზე შენს ნაფეხურს ისევ მივსტირი,
დასრულდა ჩვენი მეგობრობის მოკლე ზღაპარი!

ვეღარ გაწვება შენს საფლავზე ნისლი ძაძებით
რა შერჩა სივრცეს? – სევდიანი რხევა ნაძვების!..

29.03.07
მოსკოვი

***

ამერიკელი მსახიობი ქალის – გრეის კელლის
და მისი მეუღლის – მონაკოს პრინცის
საფლავზე აწერია!
„სიჩუმე, პატივისცემა“.

ნუთუ, სიჩუმემ არ დაგღალა ამდენი ხანი?
შენ, დედოფალო სილამაზის, სიცოცხლის რხევის!..
სად არის ახლა ის სინაზე, ხავერდი ტანის
და ლერწამივით მოგალობე სიმაღლე ყელის?!

ო, რამ დაშრიტა ბაგეები სავსე ღიმილით,
ასფოდელოსის ველზე, იქნებ, ყვავილთა ჩქერში
მიცურავ ქალი... სად ხოხბების ისმის ყივილი,
და მიირწევა სიშორეში ღრუბელი მრეში...

შენ გაზაფხულის მოშრიალე იყავ ღვთაება
და შენი ხსოვნით დედამიწა იდუმალ კვნესის!..
ო, შენი წასვლით აფროდიტეს ენა დაება,
როცა სიცოცხლეს უცნაურად ჩაუწყდა ფესვი!

ამ სამყაროში თუ რა ხდება არავინ უწყის,
მხოლოდ დღეები ცვლიან ერთურთს კენტი და ლუწი!

18.04.07
მოსკოვი

***

„ჰოი, მამულო, თუ დავინგრე,
კვლავ ამაშენე!..“
ს. ჩიქოვანი

პირველი ღამე მე უსივრცოდ გამიჯირდება,
არ დამაყარო, შემოდგომის ნისლო, ფაფარი!
ადგილის დედავ, მხოლოდ შენი კალთა მჯირდება,
ანგელოზებო, თქვენი ფრთები გადამაფარეთ!..

პირველი ღამის გამირღვიე, მთვარევ, კოშმარი,
ნუ მიმატოვებ სიკვიდილისგან ძლეულს, მოცელილს!
ო, ერთხელ კიდევ დამირხიე ფერი შროშანის,
არ დამივიწყო, მზეო, შენზე მუდამ მლოცველი!..

თუ დამარღვევდი, მაშინ, მითხარ, რისთვის მაშენე?
რაზე ამინთე სიყვარულის თეთრი ლამპარი?
ადგილის დედავ! შენი ხელი შემომაშველე,
არ წამეშალოს ჩემი ცის და მიწის ზღაპარი!

ჯერ გულმოდგინედ ქსოვ და მერე თვითონ შლი ნაქსოვს,
გულუბრყვილობა ო, ამგვარი არავის ახსოვს!

19.07.007
მოსკოვი

***

მახსოვს წვიმისგან გვიფარავდა ფოთლები ხშირი,
ნიავი მინდვრის ირხეოდა მოლზე ფრთასველი...
ჩვენ ერთმანეთი რა საოცრად გვიყვარდა, ლილი,
დღემდე ამ ტრფობის საიდუმლო ვეღარ ავხსენი!

საიდან მოდის ყოველივე, ო, არც კი ვიცით,
რას გვიამბობენ ვარსკვლავები იდუმალ კრთომით?
ჩვენ ნაწილი ვართ ამ მიწის და სულიერ სივრცის,
ხან მზე გვიტაცებს სილამაზით, ხან კიდევ თოვლი!

აქ ყოველივეს უხილავი განაგებს ძალა
და ერთმანეთთან აკავშირებს აწმყოს და მერმისს!..
სიცოცხლის ჟინი მოკვდავთ მუდამ გვედება მძლავრად
და ნაკვალევი რჩება მხოლოდ გაფრენილ მერნის!..

რა არის ტრფობა? – იდუმალი მუსიკა სულის
და, ის სიცოცხლეს სილამაზის დინებად უვლის!..

09.08.07
მოსკოვი

***

ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან
ხსოვნის ზარები – ნაგასაკას და ხიროსიმას!..
ვინ მოგიშუშებთ, ქალაქებო, ჭრილობას ღიას,
დაე, იდინოს თვალებიდან ცრემლების წვიმამ!..

რაც მოხდა იგი სამარცხვინოდ ეყოფა კიდეც
ქვეყნის მესვეურთ, რომ ტრუმენის გონებით სჯიან!..
ცოდვის კითხვაა, რომ ბირთვები სიცოცხლეს მკიდეს,
კვლავ ისმენს ჟამი სისხლიანი ანძების ჭრიალს!..

მიწას ცახცახით მერამდენედ დააწყდა ძარღვი,
ვინ ემქრება რღვევა – დაშლით სიცოცხლეს დიადს?!
შენ, ბოროტებავ, მესვეურო მსოფლიო წარღვნის,
ო, ლამის არის, შეუერთო სიცოცხლე წყვდიადს!..

გაჩენის დღიდან დასწყევლილი ვყოფილვართ ბედით
და რამეს შველის ბრძოლის ველზე კივილი მხედრის?!

17.08.07
მოსკოვი

***

გამოფენა: „ძველი ქალაქი“

ძველი ქალაქის ვაკვირდებით ხედებს ოვალურს,
ო, ეს ცხოვრება, მეგობარო, არის ბანაკი!..
თუმც მის გაცნობის, უსათუოდ, ჩვენ ვართ მოვალე,
ხვალ ჩვენც გავხდებით მოქალაქე ძველი ქალაქის!..

თვალს ვეერ ვაშორებთ: რა რხევები!.. რა სილამაზე!
და შემართება ვაჟკაცური გვხიბლავს უზომოდ!..
ამ ქალბატონებს ვაცქერდებით, შევშფოთდით რაზე?
დროს ყოველივე ო, რა მკაცრად გადაუზომავს?!

მიდის ცხოვრება საოცარი ფერიცვალებით,
კრთება სიცოცხლე!.. ცა დაისის ბინდით აივსო!..
რა სევდიანად იმზირება ჩვენი თვალები,
რად სურს ბუნებას რღვევა–დაშლით გაგითავისოს?!

ამ სილამაზის, ასე შეცვლა, ეს ვინ ინება?
ფერიცვალებით ვზომავთ უკვე დროის დინებას!..

18.09.07
მოსკოვი, ბოტანიკური
ბაღი

***

ვდგავარ მუხასთან გაუძარცვავთ, რომელიც ქარებს
და მწუხარების მოზღვავებას არ უჩანს ბოლო!..
მაგ დაკორძილ ტანს მინდა, ისევ რომ ვეამბორო
და სიშორიდან ნაღვლიანი დამცქერის მთვარე!..

მოდის ზამთარი... მოაგელვებს ღრუბლების რემას,
მაგრამ არ იცი, თუ რა არის შიში და კრთომა!
ტოტები ისე შეგიმართავს, ვით ანძა ხომალდს,
ვერ დაგაბერა ვერც მუქარამ, ვერც შემოტევამ!..

შენ ხარ უბადლო მაგალითი შეუპოვრობის,
დღეში ათასი ქარიშხალი მოვარდეს თუნდაც!..
დგახარ ბექობზე შემართული საომრად მუდამ
და ამ ბრძოლაში დაილია შენი ცხოვრება!..

დრო კივის, მაგრამ რას დაგაკლებს ავდრის მოსევით,
მოვა აპრილი, ხელმეორედ შეიმოსები!..

30.10.04
ბანძა

მხოლოდ შენ გვეიმედები

გ. ვ.

შენ სიყვარულში მამულის შეგეჯიბრება ვერავინ,
და კაცმა თავი გადადე – ყველგან შენი ხმა ისმის!..
მიაპყრობ მზერას მის ხედებს, გასცქერი რწმენით მერმისს...
და გინდა გადაარჩინო ერი დიდების ღირსი!

ჯეშმარიტების მესიტყვედ, შენ მიგვაჩნიხართ ერთი,
ხედავ განწირულ ქვეყანას და გინდა წაეშველო!
იქნებ, მამულის საშველად შენ გამოგგზავნა ღმერთმა
და ერის საკეთილდღეოდ მტკიცე ნაბიჯით გევლოს!..

მხოლოდ შენ გვეიმედები – შენი ოჯახით დიდით,
იცის ქართველმა ხალხმა ფასი რაინდულ სულის!
წარსულს და მერმის შორის, შენ უნდა გადო ხიდი,
რომ ქვეყანაში დამყარდეს ბედნიერება სრული!..

გმირებს აუნთებთ სანთელს ღირსებისა და რწმენის,
რომ მისი თეთრი ალი ლაჟვარდს სწვდებოდეს წვერით!..

18.09.2018
თბილისი

***

დრო სიშორეში, როგორც თეთრი გლისერი მიქრის,
ტირიფონიდან ჩიტი, ისევ იძახის – ტიას!..
ეს კიპარისი ჟამმა რატომ დაღალა ფიქრით?
ჩვენ ხიდზე ვდგავართ ვაყურადებთ ზღვის მელოდიას!..

ნუთუ, ყოველი აქ ფერთა ცვლას ემორჩილება?
შემოღამების ზღვას კვლავ უკრთის თვალები სუფთა!
ნიავის ფრთებზე ირხევიან ლურჯი ჩრდილები,
ცა კი ვარსკვლავთა მოლოდინში ხალვათად სუნთქავს!..

რამ მოაზღვავა ქვეყანაზე ეს საოცრება,
შორს თოლიები, თითქოს, ფრთებით იალქნებს შლიან!..
ყმაწვილობიდან ხომ ზღვა იყო ჩემი ოცნება,
ბევრჯერ ფიქრებით ავედევნე ტალღების შრიალს!..

ახლა აქ ვდგავარ, ყველაფერი ტრფიალით გვიმზერს,
მოდი ნათია! ეს საღამოც ჩავწეროთ ფირზე!

17.06.69
სოხუმი

***

ო, ეს სამყარო ჟამთა დენის გარეშე ვერ ძლებს,
ყველაფერს, სადღაც იმ ერთი გზით მიეჩქარება!..
დავდივარ, ვწუხვარ და იმ ცისფერ სიმაღლეს ვეძებ,
რომელიც ერთობ გამიძარცვეს ჟამის ქარებმა!..

ვდგავარ მაღლობზე, გადავცქერი ტალღების რიალს,
არ ვიცი, თუ სად დამთავრდება ჩემი წამება!
ვეღარ დავხურე, საყვარელო, ჭრილობა ღია
და შეეჩვია სული მღვრიე შემოღამებას!..

წუთისოფელმა შენთან ყოფნა აღარ მადროვა
და გაზაფხულის ტალღამ მხოლოდ გაითამაშა!..
წახვედი ჩუმად, დრომ რამდენი სევდა მათოვა
და ახლაც მიტევს გამძაფრებით დაღლილს, დამაშვრალს!..

დაგეძებ ოხვრით, ის თვალები არა და არ ჩანს!
მხოლოდ ტკივილის მოზღვავება... სხვა რაღა დარჩა?!

16.10.89
სოხუმი

***

იმ შადრევნებთან აწი უკვე ვერასდროს მივალთ
და ვერც ყვავილებს, სიყვარულით მოვისვრით წყალში,
მივდივარ მარტო უჩვეულო ტკივილი მიმაქვს,
რომელსაც ჟამის სივერაგე ვერასდროს წაშლის!

იმ დღეთა ხსოვნა იდუმალი ხეივნებს შერჩა,
ციდან ჩამოღვრილ ვარდფურცლობის ფერადი შუქით!..
დღეებს დარჩენილს მე რა ვუყო, უმწეოს, ბეჩავს,
რომ ტანზე ნისლის სამოსელი ჩაუცვამთ მუქი!..

დამთავრდა ჩვენი საოცარი დღესასწაული,
არ ვიცი, უკვე საიმედო რა ვუთხრა მერმის?
რბიან დღეები, ფრთებს უხეშად მახლის ზღვაური,
გული ვერ უძლებს შემოტევას ულმობელს, მერი!

ვით რტო ნოემბრის გამიძარცვა სული ბუნებამ,
ამაოდ ვცდილობ გარდასულის შემობრუნებას!..

24.09.89
სოხუმი

***

არ დაელოდე შენ სიკვდილის ზმორებით მოსვლას!
ილეწებოდნენ შემოდგომის ტოტები ქარში!..
დილის მზემ, როცა ყვავილების შარბათი მოსვა,
შენ, სიშორეში გასაფრენად დარახტე რაში!..

არც კი ნაღვლობდი განშორებას! ხვდებოდი მშვიდად, –
ფერიცვალების უჩვეულო მოახლოებას!..
ზღვას გავცქეროდი, სად ხომალდი იალქნებს შლიდა,
გულს უჩვეულო, იდუმალი სევდა მოება!..

შენ არ გივლია ქვეყანაზე, ბიჭო, ზოზინით,
არც იმის შიშით, რომ იქცევი მტვრად და ნაფოტად!
სიცოცხლის მშვილდი შემოგატყდა, ისე მოზიდე,
სული აზვირთდა და მიწაზე ტანი დაგორდა!

საზღვარს სიცოცხლის – რა უშიშრად გადააბიჯე!
დრო ვერასოდეს დაივიწყებს მაგ შენს ნაბიჯებს!

03.05.06
მოსკოვი

***

დრომ მოგვახვია ვარდისფერი რხევით ნისლები,
იყო საოცრად მომხიბლავი შემოგარენი!..
მზე ჩადიოდა ძოწისფერი სროლით ისრების
და თეთრ აფრებთან თამაშობდნენ ზღვაზე ქარები!..

მოირხეოდნენ ნაპირისკენ ჩუმი შრიალით
მზის შუქნასვამი, მოხასხასე ლურჯი ჩქერები!..
ქარი არხევდა მდინარესთან მაღალ ფშიარებს
და ჩვენ ვთვრებოდით, საყვარელო, მზის ჩანჩქერებით...

შუქს ირეკლავდნენ გუმბათები მოოქროვილნი,
დაცხრა გალობა ჯადოსნური ტყეში მგოსნების!
შემოღამებამ შეგვირხია სულის ქსოვილი
და დაცურავდნენ ცის სიღრმეში ანგელოზები!..

ვიცი, ძვირფასო, რომ ვერასდროს მოვალთ მეორედ,
ვერც ამ საღამოს ჟამი ვეღარ გაიმეორებს!

20.06.64
სოხუმი

***

იწექ ბალახში და გათოვდა ყვავილი ატმის...
და მე ვთვრებოდი სილამაზით, ძვირფასო ჩემო!
მაშინ, ვიგრძენი უცნაურად სიცოცხლის გემო
და ირხეოდა ამ ჩემს სულში რტოები ნატვრის!..

მახსოვს, ეს იყო აპრილის თვის დღე უნაზესი,
შორს, მიცურავდნენ ცის თავანზე ღრუბლები თეთრი...
ჩვენ სიყვარულმა ერთ არსებად რომ შეგვაერთა
და გულში გრძნობამ რა საოცრად გაიდგა ფესვი!..

ახლა დავდივარ ამ მინდორზე უკვე მხცოვანი,
მზე ჩადის რხევით და ხუნდება ფერები შინდის!
ამ გულის ღელვა ვერ იქნა და ვერ დავამშვიდე
და ცრემლი დამდის თვალებიდან, როგორც ნოვალისს!

დრო სიშორეში მიდის უხმოდ, დაუბრუნებლად,
რატომ გრძნობს ამას მტკივნეულად კაცის ბუნება?!

17.10.81
ბანძა

***

ძვირფასო ჩემო! სად გაფრინდი მოულოდნელად?!
მთელ სამყაროზე შენი სულის ვარდი მერჩია!..
გულზე დამაწვა სიმძიმილი მთებისოდენა,
ჩემი არსება უშენობას ვერ შეეჩვია!

ნეტავ, რა ვუყო უღიმღამო დღეებს დარჩენილს,
რას ვიფიქრებდი, რომ იყავი ჟამის სტუმარი?
შეშფოთდებოდა, ალბათ, შენი ცოდვით გამჩენიც,
როცა გიბოძა, ო, ეს ცივი თავსასთუმალი!..

შენი წასვლა ხომ გაზაფხულის ჰგავდა გაფრენას,
ვერ გამიგია ამ საწუთროს თუ რა ფერი აქვს!
ეს რა უეცრად განშორების ქარმა დაჰბერა,
დავრჩი ჰამლეტი ამ მიწაზე უოფელიოდ!

საიდან მოდის, ასე უღვთოდ სულის ობლობა,
ბუნებას, ნეტავ, რად სჩვევია დაუნდობლობა?!

21.09.77
სოხუმი

***

ხალასი გრძნობით ბავშვობიდან ერთმანეთს ვენდეთ,
დარჩენილ დღეებს, რომც იდინოს არაფრად ჩავთვლი!
ამ ბაღში, მერი, ვერასოდეს მოგიტან ვარდებს
და ვერც სანატრელ ბილიკებზე გავივლი ჩანთით!

შორიდან უკვე სევდიანი ხმა მესმის ჩხართვის,
დავდივარ მარტო, სიყვარულით ვიხსენებ იმ დროს!..
მოდის საღამო... სიშორეში მზე ოხერით ჩადის
და მოგონების ცრემლები სდის მაისის მინდორს!..

აქ ყველაფერი არხევს სიმებს იმ წარმტაც დღეთა
და შენს ხატებას ვეფერები ხსოვნაში მხოლოდ!..
ო, ეს სონეტი დავიწყებას შეუტევს მედგრად,
თუმც, დროის ტალღა, ალბათ, მასაც დაამსხვრევს ბოლოს!..

მიქრიან წლები, მაგრამ გული ვეღარ დავაცხრე
და ვხედავ უკვე დრო-ჟამს ტრფობა როგორ ამარცხებს!

12.05.79
ბანძა

***

მე იმ საღამოს შენ მეგონე თოვლის გოგონა
ოდნავ შემკრთალი, გადაფიფქულ მინდორზე გნახე!
სულში ამინთე სიყვარულის ჭიაკოკონა
და ჩემს არსებას ო, ის დღემდე საოცრად არხევს!..

მიირწეოდი სოფლის გზაზე თეთრი ზღაპარი,
დღემდე ხსოვნაში წარუშლელი დარჩა სურათი!
ო, ეს რამხელა გაოცება შემომაპარე,
თოვლის მინდორზე მიდიოდი, თუ მიცურავდი?!

დრო უძლურია, რომ წაშალოს ის შეღამება,
საითაც მივალ, მხოლოდ ყველგან შენ მეჩვენები!..
მე ის საღამო სამუდამოდ მექცა წამებად,
დავრჩი ბედისგან უმოწყალოდ შენაჩვენები!

მე შენ მოგსდევდი ფაშარ თოვლში, სავსეს სინათლით,
და მოსახვევში უცნაურად გაუჩინარდი!..

22.02.74
სოხუმი

***

ისევ ვიხსენებ გაზაფხულის ხასხასა ჭალას
და შენს საოცარ სურნელებით ავსებულ სიცილს!..
ეს მოგონება უჩვეულო ტკივილით მსჭვალავს
და მას ჟამთა სვლა ვერასოდეს ვერ წაშლის, ვიცი!

ძვირფასო, ახლაც მაგ თვალების ზმანების ტყვე ვარ!
და მისდევს მზერა მინდვრის ქორფა ყვავილთა ციმციმს...
მე თვალწინს მიდგას აწვართული ალვების რხევა
და მწვანე მოლზე გაქცეული ჭიხვინი კვიცის!..

კვლავ ჩემკენ მოდის, მოირხევა იმ დღეთა ექო,
როდესაც უკვე გადათქერვას მიპირებს ჟამი!
იმ წლების ხსოვნა იდუმალი შემორჩა ბექობს
და გულს დაღალულს, მეგობარო, ტკივილის შხამი!

ჩვენს ნაფეხურებს ღამე უხმოდ შეიწოვს ხარბად,
ის დრო წავიდა, რომ გვასმევდა საწუთრო შარბათს!

16.09.72
სოხუმი

***

დოდო ნარმანია – დონა კოლხს

მოვდივართ ერთად ოცდაშვიდი წელია უკვე,
სულის სიმები და გულისთქმა ერთმანეთს ვანდეთ!..
სველი თვალებით მოვიხედავთ ხანდახან უკან
და სიო არხევს ფოთოლცვენის სევდიან ლანდებს!..

მოვდივართ ერთად და სიცოცხლით ჯერ არ ვგრძნობთ
დაღლას,
თუმცა ჭაღარა მოგვეძალა ორივეს თმაში!..
მოვდივართ ერთად, ჩვენი შემწე ღმერთია მაღლა,
მოვდივართ ერთად და ცხოვრებას არ ვრჩებით ვალში!

მოვდივართ, ისევ ვეფერებით – სალოცავ ხატებს,
მათი ბავშვობის შორეული ჟღურტული გვესმის!..
ო, ეს დღეები ბედნიერი სიცოცხლეს გვმატებს
და მაისის ცის სილაჟვარდე თვალებით შევსვით!..

მზე ჩადის ნელა და გრძელდება ჩრდილები მწუხრის...
ნუ გეშინია, კიდევ დიდხანს გაგვიძლებს მუხლი!

14.10.93
ბათუმი

***

ო, რა ულმობლად აგანგაშდა სივრცე მთვლემარი,
შეხედე, როგორ აცახცადნენ შიშით რტოები!
ქრის ქარიშხალი ამ მიწაზე დაუტევარი,
რატომ ატირდი, ბაღო, ზამთრის მოახლოებით?!

შენს სილამაზეს უმოწყალოდ გაძარცულს ვხედავ,
იცრემლებიან ფერიების ლურჯი თვალები!..
მოაქვს ყინვა და მრისხანება ზამთრის თეთრ მხედარს
და მეც შენსავით გავხდი უკვე ნაფერმკრთალები!

გადაათეთრა სივრცე ფიფქთა კორიანტელმა
და ღელავს სული ტკივილების მწარე მოსევით...
ჟამმა რა მძაფრად შემირხია სულის ანტენა,
მოვიდა თოვლი და ატირდნენ, ისევ ფრთოსნები!

იძინე, ბაღო, ნუ გაქვს შიშით ხმა დაზაფრული,
გამოიღვიძებ სილამაზით, ისევ ზღაპრულით!..

12.12.92
სოხუმი

***

გაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით,
დრო დაილუქა და მას აწი ვერავინ გახსნის!
შემოაცვითა შენს ძლიერ სულს ბუნებამ გარსი,
მე კი დამტოვა შარა–გზაზე დაღლილი ფიქრით!..

იცოდი კარგად წუთისოფლის ავანჩავანი,
გძულდა სიფლიდე, სივერაგეს არ იკარებდი!
შენი აჩრდილი ვნახე ჩემი ბაღის კარებთან,
როცა დაეშვა ჰორიზონტზე მზე ჩამავალი...

მე აგედევნე... ვერ იქნა და ვერ დაგეწიე,
ბაღის სილრმეში რა უეცრად გაუჩინარდი!
ვიდექი ღელვით მთვარიანში მარტო ჩინართან,
ასე უეცრად, როგორ გასცდი სივრცეს მიწიერს!

და, როცა კაცმა ვერ გავუძელ გრძნობას მოწოლილს,
შორს ლაჟვარდებში გაკრთა მაშინ ელვის კოცონი!..

14.06.86
სოხუმი

***

ამ ღრმა ჭრილობას დროის ქროლვა ვერასდროს მომბანს,
მე კვლავ ტკივილით დატვირთული სივრცეს ვედები!..
რა არის ლექსი? – მოზღვავება აზრის და გრძნობის
და მიირხევა სიშორეში ფრთების ხეთქებით!..

დავდივარ მარტო, ვერ ვიშორებ ჭრილობის ხანძარს
და გული მკერდქვეშ შემართული ბორგავს შეტევით!..
გრიგალმა ზღვაზე დამილეწა რამდენჯერ ანძა
და განწირული დასაღუპად დავეხეტები!..

ჩემმა ხომალდმა ვერ იქნა ვერ გაინაპირა,
ვერ მოვიშორე კაცმა ბოღმა გულისმზარავი!
ეს ჩემი ღელვა მერამდენედ გასცდა ნაპირებს,
ხან ჩრდილოეთის ქარი სცემდა და ხან არავი!

მამულში მხოლოდ პოეზიით გავიდგი ფესვი!..
რაა პოეტის უკვდავება? – სიცოცხლე ლექსის!

20.06.06
მოსკოვი

***

ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას!

იდგა სივრცეში ვარდფურცლობის ფერთა შრიალი
და იღვრებოდა ცის სიღრმიდან შუქთა ფანტელი!..
შენ კი იდექი ბებერ ვერხვთან სახე ნათელი
და ზღვა ფოთლებში ჩურჩულებდა ღამის ნიავი..

ხმით საოცარით აედევნე ცისფერ ხეივანს
და მიცურავდა მთვარე ცაზე სახემწყაზარი!..
თითქოს, მიქროდი რაშით ველზე მულღანზანზარის,
თვრებოდა შენი ხმის ხავერდით ცა მოზეიმე!..

მოედო ტემბრი ჯადოსნური ცასა და ხმელეთს,
არხევდა სივრცე ნარინჯისფერ მთვარის ოლარებს!
ფეთქავდა ყელი ანგელოზთა ნაამბორალი
და ვარსკვლავები აღტაცებით გაღვრიდნენ ფერებს!..

მოვედი, ბაღში ფოთოლცვენის იდგა რიალი
და შენს საფლავთან ცა გლოვობდა თვალცრემლიანი!..

08.10.97
თბილისი

***

გიკრთის ტუჩები სველი, როგორც კოკორი ვარდის,
ორი ცისფერი ტბიდან ეს რა სინაზე მოდის?!
მე შენს ხატებას, მერი, მაინც ვერაფერს ვადრი,
რაა ვარსკვლავი, ან ატმის აფეთქებული ტოტი?!

ვერ შეგედრება ცისკარი და ვერც ყვავილი ნუშის
და ვერც ფოთლებში მთრთოლი სიო მაისის დილის!
ყველა ფარული ძაფით შენ ჩამექსოვე გულში,
ასე საოცრად სათნო, ასე საოცრად თბილი!

შეღამდება და ღელვით მთვარის ხავერდზე დავალთ,
ციდან ვარსკვლავთა ფერი როგორ იღვრება წყალში,
ამ სამზეოდან ვიცი, რომ ყველაფერი წავა,
მაგრამ სიყვარულს ჩვენსას ჟამი ვერასდროს წაშლის!..

ორი მდინარე სულის ღელვით ერთმანეთს ერთვის,
რომ შემახვედრა შენთან, მადლობელი ვარ ღმერთის!..

28.06.95
ბათუმი

***

აქ ხელმეორედ რომ მოვიდე ათას წლის შემდეგ,
კვლავ შემოვაღებ სიყვარულით მე შენს კარიბჭეს!..
ამ ჩემს გულისთქმას, საყვარელო, ბოლომდე ენდე,
რომ უშენობა მოურჩენელ ტკივილს მანიჭებს!

ავედევნები ბავშვურ თრთოლვით ცისფერ ხეივნებს
და მზე მომიქსოვს გაზაფხულის ფერად მანტიას!..
ისევ, ოცნებით გამიტაცებს ცა მოზეიმე
და შემომხვდება ქარი მინდვრის – ჩემი ნათლია!

ოქროსფერ კვიცით გავიქროლებ ისევ ჭალისკენ
და იმ შორეულ ნაფეხურებს ვეამბორები!..
კვლავაც დავიდგამ დაწნულ გვირგვინს თავზე ჩალისფერს
და ჩამიხუტებს აბაშის წყლის ლურჯი მორევი!..

ეს შენგან მოდის ჩემი გრძნობა, ჩემი გონება,
დარჩეს ეს ლექსი ჩვენი ტრფობის მოსაგონებლად!..

09.11.02
ბანძა

***

„კლდევ ბუნდოვანო,
შენს ბილიკად მიმოვდიოდი“.
ნ. ბარათაშვილი

აქ, მტკვრის ნაპირზე შლიდი ფიქრთა ცისფერ იალქანს
და შენი სული შეღამების არღვევდა დუმილს!..
მაგ გულის სევდას შორს ატანდი მწუხრის ნიავქარს
და იდგა ირგვლივ საოცრება ნაზი და ჩუმი!..

მიირწეოდნენ ბილიკებზე ნისლები მკრთალი,
შორს, ინთქმებოდა ტყის სიღრმეში ხმები ფრთოსნების...
და ლოცულობდა ქნარით ხელში მთაწმინდის მთვარე,
გალობდა ცაში თეთრი ქორო ანგელოზების!..

კლდეებს ბუნდოვანს იდუმალი ცრემლი სდიოდა,
ლურჯი სიჩუმე, როგორც ტივი, წვებოდა მტკვარზე!..
შენ კი სევდიან ბილიკებზე მიმოდიოდი
საკაცობრიო ტკივილებით და ფიქრით სავსე!..

შენს მერანს სულაც აღარ უჭირს მხედრის ტარება,
ქროლვაში ხედავს ცხოვრების აზრს და ნეტარებას!

17.10.02
თბილისი

***

მე არ მშორდება საოცარი შენი ხატება,
ის ჩემთან მოდის, ჩემს ჭრილობას ეალერსება!..
ეს რა ნაღველი მომეძალა, რა მემართება,
შავი ფიქრები ფუტკარივით რატომ მესევა?!

მე დავიღალე სივრცეებში ქროლვით კვეთებით,
მაგრამ სხეულში მუდამ ფარულს ვგრძნობდი დინებას!
ვიქროლე ჟამის ქარიშხალში თავგამეტებით,
დღემდე გადავრჩი, ალბათ, ღმერთმა ასე ინება!

მე შენი ძუძუს ვწოვე, დედავ, უხვი ნათელი
და ბავშვობიდან შენი ლოცვა მსდევდა საფარად,
ვხედავ შენს სხეულს ტკივილებით მწარედ გათელილს
და ჩემი ჩანგი მწუხარებამ თალხით დაფარა!..

მე მთვარიანში ახლაც მესმის შენი ვედრება,
ჟამი მღვრიეა, მაგრამ მაინც მეიმედება!..

10.09.74
სოხუმი

***

ო, ვერასოდეს დავიბრუნებთ დღეებს მაისის,
და გაზაფხულის გამჭვირვალე ნისლების წყება,
ვერ მოგვეხვევა ნეტარებით და იმ ხალისით
და ვერ მოუტანს ამ ჩვენს სულებს იდუმალ შვებას!

დავდივარ ჩუმად, გული დამაქვს ნაღველით სავსე
და ჩემს ტკივილებს უჩვეულოს ვერავის ვანდობ!..
დაო, ძვირფასო, იქნებ სადმე შემომხვდე გზაზე,
იქნებ შემახო სიყვარულით ხელები სათნო!

რომელიც ჩემში აურაცხელ ჭრილობას წაშლის
და დამიბრუნებს პირველქმნილი სამყაროს კრთომას!..
მაშინ, ტოტიდან მეწამული მოსწყდება ვაშლი
და დაეცემა მოყვითალო ფოთლებზე თრთოლვით...

ისევ შეგვასმევს გაზაფხული შინდისფერ ნექტარს
და ჩვენს ნაკვალევს გამოჰყვება მზრუნველი დედა!..

12.09.87
სოხუმი

***

ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გვჭირსა!
შოთა რუსთაველი

დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტი ქნარით
და შენი სული ვესპერიგით ანათებს, იწვის!..
შენ პოეტური მეტყველების ხარ ჯადოქარი,
დაუშრეტელი ოკეანე დიადი სიბრძნის!

რამ სიშორიდან გადმოენთე შუქით ულევით
და უსახსოვრე სიყვარულის პოემა მერმისს...
ათრობ თაობებს პოეტური თაიგულებით,
შენს სიდიადეს სამზეოზე უარყოფს ვერვინ!

ცხოვრების სიღრმეს შენსავით ხომ ვერავინ სწვდება
და საიდუმლო შენზე უფრო არავინ იცის!
მიდის საწუთრო და მიგორავს ზვირთების წყება
და კვლავ ახალი მწვერვალები დიდების გიცდის!..

თუ სამყაროში ყველა ვარსკვლავს მიეძინება,
ეგ შენი ლექსი, მაშინაც არ შეწყვეტს დინებას!..

22.10.02
სოხუმი

***

„ყოფნა–არყოფნა
საკითხავი აი ეს არის!“
უილიამ შექსპირი

იდგა მიწაზე საუკუნის სუსხი მძვინვარე!..
შენმა გენიამ მიიჩნია თავი მოვალედ, –
სულის ხლართებში შეჭრილ იყო ის უწინარეს,
ვით პოეტი და ტრაგიკოსი სწორუპოვარი!

და შესძელ კალმით კაცმა, თითქმის, შეუძლებელი,
თუკი ცხოვრება გარეგნულად ჰგავდა სახატეს,
ააცახცახე ცოდვით სავსე მიწა ბებერი
და ბოროტებას საუკუნოდ ფარდა ახადე!...

შენ გაარღვიე გაუვლელი გზა სახიფათო,
სად ღამე იდგა კუნაპეტი, არსად ნათელი!
მიაყურადე სულს ვარდების სინაზით ნათრობს
და რიჩარდების სივერაგით სივრცეს გათელილს!..

ამაოდ უტევს შენს სიმაღლეს ფრთები დემონის,
სერავ სივრცეებს უსამანოს გედი ევონის!..

01.08.03
მოსკოვი

***

„მთები თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესა“
ვაჟა-ფშაველა

შენ დიდ პოეტს და ბუნების ღრმა მესაიდუმლეს,
მამულის წყლული ეკალივით გულზე გეყარა!..
და მოგძახოდა შორეული ხმა იდუმალი,
სულით-ხორცამდე გაძარცული იყო ქვეყანა!..

ბორგავდა მიწა, ვით დაჭრილი არწივი ველად,
რომ ფრთებს მიითრევს ყვავ-ყორნებთან დაღლილი
ბრძოლით...
შურისძიების სისხლი ხეთქდა ულმობლად ვენას,
რომ ცა დაიმსხვრა დავითის და თამარის დროის!

შენ გადაფურცლე ჟამი ოდით გადუფურცლავი
და გააცოცხლე რაინდული სული ყოფილი!..
მამულს ზვერავდა ათასობით თვალი მუცალის
და შენ იდექი, ვით ალუდა ფარსდაყრდნობილი!

შენისთანების მოსვლა ღმერთმა თუკი ინება,
იგი არასდროს არ მორჩილებს დროის დინებას!

17.08.03
მოსკოვი

***

„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“
გალაკტიონ ტაბიძე

შენისთანები იშვიათად მოევლინება, –
ამ ჩვენს პლანეტას განაწამებს ტერფით–თხემამდე!
ქართულ მიწაზე შენი მოსვლა ღმერთმა ინება
და სული ჟამით გაყინული გაათხევადე!..

ო, სულის ქროლვით გაცოცხლება ერის იწამე,
უმღერდი მამულს მრავალტანჯულს გედი მთაწმინდის!
და თაობები თავს გიხრიან უკვე მიწამდე,
რადგან ამ ქვეყნად ვარსკვლავეთის შუქად გაწვიმდი!..

მოხვედი კაცი პოეზიის ფერიცვალებად
და შენი ღელვა ოკეანის ძალით აზვირთდა!..
გადაიტანე ყველა სახის ტანჯვა, წვალება
და სული ერის სიყვარულით ცამდე აზიდე!..

ო, ეს მსოფლიო ხან ბრძენია, ხან შეშლილია!
შენ არც წარსულის, არც მომავლის არ გეშინია!

21.08.03
მოსკოვი

***

სიზმარში ვნახე ლოცვად იდგა თამარი გელათს
და ირხეოდა სანთლის შუქზე სული დიადი!..
სივრცე კვლავ შლიდა გაზაფხულის იალქნებს ფერადს
და იღვრებოდა სიშორიდან ხმა განთიადის!..

მთებს გაეშალათ ბუმბერაზი მხრები ამაყად,
ცა ვარსკვლავების სილამაზით იყო მდუმარი!.
იქნებ, ამ სიზმრის გაგრძელება ვნახო ამაღამ,
შორს, მიარხევდა ცის სამანებს ხმა იდუმალი!..

იხედებოდა ლურჯ ფანჯრიდან მთვარე მწყაზარი
და მზის შადრევნით თრთოდა უხმოდ ზეცის თავანი!..
თეთრ ფრთებს არხევდა საქართველო უზარმაზარი
და სანთლის შუქზე ლოცულობდა დედა თამარი!..

ო, ეს სიზმარი ვინმემ კიდეც ამიხსნას იქნებ,
გამეღვიძა და, ლამის არის, გადავყვე ფიქრებს!..

27.11.05
მოსკოვი

***

როცა დაწყდება ძალწირები პლანეტის ველის,
სივრცეს ღვარებად მოაწყდება სხივთა არავი!..
ბიოსამყარო დაინგრევა ბოროტთა ხელით,
გახდება იგი უნაყოფო და შემზარავი!..

ამ სამყაროში შეწყვეტს სუთნქვას ყველა უჯრედი,
ცის უფსკრულებში ჩაიშლება მიწა გოდებით!..
ჩემო ოცნებავ, ფრთებს დაკეცავ და დამუჯდები
და გაზაფხულის მოსვლას ვეღარ დაელოდები!

ვეღარ ვიშორებ, მეგობარო, პირქუშ ზმანებას,
თუმც, ფიქრი ჩემი ამ სატანჯველს ხშირად გაურბის1
და ბილიკები რუხი ფერფლით დაიფარება,
კვლავ არასოდეს შეირხევა ტოტი ალუბლის!

ო, ფრთხილად, თორემ, ვერ ავიცდენთ რისხვას ბუნების
და ყველაფერი დამთავრდება უდაბურებით!..

15.05.06
მოსკოვი

***

მე ბოტანიკურ ბაღში ვდგავარ აუზთან ახლოს,
შეხედე ერთი, ეს რამდენი ფერი რიალებს!..
მზის სხივი დილის ეფინება მოლურჯო მაღლობს
და დაცქერ თევზებს წყლის სარკეში მოხეტიალეს...

რა სიყვარულით ეფერება სიცოცხლის ფეთქვას
მზე მოშრიალე, ოქორსფერი სხივთა ჩქერალით!..
აქ გაგაოცებს იდუმალი თამაში ფერთა
და გაზაფხულის სილამაზით ცა მომღერალი!..

წყლულს უსაშველოს ეს სინაზე, ნუთუ, ვერ მომბანს,
საით მიცურავს ეს სამეფო თევზების წყება?
ო, რა სიამით მეუფლება ფარული გრძნობა,
რაც სიყვარულით გამატანეს ბავშვობის წლებმა!..

იდინე დროო სიშორეში, შენ როგორც გაწყობს,
ოღონდ, უდროოდ ნუ გადისვრი წარსულში აწმყოს!

13.06.06
მოსკოვი

***

„ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!“
ლადო ასათიანი

ბერიკაცებში შენ არასდროს იქნები, ლადო!
წუხელ, ჭადრებთან, რუსთაველზე შევხვდი შენს აჩრდილს!
მაგ სულის ცეცხლის ნიაღვარით გრანიტსაც ადნობ,
ჭაბუკი წახველ, და მარადის ჭაბუკად დარჩი!..

გტკიოდა ყველა სატკივარი მშობელი მიწის,
აანთე გული და ის ტრფობით ერთბაშად დაწვი!..
სული გაფრინდა, შეუერთდა ვარსკვლავთა ციმციმს
და ცას უმანკოს დაუსველე ცრემლებით ღაწვი!..

დგება ფერფლიდან ფენიქსივით შენი მამული,
სიცოცხლის გასწვრივ დარახტული თეთრონი მიქრის!..
პლანეტას ბევრჯერ გადუქროლებს რისხვით სამუში,
მაგრამ ვერასდროს გაგიძარცვავს ლექსების გვირგვინს!

შორს, ცის სიღრმიდან, ისევ, შენი თვალები ელავს...
და ცისკრის შუქი ეფინება მცხეთას და გელათს!..

05.01.17
თბილისი

***

შემოგვიტია მერამდენედ სიკვდილმა ძლიერ
და შეათხელა უცნაურად რიგები ჩვენი!
მის შემოტევას დაუნდობელს ვერაფრით ვძლიე,
ო, რა მწარეა ბედისწერის ეს განაჩენი!

ხე ჩვენი ძმობის იძარცვება და ქარებს ველის
შორს, სადღაც იქით, დალეწილი ტოტები მიაქვთ!..
ადგილის დედას ცრემლებით აქვს თვალები სველი
და მისი ოხვრა მიდნორ–მინდორ გადააქვს ნიავს!..

ვერც სანაპირო დაგვივიწყებს, ვერც ეს ქუჩები,
ვერც ეს აფრები, რომ ბობოქარ სივრცეში ქრიან!..
მრისხანე ძალას ვიცი ვეღარ გადავურჩებით,
დარჩება ხსოვნას, რასაც ჩვენი სიმაღლე ჰქვია!..

ის დრო წავიდა, უკვეე ყრმობის დღეები დაცხრა!
მაგრამ ჩვენს ძმობას გაიხსნებს მეგრული ფაცხა!..

02.04.09
მოსკოვი

***

ჩემს შვილიშვილს
არტიომ გაბუნიას!

ხან წვიმა მოდის და ხან თოვლის ფანტელი ხშირი,
კვლავ ერთმანეთთან შეუპოვრად ორი დრო დაობს!
დავდივართ ბაღში აქ – ბაბუა და შვილიშვილი
და გაზაფხულის მზე მოარღვევს ღრუბლების ქაოსს!..

მზე გამოჩნდება და ხეების ირწევა ჩრდილი,
მიდის ზამთარი და ის მაინც ნიადაგ ავობს!..
ხან წვიმა მოდის და ხან კიდევ ფანტელი ხშირი,
ზამთრის აფრები უნუგეშოდ შორს მიქანაობს!..

მოდის აპრილი და უზომო მოაქვს ნათელი,
ბაღი საცაა ყვავილების რხევით მოირთოს!
და არ მასვენებ შენ კითხვების კორიანტელით
ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს მოითხოვ!..

ხან წვიმა მოდის და ხან თოვლის ფანტელი ხშირი
დავდივართ ბაღში, აქ – ბაბუა და შვილიშვილი!..

05.04.09
მოსკოვი

***

ისევ მოზღვავდა გაზაფხულის ფერები მინდვრად,
ვდგავარ და გრძნობით ყვავილების სინაზეს ვუმზერ!..
მე თქვენთან დიდხანს ფერიებო, დარჩენა მინდა,
იქნებ, ტკივილი საუკუნის მომეშვას გულზე!

უკრავს მუსიკა ვარდფურცლობის აქ ყოველმხრიდან,
შეხედე, ყვავილს სიყვარულით გული რომ უცემს!..
ისევ გალობენ ჩიტუნები დაბურულ ხიდან,
რომ შემოიჭრა გაზაფხული ბაღებში უცებ!

დავდივარ ჩუმად, სული ისევ გრძნობს აღმაფრენას,
გადააქვს ნიავს ყვავილები თამაშ–თამაშით!..
სისხლი აწყდება უჩვეულო ტკივილით ვენას,
ჩემი ცხოვრების წიგნს, როდესაც გულით გადავშლი!

რასაც ვგრძნობთ, იმას სრულყოფილად ვერასოდროს
ვიტყვით,
რადგან ბოლომდის არ გვმორჩილებს სიტყვა და რითმი!

29.04.09
მოსკოვი

***

თუ ერთხელ წახვალ, აქ მეორედ ვერასდროს მოხვალ,
ყველა გზა შენი დაბრუნების ჩაიკეტება!
მას ვერ უშველის ვერც ცრემლის ღვრა და ვერცა ოხვრა,
ვერც უჩვეულოდ მეამბოხე სულისკვეთება!..

ფორმა ირღვევა და მოწოლას წელთამრავლობის
ვერ უმკლავდება ვერასოდეს იგი ბოლომდის!
მიდის ცხოვრება! თაობები ცვლიან თაობებს,
სანამ ყველაფერს არ დაამხობს ძალა ბოროტი!

დროის მდინარე მხოლოდ ერთხელ მიედინება,
ვერ უძლებს, უკვე სული სევდას, ერთობ მოწოლილს!..
ჟამთან ჭიდილი რად იქცევა ხშირად დილემად,
და ეს სიცოცხლე ისე ქრება, როგორც კოცონი!

ჩვენი აქ ყოფნა პირველქმნილთან მთავრდება შერწყმით,
მარადისობის ო, ამ კანონს ვერავინ შეცვლის!

16.08.09
მოსკოვი

***

გარეთ წვიმს... ზღვიდან კვლავ უბერავს მრისხანე ქარი,
ჰა, იწურება შემოდგომა და გული გვტკივა!
ჩვენ გვაგონდება ხეივანი მაისის მთვარის
და ფანჯარასთან მოყვითალო ფოთლები ცვივა!..

წეროებივით შორს გაფრინდნენ დღეები ყრმობის
და ირეკლება ჩვენს მზერაში ლამაზი ხანა!..
მოგონებები, ისევ გვავსებს ფარული გრძნობით,
რომ გვიგალობდნენ გაზაფხულზე ფოთლები ნანას!..

აწი ვერასდროს ავინთებით იმ სილამაზით,
ჩაბარდა ხსოვნას ყოველივე, რაც იყო წინათ!
ჩვენ სიყვარულის, ხომ ბოლომდე დავცალეთ თასი
და ახლა ვუსმენ შემოდგომის სევდიან წვიმას!..

ქარი და თოვლი მხოლოდ ყრმობის ნაკვალევს წაშლის,
მაგრამ სულები საბოლოოდ არ სწყვეტენ კავშირს!..

17.11.86
სოხუმი

***

ჟამი ფერს გვიცვლის და ყოფილად ვიქცევით მალე,
ჩაქრება ო, ეს სილამაზე სიცოცხლის მიღმა!..
სულო, მითხარი, ფრთებდაღლილი საითკენ მიხვალ,
გულო, რას უცდი, შენც აფეთქდი ერთბაშად, ბარემ!

რაგინდ ეცადო, დრო გარდასულს ვეღარ აბრუნებს,
ვერც იმ თვალების სილაჟვარდე დაგიბრუნდება!
შეხედე, ირგვლივ ყველაფერი როგორ ხუნდება,
არ მინდა ვნახო ის ბილიკი, ნისლო, დაჰბურე!

შემოინახე, ლექსო, ხსოვნა გარდასულ დღეთა
და ვარდფურცლობის უჩვეულო ფერთა სიალე!
ო, ახლა უკვე შემოდგომის ქარი რიალებს,
მალე შემოსავს ამ მიდამოს ზამთარი თეთრად!

დრო, ისევ გარბის, არ მორჩილებს ფოლადის ლაგამს,
ის ცოცხალს არა, – უსულოსაც აბერებს საგანს!

13.11.66
სოხუმი

***

მე ცა მახურავს სილაჟვარდით გაუხუნარი
და შრიალებენ უბოლოო ლურჯი ყანები!..
გულს შერჩა კვლავაც საოცარი ტრფობის უნარი
და შენს სიშორეს უჩვეულოდ ვეთაყვენები!

წლები ბავშვობის ამ სანახებს ესისხლხორცება
და აქ ლექსისთვის არ მჭირდება ძებნა თემების!
კვლავ მეძახიან ჩემი მინდვრის ლურჯი ბორცვები
მზის ამოსვლის ჟამს, ნისლის თეთრი დიადემებით!

ო, უთქვენობა ჩემთვის გახდა გაუსაძლისი,
როცა შორსა ვარ, როგორ მიჭირს სევდის ტარება!
აქ ფეთქავს ფესვი პოეტური ჩემი საწყისის,
მხოლოდ სული გრძნობს მიუწვდომელ ამ ნეტარებას!

გამოვიღვიძე გაზაფხულზე ცისკრის ნათელით,
ყველგან მიმყვება, სადაც მივალ, ხმა სანატრელი!..

28.04.69
ბანძა

***

შეხედე ტალღებს ქარი, ისევ ეთამაშება,
მიირხევიან ვარფურცლობის დღენი ცინცხალი...
გადაიქროლეს ჩემს მინდორზე თეთრმა რაშებმა
და მომაგონეს წლები სიყრმის დაუვიწყარი!..

მივყვები ნაპირს... ზღვაზე ჩადის მზე გადაღლილი,
ვინ დამახალა უმოწყალოდ მკერდზე ისარი?
აჰა, საცაა, აფეთქდება გული ნაღმივით,
შორს, დარჩა სივრცე დღეთა ქროლვით ნათილისმარი!

შენი თვალების სილაჟვარდე მექცა ოცნებად,
ვეღარ დამძლია ულმობელმა ჟამმა მუქარით!
ჩემი ჭრილობის შენ შესძელი შესისხლხორცება,
გზას გვინათებდა სიშორიდან ტრფობით უფალი!

ვიხსენებ იმ დროს, აღტაცებით ისევ ვივსები,
რამ დამავიწყოს ის დღეები სავსე ღირსებით!..

29.04.70
სოხუმი

***

ჩვენ მთელი ღამე, საყვარელო, მთვარის ქვეშ ვთრთოდით,
ზღვა იყო მშვიდი უცნაურად და იდუმალი!..
შენ კი დალალებს ტირიფებთან გირხევდა ქარი
და ირწეოდა იასამნის ფერადი ტოტი...

მას შემდეგ ოცი ნაღვლიანი გავიდა წელი,
რომ არ გვინახავს ერთმანეთი, ძვირფასო მარი!
იმ შეხვედრების, თითქოს, დღესაც მედება ალი
და სუნთქავს ჩემში, როგორც ნაზი ყვავილი ველის!..

ო, ეს სონეტი დავიწყებას არ მიაკარებს
ჩვენი გულების ვარდფურცლობის საოცარ რომანს!..
ვინ მოთვლის, მთვარე ტირიფებთან რემდენჯერ მოვა,
მაგრამ იმ თვალებს ვერ ჩახედავს თბილს და ანკარას!

წავიდა ის დრო!.. მხოლოდ ხსოვნით სტრიქონებს ვათბობ
და ჩემი სევდა საუკუნოდ შერჩება მნათობს!..

06.09.72
სოხუმი

***

პროფესორ ციალა მესხიას

მოხველ, ძვირფასო, შრიალით ფერთა,
აზრის და გრძნობის შერწყმა დიადი!
კვლავ გაზაფხულის სინაზით ფეთქავ
და გათრობს შუქით ცა განთიადის!..

მოუხმობ ღელვით სიტყვების ლაშქარს
და მის მორევში იალქნებს გაშლი!..
მისტირი მუდამ რღვევას და დაშლას
და გულებს შორის დაეძებ კავშირს!..

შენ არ გივლია გზებით მარტივით,
ახლაც მშვილდ-ისრით დაგსდევს ამური!..
გიყვარს აპრილში მზის სალამური
და შემოდგომით მთვარის მანდილი!..

ცა სიყვარულით ლაჟვარდებს გაფენს
და შემოქმედის მიარხევ აფრებს!..

25.01.18
თბილისი

***

შენ ჩაიშალე იმ წიაღში მშობლიურ მიწის,
რომელიც, სულო, ბავშვობიდან გიყვარდა ეგზომ!
დღეს შენს საფლავთან ირხევიან ხეები წიწვის
და დედის მოთქმა ეფინება ბავშვობის ეზოს!..

ცა ვარსკვლავებით დაცხრილული ინთება ღამით
და წყლის ნაპირზე ფეხშიშველი ნისლები სხედან...
იქნებ, ყურს უგდებ განთიადზე ირმების ბღავილს,
როცა შეგიპყრობს მარტოობის მტანჯველი სევდა?!

მიდის მდინარე და მიარხევს ტალღების წყებას,
შენი ბავშვობის კვლავ ჯიხვინებს მინდორზე კვიცი!..
და აქ, საფლავზე სევდიანი საღამო წვება
და ცის ხავერდზე ვარსკვალვების იზრდება რიცხვი!

იქნებ, ამყარებ შორეულთან იდუმალ კავშირს,
როცა საღამო ვარსკვლავების იალქნებს გაშლის!..

24.04.76
სოხუმი

***

მიირხეოდნენ ცის თავანზე ღრუბლები ლეგა,
დაფარეს სივრცე იდუმალი ხასხასა ღამის!..
შევხვდით ზღვის პირას პაემანზე მე და შენ მეგი!
და ყურს ვუგდებდით პორტში გემის სევდიან ბღავილს!..

ზვირთები ჯებირს აწყდებოდნენ ღელვით, ხმაურით
და მთა სოხუმის დაეფარათ ნისლებს ნახევრად...
სადგურს მოადგა გემი, რაღაც ხმით უცნაურით,
ნაძვებს შემართულს შემოდგომის ქარი არხევდა...

ჩვენ კი საყელო შეხსნილები მიმოვდიოდით,
ლამპიონების შუქზე ენთო ლურჯი ნაპირი!..
ცას ელიფსური თვალებიდან ცრემლი სდიოდა,
შორს დარჩენოდა სამოსელი თეთრი აპრილის!

გადაგვდიოდა გულზე, რაღაც, სევდისმაგვარი,
რომ ფერს იცვლიდა ჩვენს გარშემო ყველა საგანი!..

18.09.76
სოხუმი

***

ამოდიოდა სიშორიდან მზე მეწამული
და ვარდფურცლობის სოცარი იდგა სიალე!..
გადასდიოდა ჩემს მშობლიურ მთა-ბარს ალმური,
მისდევდა მინდვრად აღტაცებით ნიავს ნიავი...

ათრობდა ბაღში არემარეს სტვენა ჩიტების,
ზღვა ირხეოდა სხივთა ჩქერით ნათილისმარი..
მე ახლაც ო, იმ მოგონებით ძლიერ ვინთები
და მიირხევა დღე აპრილის, როგორც სიზმარი!..

აჟღერებს სიმებს გაზაფხულის პლანეტა ვრცელი,
საიდან მოდის ყოველივე? – განსჯას ეუნდები!
შეხედე, ვარდებს სიხარულის ჩამოსდით ცრემლი,
ო, საყვარელო, ნურასოდეს ნუ გახუნდები!

გულო, რას უცდი? – ფერთა ღელვა შეისისხორცე,
რომ არ გახუნდეს, დროზე ადრე, შენი სიცოცხლე!

12.04.78
სოხუმი

***

შენს ფანჯრის მიღმა ნაღვლიანი ჩამოწვა ღამე,
რატომ შეჩერდა ხეივანში ქროლვა ნიავის?
აფრები ზღვაზე ფერნამკრთალებ მთვარის შუქს სვამენ
და იმ დღეების ხსოვნა მძაფრი მიჩენს იარებს!..

იმ ბებერ ჭადარს, თითქოს, ახლაც ვეხები თბილად,
ჩვენ ხომ გვიყვარდა მის ტოტებქვეშ ჩურჩული, მეგი!
დრომ, რად ჩაგვიქრო უმოწყალოდ მაისის დილა
და, როგორც ზვირთი ვეხეთქები ცხოვრების ჯებირს!..

მოდის ზამთარი და იმ დღეთა წაშლას აპირებს,
მე კვლავ ვაღვიძებ ხსოვნით საკსე სიმებს უჩუმეს!..
და შორს გაფრინდა გედისფრთება ო, ის აპრილი
და ჭრელ ფოთლებში განახლების სული ჩურჩულებს!..

იმ სილამაზეს ო, რა ტანჯვით ვემშვიდობები,
დრო მიქრის, ისევ და ხმაური მესმის ბორბლების!..

24.09.85
სოხუმი

***

აქ ყველაფერი მხოლოდ შენზე მესაუბრება:
ეს ბუჩქნარები, ეს ხეები და ეს ბინული!..
განგებამ უკვე მომანიჭა ტანჯვის უფლება,
ჩემამდე მოდის უჩვეულო ხმა განწირულის!..

მე ადრე ვიგრძენ ჟამის ასე დაუნდობლობა,
ბევრჯერ უფსკრულთან უცნაურად ახლოს მივედი!
შემიმსუბუქე, შენ ძვირფასო, მწარე ობლობა
და დამიბრუნე შუქით სავსე ხვალის იმედი!..

შენ მომიშუშე, მე უმწეოს, ჭრილობა ყველა
და შენი გულის სათნოება რამ დამავიწყოს!
დაო ძვირფასო, უკვე მჯერა, ამაოდ ვღელავ
და ეს ცხოვრება მეჩვენება საოცრად ვიწრო!

შენი სინაზე, შენი თრთოლვა, ასე საჩინო,
თუ არა ლექსმა, სხვამ რამ უნდა გადაარჩინოს?!

09.09.86
ბანძა

***

ისევ შინდისფრად შეიღება აღმოსავლეთი,
ვდგავარ ბექობზე და უეცრად ავტირდი, რაზე?
ნიავის ფრთებზე ირხეოდა მიწის ხავერდი,
დიდხანს ვუცქერდი, მეგობარო, ამ სილამაზეს!..

ენთო სიცოცხლე მოზღვავებულ ყვავილთა ჩქერში,
მიირხეოდა ლაჟვარდისკენ სილურჯე მთების!..
ხსოვნა ბავშვობის იღვიძებდა საოცრად ჩემში
და მიარღვევდა სიშორეებს ფიქრები ფრთებით!..

წამებად მექცა მოგონება გარდასულ დღეთა,
ასე ძალუმად ო, ეს გული, ნეტავ რად ხვნეშის?
ხსოვნის სიღრმეში შორეული დღეები ფეთქავს
და მიირხევა ცის თავანზე ღრუბელი მრეში...

ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა ნაპირებს გასცდა
და ხსოვნის ფონზე ულმობელმა შემიპყრო განცდამ!

27.04.97
ბანძა

***

ო, ამ წყაროსთან ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ,
ვერც გაზაფხულზე ატმის რტოებს მოეფერები!
მე კი უშენოდ აქ რამდენჯერ აღმომხდა ოხვრა,
რას ჩურჩულებენ სევდიანად მინდვრის ფერები?!

წლებმა უეცრად ჩაიქროლეს!.. მე მარტოსული
შემოვრჩი მინდვრებს, და ცრემლები აღარ მშორდება!..
შუქი ირხევა სიშორიდან ცით გადმოსული,
გული ვერ უძლებს უსაშველო ღელვის მოდებას!..

ვინ გაიხსენებს გარდასულის იდუმალებას,
მშვიდობით აწი, ო, დღეებო დაუვიწყარო!..
მზე ბევრჯერ მოვა ამ წყაროსთან ოქროსთვალება
და ჩვენს ნატერფალს შემოქარგავს ფერით ცინცხალით!..

სულო, რას უცდი, შეარხიე ხსოვნის ზონარი!
შენ, ხომ ამ ქვეყნად ბევრი რამ გაქვს მოსაგონარი!..

14.10.02
ბანძა

***

სადღაც გაფრინდა მგალობელი ჩიტების გუნდი
და მე შემოვრჩი შემოდგომის ყვითელ ნაპირებს!..
ვერ იქნა, დღემდე ჟამის ვეღარ დავლეწე ხუნდი
და დარდმა ბევრჯერ მომიმწყვდია, გამინაპირა!..

უკვე დაკეცა გაზაფხულმა აფრები მწვანე
და მოხასხასე გაიხადა სივრცემ მანტია!..
გულს მისუსხავენ ფოთოლცვენის ქარები მწარედ
და სული ვეღარ ეგებება ლხენით განთიადს!

დღეთა დინება ვერ მიფანტავს მღვრიე კაეშანს,
მინდორზე უხმოდ მოყვითალო ნისლი მოცურავს...
აიკლო სული უსაშველოდ ქარის თარეშმა
და ვდგავარ ბაღში ფოთოლცვენით გარემოცული!..

უშენოდ, ნეტავ, სანამ უნდა ვიხეტიალო,
მოდი, ეს გულიც ამომგლიჯე, ბარემ, ტიალო!

06.09.82
სოხუმი

***

მოვიდა თოვლი გაათეთრა წკვარამი ღამის,
მინდორზე უკვე უთვალავი ფანტელი გალობს!..
ვისმენ ფერდობზე გადმომდგარი ხარირმის ბღავილს,
ამ სილამაზეს აღარ მინდა დაჰქროლო, ქარო!

ფეხის წვერებზე დგება ჩემი ბავშვობის ლანდი
და განთიადზე სიყვარულით მეგობრებს უხმობს!
ეს თოვლია თუ მოგალობე ბუნების მადლი,
რომ ეფინება ჩემი ყრმობის მინდორ-ველს უხმოდ!..

მომიხავერდა სანუკვარი ეზო და ბაღი,
ვტოვებ ოთახს და ყმაწვილივით გავრბივარ გარეთ!..
ბუნება თავზე ისევ თოვლის ყვავილებს მაღვრის,
ვეძახი დღეებს ჭაბუკობის, და ვრეკავ ზარებს!..

მაგრამ წარსული უკვე აღარ მიბრუნებს ექოს
და სევდა მძიმე ჩემი გულის აწყდება ბექობს!..

14.01.84
ბანძა

***

„ბაგემდურიად გიალერსებ, ბაგეო-ვარდო!“
ბესიკი

მინდა სიცოცხლის ნიაღვრების ბოლომდე გვწამდეს,
შენ ხარ სინაზე გაზაფხულთან განუყოფელი!..
თრთოლვა ხარ ცისკრის და ოცნებით მაღალი ცამდე,
და მხიბლავს შენი სილამაზით წუთისოფელი!..

ღამეულ ლანდებს ვერ დავუთმობ მაგ შენს ხატებას,
რას უცდი, ცაო, გაზაფხულის შუქი მათოვე!..
უშენოდ სულმა როგორ იგრძნოს ცისკრის ნათება?
შეგხვდი, ძვირფასო, და ერთბაშად მომაჯადოვე!

ღრუბლები, სადღაც, შორს მიდიან სვენებ-სვენებით,
მოვდივარ შენთან და გულსთქმას მხოლოდ შენ განდობ!
მოდის აპრილი... ნიავს მოაქვს სუნთქვა ველების

და მე კი შენი საოცარი ღიმილი მათრობს!..
„ბაგემდუმრიად გიალერსებ, ბაგეო-ვარდო!“
ბაგევ, ბოლომდე აღტაცებით მოგეფერები!..

25.03.75
სოხუმი

***

„ძოწ–ლალ–ბაგეო, დამდაგეო,
სულთ–წამარებო!“
ბესიკი

მე შენს სიყვარულს დავიწყებას ვერასდროს მივცემ,
თუნდაც, ურიცხვმა გადაიქროლოს მიწაზე წელმა!..
გაჟღენთილია შენი შუქით ეს ჩემი სივრცე
და რას დამაკლებს დემონების მრისხანე წყევლა?!

მე ცას და მიწას ვევედრები მაჩუქონ შვება,
ო, მაგ ბაგეთა მოფერების ღირსი რომ გავხდე!..
სულს ტკივილებთან, თუმცა ბევრჯერ ჰქონია შებმა
და, მაინც სიმებს სიყვარულის საოცრად არხევს!..

ვინ შეაჩერებს მღელვარებას დროის მორევის,
ბრუნავს ნიადაგ და ღრმა სკერზე ყველაფერს ითრევს...
სულმა ტკივილის უსაშველოდ იგრძნო მოსევა,

მაგრამ ზეციდან შუქის კრთომას ისევ მოველი,
სიმებს იდუმალს კვლავ შეახებს თოვლისფერ თითებს
და ცა ოცნების ვარდისფერად შეიმოსება!..

23.03.75
ბანძა

***

„პირო-მთვარეო, მომიგონე,
მზის სადარებო!“
ბესიკი

ლამის აფეთქდეს ო, ეს გული სადმე დენთივით,
შორს დარჩა უკვე ჭაბუკობის თეთრი ზღაპარი!..
ციდან დამცქერის შემოდგომის მზე მოთენთილი,
შევრჩი ტრამალებს დევნილი და მიუსაფარი!..

ზღვა მაგონდება მშობლიური მთვარით ნაფერი
და ცა დაღვრილი ყვავილების ფერად მტევნებად!..
შენი ხატება მტკივა მხოლოდ, სხვა არაფერი,
როცა ხეივანს მოგონების ავედევნები!..

დაცარიელდა ჩემთვის გზები პირველყოფილი
და ჟამი გახდა შემზარავად აუტანელი!
სად გპოვო აწი საოცნებო მთვარის პროფილით,
დრო მიდის, მაგრამ ჩემს ტკივილებს ვეღარ ანელებს!

არ დამივიწყო სიშორეში მარტოდ მარები,
პირო-მთვარეო, მომიგონე, გემუდარები!..

26.05.95
მოსკოვი

***

იადონს

მე მიყვარს შენი გალობა ჩემი ატმის ხის რტოზე,
როცა აპრილი შემოდის ფერების ნიაღვრით!..
შენ ჩემს მამულში მოფრინავ გაზაფხულობით, დროზე,
როცა სივრცეში შრიალებს ფრთალურჯი ნიავქარი...

გისმენენ ფერიები და ყვავილები მინდვრის,
და ბალჩა–ბაღებს ათრობ შენი სიმების რხევით!..
როცა გაწვება მსუბუქად შემოღამების ბინდი
და აყურადებს შენს ჰანგებს ჩანჩქერები და ხევი!

ჩიტებში შენ ხარ პირველი ო, მაგ ხმით სანატრელით,
ქარს დააქვს ყვავილები ატმებისა და ნუშის...
ანგელოზები გარშემო სივრცეს სერავენ ფრენით
და მელოდია უკვდავი ლაღად შემოდის სულში!..

დიდხანს იმღერე, მამულში მინდა შენი ხმა ენთოს
და ამ ხმის სინარნარით შენ გამახარე, ღმერთო!

20.04.17
ბანძა

***

ლ–ს

მიირხეოდი ჩამავალ მზის სხივების ჩქერში,
მიგაცილებდა მოგალობე ხმა იადონის...
მაგონდება და უჩვეულოდ შემოდის ჩემში,
საით წახვედი, რომელ მხარეს? – „ვაჰ, დრონი, დრონი!“

ჩემს სულს პოეტურს მოსგონრად დიდხანს ეყოფა,
ო, ის საღამო ჭაბუკური თვალით ნანახი!
მეძახის ის დრო აღტაცებით, როგორც მეგობარს,
ეფინებოდა მოცისფერო ბინდი სანახებს...

მიგაცილებდა ოჰ, რამდენი თვალი ტრფიალით,
ცა შეღამების ჩამავლ მზის შუქით თვრებოდა!
შენს ნაფეხურზე თამაშობდა ლურჯი ნიავი,
ზღვაც, შენი მზერის სილამაზით იფოფრებოდა!

მზე ჩადიოდა ძოწისფერი სხივთა ფაფარით
და ჩემში დარჩა ის საღამო, როგორც ზღაპარი!..

04.07.17
თბილისი

***

ის დრო წავიდა, აწი უკვე ვერაფერს შევცვლით,
შენ რომ გიყვარდა, საყვარელო, ის წყაროც დაშრა!..
მოვა აპრილი, აგაცრემლებს სიმღერა მერცხლის,
რასაც საოცრად აღტაცებით ხვდებოდი შარშან!

ცივი სადგური გახდა შენთვის პლანეტა მთელი,
უცხო ჩიტივით სული, სადღაც, გაფრენას ლამობს...
აჰა, საცაა დაიწყება, ძვირფასო, რთველი,
ბრძენი ბუნება ყვავილოვანს გაიხდის სამოსს!

ვერ იქნა, ვეღარ შეურიგდა ტკივილებს სული,
ის ბაგეებიც გაფერმკრთალდა ნაზი და ცხელი!
გადაწყდა უკვე, ვეღარ მალავ გაფრენის სურვილს
და მაგ ღაწვებზე გაჩნდა ორი მდინარე ცრემლის!..

შორს დარჩა, სადღაც გაზაფხულის ბაღი შრიალა,
ყველა ტკივილმა მაგ შენს გულზე გადაირა!..

19.12.75
სოხუმი

***

მე ამ სამყაროს მოაზროვნე რგოლი ვარ მცირე,
ვცდილობ და მაინც საიდუმლოს ვერაფრით ვერ ვხსნი!
ვუახლოვდები ჟამს მთვლემარეს, დემონი მირევს,
შორიდან ისევ იდუმალი შენი ხმა მესმის.

მახურავს თავზე ვეებერთელა ცა ვარსკვლავეთის,
მათრობს სხივების ოკეანე შუქის ციმციმით...
მიილტვის სული აღტაცებით, სიშორეს ერთვის...
და მივისწრაფი უგვზოუკვლოდ, სადღაც კვიცივით!..

სად გაქრა, ნეტავ, მომნუსხველი დღეების წყება?
მე ყვავილები სიყვარულის მომქონდა შენთვის!
რამდენი რამე გამომგლიჯეს ხელიდან წლებმა
და შემრჩა მხოლოდ შენი სულის მუსიკა თეთრი!..

იდინე დროო! შენთან მუდამ შეხვედრას ვნატრობ
და არ მსურს შენგან გარიყული რომ დავრჩე მარტო!

19.01.66
თბილისი

***

ჩემს ბაღში ისევ სუსხიანი ზამთარი მოდგა,
არ შერჩათ ხეებს სამოსელი ტანზე ფოთლების!
მივაყურადებ, მესმის მძაფრი წუხილი, მოთქმა,
დაცხრა მდინარე, არაერთხელ შენაშფოთები!..

ჩემს ბაღში ისევ ო, რა მკაცრი ზამთარი სუნთქავს,
აჰა, საცაა, დაიწყება ფიფქების ჩქამი!..
ღრუბლის მორევში მიირხევა ფერმკრთალი თუთა
და მოლოდინში გატრუნულა ეს გრძელი ღამე!..

მოფრინდებიან განთიადზე თეთრი ჩიტები,
დაიზნიქება მათი ფრთებით ტოტები ხეთა...
და ვარ სევდისგან უჩვეულოდ განაფითრები!

და, როცა ბაღი მოირთვება ფიფქებით თეთრად,
აცახცახდება წყარო, ისევ მთელი სხეულით,
სიმს ააკვნესებს ფაშარ თოვლში სკვინჩა გრძნეული!..

25.12.05
ბანძა

�із

ისევ აღსურდა დრო შა თა ძა რი ს

ყუძ ღ ენ ი საქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე რ ო ვ ნ ულ გ ძ ი რ ებ ს — ზ ვ ი ა დ გ ა ძ ს ა ხ ო ურ დ ი ა ს დ ა ძ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს ხ ს ო ვ ნ ა ს

„ხ ა ნ ძ ა უ ნ დ ო ბ ა რ ძ ა გ ზ ა რ ო ძ შ ე ე ღ ე ბ ა,
უ ხ ვ ა დ მ ი ი ტ ა ნ ა ს ი ს ხ ლ ი დ ა ც ხ ე დ რ ე ბ ი,
ძ ა თ რ ი ქ ა რ ტ ე ხ ი ლ ი მ ა ს ნ უ შ ე ე ხ ე ბ ა,
შ ზ ე ო თ ი ბ ა თ ვ ი ს ა, ა ძ ა ს გ ე ვ ე დ რ ე ბ ი!“

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

I

ბასაბამიდან მოვდივართ მტკიცედ,
ჩვენ ამ მიწაზე შეტევით მკაცრით!..
გავითავისეთ ჟამი და სივრცე,
ქართული სულის
ღელვით და განცდით!..
ვინ უწყის, თუ რა გზებით ვიარეთ,
მშობლიურ მიწას – შევარქვით დედა!
ქროდა უდაბნოს ქარი ტიალი
და ჩვენს ერთობას
უტევდა მედგრად!..
და უქარქაშო ხმლების კვეთებით,
წინ მივიწევდით, არ გვქონდა შიში!
ჩვენ მოვდიოდით დაიმედებით
და მოვარღვევდით
უდაბნოს ქვიშის!..
დავითისა და თამარის შემდეგ,
უკუღმა იწყო ბრუნვა სოფელმა!
ობოლი ხალხი იმკიდა შედეგს
და იდგა ჟამი
დაუნდობელი!..
საქართველოს ვრცელ, ლამაზ ბაღნარებს,
ჯალალედინი შემოესია!
ო, ეს რამდენი სისხლი დავღვარეთ,
არც ღმერთი ჩანდა
და არც მესია!

ბასიანის და დიდგორის გმირთა
ძვლები საფლავში შფოთავდნენ ძლიერ!
ქართლი დამხობას ვერ განერიდა
და ველურ ტომებს
ვერაფრით ვსძლიეთ!
გადაეფარა კოშმარი ღიად
დიდი დავითის ნატახტარს დიადს!
და მოზღვავებულ მხეცების ღრიალს
ვერ გაუძელით
ვერაფრით ტიალს!
ამსხვრევდნენ ქვეყნის უძლეველ კედლებს,
დიდი თამარის სალოცავ ხატებს!
და ციდან ღმერთი ხედავდა შედეგს
ცრემლიან ზარებს
რეკავდა მნათე!..
და მონღოლებმა ისრების ტყორცნით,
ქართული სივრცე დაცხრილეს ერთობ!
საფლავად იქცა ყოველი ბორცვი,
ო, რა კოშმარი
ვიხილეთ ღმერთო!
და თემურ–ლენგის ბრალდებას მძიმეს,
ვინ მოთვლის რვაგზის შემოჭრის შემდეგ,
თბილისი ერთობ გააპარტახა,
და ნაბუშარმა,
აქცია მღვიმედ!..

II

მოცურდა ჟამი სისხლიან ფრთებით,
გარს შემოერტყა ვეშაპი მთა–ბარს!
იცრემლებოდნენ ბებერი მთები
და იხსენებდნენ
შორეულ ზღაპარს!..
რა უიმედო იყო ზმანება,
მიწა აქციეს სისხლის ჯაობად!
და ნაკვალევზე დინოზავრების,
მოირხეოდა
არარაობა!..
დიდგორის გმირთა მამაც თაობას,
რა შემზარავი ბედი ელოდა!
რევოლუციის ამ გულზვაობამ,
თამარის მიწა
გაამელოტა!
და იუნკრების მოდგმა მამაცი,
ეკვეთა მომხვდურს, მაგრამ ამაოდ!
და ბოროტება კეთილს ამარცხებს,
შენ დაგვცქეროდი,
ციდან, მამაო!..
ჩვენ ბოროტება გვახსოვს მრავალი,
მაგრამ ეს იყო შეუდარები!
ანგელოზები ჩეხეს ბარებით,
ჩააქრეს ცაზე მზეადმავალი!
ზარების კივილს მცხეთას და სიონს
ეხეთქებოდა ქარი ტრამალის!..
რვაასი წლის შემდეგ თბილისის ცისქვეშ,

ისევ აცურდა
დროშა თამარის!..

III

თქვენ თბილისის კარიბჭესთან იბრძოდით,
ცეცხლს უნთებდით ბოროტების
საბუდარს!
მამულისთვის, რომ კვდებოდით იცოდით
და თებერვლის
ზეცა გაუდაბურდა!..
იყო ოხვრა, თოვლზე სისხლი დაღვრილი
და რაშივით ყალყზე იდგა ქალაქი!
ბარბაცებდა მტკვარი ღელვით დაღლილი
და კიოდა
თმაგაშლილი არაგვი!..
მტერს უტევდით არაგველთა კვეთებით,
გადარჩენა, თურმე, აღარ გეწერათ!
გადარეცხა, ერთობ სისხლის მეწყერმა –
ფერდობები, ქუჩები
და კედლები!
მზე ამოდის და ცა გადაიფერდა,
სულს მოედო რწმენა მთელი სიცხადით!
დარჩა ხალხში ის ლეგენდა, ის ღელვა,
მარად დაუვიწყარი!..

IV

ცა ახურავს მღვრიე პროსპექტს რუსთაველის
და ჩემს მთა-ბარს წეწავს
ქარიშხალი ველის!..
მთაწმინდას და თაბორს შავი ნისლი აწევს,
ვხედავ, ქართლის დედას
ცრემლი უწვავს ღაწვებს!..
მთიდან ვაჟა ბორგავს და აკაკი კვნესის
და აპრილის დილა
ავსებულა გესლით!..
დგას ილიას ლანდი მოქუფრული სახით,
სააკაძის მზერა ჰგავს
სისხლიან მახვილს!
ტატო შფოთავს მწარედ, მისცემია ფიქრებს,
ისევ კივის მტკვარი,
გმირებს უხმობს იქნებ?!
ზარი რეკავს მძიმედ სიონსა და მცხეთას,
მიასვენებს ქართლი
ო, ეს რამდენ ცხედარს!..
ღვიძავს კრწანისს და მარაბდას, ბაზალეთს და დიდგორს,
დედოფალი ნაიარევ მკერდს
იხოკავს თითქოს!..
ცა ახურავს მღვრიე პროსპექტს რუსთაველის
და ჩემს მთა-ბარს წეწავს
ქარიშხალი ველის!

V

ეს რა კივილი ჩამესმის, ქალაქს ხანძარი ედება?!
გვიანი ღამით აპრილის
ეს ვინ დაიწყო შეტევა?!..
და აიშალა ბანაკი, იწყეს გუგუნი ზარებმა,
აკივლდა ჩემი ქალაქი,
როცა გაიცა ბრძანება!
ფრთამოტეხილი არწივი ცალმხარს მიწაზე მიითრევს,
ამ ქუჩებს სისხლით ნაწვიმარს,
დაჰკრა სუსხმა და სიფითრემ!..
მამულო, ბევრის მნახველო, გულში სასტიკად დაჭრილო!
ეს ბოღმა გაწევს რამხელა,
შეჩერდი, ჟამის აჩრდილო!
მთა–ბარი ცეცხლში ტრიალებს, პირი იბრუნა მნათობმა!
წუთისოფელო ტიალო,
რატომ არ იცი დანდობა?!

იყო დროშების გაშლა და მგზნებარება ჩანგის,
სისხლი აცხია ჯავშანს მძიმედ
მიმავალ ტანკის!..
სისხლი აცხია თქვენი – თამუნია და ეკა!
რეკავს ზარები დიდგორს!..
რეკავს ზარები კლდეკარს!..
და ეს კივილი მძაფრი შეხსნის ჭრილობას ყველას...
დაწეწილია აფრა და
საუკუნე ღელავს!..
სული კვეთებას ითხოვს, კივის ყოველი წამი!..
რეკავს ზარები დიდგორს!..
რეკავს ზარები კრწანისს!..

VI

მე თბილისი ვნახე დაშვებული ფრთებით,
შეაშფოთებს მნახველს
მგლოვიარე მთები!

მე თბილისი ვნახე, მტკვართან ახლოს მივდექ,
ეს რა შავი ნისლი
დასწოლია მინდვრებს?!

მე თბილისი ვნახე ახლა სულ სხვა გზნებით
და არღვევდა ბოღმა
ჟამის ყველა ჯებირს!..

და ტკივილი შენი ვეღარ ავიტანე
და კიოდა სული
ბასრი, როგორც დანა!..

მშობელ დედის ოხვრას ვეღარ გავუძელი!
ბოღმით ღრნიდა ლაგამს
საკაძის ცხენი!

მე თბილისი ვნახე, დიდხანს ვიდექ ცალად,
ეს რა შავი ნისლი
დასწოლია ქალაქს!

VII

დიდხანს ვიდექი მდუმარე სახლთან,
ჟამის დემონურს ვისმენდი სისინს!..
მე აქ ცოცხალ ვარდები დამხვდა
და უცოდველი
ლაქები სისხლის!..
ვუცქერდი უხმოდ გარინდულ ნაძვებს
და მძიმე შიშით შეპყრობილ კედლებს!..
როცა გაზებით წამლავდნენ ბავშვებს,
როცა ბარებით
ჩეხავდნენ დედებს!..
მზე არიდებდა მიდამოს მზერას
და ტანზე ღრუბლის იცვამდა ძაძას!..
დავიწყებოდა სიცოცხლეს ფრენა
და დამსხვრეოდა
ოცნებას ანძა!..
ზეცა გოდებით მოირღვა, თითქოს
და უფსკრულებში ჩაინთქა სადღაც...
ანგელოზების ვისმენდი ქვითინს
და შემზარავი
დაეშვა ფარდა!..

VIII

სული გქონდათ სუფთა თაფლის სანთელივით,
მიაშურეთ ანგელოზთა საუფლოს...
მამულისთვის უმოწყალოდ გათელილნო,
სილამაზეს შუბლი

ვინღამ გაუპო?!
თქვენ ფერიას ჰგავდით ციდან ჩამოფრენილს,
ბრძოლის ველზე
მკერდი მოიღიავეთ!..
მიწა არა, ზეცაც გახდა სისხლისფერი,
სერაფიტი მოგიშუშებთ
იარებს!
გაზაფხული გუშინ ვნახე შავი კაბით,
ვკითხულობდი წუთისოფლის სიავეს!..
იქ, რუსთველზე, ახლაც მესმის ბრძოლის ხაფი,
სად იუდას
სულმა გადისრიალა!..
ჟამი კივის!.. ძარღვში სისხლი მეყინება!
მაფშალიამ, რად შეწყვიტა გალობა?!
მომავალი, თუკი
რამედ ეღირება,
დაგიფასებთ მაგ თქვენს ამორძალობას!

IX

თქვენი უმანკო სისხლი ტკივილს მომირღვევს უჩვევს,
ორთქლად, რომ ასდის დღემდე
ქვაფენილებს და ბუჩქებს!
იყო საათის ოთხი, ჟამი ჩამოდგა წარღვნის!
ისმოდა ზარის მოთქმა –
გამოღმითა და გაღმით!..
იყო კივილი, ჩეხვა და სულის ხუთვა შხამით!

გადიხმაურა მეხმა, დარჩა
სურათი შავი!..
მემატიანე ფურცლავს: „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს,
ვხედავ: შაჰ–აბასს, თემურს,
სისხლით მარადის უძღებთ!..
მაგრამ ეს სხვაა, სულ სხვა და მსხვერპლს უმანკოს ირჩევს!
ჩეხავს ბავშვებს და ქალებს,
მხოლოდ ორლესულ ნიჩბით!..
თქვენი უმანკო სისხლი ტკივილს მომირღვევს უჩვევს,
ორთქლად რომ ასდის დღემდე
ქვაფენილებს და ბუჩქებს!..

X

წუხელ ბევრი ვეჩურჩულე ბალახებს
და ჭადრების ხეივანში ვიარე,
როგორ თრთოდა სევდიანი ქალაქი
და ფოთლებში
ქვითინებდა ნიავი!..
მიქრის სული მარად მიუსაფარი,
ჩაუქროლებს ვარსკვლავების საუფლოს...
მოვა წვიმა ამ ბალახებს გალუმპავს,
სიოც მოვა, რომ
თქვენ გაგესაუბროთ!..
შორს, ხომალდის იალქნები ჭრიალებს
და რტოები შელახული ქარისგან!
ვერ ვიხილე მაგ თვალების სიალე,
ვერც ის თეთრი –
ნაფეხური მთვარისა!..

XI

სიკვდილს სიმღერით შეხვდით და გამარჯვების რწმენით!
სული სავსეა ოხვრით, სივრცე
სავსეა წყევლით!..
მზეს ამომავალს ვუმზერ და, რა წამება ახლავს,
ცას ახატია გულზე
თქვენი თვალები ახლაც!
ისმის ჭიხვინი მერნის, სივრცეს ეძახის მზიანს,
დროშად გაჰყვებით მერმისს:
თამარ, მანანა, მზია!
არაფერია ადრე, არაფერია გვიან,
თქვენი გმირობა ნაღდი
რჩება ნოდარ და გია!
სიკვდილს სიმღერით შეხვდით და გამარჯვების რწმენით!
სული სავსეა ოხვრით,
სივრცე სავსეა წყევლით!..

XII

ნუ მახსენებ, მე იმ ღამეს და ტანკების ღრიალს,
ეს ჭრილობა საუკუნეს
შემორჩება ღიად!..
ნუ მახსენებ, გვიან ღამით იმ გასროლილ ტყვიას!
ნუ მახსენებ, ნუ მახსენებ,
მე იმ ორომტრიალს!..
ნუ მახსენებ, ქვაფენილზე დაღვრილ სისხლის ნაკადს,
ან დაჭრილი სული როგორ

აწყდებოდა საკანს!..
როგორ ეგდო სილამაზე ბარით დაჩეხილი
და მერე კი, რუსთაველზე
სისხლს რეცხავდნენ დილით!
ნუ მაჩვენებ, მეგობარო, იმ გოდების კედელს!
იმ ჯალათებს გულუბრყვილოდ,
ასე როგორ ვენდეთ?!
ნუ მახსენებ, იმ სიმღერას კლდეს რომ ცრემლებს ადენს!..
ნუ მახსენებ, მე იმ ღამის
იმ, სისხლიან ლანდებს!..
ნუ მახსენებ, ცხრა აპრილის იმ შემზარავ დილას,
მასთან ყველა ჯოჯოხეთი მოჩანს
ფერმკრთალ ჩრდილად!
ნუ მახსენებ, მეგობარო, მე იმ ღამის მოტივს!
ნუ მახსენებ, ბებერ მუხას,
როგორ მოსწყდა ტოტი!..
ნუ მახსენებ, ნუ მახსენებ იმ ნაწამებ თვალებს
და ქარაფზე შეშლილი რომ
გადაქანდა მთვარე...
ნუ მახსენებ, მე იმ ღამეს და ტანკების ღრიალს!
ეს ჭრილობა საუკუნეს
შემორჩება ღიად!..

XIII

სულს კვლავ მიმღვრევს დემონების როკვა,
დაუკეცავს ფრთა მთაწმინდის ნიავს!
მტკვრის კვლავ ისმის შემზარავი ოხვრა

და ქუჩები სისხლის
მორევს მიაქვს!..
სვეტიცხოვლის ზარი მძიმედ რეკავს,
ვინ დალუქა ეს ცის კარი ღია?!
ცრემლიანი იმზირება დეკა,
გაულსაკლავად კვნესის
ისევ ღვია!..
ჟამს კივილი დემონების ზარავს,
რომ ქალები დაჩეხილი ყრია!
ქალაქს ამსხვრევს ულმობელი ძალა
და ტანკების ვისმენ
მძიმე ღრიალს!..
მტკვარი ბორგავს და თავს კლდეებს ახლის,
ქუჩებს ჟამის მოსდებია დელგმა!..
სამოთხის, ვინ დამილეწა ბაღი?
თუ აიშვა
ისევ თემურ–ლენგმა?!

XIV

გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
ორი დიდი სისხლიანი დღე!!!
ზღვა ღელავს და ფიქრით მივსდევ სანაპიროს
და ვარ მწარე
მოგონების ტყვე!..
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
ვერ ვივიწყებ იმ ულმობელ ჟამს!
ახლაც გლოვობს ცა მამულის უნაპირო
და სამოსელს ვერ

იშორებს შავს!..
შემზარავი ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
როგორც დანა კვლავ მისერავს გულს!
შავი ფიქრი მოზღვავდა და მინაპირებს
და მახსენებს იმ
ორ გაზაფხულს!..
ცხრა მარტის და ცხრა აპრილის ქარტეხილი!..
ბარს და ტყვიას აგებებდნენ მკერდს!..
და სიცოცხლე უსაშველოდ დაჩეხილი,
სისხლიანი ფრთები
ჰქონდა მტრედს!
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
მე იმ დღეთა მოგონება მკლავს!..
სისხლმა ორჯერ გადარეცხა სანაპირო
და შხუილით
შეურეთდა მტკვარს!..
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
შემზარავი რიცხვი გახდა ცხრა!
მუხლებამდე სისხლში იდგა საქართველო
და კივილი
აწყდებოდა ცას!..
სისხლით ღებეს მინდორი თუ ქვაფენილი,
ხსოვნა, როგორც ბედისწერა მდევს!..
და არწივი ლაჟვარდისკენ აფრენილი
ორთავე ფრთით
შეელეწა კლდეს!..
გაზაფხული – ცხრა მარტი და ცხრა აპრილი!
ორი დიდი სისხლიანი დღე!!!

ზღვა ღელავს და ფიქრით მივსდევ სანაპიროს,
და ვარ მწარე
მოგონების ტყვე!..

XV

რატომ რეკავ, მამულო, ზარებს სამგლოვიაროს?!
იზნიქება თავანი კვამლის
შავი ბოლქვებით!..
სისხლიანი პერანგით სანამ უნდა ვიაროთ,
სანამ უნდა გაუძლოს
სულმა აბობოქრებას?!
აღუმართავთ ანძები დღეებს უსიხარულოდ,
ასე ღელვა-კივილით სანამ
უნდა ვეწამოთ?!
გავცქერ სივრცეს ამღვრეულს, არის ზვირთთა მარულა,
ყველგან ვხედავ მარაბდას,
ყველგან ვხედავ წიწამურს!
მოჩანს სიმაღლეები მარად თავბრუდამხვევი,
მანფრედივით ღამეში
მარტო დავეხეტები...
სულის თეთრი სანთელი დარდით გამინახევრდა
და უსაზღვრო ტკივილით
სიშორეებს ვედები!..
ის ვარსკვლავი იმედის, სადღაც გაუჩინარდა,
ღელვამ გადააჯარბა, თითქმის,
ყველა მოლოდინს!..
ვნახე ბრძოლით დაღლილი შენი სული გმინავდა
და ხაროდან დემონი

ხარხარებდა ბოროტი!..
მოქრის თეთრი მხედარი მზერადაუნდობელი
და, საცაა, გაარღვევს
ჟამის უიმედობას!..
სივრცე ველარ აჩერებს მღვრიე ქარებს მობერილს,
სისხლმა ერთობ დატბორა
ქუჩები და ფერდობი!..

XVI

თქვენ, ძვირფასებო, არასდროს არ მოგაკლდებათ დიდება
და თქვენი სული მარადის
ცაში მზეს გაეკიდება...
ოდითგან ასე მოგვდგამდა და დარჩით ფიც-ვერცხლ ნაჭამი!
შიშველ მკლავებით ეკვეთეთ,
რომ მოდგა მტერი აჯამი!..
ღელვამ აიკლო ქალაქი, არსით არ იყო ნუგეში
და სხეულები ნაჩეხი
ეყარა სისხლის გუბეში!..
თექვსმეტი გმირი ესვენა ბრძოლებით ღამენათევი,
თქვენს ვაჟკაცობას დიდება
და სულებს მარად ნათელი!..
დავითს და თამარს მიუხვალთ მოქანცულები ვედრებით,
უჩვენეთ ტანჯულ დედოფალს
სისხლით ნაპოხი მკერდები!..
თქვენი სიმღერა გუგუნით კარებს შეაღებს სამოთხის,
ციდან იმედის ნათელი
თქვენი სახელით ჩამოდის!..

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
პოეზია და სამყარო 5

გაფრინდნენ ბავშვობის დღეები 21
ვის უგალობდა?! 22
იმღერე, პატარა ცირა! 23
მოგვაყივლა ცისკარმა! 24
* * * მოშრიალდი, გაზაფხულის წვიმავ... 25
ჩემი ვერხვი 26
დიოსკურია 27
სულის იალქნები 28
მას ყველაფერი ახსოვს 29
ქარმა გაძარცვა 30
მდინარის პირას 31
ისევ მოდის! 32
რუსული ჩანგი 33
მარის 34
ნუთუ, გაფრენა არ შეგიძლია?! 35
ჩემი გზა 36
დავდივარ სულით ობოლი 37
ვაზის ცრემლები 38
გამოჩნდა ისევ 39
*** ერთი ვარსკვლავი მიცქერს შორიდან... 40
მე მიყვარს ღამე 41
თამაშობს ჩრდილი 42
ფოთოლცვენის ლანდები 43
ქართული ენა 44
მთაწმინდა 46
გემშვიდობები მეოცევ!.. 49
მე და შენ 51
არ გაქვს უფლება! 52
რატომ ხარ, ასე ვერაგი?! 54
ოლეანდრებთან 55
მოიწევს ღამე 56
ვეფხვია 57
ტყეს 58

შემორჩა ხსოვნას! 59
დგება საღამო მშვიდი 60
ფერიცვალების სევდა 61
ჩემი წყარო 62
მაინც იდინებს დუნაი! 63
თამარ მეფეს 64
დის საფლავთან 65
მოჩანს ცისფერი კარავი 66
მივდივარ საით?! 67
მიბრუნებს იმედს 68
სევდიანი მუსიკა 69
დედას 70
ჩემი სიმღერა 71
ო, ეს წელიც იწურება უკვე! 72
სანამ უნდა ზიდო?! 73
წუთისოფელი 74
მე საუკუნეს გავძახი... 75
საით გაფრინდა? 76
სათოვლია 77
სურვილი 78
*** ცაზე ნახტომი ირმის იტაცებს ნაცნობ მოტივს... 79
ენძელა და სათოვლია 80
გაწყდა ლენტივით 81
ვიხსენებ ახლაც 82
ო, როგორ მიჭირს! 83
რატომ? 84
ორი და 85
დაგვემშვიდობე... 86
წვებიან ცისფერი ლანდები 87
შორს დარჩა 88
თამამად მივალ 89
ვეთხოვები გაზაფხულის მინდვრებს 90
თავი აიშვეს ქარებმა 91
შეუერთდება სინათლის მეწყერს 92
დათა თუთაშხია 93
სული და ფერიცვალება 95
მეგობრების ხსოვნას 96
სად გაქრა? 97

აღსდგება ისევ....98
საიდან მოდის?....99
*** მე შენს საფლავთან მოვედი გუშინ... 100
*** სადღაც ღრუბელი დაეშვა და მზე დაღლილი მიწვა... 101
გაცურდა ის დრო....102
რამ უცვალა ფერი?....103
*** და სიხარულით ვტირი....104
მოვა აპრილი....105
მე შენს წამებას ვიხსენებ!....106
შენს საფლავთან მოვედი....107
ჩიტი....109
გახსოვს?....110
პირველი თოვლი....111
*** ვერ ვუძლებ ღამის სიურჩეს... 112
მაფშალია....113
კვლავ რეკავს ზარი!....114
ჩემი ვერხვი!....115
მზე გაზაფხულის მოიწევს ისევ....116
ეს არის ჩემი ტრაგედია!....117
ვინ გაექცევა?....118
დრო მიაქანებს... 119
თან მდევს....120
ირხევა ქნარი....121
მშობლიური ელეგია 122
ყოფნა-არყოფნა?!....123
ისევ მიქრიან....124
მოვიდა თოვლი შემოღამების....125
მენავე....126
რა აცინებს მავანს?!....127
ფერი იცვალა ბუნებამ....128
ჩემი სახლი....129
ხსოვნა....130
შეხვედრის მოლოდინში....131
ღამის საგალობელი....132
სოფელი....133
რა შემრჩა?....134
ვერის სასაფლაოზე....135
გავცქერი სივრცეს....136

მეტრიმავედრებელი

შორს, სადღაც იქით... 137
ეპიტაფია 138
დავდივარ შუკებში სოფლის 139
რა რჩება ჩემში? 140
ვდგავარ საფლავთან 141
იმ დღიდან მოდის! 142
იმ დღეს! 143
ქალი ქვიშაზე 144
ვერხვი 145
ეს რა ზარები რეკავენ?! 146
მემატიანე სოფლის 147
რომანსი 148
საით მიქრიხართ? 149
აპრილი 150
სულო, გაფრენას საით აპირებ? 151
მონადირე ძაღლი 152
ჩემს ფანჯარასთან 153
ბაღში 154
უკვდავება შევსვი! 155
კვლავ წინ მიიწევ 156
მთვარის საიდუმლო 157
მენანება ძლიერ! 158
ჩემი ჭალა 159
სინანულის სიმი 160
ნიჟარისფერი მდინარის მიღმა 161
ამაოდ ვეძებ! 162
მოვა დრო! 163
დრო არასოდეს დაშრება 164
მოვდივართ ერთად 165
ატირდა ია 166
მოდის, მოღელავს 167
სიყვარული 168
წვება საღამო 169
ზღვაზე 170
* * * შეირხა ჩუმად ლერწამის ღერო... 171
შევკარით წრედი 172
რატომ და რისთვის?! 173
ისმის ჩიტების ჟღურტული 176

კვლავ მოაწვა 177
ფოთოლი 178
რას წუხს?!....179
ისევ ირხევა ტირიფი მწვანე....180
დაისის ცა....181
თეთრ ღრუბლებს....182
მდინარესთან ილანდება ქალი 183
...და ჟღერს ამაყად ჩანგი!.. 184
რაა სიკვდილი?....185
ის დრო გაცურდა გედივით 186
ღელას 187
რატომ არ დამემშვიდობეთ?!....188
ისევ ამოდის მთვარე ბებერი....189
მზე ჩადის....190
მაისის წვიმა....191
სევდიანი მზერა....192
აჰა, შემოდის აგვისტო!.. 193
მოდის ღამე მკრთალი....194
*** მზე ჩადის მშვიდად ნანგრევებს იქით... 195
მივალ ხეივანში....196
პოეზიის რაინდი....197
ისევ შრიალებს....198
ვიხსენებ ოხვრით....199
იგრძნო ცივი მზერა....200
რატომ ატირდა ნიბლია? 201
ზის ქვაზე ბოლოქანქარა 202
კვლავ შენზე ვფიქრობ....203
მოვა დრო 204
*** მე ამ მდუმარებას ვეღარ გავუძელი... 205
განთიადი 206
ფერიცვალება....207
ბავშვი....208
ვერ მივატოვებ! 209
შეღამების თოვლი....210
მახსოვს!....211
ის დრო წავიდა 212
თეთრი ნავი 213
შეარხევს ქარი....214

ნეტავი, საით მიქრის? 215
იდგა სიჩუმე 216
არ მინდა ვნახო 217
ყველგან დავეძებ! 218
ყვავილები სცვივა ტყემალს 219
მიმღერე რამე! 220
ხეივანში ვხეტიალობ მარტო 222
როგორ მიმძიმს 223
რატომ ვენდე?! 224
უგუნურობას არ უჩანს ბოლო 225
აღარ მასვენებს 227
რას წუხს?! 228
სამი ჩიტი 229
პატარა ჩიტი 230
არ ჩანს 231
ორი ყვავილი 232
აბაშა 233
დაათვრე მიწა! 234
ვერ აირიდე 235
მზის ჩასვლა ზღვაზე 236
მშვიდობით, ძმაო! 237
სად მიხვალ, ღღეო?! 238
*** ირწეოდნენ ტირიფები მდინარესთან ახლოს... 239
ვერის ბაღში 240
მთვარიან ღამით 241
მშვიდობით, ჩემო პლანეტავ! 242
რატომ დაჩხავით? 243
ლილის 244
სულში ნაღველი მიწევს 245
დამთავრდა ყრმობის სიზმარი 246
სად გაქრა?! 247
განმარტოება 248
სევდა 249
მარტოობის გზა 250
*** კვლავ ჩემი ცა მერცხლებისგან დაიცალა... 251
ფუნჯი განთიადის 252
მაცილი 253
მეძახის, მომსდევს 254

სიყვარული 255
*** აქ ყველაფერი შენით იწყება....256
კვლავ აცურდება დილა 257
ბებერი ძაღლი....258
თეთრად აბოლდა ალუჩა 259
არავინ გენუგეშება 260
მე ჩავუქროლე... 261
ხომ არ გახსენებს რამეს?!....262
ტროპიკული მზე 263
მომენატრება....264
სოფელი გაუდაბურდა 265
შემრჩება ხსოვნა....266
ბევრჯერ დაგუბდა ცრემლი თვალებში....267
დამენანება....268
ჩემს საქართველოს მოეშვით! 269
რა გემართება?!....270
მოაწვა ღელვა გარემოს!....271
თამარის ლოცვით ნაგები 272
ჩემი ხომალდი წავიდა 273
ალბომი 274
*** მოდის დღეები ქარებით ურჩით... 275
პარალელი 276
რა მინდა მეტი?! 277
ხსოვნის კაღრები ერთმანეთს ცვლიან 278
რა უნდა?!....280
ცხრა ძმის გაგყვათ შემართება....281
ნუთუ, ჟამს ამაოდ ვეომე?! 282
არ დაიშურო! 283
ჩემი გზა 284
მეგობრის საფლავთან 285
მოვედი ისევ....287
ხიროსიმას ზარები!....288
დღეს შენს საფლავზე....289
ორი ბუნება 290
ჟამი ბალახებს თიბავდა....291
ჰა, განშორების მუსიკა უკრავს!....292
ომი....293
მაშინ ათი წლის ვიყავი!....294

მეტრამავლრებელი

საქართველოს 295
შემოდიოდა აგვისტო 296
იყო ზამთარი ურჩი 297
მესხმება ფრთები 298
მე აქ მოვდივარ 299
მომაგონდება... 300
ზამთრის პირას 301
ლოცვა 302
გაქრა სილაღე სოფლის! 303
მთვარიან ღამით 304
მოსწოლია შემოდგომის სევდა 306
წაშალა ქამმა 307
ჩვენ ორი დავრჩით 308
* * * მერცხლებო, თქვენთვის შურდული არასდროს
მისროლია... 310
მსურს დავივიწყო! 311
რა საცოდავად სუნთქავს! 312
მოლოდინი 313
სოფელი 314
* * * ვიხარ რტოზე და არ გალობ... 315
მიაყურადე, ფერების რხევას 316
ნაზამთრალი ბაღი 317
სად გაქრა, ნეტავ? 318
მზის მიწურვისას... 319
ზამთრის გზაზე 320
ტყეს აღვიძებდა 321
ბავშვობის ცა 322
* * * ზამთრის სითეთრე მიეფარა უეცრად თვალებს... 323
ფერთა თამაში 324
ტრფობის მტევანი 325
გულს ამჩნევია 326
რად ამატირა?! 327
სანამდის ქამი დამშლიდეს! 328
კიპარისი 329
თავზე მემსხვრევა ცა მინანქარის 330
ზარებს არისხებს მნათე 331
მივაყურადებ... 332
გულწითელა 333

ვერ შევაჩერეთ! 334
იყო საღამოს შვიდი! 335
მოსკოვი 336
ჩიტებს 337
წყაროს 338
ჩემი სახლ-კარი 339
ფერდობზე ლურჯი საღამო წვება 340
ცაო, დაუშვი წვიმა! 341
*** ო, ვინ ჩასწვდება წუთისოფლის იდუმალებას?.. 342
*** უცებ მოიჭრა ღრუბელი... 343
მახსენდება! 344
ცივი საუკუნე 345
კვლავ დამსდევს ქარი 346
ვერ დავივიწყებ 347
მიდის ჟამის გასწვრივ 348
ამაოდ, ვჭიმავ ზონარს 349
რა უნდა ერქვას? 350
ვინ მიგვატოვა? 351
მივალ თოვლის კაცი 352
ისევ ქარი და წვიმა 353
აქ რა გინდოდა?! 354
გავცქერი სივრცეს 356
ო, ეს ვის გადავეყარეთ? 357
სიჩუმის შრიალი 358
სად მიმაქანებ? 359
გავყვები ბილიკს 360
ვდგავარ ზღვასთან ახლოს 361
ცოდვილი 362
მოვდივარ შენთან 363
საით მიდიხარ? 364
მერცხლებს 365
მოცეკვავე გედი 366
ბოტანიკური ბაღი 367
მახსოვს! 368
ფაუსტი 369
თოვლი-ეფემერა 371
ირხევა ბაღი 372
გაფრენილი დღეების ნოსტალგია 373

მეგობარი მკითხველი

ო, როგორ მიჭირს?! 374
თეთრი პალატა 375
გული 376
წავიდა ის დრო! 377
ჩემი ტყე 378
დედამიწა 379
შორს მიატოვა 380
რამ უნდა გადამავიწყოს?! 381
დამიბრუნეთ! 382
ჩემი სახლი 383
ამაოდ შევაბერდი 384
ზამთარი უკვე წავიდა 385
მზე უკვე ჩადის... 386
მოგონება 388
ფერთა მორევში ვცურავ 390
ისევ მიცურავს 392
ობოლი 393
საით წავიდა?! 394
მეგობარს 395
ბავშვი 396
ცრემლიანი ზარები 397
არავინ იცის 398
დეკემბრის ღამე 399
ჩემი აბაშა 400
წინაპარს 401
ბანძა – 1924 402
არაფრად მიღირს! 403
ჩემი ვარსკვლავი 404
ყველგან სიკვდილი მეფობდა 405
ორი ღრუბელი 406
შემოდის ჩემში 407
მათხოვრების ხეივნები თბილისში 408
სიბერე შემომეპარა 409
მთვარეს 410
სულმა თავისი გზა იცის 411
ყმაწვილობის მეგობრებს! 412
დგას გაზაფხული 413
ო, ის დღეები გაფრინდნენ 414

მოვიდა ფერიცვალება....415
ჩემი სოფელი....416
მთვარე და სიყვარული....418
მზე გაზაფხულის....420
წყარო....421
მოგონება ისევ მიმაქროლებს....422
მიყვარს....423
ფიფქებს....424
ღამის საგალობელი....425
შეწყდა ჩიტების გალობა....426
წავიდნენ წლები... 427
საქართველოს....428
მოდის აპრილი....429
ვაყურადებ 430
აპრილი გაშლის იალქნებს... 431
გაფრენილ დღეებს ვიხსენებ!....432
ბევრჯერ ვეურჩე!....433
კვლავ ლოცულობენ სანთლები ხსოვნის....434
იყავი ფრთხილად!....435
ჩაბარდა წარსულს....436
ო, როგორ მინდა?!....437
მდუმარებს სივრცე....438
რა შეგვრჩა?!....439
დღეებს გაფრენილს ვეძახი....440
შენ ბავშვობიდან მიყვარდი!....441
მაგონდება ის წლები!....442
ისევ ავედევნები....443
*** სულს ახარებს გაზაფხულის მოსვლა... 444
დრო....445
იადონს....446
ბელურებს....447
არ მინდა გნახო....448
მოველი შენთან....449
გემშვიდობები....450
ოცნებად მექცა წარსული....451
ხეო, ფოთლები მოისხი!....452
რა შორს გაფრინდა....453
დღეებს გავძახი, შეჩერდით!....454

მეტრამავედრებელი

რამ დააყრუა?! 455
შენ ჩემს საფლავს 456
ბედისწერა 457
ვიხსენებ წარსულს! 458
ნუთუ, ამაოდ მოველ? 459
გაცივდა გული 460
ექო 461
ო, როგორ გაქრა! 462
გადამაფარე, მზეო!.. 463
მოდის აპრილი 464
სანათა 465
მზე ჩადის 466
შენ გელოდები, ნათია! 467
დაგაგვიანდა 468
რა შემრჩა? 469
ხმა იდუმალი 470
შეხვედრის მოლოდინში 471
ჩიტი 472
დედამიწას 473
დრო საით მიექანება? 474
მდინარის პირას დავდივარ 475
მიდის ჟამის გასწვრივ 476
რა გზაა დაუძლეველი! 477
ო, რა მწუხარეა ქნარი?! 478
წმინდა ნინო 479
დაუბერე ქარო! 481
მე ახლაც შენი შრიალი მესმის 482
მახსოვს 483
გავცქერ სანახებს სოფლის 484
ნეტავ, ვინ მართავს?! 485
დედას 486
დროის ვექტორი მიქრის 488
მდინარის პირას 489
მიყვარს მუსიკა 490
მარის 491
მიდის ცხოვრება 492
რამ დამავიწყოს?! 493
მოვიდა ისევ, რასაც ველოდი! 494

შემოღამების სევდა 495
ვერ გამიგია! 496
მზე გაზაფხულის ამოდის 497
ცახცახებს ჩემი ბაღი 498
შევრჩით საწუთროს 499
რა ამაოდ ვიხედები უკან! 500
მაისის წვიმა 501
შეწყდა შრიალი 502
დავდივარ მარტო 503
* * * სიკვდილთან ბრძოლით ვერაფერს გახდი... 504
ჩემო პლანეტავ! 505
მე შენზე ვფიქრობ 506
* * * ვერ იქნა, დღემდე ვერ გავფანტე ბინდები მწუხრის... 507
წუხელ მერცხლები მოფრინდნენ 508
ფერიცვალების ზარები 509
დედას 510
ის მიდის მარტო 511
ქამი გარბის 512
მეამაყება თქვენს ძეგლთან დგომა 513
რა უფერულად ფეთქავს?! 515
სხვა თვალებით ვუმზერ 516
რა შერჩა?! 517
ბავშვობის ბაღში მოვდივარ! 518
მოგონება მაწვიმს 519
იძინე, მშვიდად იძინე! 520
ბავშვობის ნოსტალგია 522
მივდივარ 523
გაცურდნენ საით?! 524
მოვიდა ადრე 525
საით წავიდა ეს ხალხი? 526
შეჩერდი! 527
ჩემი ზღვა 528
ერთმანეთს გადავეყრებით! 529
იკაროსის ნაკვალევზე 530
საღამო ზღვაზე 531
რატომ ჩამიქრე?! 532
რამდენ წამებას ვუძლებ! 533
ჩემი ოცნების პლანეტა 534

მეტრიმავედრებელი

პაემანი 535
რატომ ატირდი?! 536
ორი აჩრდილი 537
შენი თვალები 538
ჩამოდის წვიმა 539
ვერავინ გადამავიწყებს 540
გაჰყვება მერმისს 541
ვარ თანამგზავრი 542
* * * ცოცხალთა შორის, რომ არა ხარ, გავიგე შარშან... 543
გათავდა, მორჩა! 544
ბუნების ფერიცვალება 545
ვინ წაგართვა?! 546
უკვე არაფრად მიღირს 547
ჩაიღვენთები ხსოვნის სანთლებად 548
შევყურებ მთების სიმაღლეს 549
მიაჟღარუნებს დეზებს 550
მშვიდობით, მერი! 551
შენ ერთს! 552
მიილანდები 553
ო, ერთხელ კიდევ! 554
მზის ამოსახედს გავცქერი... 555
ვინ მომაშავა? 556
ამოიოხრე 557
მიდიან დღენი 558
ვერ ამიხსნია 559
დაგენანება 560
სევდა ყვავილობს 561
ორი გოლიათი 562
ჩემი ალვები 563
მზეს 564
დამთავრდა შენი ცხოვრება! 565
მოგონება მაწვიმს 566
წაიღეთ ჩემი სევდა 567
ვზივარ სარკმელთან 568
რატომ გაგვიანდება? 569
ნუთუ, ეს არის?! 570
არავინ იცის 571
საუბარი ყვავილებთან 572

ვერ ვიმორჩილებ განცდას 573
გახსენებს წარსულს 574
მხოლოდ სიზმრებში 575
ვინ გამიძარცვა?! 576
ბელურა 577
ისევ, იდუმალ მეძახის! 578
სად გაწყდა სიმი?! 579
რეკვიემი 580
სად მოწყდა ტრამალს? 581
დროს რა ვუყო დარჩენილს?! 582
მერის 583
ისევ მეძახი 584
ჩემი სოფლის ცა 585
დავდივარ რუსთველის გამზირზე 586
მზის ჩასვლა ზღვაზე 587
ვუახლოვდები 589
რუხი ნაკვალევი 590
ხსოვნას შერჩება 591
ფოთოლცვენა 592
იმ დღეზე ვფიქრობ! 593
რატომ ინება?! 594
ვუტევდი ქამის სიურჩეს 595
ვიხსენებ დღეებს სანუკვარს 596
ყვავილების მოზაიკა ჩემს ოთახში 597
მოსკოვი – 2010 598
არავინ მენუგეშება 599
წავიდა ის დრო 600
ზღვა ღელავს 601
დრომ გამიხუნა 602
შენი გზით მიდი... 603
ფერიცვალების მოლოდინში 604
* * * არ მინდა ქამმა გამიხუნოს შენი გალობა... 605
მიდიოდა წყალი 606
შენი ლანდი 607
ღედას 608
თოვლის ტირილი 609
ლურჯი სიმღერა 610
გაითავისებს ზღვის მელოდია 611

მეტრიმავედრებელი

პლანეტა....612
სიყვარულმა ჩაიარა ახლოს....613
მზე გაზაფხულის გაცურდა....614
ნატვრა....615
დიალოგი....616
რა ძალა მართავს?!....617
მეფისტოფელი....618
რამ დამავიწყოს?!....619
მზე მათრობდა შენი ზეცის....620
თოვლი....621
წყარო....622
არ დამისუსხო!....623
გააპარტახეს ქვეყანა....624
იღვრებოდა ქარვა....625
დღეს ბულბული შემოფრინდა ბაღში....626
ცას გავყურებ ნამაისევს....627
აქ დავაცურე ნავები....628
მივყვები ბილიკს....629
კვლავ მენატრება!....630
ვერ დავამშვიდე....631
დრო მიდის....632
შეღამება....633
ვნახე ზღაპარი!....634
დღეს შემისრულდა 80 წელი....635
ნუთუ?!....636
ხმა სამარიდან....637
ბევრი გავიდა წელი....638
ალუბლის ტოტი....639
ისევ მოვდივარ....640
ვერ იზეიმებს....641
ახლოვდება საღამო....642
იჩქარე!....643
ჩიტი....644
კიდევ პატარა ხანი....645
მომწყინდა უშენოდ....646
სინანული....647
პოეტი....648
რა დამავიწყებს?!....650

დაისი 651
დავდივარ ბაღში....652
მზე ჩადიოდა....653
...და მიქრის სადღაც....654
ოქტომბრის ქარი 655
მივსდევ ბილიკებს... 656
რამ შეგაშინათ? 657
*** რა უფერულად ჭკნება ჩემი იასამანი?!... 658
ზღვა და სიყვარული....659
სიმღერის ძალა 660
მექცა სიზმრებად 661
გუშინ, ისევ შემოვედი ბაღში....662
მიიწევს მაღლა 663
დამყვება სიმღერა შენი....664
ორი მუხა 665
მინდვრები გადავირბინოთ....666
წვიმა და ყვავილები 667
შენ მოევლინე....668
სიკვდილი....669
კვლავ დაბრუნდება... 670
მზე კვლავ ფეთქავს თბილისური 671
აიმღვრა სივრცე 672
რა შორს ჩავიდა....673
იცინის ხვითო 674
მზე ჩადიოდა!.. 675
კვლავ ველოდები!....676
გზა 677
ნაძვის ხეზე....678
მე ისტორია შენი მაჟრჟოლებს... 679
ჩემი გზა 680
მზერამავედრებელი!....681
შენ წახველ უკვე!....682
რა დარჩა ჩემთან? 684
*** მერცხლებისგან ზეცა გაიკრიფა... 685
ზამთრის ჩიტუნა წივის! 686
შემოდგომა მოიწევს....687
დავემშვიდობე!....688
ვიხსენებ წარსულს....690

საით მიქრიხარ, დროო?....691
რა დამავიწყებს!....693
წარსული გაგვეთამაშა.......695
წუთისოფელი....696
თბილისი....697
ისევ მივტირი....698
სად წავიდა?!....699
ფოთოლცვენის ღამე....700
დედის აჩრდილი....701
ცხოვრება მიდის.......702
* * * დაცარიელდა ჩემთვის სოფელი.....703
ვიცი, რომ წავალ!....704
საიდან მოდის?....705
ვიხსენებ ისევ....707
სიზმარში....708
ფოთოლცვენის ღამე....709
ისევ მეძახი....710
დავცქერით რიონს....711
მე თქვენ მიყვარდით....712
წვიმს....713
სულო დამშვიდდი!....714
მერცხლებს....715
როგორ ვირწმუნოთ?!....716
რად შეწყდა?....718
„სალაყბო“....719
ვერ გამექცევა....720
მოლოდინი....721
ვისმენ შორეულ ღიღინს!....722
ისმის გალობა....723
განშორება....724
მე დავიღალე....725
სამშობლოს მთებს....726
*** მე ჩემს შეცდომებს ჭაბუკობის სილაღეს ვაწერ.....727
მარტოობა....728
წუთისოფელი მიდის და მიდის....729
რა ადრე წახველ?....730
გაშალე ფრთები....732
შენი პატარა ტოტი ვართ....733

სონეტები

*** შენ ხომ სიცოცხლის სილამაზეს ეტრფოდი მუდამ... 739
*** სად შეწყვეტს ღელვას ო, ეს გული, არავინ იცის!.. 740
*** კვლავ შეღამების ბილიკს გავცქერ ფოთლებდაფენილს... 741
*** რატომ დაგჩემდა ხეტიალი მთვარიან ღამით... 742
*** როცა ისარი შეწყვეტს ცახცახს ჩვენი საათის... 743
*** წუხელ სიზმარში ნაღვლიანი გამომეცხადე... 744
*** გადავუქროლე საუკუნის უღელტეხილებს... 745
*** ვიღაც მომყვება და, რა მკაცრად მითვლის ნაბიჯებს... 746
*** დავალ თბილისში, მაგრამ ვეღარ ვპოულობ თბილისს!.. 747
*** მოვედი შენთან ერთხელ კიდევ, მდინარევ ჩემო... 748
*** ეს მზის სისტემა უშენოდ ხომ არაფერს ნიშნავს... 749
*** ო, აქ ბავშვობის ნაფეხურებს დავეძებ ისევ... 750
*** ტრამალებიდან ნაზამთრალი მგლები ყმუიან... 751
*** ჩვენ გამოვდივართ, მოქანცულნი ბრძოლის ველიდან... 752
*** ფრთხილად დაადგი ამ მიწაზე ფეხი, იცოდე... 753
*** დადგება ჟამი ატომური მკაცრი დუელის... 754
*** შენ გული გქონდა, საყვარელო, თბილი და სუფთა... 755
*** უშენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან!.. 756
*** თუნდაც იარე ქვეყანაზე გზებით უვალით... 757
*** რა გეშველება, უმოწყალოდ გულო დაჭრილო!.. 758
*** მე ჩემს ამ სივრცეს გავაჯერებ, ძვირფასო, დარდით... 759
*** ამ ცას და მიწას, ალბათ, დიდხანს ვემახსოვრები... 760
*** აქ ყველაფერი დროის ფრთებზე მიედინება... 761
*** მას სათავისკენ კვლავ მოუნდა შემობრუნება... 762
*** მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად... 763
*** მზის სისტემაში ჩვენ სიცოცხლეს ამაოდ ვეძებთ... 764
*** სიტყვა და საქმე სააკაძის ხმალივით გიჭრის... 765
*** ამ პლანეტაზე მე ვიცხოვრე უმკაცრეს დროში... 766
*** დადევი ფიცი შენ საფლავთან დიდი დავითის... 767
*** ანგელოზებო, დაგიმსხვრიეს სივრცე ფერადი... 768
*** ცის სიშორეში ღრუბლის თეთრი მიცურავს ტივი... 769
*** ნაღვლიანია დედამიწა შეღამებისას... 770
*** ო, დედამიწის დაღუპვის წინ ჩემი აჩრდილი... 771
*** ამ ღრმა ჭრილობებს გამიმრთელებს აწი ვერავინ... 772
*** ამოდის მთვარე ცის თავანზე ღაწვებმწყაზარი... 773
*** მიდის ცხოვრება და, თან იცვლის ფერს და კალაპოტს... 774
*** მიმართულებას ეს ცხოვრება ნიადაგ იცვლის... 775

მეტრიმაკვლევლელი

*** შენს დიდ გენიას ვერ იტევდა ბებერი მიწა... 776
*** კაცობრიობის ისტორია შობეს ომებმა... 777
*** პირქუშ კედლებთან დაბოღმილი ვდგავარ ეული... 778
*** კეთილი ერთობ დავიწყებას ეძლევა უკვე... 779
*** როგორც რაინდი ტრიბუნალის წინაშე იდექ... 780
*** რა დაგიშავათ ამ პატარა გოგონამ, ნეტავ?.. 781
*** მიყვარდა შენში ხმა მუდამჟამს თავისუფლების... 782
*** ნუ დავაჩქარებთ მშობლიური პლანეტის სიკვდილს... 783
*** ო, რა ულმობლად დაგეღალა გული ამაყი... 784
*** ნუთუ, სიჩუმემ არ დაგღალა ამდენი ხანი?.. 785
*** პირველი ღამე მე უსივრცოდ გამიჭირდება... 786
*** მახსოვს წვიმისგან გვიფარავდა ფოთლები ხშირი... 787
*** ისევ რეკავენ გამუდმებით და სევდას ღვრიან... 788
*** ძველი ქალაქის ვაკვირდებით ხედებს ოვალურს... 789
***ვდგავარ მუხასთან გაუძარცვავთ, რომელიც ქარებს... 790
მხოლოდ შენ გვეიმედები.....791
*** დრო სიშორეში, როგორც თეთრი გლისერი მიქრის... 792
*** ო, ეს სამყარო ჟამთა დენის გარეშე ვერ ძლებს... 793
*** იმ შადრევნებთან აწი უკვე ვერასდროს მივალთ... 794
*** არ დაელოდე შენ სიკვდილის ზმორებით მოსვლას!.. 795
*** დრომ მოგვახვია ვარდისფერი რხევით ნისლები... 796
*** იწექ ბალახში და გათოვდა ყვავილი ატმის... 797
*** ძვირფასო ჩემო! სად გაფრინდი მოულოდნელად?!.....798
*** ხალასი გრძნობით ბავშვობიდან ერთმანეთს ვენდეთ... 799
*** მე იმ საღამოს შენ მეგონე თოვლის გოგონა... 800
*** ისევ ვიხსენებ გაზაფხულის ხასხასა ჭალას... 801
*** მოვდივართ ერთად ოცდაშვიდი წელია უკვე... 802
*** ო, რა ულმობლად აგანგაშდა სივრცე მთვლემარი... 803
*** გაგყვა რამდენი საიდუმლო მიმავალს იქით... 804
*** ამ ღრმა ჭრილობას დროის ქროლვა ვერასდროს
მომბანს... 805
*** იდგა სივრცეში ვარდფურცლობის ფერთა შრიალი... 806
*** გიკრთის ტუჩები სველი, როგორც კოკორი ვარდის... 807
*** აქ ხელმეორედ რომ მოვიდე ათას წლის შემდეგ... 808
*** აქ, მტკვრის ნაპირზე შლიდი ფიქრთა ცისფერ იალქანს... 809
*** მე არ მშორდება საოცარი შენი ხატება... 810
*** ო, ვერასოდეს დავიბრუნებთ დღეებს მაისის... 811
*** დგახარ მწვერვალზე უმაღლესზე, პოეტი, ქნარით... 812

*** იდგა მიწაზე საუკუნის სუსხი მძვინვარე!.. 813
*** შენ დიდ პოეტს და ბუნების ღრმა მესაიდუმლეს... 814
*** შენისთანები იშვიათად მოევლინება... 815
*** სიზმარში ვნახე ლოცვად იდგა თამარი გელათს... 816
*** როცა დაწყდება ძალწირები პლანეტის ველის... 817
*** მე ბოტანიკურ ბაღში ვდგავარ აუზთან ახლოს... 818
*** ბერიკაცებში შენ არასდროს იქნები, ლადო!.. 819
*** შემოგვიტია მერამდენედ სიკვდილმა ძლიერ... 820
*** ხან წვიმა მოდის და ხან თოვლის ფანტელი ხშირი... 821
*** ისევ მოზღვავდა გაბაფხულის ფერები მინდვრად... 822
*** თუ ერთხელ წახველ, აქ მეორედ ვერასდროს მოხვალ... 823
*** გარეთ წვიმს... ზღვიდან კვლავ უბერავს მრისხანე ქარი... 824
*** ჟამი ფერს გვიცვლის და ყოფილად ვიქცევით მალე... 825
*** მე ცა მახურავს სილაჟვარდით გაუხუნარი... 826
*** შეხედე ტალღებს ქარი, ისევ ეთამაშება... 827
*** ჩვენ მთელი ღამე, საყვარელო, მთვარის ქვეშ
ვთრთოდით... 828
*** მოხველ, ძვირფასო, შრიალით ფერთა... 829
*** შენ ჩაიშალე იმ წიაღში მშობლიურ მიწის... 830
*** მიირხეოდნენ ცის თავანზე ღრუბლები ლეგა... 831
*** ამოდიოდა სიშორიდან მზე მეწამული... 832
*** შენს ფანჯრის მიღმა ნაღვლიანი ჩამოწვა ღამე... 833
*** აქ ყველაფერი მხოლოდ შენზე მესაუბრება... 834
*** ისევ შინდისფრად შეიღება აღმოსავლეთი... 835
*** ო, ამ წყაროსთან ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ... 836
*** სადღაც გაფრინდა მგალობელი ჩიტების გუნდი... 837
*** მოვიდა თოვლი გაათეთრა წკვარამი ღამის... 838
*** მინდა სიცოცხლის ნიაღვრების ბოლომდე გვწამდეს... 839
*** მე შენს სიყვარულს დავიწყებას ვერასდროს მივცემ.....840
*** ღამის აფეთქდეს ო, ეს გული სადმე დენთივით... 841
*** მე მიყვარს შენი გალობა ჩემი ატმის ხის რტოზე 842
*** მიირხეოდი ჩამავალ მზის სხივების ჩქერში... 843
*** ის დრო წავიდა, აწი უკვე ვერაფერს შევცვლით... 844
*** მე ამ სამყაროს მოაზროვნე რგოლი ვარ მცირე.....845
*** ჩემს ბაღში ისევ სუსხიანი ზამთარი მოდგა.....846

პ ო ე მ ა

ისევ აცურდა დროშა თამარის 849

რედაქტორი: **დონა კოლხი – დოდო ნარმანია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნანა ყანდაშვილი

ყდის დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com